

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თამარ ნინიძე

ევფემიზმის ლინგვისტური მახასიათებლები და ფუნქციები

ქართულში

(V-XVIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით)

დარგი/სპეციალობა 0232 – ფილოლოგია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის დოქტორი,

პროფესორი რუსუდან სალინაძე

ქუთაისი

2020

შინაარსი

შესავალი.....	4
თავი 1. ენობრივი ეთიკის პრინციპები და ევფემიზაცია.....	13
1.1. ტერმინი „ევფემიზმი“. თავაზიანობის კატეგორიის საკითხი	15
1.2. ევფემიზმთა კლასიფიკაციის პრობლემა.....	26
1.2.1. ევფემიზმთა კლასიფიკაცია წარმომქმნელი მოტივების მიხედვით.....	26
1.2.2. ევფემიზმთა კლასიფიკაცია ენობრივი ნიშნის მიხედვით	33
თავი 2. ევფემიზმთა კონტექსტური ანალიზი და სახეები	38
2.1. ევფემიზმის გამოხატვის გრამატიკულ-სემანტიკური საშუალებები.....	39
2.1.1. მორფოლოგიური ევფემიზმები.....	40
2.1.2. ევფემიზმის გამოხატვა ფუძემონაცვლე ზმნებით.....	55
2.1.3. სინტაქსური ევფემისტური შენაცვლებანი.....	82
2.2. ლექსიკურ ევფემიზმთა სახეები.....	90
1.2.1. ევფემისტურობის გამოხატვა სახელური ლექსიკური ერთეულებით	90
2.2.2. ევფემისტურობის გამოხატვა ზმნური ლექსიკური ერთეულებით.....	108
2.2.3. სიტყვათა მყარი შეხამებანი.....	112
თავი 3. ევფემიზმის სტილური ფუნქციები.....	122
3.1. ევფემიზმის სტილური ფუნქციები სასულიერო მწერლობის ენაში	127
3.2. ევფემიზმის გამოხატვის თავისებურებანი საერო სტილის ნაწარმოებებში	139
3.2.1. ეთიკეტური ფრაზები და დალოცვის ფორმულები.....	141
3.2.2. ფიცის ფორმულები	145

3.3. ევფემიზმები დოკუმენტების ენაში (საკანცელარიო სტილი).....	152
3. 4. ევფემიზმის სტილური ფუნქციები თარგმანების ენაში	166
დასკვნითი დებულებანი	170
დამოწმებული ლიტერატურა	173
წყაროები.....	194
შემოკლებანი.....	206

შესავალი

ცივილიზებულ საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენობრივი ეთიკის დაცვას, რადგან სხვა ფაქტორებთან ერთად მეტყველება ქმნის ადამიანის კულტურას.

ენობრივი ეთიკის სფერო მოიცავს ისეთ ერთეულებს, როგორცაა ევფემიზმები. ეთიკის ნორმების ცვლა აისახება ენაზეც, რადგან ენა იცვლება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. ენისა და კულტურის მიმართების კვლევა გვიჩვენებს, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი გავლენას ახდენს არა მარტო საზოგადოების, არამედ ენის განვითარებაზეც. ბევრი რამ, რაც ადრე ეთიკის ნორმების დარღვევად ითვლებოდა, დღეს მიღებულია და ნაკლებად აღიქმება დაუშვებლად. ამით უნდა აიხსნას ევფემიზმთა სიხშირის კლება თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით იმ წრეთა მეტყველებაში, რომელთაც ყველაზე მეტად მოეთხოვებათ ენობრივი ეთიკის დაცვა.

საკვლევ თემად ისეთი საკითხის შერჩევა, როგორცაა „ევფემიზმის ლინგვისტური მახასიათებლები და ფუნქციები ქართულში (V-XVIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით)“, განაპირობა აღნიშნული პრობლემით დაინტერესებამ და იმის გარკვევის სურვილმა, თუ რა ვითარება იყო ამ მხრივ ენაში ქართული საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპებზე. ამ მიმართულებით კვლევის უფრო მეტ საფუძველს იძლევა ისიც, რომ ევფემიზმის საკითხის შესახებ, მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მნიშვნელოვანი გამოკვლევები, მაგრამ ზოგი რამ ლინგვისტური ასპექტით დღემდე არ არის შესწავლილი. კერძოდ, სხვადასხვა ავტორის ნაშრომებში მოცემულია ევფემიზმის კლასიფიკაციის ცდები, თუმცა კლასიფიკაციები ვერ მოიცავს ევფემიზმთა სრულ სპექტრს, არაა შემუშავებული წმინდა ენობრივი კლასიფიკაცია, სრულყოფილად არ არის გამოკვლეული ევფემიზმის ლინგვისტური მახასიათებლები და ფუნქციები ქართული სალიტერატურო ენის განვითარების დიაქრონიულ ჭრილში. დასახელებული ფაქტორები განაპირობებს სადისერტაციო

თემის აქტუალობას. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი აღნიშნულ პრობლემათა მოგვარების ცდად გვესახება.

ჩვენი სადოქტორო თემის მეცნიერული სიახლეა V-XVIII საუკუნეთა ორიგინალური და ნათარგმნი სასულიერო, საერო ხასიათის წერილობითი ძეგლების, დოკუმენტების მიხედვით ევფემიზმთა ენობრივი კლასიფიკაცია და მისი სტილური ფუნქციების გამოკვეთა. ნაშრომი ევფემიზმის, როგორც ენობრივი მოვლენის, სისტემური დიაქრონიული ანალიზის პირველი ცდაა. **პირველწყაროებად** წარმოდგენილია V-XVIII საუკუნეთა სხვადასხვა სტილისა და ჟანრის ქართული წერილობითი ძეგლები, გავლებულია პარალელები თარგმანებთან, დიალექტებთან და თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასთან...

კვლევის მიზანია ევფემიზმის ფუნქციების, მისი გამოხატვის ენობრივი საშუალებების შესწავლა დიაქრონიული ასპექტით – V-XVIII საუკუნეთა ქართული წერილობითი ძეგლების მასალის ანალიზზე დაყრდნობით. საკითხის უფრო სრულყოფილად გაშუქების მიზნით ნაწილობრივ არის გაანალიზებული, ასევე, თარგმანებისა და დიალექტების მონაცემებიც.

ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, დასახულია კონკრეტული ამოცანები:

- ა) დასახული კვლევის კონცეპტუალური აპარატის შემუშავება;
- ბ) ევფემიზმის ლინგვისტური მახასიათებლების განსაზღვრა;
- გ) საანალიზო კონცეპტთა ფუნქციონირების სფეროს გამოყოფა;
- დ) ევფემიზმის სტილური მახასიათებლებისა და ფუნქციების გამოკვეთა.

ნაშრომის **თეორიულ დირებულებას** განსაზღვრავს ევფემიზმის, როგორც ენობრივი მოვლენის, კომპლექსურად შესწავლა, ემპირიული მასალის გათვალისწინებით სათანადო დასკვნების გამოტანა, კვლევის შედეგებს კი **პრაქტიკულ დირებულებას** შესძენს მისი გათვალისწინება ლექსიკოლოგიასა და სოციოლინგვისტიკასთან დაკავშირებულ სასწავლო კურსებში. რამდენადაც ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება ენის ტექნოლოგიებისა, რაც კიდევ უფრო მეტად აადვილებს ენის კვლევას, ამდენად, ენობრივ ერთეულთა, კერძოდ, ევფემიზმთა,

დიაქრონიული ასპექტით შესწავლა და ანალიზი გამოსადეგი იქნება აგრეთვე მანქანური თარგმანებისა და ტექსტური კორპუსების შექმნისას. თანამედროვე ციფრული ტექნიკისა და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამ წარმოშვა მანქანური თარგმანის აუცილებლობა, რაც, ცხადია, სრულყოფილი ვერ იქნება ენის ყველა დონის მონაცემების გათვალისწინების გარეშე.

ძირითად საკვლევ საკითხებად მიგვაჩნია ევფემიზმის შესახებ არსებულ ლინგვისტურ და სოციოლინგვისტურ თვალსაზრისებსა და თეორიულ დებულებებზე, აგრეთვე ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით ევფემიზმთა ენობრივი კლასიფიკაციის დაზუსტება და ჩვენეული მოდელის შემუშავება; ევფემიზმთა ენობრივი თავისებურებებისა და ფუნქციების გამოკვეთა; სტილური დაყოფის ფონზე ევფემიზმთა ვარიაციულობის, ცვლილებების დინამიკის ჩვენება, მისი, როგორც ამა თუ იმ სტილის შემქმნელი საშუალების როლის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული იქნება როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული კვლევის მეთოდები, აგრეთვე, მასალის შეგროვების მეთოდი, რომლის საშუალებითაც მოპოვებულია ევფემიზმების ნიმუშები V-XVIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლებიდან; მასალის დაჯგუფებისას გამოყენებულია აღწერილობითი და შედარებითი ანალიზის მეთოდი; სოციალურ-კონტექსტუალური ანალიზის მეთოდის საფუძველზე დაზუსტებულია ევფემიზმთა შორის ნიუანსობრივი განსხვავება, შესაბამისად, გაკეთებულია მათი კომპლექსური და შეპირისპირებითი ანალიზი.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა. ენობრივი ეთიკის პრინციპების გამოხატულება – ევფემიზმი ქართულში შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. სხვაგვარი ვითარებაა ევროპულ ენებში, რაც დასტურდება ევფემიზმის, თავაზიანობის შესახებ შექმნილი ნაშრომების რაოდენობითაც. ევფემიზმის განმარტება გვხვდება ჟ. მარუზოს, ო. ახმანოვას ლექსიკონებში, ენათმეცნიერების ენციკლოპედიურ ლექსიკონში; მის შესახებ მსჯელობენ თავიანთ ნაშრომებში ა. ბონდარკო, რ. ბუდაგოვი, ნ. ფორმანოვსკაია, რ. ბელი, ა. შვეიცერი, ლ. კრისინი, ბ. მოსკვინი და სხვები.

მაგალითად, ლ. კრისინის ნაშრომში დასახელებულია ევფემიზაციის ენობრივი ხერხები და საშუალებები: ა) სიტყვა-მსაზღვრელები; ბ) სახელდება გადატანითი მნიშვნელობით; გ) უცხო სიტყვები და ტერმინები; დ) აბრევიატურები; ე) ზოგიერთი სიტყვა, რომელიც აღნიშნავს არასრულ მოქმედებას ან თვისების სუსტ ხარისხს; ვ) ზოგიერთი ზმნური ფორმა...¹

ინგლისურენოვანი ნაშრომებიდან აღსანიშნავია ჰ. უ. ფაულერის ლექსიკონი, ე. ბენვენისტის, კ. ალენის, ფ. ბრაუნის, ჰ. ბლუმერის, ჯ. ფიშმანის მოსაზრებები ევფემიზმის შესახებ. არაერთგვაროვანია ევფემიზმთა კლასიფიკაციის საკითხი: ევფემიზმებს ძირითადი ობიექტების მიხედვით აჯგუფებენ ი. რ. გალფერინი, ვ. პ. მოსკვინი, ქ. ნიროპი, კ. შეფლერი; მოტივების მიხედვით ანაწილებენ ა. ს. კურკიევი, ლ. ზალეჟსკი, ა. ვააგი, ენობრივი საშუალებების მიხედვით – ე. სენიჩკინა, ლ. კრისინი, ე. ველანდერი, ჰ. შულცი...

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ XX საუკუნის 60-იან წლებში ამერიკელმა სოციოლოგმა **ირვინგ გოფმანმა** გამოაქვეყნა თეორია სოციალური სახის შესახებ. მისი თეორიის საფუძველზე ენათმეცნიერებაში ჩამოყალიბდა თავაზიანობის თეორია. ი. გოფმანის აზრით, სახე არის სოციალური ფასეულობა, რომელიც თანხმობაშია ენობრივი კოლექტივის როგორც ენობრივ, ისე არაენობრივ ეთიკეტთან. ი. გოფმანის თეორიაზე დაყრდნობით ჰ. ბრაუნმა და ს. ლევინსონმა განასხვავეს თავაზიანობის სტრატეგიები: 1) პირდაპირობა, 2) დადებითი თავაზიანობა, 3) უარყოფითი თავაზიანობა; 4) არაპირდაპირობის სტრატეგია, 5) სიჩუმე (ბრაუნი, ლევინსონი 1978). ჯ. ლიჩმა შემოიტანა ცნებები **ფარდობითი და აბსოლუტური თავაზიანობა**. ფარდობითი თავაზიანობა ითვალისწინებს კონტექსტს ცნების გამოყენებისას, აბსოლუტური კი ზოგადად ქცევის ნორმებს გულისხმობს. თავაზიანობის პრინციპთან დაკავშირებით ჯ. ლიჩი გვთავაზობს 6 მაქსიმას: 1. ტაქტის მაქსიმა (მსმენლის პირად ინტერესებში არ შეიჭრე); 2. დიდსულოვნების მაქსიმა (არ შეაწუხო ადრესატი); 3. კეთილგანწყობის მაქსიმა (არ გააკრიტიკო სხვები); 4.

¹ <http://www.philology.ru> (მომიებულია: 5 ოქტომბერს, 2014).

თავდამბლობის მაქსიმა (არ იქო თავი); 5. თახმობის მაქსიმა (მოერიდე უთანხმოებას); 6. თანაგრძნობის/ემპათიის მაქსიმა (კეთილგანწყობა გამოხატე ადრესატის მიმართ) (ლიჩი 1983: 82-83). როგორც ჩანს, ეს წესები უნივერსალურია და გამართლებული იქნება ნებისმიერი კომუნიკაციური აქტისას. თავაზიანობის სტრატეგიების გამოყენებით ადამიანი მიისწრაფვის „სახის“ შენარჩუნებისაკენ: „როგორც ჩანს, ზოგიერთი უნარი სოციალური სახის შესანარჩუნებლად თანდაყოლილია, ისევე როგორც ჩვენი ზოგადი მოთხოვნილება – შევინარჩუნოთ სახე“ (ჰადსონი 1996: 115).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ენობრივი ეთიკეტის შესახებ მსჯელობას პირველად ივანე ჯავახიშვილის საარქივო მასალებში ვხვდებით (რაც ჩვენთვის ცნობილი გახდა დ. სართანიას ნაშრომის საშუალებით). ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ შესავალ წიგნზე მუშაობისას ემყარებოდა ძირითადად საენათმეცნიერო მასალებს, რომლის მეშვეობითაც ცდილობდა უძველესი ხანის მსოფლმხედველობის სხვადასხვა მხარის გამომზეურებას. ამ კვლევა-ძიების ამსახველი მასალა მის პირად არქივშია დაცული... ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ კულტურული ცხოვრების წარმატებასთან ერთად პირველი ჯგუფის ტერმინები ჩვეულებრივ საუბარში მეორე ჯგუფის ტერმინებს უთმობენ ასპარეზს და ისინი ან საკრძალავ, ინტიმურ დამოკიდებულებაშიაა შერჩენილი, ან სალანძღავ სიტყვებად არის ქცეული... ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს გარემოება მკვლევარს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს და უძველესი ტერმინების კვალი ამ სახის მასალებში ეძიოს. ისტორიკოსი წერს: „ძველად სიტყვის ფასი ესმოდათ და ამიტომ საუბრის დროს ზომიერების დაცვა დიდ ღირსებად და საუკეთესო ზრდილობის ნიშნად ითვლებოდა...“ დ. სართანია აღნიშნავს იმის შესახებაც, რომ ივ. ჯავახიშვილს არსად არ მიუთითებს დღეს საყოველთაოდ გავრცელებული თავაზიანი მიმართვის „თქვენობითი“ ფორმის შესახებ (სართანია 2002: 239-241).

არნოლდ ჩიქობავას ნაშრომში „ენათმეცნიერების შესავალი“ აღნიშნულია, რომ ევფემისტური შენაცვლების საჭიროება სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენაში ერთნაირად არ ესმით. ევფემისტური ნორმები ერთსა და იმავე წრეში იცვლება დროთა ვითარებაში.

ზოგჯერ რაიმე ადათ-წესის ანდა ცრურწმენის გამო აღიკვეთება რაიმე სიტყვის ხმარება (ჩიქობავა 1952: 191).

ევფემიზმის გამოხატვის თავისებურებებს ეხება აკაკი შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“. როგორც მეცნიერი წერს, ძველად, ფეოდალური წყობილების დროს, შემუშავებული იყო გარკვეული „ზნეობანი“ ანუ საყოფაქცეო წესები, ეთიკეტი, რომლის სისწორით დაცვაც სავალდებულო იყო. თუ როგორი იყო „საქართველოს ზნეობანი“ ანუ ზრდილობის წესები, ეს გალექსილი აქვს არჩილს (შანიძე 1973: 513).

კარლო ჯორჯანელის ნაშრომი „ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ“ (1977) ევფემიზმის საკითხის მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდაა. ავტორი განიხილავს როგორც ქართული, ასევე ევროპული ენების მონაცემებს და ევფემიზმებს აჯგუფებს, ერთი მხრივ, გამოხატვის ენობრივი საშუალებების მიხედვით და, მეორე მხრივ, წარმომქმნელი მოტივების მიხედვით. ნაშრომის შესავალში ავტორი მიუთითებს ევფემიზმისადმი მიძღვნილ გამოკვლევათა რიცხვის სიმცირეზე და დასძენს, რომ სიტყვათმნიშვნელობებში ევფემიზაციის შედეგად გამოწვეულ ცვლილებათა მთელ სიუხვეს მისი ნაშრომი ვერ ასახავს; ეს მაშინ მოხდებოდა, თუ საგანგებოდ ამ თვალსაზრისით გადავხედავდით თუნდაც მხოლოდ ერთი ენის ლექსიკურ შედგენილობას მისი ისტორიული განვითარების მთელ გზაზე (ჯორჯანელი 1977: 3-4).

„ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ შესავალში ალექსანდრე ნეიმანი საკმაოდ ვრცლად საუბრობს ევფემიზმების შესახებ და ენაში მათი არსებობის საფუძველზე გამოყოფს „სტილისტიკურად განმასხვავებელი იერის მქონე რელატიურ სინონიმებს“ (ნეიმანი 1951: 46). მეცნიერი ევფემიზმის გაჩენას რელიგიას უკავშირებს და ასახელებს სხვა მოტივებსაც, რომელზეც დაწვრილებით ჩვენი ნაშრომის პირველ თავში გვექნება მსჯელობა.

ენობრივ ეთიკეტთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ბესარიონ ჯორბენაძეს წიგნში „ენა და კულტურა“ (1997). ავტორი გამოყოფს სხვადასხვა სახის ევფემიზმს: ა) უსიამოვნებისა და შიშის გრძნობით წარმოქმნილი ევფემიზმები; ბ)

თავაზიანობის საფუძველზე წარმოქმნილი ევფემიზმები; გ) დიპლომატიური (პოლიტიკური მოტივებით წარმოქმნილი) ევფემიზმები. ევფემიზმი სტილური ვარიანტულობის განმაპირობებელი ერთ-ერთი ენობრივი საშუალებაა. ბ. ჯორბენაძის აზრით, როგორც ევფემიზმი, ასევე დისფემიზმი არის საზოგადოების ამა თუ იმ ფენის კულტურული დონის უშუალო გამომხატველი...

ზაალ კიკვიძე ნაშრომში „თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები“ (1999) განიხილავს ნაცვალსახელურ და ზმნურ ევფემიზმებს, იმოწმებს შესაბამის მაგალითებს ქართული და ევროპული ენებიდან, მიჯნავს ლექსიკურ და გრამატიკულ ევფემიზმს და გამოყოფს **ევფემას**, როგორც თავაზიანობის კატეგორიის სათანადო ფორმას: „რადგან ტერმინი „ევფემიზმი“ არ გულისხმობს მის მიერ აღნიშნულ ენობრივ ერთეულთა შესაბამის გრამატიკულ კატეგორიას, მაშინ მსოფლიოს ზოგიერთ ენაში დადასტურებული გრამატიკულად გაფორმებული თავაზიანობის კატეგორიის სათანადო ფორმებს შეიძლება ეწოდოს „ევფემა“ (კიკვიძე 1999: 46).

ენობრივი ეთიკეტის საკითხს ეძღვნება **რუსუდან ზექალაშვილის** ნაშრომები. მკვლევარი აანალიზებს დიალოგურ მეტყველებას თავაზიანობის თეორიასთან კავშირში და მიუთითებს, რომ თანამოსაუბრეთა საკომუნიკაციო სტრატეგიის არჩევისას გადამწყვეტია თავაზიანობის ფაქტორი (ზექალაშვილი 2006: 4). ავტორი ასევე განიხილავს თავაზიანობის გამომხატველი ზოგიერთი ზმნის ისტორიას (ბრძანება, მირთმევა, ნებება, ძღვნა, ბოძება...) ქართულში (ზექალაშვილი 2013, 2014)...

საერთოქართველურ დონეზე აანალიზებს ევფემიზმის საკითხს **ზურაბ ჭუმბურიძე** და მიუთითებს, რომ ევფემიზაციის ხერხები ქართველურ ენებში, ისევე როგორც სხვა ხალხთა კულტურულ ენებში, მეტად მრავალფეროვანია. მეცნიერის აზრით, საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ამ თემაზე საუბარი კულტურულ საზოგადოებაში მიღებული არ არის. სათანადო ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ქართველურ ენათა და დიალექტთა ლექსიკონებში უმეტესწილად დუმილით აქვს გვერდი ავლილი. ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“. ევფემიზმები ქართველურ ენებში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება იმ

სიტყვების ნაცვლად, რითაც აღინიშნება სასქესო ორგანოები, ტანსაცმელი, რომელიც ფარავს ამ ორგანოებს, ინტიმური ურთიერთობა, საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური პროცესები, ადამიანის ფიზიკური თუ სულიერი ნაკლი და ა. შ. (ჭუმბურიძე 2014: 99).

სამეცნიერო ლიტერატურაში, ზემოთგანხილულთა გარდა, არსებობს სხვა საყურადღებო ნაშრომები ევფემიზმის შესახებ (მ. ტაბიძე, ქ. სვანიძე, ნ. რუხაძე, რ. ასათიანი, ი. აფაქიძე...).

კვლევის მიმართულების შესაბამისად, საკითხის ანალიზისას ცალკეული სამეცნიერო სტატიისა თუ მონოგრაფიის გარდა, გამოყენებულია ინტერნეტით მოპოვებული მასალები.

ნაშრომი მოიცავს კომპიუტერულად ნაბეჭდი ტექსტის 211 გვერდს. იგი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან, დართული აქვს დამოწმებული ლიტერატურის სია, წყაროები და შემოკლებანი.

პირველ თავში – ენობრივი ეთიკის პრინციპები და მეტყველების ევფემიზაცია – განხილულია ტერმინი **ევფემიზმი**, ევფემიზმისა და ენობრივი ეთიკის ურთიერთმიმართება, ტერმინ **ეთიკის/ეტიკის** საკითხი, ევფემიზმთა კლასიფიკაციის პრობლემა – ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ევფემიზმთა კლასიფიკაცია წარმომქმნელი მოტივებისა და ენობრივი ნიშნის მიხედვით, შემოთავაზებულია ენობრივი კლასიფიკაციის ცდა.

მეორე თავში – ევფემიზმთა კონტექსტური ანალიზი და სახეები – განხილულია V-XVIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში დადასტურებულ გრამატიკულ და ლექსიკურ ევფემიზმთა, ასევე, ევფემიზაციით გამოწვეულ სინტაქსურ შენაცვლებათა შემთხვევები (მიმართვის ფორმები, ჩართულები, ფრაზები...), სიტყვათა მყარი შეხამებანი, ევფემიზაციის გზით სიტყვათმნიშვნელობის ცვლილებათა კანონზომიერებანი...

მესამე თავში – ევფემიზმის სტილური ფუნქციები – განხილულია ევფემიზმის გამოხატვის თავისებურებები სტილური ვარიაციის ფონზე (საერო, სასულიერო და ისტორიული დოკუმენტების, ასევე, თარგმანების მიხედვით), გაანალიზებულია

ევფემიზმები, როგორც ცალკეული სტილისათვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმები.

დასკვნით ნაწილში შეჯამებული და განზოგადებულია კვლევის შედეგები.

თავი 1. ენობრივი ეთიკის პრინციპები და ევფემიზაცია

ეთიკის ნორმების დაცვა მნიშვნელოვანია განვითარებულ საზოგადოებაში. საზოგადოების კულტურის დონე ენაშიც აისახება, ამიტომ ენობრივი ეთიკეტი მჭიდრო კავშირშია ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტთან. ვილჰელმ ჰუმბოლდტის კონცეფციის მიხედვით, ენა არის მსოფლხედვა; ენა არის ერის სულის უშუალო გამოხატულება; ახალი ენის დაუფლება ახალი მსოფლხედვის შეძენაა. ამ კონცეფციამ ბიძგი მისცა ენის რაობის კვლევას აზროვნებასთან, ცნობიერებასთან, კულტურასთან მიმართებით (ჯორბენაძე 1997: 11). ენისა და საზოგადოების კულტურის კავშირის შედეგის გამომხატველია სწორედ ენაში ევფემიზმების არსებობა. სათქმელის გაევფემისტურება ენაში შემთხვევითი არ არის. მას გააჩნია ფსიქოლინგვისტური, ეთნოფსიქოლოგიური საფუძველი, იგი დაკავშირებულია ერის მსოფლმხედველობასთან, ფსიქოლოგიასთან, მის ისტორიასა და კულტურასთან. კულტურულ საზოგადოებაში ეთიკის ნორმები დახვეწილია, შესაბამისად, მაღალ დონეზეა ენობრივი ეთიკაც, რადგან ენა ადამიანის აზრთა გამოხატვის საშუალებათაგან უპირველესია.

ენა კულტურის გადაცემის ძირითადი საშუალებაა. პიროვნებამ ამა თუ იმ ნაციონალური ლინგვოკულტუროლოგიური ერთობის წევრად ჩამოყალიბების გზაზე უნდა გაიაროს სოციალიზაციის პროცესი, ანუ „ცივილიზაციასთან შეზრდის გზა“ (ლენტიევი 2001: 32). „ამ პროცესის არსს შეადგენს კულტურის ტრანსლირება; ბავშვობიდანვე, პიროვნების სოციალიზაციის საწყის ეტაპზე, კულტურის ტრანსლირება ხდება ფოლკლორული ტექსტების, საბავშვო ლიტერატურის, შემდეგ ეტიკეტური ფორმულირების, ფრაზეოლოგიზმების, ანდაზების და სხვ. მეშვეობით. ადამიანი ითვისებს იმ ერთეულებს, რომლებიც შედიან მოცემული სოციუმის კოგნიტურ ბაზაში, წარმოქმნიან კულტურული სივრცის „ბირთვს“, სამყაროს ენობრივ სურათს“ (რუსაძე 2010: 23).

ევფემიზმი ენობრივი ეთიკის სფეროს მიეკუთვნება. ენა საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება და ვითარდება, იცვლება ეთიკის ნორმებიც. ენაში ევფემიზმების სიმცირეს ან სიჭარბეს უკავშირებენ საზოგადოების განვითარების დონეს. ევფემიზმების სიჭარბე მაღალგანვითარებული საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი (ჯორბენაძე 1997: 73-74).

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს საპირისპირო დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. ზოგიერთი უცხოელი მკვლევარი მიიჩნევს, რომ საზოგადოების კულტურულ წინსვლასთან ერთად ენაში ევფემისტურ გამოთქმათა რიცხვი იკლებს. „პირველყოფილი რწმენის/შეხედულებების ზემოქმედებით (ტაბუ) გაჩენილ ევფემიზმთა გამოყენების ინტენსივობა საზოგადოების კულტურული განვითარების პროცესში თანდათან შესუსტდა. ევფემიზმები ენის ლექსიკური ფონდის პასიურ მარაგში გადავიდა. დღეს ევფემიზმის ძირითადი ფუნქცია მეტყველების სტილიზაციაა“ (რუზიმბაევი 2017: 644-646).

სხვა მოსაზრებით, ევფემიზმს ენაზე საზიანო გავლენის მოხდენა შეუძლია. მაგალითად, ავსტრალიის მკვიდრი მცხოვრებლები მათი საზოგადოების წევრის გარდაცვალებისას იძულებულნი არიან, არ ახსენონ მისი სახელი და ყველა ის სიტყვა, რომელიც ამ სახელის მსგავსია. ამ ტაბუირებულ სიტყვას უნდა ჩაენაცვლოს ევფემიზმი. მაშასადამე, საზოგადოების წევრები იძულებულნი არიან, მოძებნონ ევფემისტური სიტყვა სხვა ენიდან, რომ ამოივსოს სიტყვის დანაკარგი, გამოწვეული საზოგადოების წევრის სიკვდილით (ტრასკი 1996: 41).

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ევფემიზმის საზიანო გავლენაზე საუბარი გადაჭარბებულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ასეთ ნასესხებ სიტყვათა რაოდენობრივი მაჩვენებელი ენაში ძალიან მცირე იქნება. ასევე არ მიგვაჩნია სარწმუნოდ ისიც, რომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად ენაში ევფემიზმთა რიცხვი იკლებს. ევფემიზმითა რიცხვი იკლებს საზოგადოების კულტურული დონის შემცირებასთან ერთად. მაღალი კულტურის მქონე საზოგადოების წევრები ყოველთვის ცდილობენ, თავი აარიდონ უხერხულ სიტუაციას და უარყოფითად არ იმოქმედონ მსმენელზე.

ეთიკის ნორმების დაცვა ნებისმიერ ეპოქაში აქტუალურია და არასდროს არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

1.1. ტერმინი „ევფემიზმი“. თავაზიანობის კატეგორიის საკითხი

მეტყველების ევფემიზაცია უძველესი დროიდან მომდინარეობს. სიტყვა „ევფემიზმი“ ჯერ კიდევ ჰომეროსთან გვხვდება და გულისხმობს წარმართულ ჩვეულებას, რომლის მიხედვითაც მსხვერპლის შეწირვისა და ლოცვების წარმოთქმის დროს მხოლოდ „კარგი მნიშვნელობის სიტყვები“ უნდა გამოეყენებინათ.

შემდგომ ეს ჩვეულება ისე განმტკიცდა, რომ წარმართული მსახურების დროს საერთოდ აიკრძალა ლაპარაკი, რადგან ხშირი იყო შემთხვევა, როცა შეცდომას უშვებდნენ და შესაფერის სიტყვებს ვერ ირჩევდნენ (ჯორჯანელი 1977: 11).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ევფემიზმი თავდაპირველად იყო ვიწრო ტერმინი, რომელიც გამოიყენებოდა ტაბუირებული გამონათქვამების ჩამნაცვლებელი სიტყვის აღსანიშნავად. მოგვიანებით ტერმინის გამოყენების არე გაფართოვდა და იგი აღნიშნავს ყველა ვულგარული, შეურაცხმყოფელი, უხერხული ტერმინის მონაცვლე ფორმას. უძველესი სოციალური ტაბუები, რომლებიც უბიძგებდა ხალხს გამოეყენებინათ ევფემიზმები, განპირობებული იყო რელიგიის, სიკვდილის შიშითა და პატივისცემით (ჯასკოვა 2010: 12).

ევფემიზმები (ბერძნ. **euphēmismos** – შელამაზებული სიტყვების გამოყენება, **eu** „კარგად“ + **phēmē** „ვლაპარაკობ“) – ამა თუ იმ ენობრივ კოლექტივში სააუგოდ, საჩოთიროდ და სახიფათოდ მიჩნეულ სიტყვა-თქმათა ნაცვლად უფრო ნატიფად, ზრდილობიანად და უვნებლად მიჩნეული სიტყვა-თქმების გამოყენება.

ევფემიზმის შესახებ არნ. ჩიქობავა წერს: „ზოგი სიტყვის (თუ გამოთქმის) ხმარება უხერხულად ითვლება, ამიტომ შეგნებულად გაურბიან ამ სიტყვებს (და გამოთქმებს) და ცვლიან მათ სხვა სიტყვებით (და გამოთქმებით). უხერხული სიტყვების ასეთ

შენაცვლებას ევფემიზმი ეწოდება... „თქვენი ნათქვამი სინამდვილეს არ შეეფერება“ ევფემისტური სიტყვახმარების ნიმუშია; პირდაპირ თუ ვიტყვით, გვექნებოდა: „თქვენ რასაც ამბობთ, ტყუილია“ (ჩიქობავა 1952: 191).

კ. ჯორჯანელი ევფემიზმს ასე განმარტავს: „სიტყვა „ევფემიზმი“ საერთაშორისო საენათმეცნიერო ტერმინია და ეწოდება სიტყვას (ან გამოთქმას), რომელიც ისეთი სიტყვის (ან გამოთქმის) სუბსტიტუტად იხმარება, რომელიც მოცემულ ენობრივ კოლექტივში სახიფათოდ, უსიამოვნოდ, უხეშად, სათაკილოდ ან უზრდელად მიიჩნევა. ევფემიზმი და ის სიტყვა (ან გამოთქმა), რომელსაც იგი ენაცვლება, ერთსა და იმავე ობიექტურ მონაცემზე მიუთითებენ. განსხვავდებიან კი იმით, რომ ერთნაირ შთაბეჭდილებას არ ახდენენ მსმენელზე“ (ჯორჯანელი 1977: 11).

გ. ახვლედიანის დაკვირვებით, „ევფემიზმად იწოდება ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ენაცვლებიან საშიშად ან საკრძალველად მიჩნეული საგნებისა და მოვლენების სახელებს“ (ახვლედიანი 1972: 132). ამავე აზრის შემცველია

გ. ნებიერიძის განმარტებაც, ოღონდ უარყოფითი დატვირთვის მატარებელი სიტყვების დადებითით შეცვლის პროცესის აღსანიშნავად მეცნიერი იყენებს ტერმინს „ევფემია“ (ნებიერიძე 1991: 230). ანალოგიურად არის კვალიფიცირებული ევფემიზმი ქართული ლექსიკოლოგიის სახელმძღვანელოებშიც, აგრეთვე, უცხოურ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებშიც: „შერბილებული გამონათქვამი, გამოყენებული ისეთი ცნების გადმოსაცემად, რომლის პირდაპირი წარმოთქმაც არასასურველი იქნებოდა“ (**მარუხო** 1960: 340), **ო. ახმანოვას** დეფინიცია შემდეგნაირია: „ტროპი, რომელიც მდგომარეობს რომელიმე საგნის ან მოვლენის არაპირდაპირ, დაფარულ, თავაზიან, შერბილებულ აღნიშვნაში“ (ახმანოვა 1966: 521); **ჰ. უ. ფაულერის** ლექსიკონში იგი განმარტებულია, როგორც მიუღებელი გამოთქმის შემცვლელი უფრო შერბილებულით (ფაულერი 1980: 171).

ა. ნ. შმელიოვი მიიჩნევს, რომ ევფემიზმი შეიძლება ეწოდოს სიტყვებსა და გამოთქმებს, რომელთა მიზანია გარკვეულ პირობებში ჩაანაცვლონ მოსაუბრის მიერ

ნაგულისხმევი არასასურველი, საკმაოდ არათავაზიანი და ძალიან მკვეთრი აღნიშვნები (შმელიოვი 1994: 123).

ნ. ს. არაპოვა გვამლევს ევფემიზმის ამგვარ განმარტებას: „ემოციურად ნეიტრალური სიტყვები ან გამოთქმები, გამოიყენება იმ სინონიმური სიტყვების ნაცვლად, რომლებიც მოსაუბრის მიერ წარმოდგენილნი არიან როგორც უხამსი, უხეში ან უტაქტო (არაპოვა 1990: 128).

დ. კრისტალი ევფემიზმს განსაზღვრავს, როგორც სიტყვას ან ფრაზას, რომელიც არაპირდაპირ ახასიათებს რაიმე არასასიამოვნოს ან შეურაცხმყოფელს.²

ნ. პოტაპოვა თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ ევფემიზმი მიიჩნევა სუბსტიტუტად, რომელიც გამოიყენება მოუხერხებელი, უხეში სიტყვის ნაცვლად. მისი აზრით, არსებობს ასევე ევფემიზმის ფართო გაგება, რომლის მიხედვითაც მისი იდენტიფიკაციის მთავარ კრიტერიუმად გვევლინება ფუნქციონირების ასპექტი, ანუ შესაძლებლობა იმისა, რომ შეცვალოს სტიგმატური ერთეულების მნიშვნელობა დადებითი კონოტაციით. ამ თვალთ ხედავენ ევფემიზმს ლექსიკონების შემდგენლები (პოტაპოვა 2008).³

ლ. პოროხნიცკაიას დისერტაციაში „ევფემიზმის კულტურული და კოგნიტური პრინციპები თანამედროვე ინგლისურ ენაში“ (2004) გამოყოფილია ენობრივი ერთეულის ევფემიზმისადმი მიკუთვნების ნიშნები:

1. სემანტიკურად ნეიტრალურობა, რომელიც გვამლევს შესაძლებლობას შევარბილოთ უარყოფითშემფასებლური დენოტატი;
2. **ანცენდენტის** ნეგატიური კონოტაცია ან **დენოტატის** (აღსანიშნის) **სტიგმატირება**, როგორც შესაძლებლობა გამოიწვიოს მოსაუბრის ან მსმენელის ნეგატიური ემოცია;
3. დადებითი ან ნეიტრალური კონოტაციის შექმნა;
4. გამონათქვამის ჭეშმარიტების დაფარვა;

² <http://www.davidcrystal.com/?id=2895> (მომიებულია: 10 ნოემბერს, 2014).

³ <http://www.dissercat.com/content/evfemizmy-v-yazyke-i-rechi-na-materiale-angloyazychnogo-delovogo-diskursa> (მომიებულია: 15 აპრილს, 2014).

5. დენოტატის გაკეთილშობილების ზედაპირული ხასიათი, რომელიც აძლევს შესაძლებლობას ადრესატს გაიგოს, რა საგანზე თუ მოვლენაზეა საუბარი;

6. სახელდება ირიბად.

ამგვარად, ლ. პოროხნიცკაიას ნაშრომის მიხედვით, **ევფემიზმი** – ეს არის განსაკუთრებული ენობრივი ერთეული, რომელიც ფლობს ჩამოთვლილ ნიშან-თვისებებს. მის შრომაში გამოყენებულია ერთძირიანი ტერმინები **ევფემია** და **ევფემიზაცია**. მეცნიერის აზრით, ეს ტერმინები გვევლინება უფრო განზოგადებულად და ტერმინ **ევფემიზმთან** სემანტიკურად დაკავშირებულად. ევფემიზმის მკვლევართა უმრავლესობა არ განარჩევს, ისე იყენებს ამ ტერმინებს.⁴

ნ. პოტაპოვას მიხედვით, **ევფემიაში** იგულისხმება ევფემიზმის გამოყენება – არაპირდაპირი ნომინაციის არჩევა გამონათქვამის მიზნის უფრო ეფექტურად მისაღწევად; **ევფემიზაცია** – ესაა პროცესი ევფემიზმების გავრცელებისა მეტყველებაში, უფრო ზუსტად, დისკურსში, როდესაც მთქმელის მიერ ევფემიზაციის სტრატეგიის შედეგად უკანასკნელი იძენს ნიშნის მნიშვნელობას და უნარი აქვს გავლენა მოახდინოს გამონათქვამის აზრზე. სიტყვის გადასვლა ევფემიზმების რიგში და მისი შემდგომი ფუნქციონირება, როგორც ევფემიზმისა, ასევე ითვლება ევფემიზაციად. ამ შემთხვევაში ევფემიზაცია თავის თავში გულისხმობს მეტაფორიზაციას, მეტონიმიურ გადატანასა და შემოკლებას. ავტორის აზრით, ენობრივი ერთეულის ევფემიზმის კლასში გაერთიანების ძირითად ნიშან-თვისებად გვევლინება: 1) ერთეულთა სემანტიკური განუსაზღვრელობა, 2) დენოტატის უარყოფითი კონოტაცია (რომელიც მოითხოვს გაუმჯობესებას ევფემიზმების გამოყენების შედეგად. დადებითი ან ნეიტრალური კონოტაციის შექმნას, გამონათქვამის ჭეშმარიტების შენარჩუნებას), 3) სოციალური ფაქტორები (ისეთები, როგორებიცაა სოციალური კლასი, სოციალური როლი, სოციალური სტატუსი, სოციალური სიტუაცია და სქესობრივი კუთვნილება) გავლენას ახდენს მეტყველებითი სტრატეგიის არჩევანზე და განაპირობებს ევფემიზმების გამოყენებას მეტყველებაში.

⁴<http://www.dissercat.com/content/evfemizmy-v-yazyke-i-rechi-na-materiale-angloyazychnogo-delovogo-diskursa> (მომიებულია: 10 მაისს, 2015).

ევფემიზმი – ეს არის ერთეული, რომელიც ფლობს ზოგიერთ ძირითად ნიშან-თვისებას: სემანტიკურ განუსაზღვრელობას, უარყოფითშემფასებლურობას, დენოტატის ესთეტიკურ ან სტილისტურ შეფერილობას (რომელიც გაკეთილშობილებას მოითხოვს), უნარს, შექმნას დადებითი ან ნეიტრალური კონოტაცია თავისი გამოყენების შედეგად, გამონათქვამის ჭეშმარიტების შენარჩუნებას. ეს არის პროცესი ევფემიზმის გავრცელებისა მეტყველებაში, უფრო ზუსტად, დისკურსში, როცა მოსაუბრე იყენებს ევფემიზმების სტრატეგიას, შედეგად უკანასკნელი იძენს ნიშნის მნიშვნელობას და აქვს უნარი გავლენა მოახდინოს გამონათქვამის აზრზე. ევფემიზმი ითვლება, ასევე, სიტყვის გადასვლა ევფემიზმების რიგში და მათი შემდგომი ფუნქციონირება, როგორც ევფემიზმისა.

ევფემიზაცია მიჩნეულია რთულ სემანტიკურ პროცესად, რომელიც აერთიანებს თავის თავში მეტაფორას, მეტონიმიურ გადატანასა და შემოკლებას (პოტაპოვა 2008)⁵...

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ასევე ტერმინი **ორთოფემიზმი** – პირდაპირი გამონათქვამი, არც ევფემიზმი და არც დისფემიზმი (ალანი, ბარიჯი)⁶.

ი. გოფმანის (1967) მიხედვით, რომელმაც ენათმეცნიერებაში ჩამოაყალიბა სახის თეორია (იხ. ზემოთ, გვ. 7-8), **ევფემიზმი** არის გამონათქვამი, რომელიც ითვალისწინებს სახის შენარჩუნებას.

ზ. კიკვიძემ გამიჯნა ლექსიკური და გრამატიკული ევფემიზმი და გამოყო ევფემა, როგორც თავაზიანობის კატეგორიის სათანადო ერთეული. მის სტატიაში „მრავლობითი თუ თავაზიანი ფორმა: გრამატიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა“ (1999) განხილულია ისეთი გრამატიკული კატეგორიების ოპოზიციები, როგორცაა ფამილარული და თავაზიანი და, ასევე, თავაზიანი და მრავლობითი ფორმა. ავტორის აზრით, ქართულ ენას სხვა ენებთან შედარებით შუალედური პოზიცია უჭირავს თავაზიანობის გრამატიკული საშუალებებით გამოხატვის მხრივ, რაც გამოვლინდება

⁵<http://www.dissercat.com/content/evfemizmy-v-yazyke-i-rechi-na-materiale-angloyazychnogo-delovogo-diskursa> (მომიებულია: 18 ივნისს, 2015).

⁶<http://www.latrobe.edu.au/linguistics/LaTrobePapersinLinguistics/Vol%2001/1AllanandBurrige.pdf> (მომიებულია: 10 ნოემბერს, 2014).

იმში, რომ, განსხვავებით სხვა ენებისგან (რომლებიც, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფა თავაზიანობის გრამატიკული კატეგორიების არსებობა-არარსებობის მიხედვით), ქართულ ენაში თავაზიანობა გამოიხატება როგორც გრამატიკული კატეგორიების, ასევე T/V ნაცვალსახელების საშუალებით. სტატიაში მოცემულია სოციოლინგვისტური წესები, რომლებშიც ავტორი აჯამებს თავაზიანობის გამოხატვის კანონზომიერებას ქართულ ენაში:

1) თუ პრედიკატივი მხოლოდით რიცხვშია და ზმნას დართული აქვს მარკერი -თ, მოცემული ფრაზა თავაზიანობას გამოხატავს („თქვენ კარგი ადამიანი ხართ“);

2) ქართულ ენაში მოიპოვება ზმნების გარკვეული ჯგუფი, რომლებიც თავაზიანობის შინაარსის გამომხატველი ფორმებია ლექსიკური თვალსაზრისით და მათი პოვნაობა -თ მარკერთან ერთად თავაზიანობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ხარისხით გამოხატულების გრამატიკული საშუალებაა („შემობრძანდით“);

3) მარკერი -თ ქართულ ენაში თანდათან უფრო ვრცელ სინტაქსურ არეალში იჩენს თავს, მაგალითად, არაზმნურ გამოთქმებში („კარგით“) (შდრ. რუს. **да-с** (< *сударь!*). (კიკვიძე 1999: 73-81).

რ. ზექალაშვილს მიაჩნია, რომ პირის კატეგორიის დახასიათებისას ქართულში უნდა გამოვყოთ პირის სემანტიკური სახეობები: თავაზიანობის (ავტორისეული), განდიდებისა (სამეფო) და თანაგრძნობის (ემპათიის) „ჩვენ“, განზოგადებული პირი (მხ. რ. II პ.), თავაზიანობის „თქვენ“... მეცნიერის აზრით, პირის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნების გამოყენების სისტემური ხასიათი და შეხამებულობა ზმნურ და ნაცვალსახელურ თავაზიან ფორმებთან უფლებას გვაძლევს, რომ ქართულში თავაზიანობა გამოიყოს მორფოსემანტიკურ კატეგორიად, რომელსაც აქვს თავისი მარკერი ზმნაში (-თ) და თავაზიანობის გამომხატველი ევფემისტური ზმნები (ზექალაშვილი 2012: 113).

ევფემიზმის საპირისპირო მოვლენა ენაში არის **დისფემიზმი** (ბერძნ. „დის“ – არა და „ფემე“ – თქმა). **დისფემიზმი** და **კაკოფემიზმი** (ბერძნ. „კაკოს“ – ცუდი) ევფემიზმის ანტონიმებია, რაც ნიშნავს განზრახულად უხეში სიტყვისა ან გამოთქმის გამოყენებას

ზრდილობიანის ნაცვლად. **კაკოფემიზმი** უფრო ხშირად გამოიყენება რაიმე განზრახ შეურაცხმყოფელის მნიშვნელობით, ხოლო **დისფემიზმი** შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი ან დამაკნინებელი.⁷

ერთი სიტყვის სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარად აღქმა-გაგების საუკეთესო დასტურია ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „შენ ჩემი სიტყვა ან სულ არ გესმის, და თუ გესმის, შენებურად გესმის, მე კიდევ შენი სიტყვა ჩემებურად მესმის. ...ჩვენ ყოველისფერში გავთავ-თავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავთავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავ-თავდა. ...აბა რა გითხრა იმისთანა, რომ შენ კილო არ გამოაბა? მიირთვიც რომ გითხრა, ამ კარგს დარბაისლურს სიტყვას, თუ მოინდომებ, ცუდად ჩამომართმევ“ (ჭავჭავაძე 1977: 70). აქედანაც ცხადია, რომ ენობრივი ერთეულის აღქმა სხვადასხვა კონტექსტის მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, ჩაითვალოს ის ევფემიზმად ან დისფემიზმად.

ნაპოლეონის ეპოქის დიპლომატ შარლ ტალეირანს ეკუთვნის აფორიზმი, ერთი შეხედვით პარადოქსული თავისი კატეგორიულობის გამო: „ენა ადამიანს იმისთვის აქვს მინიჭებული, რომ მასში თავისი აზრი დამალოს“ (ნეიმანი 1955: 34). „აზრის დამალვაში“ სწორედ მისი კეთილმეტყველებით გადმოცემა იგულისხმება.

ბ. ჯორბენაძე ეთიკეტს განიხილავს არა როგორც მხოლოდ საზოგადოების წევრთა ურთიერთობის ფორმას, არამედ როგორც მომავალი თაობის სულიერი ზრდის ერთ-ერთ არსებით ფაქტორს. იგი წერს: „ყველა ცივილიზებულ საზოგადოებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამეტყველო ეთიკეტს, რადგან იგი არა მხოლოდ ამ საზოგადოების წევრთა ურთიერთობის ფორმას, არამედ მომავალი თაობის სულიერი ზრდის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორიც... სულიერი სიფაქიზე სხვებისადმი დამოკიდებულებით ვლინდება... იმის კვალობაზე, თუ როგორ და რა ფორმით ვაფასებთ სხვას, ჩვენ უნებურად წარმოვაჩინთ საკუთარ თავსვე“ (ჯორბენაძე, 1997: 158-159).

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ იმით, თუ როგორ მეტყველებს საზოგადოება და, შესაბამისად, ინდივიდი, შეიძლება განისაზღვროს მისი კულტურის დონე.

⁷ დღეს თვალშისაცემია საჯარო მოხელეთა გამოსვლებში, პოლიტიკურ დისკურსში, მასმედიისა და სხვა სფეროს წარმომადგენელთა მეტყველებაში დისფემიზმების მოჭარბება.

„ენობრივი ეთიკეტი გულისხმობს მეტყველების კულტურას, რაც შეიძლება ფართო გაგებით. იგი განეკუთვნება ეთიკის სფეროს. ინდივიდის მიერ წარმოთქმული ნებისმიერი სიტყვა, გამოთქმა, რასაც მოჰყვება მსმენელისათვის უსიამოვნო ემოცია, არაეთიკურად, ეთიკურ ნორმათა დარღვევად აღიქმება“ (საღინამე 2010: 354).

ამ მოკლე მიმოხილვიდან ცხადი ხდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში ენობრივ ეთიკეტს – მეტყველების ეფემიზაციას.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ორი ტერმინი – **ეთიკეტი** და **ეთიკეტი**. ჩვენ მსჯელობაში ვიყენებთ ტერმინ **ეთიკეტს**. **ეთიკეტი** ლექსიკონებში ასე განიმარტება:

1. **ეთიკეტი** – Fr. *Étiquette* – საქონელზე, პროდუქციაზე დაკრული საფაბრიკო ან სავაჭრო ნიშანი, რომელზედაც ნაჩვენებია სახელწოდება, ფასი და სხვ.; იარლიყი.

2. **ეთიკეტი** – Fr. *Étiquette* – 1. მეფის კარზე, დიპლომატიურ წრეებში და ა. შ. თავის დაჭერის, ურთიერთობის წესების კრებული. 2. თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები, რაც მიღებულია რომელიმე საზოგადოებაში⁸.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით, შეცდომაა **ეთიკა**, სწორია – **ეთიკა**, **ეთიკური** – **ეთიკური**; შეცდომაა **ეთიკეტი** და სწორია **ეთიკეტი** (ena.ge).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში მოცემულია ორი ფორმა **ეთიკეტი** და **ეთიკეტი**:

ეთიკეტ-ი 1 (ეთიკეტისა) [ფრან. *étiquette*] ძვ. თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები (მეფის კარზე, თავად-აზნაურთა თუ ბურჟუაზიის მაღალ წრეებში, დიპლომატთა შორის). ეთიკეტის დაცვა, – კიდევ ამგვარი «აღმოსავლეთის ეთიკეტი» სჯობია იმ უწესო და უკადრის ეთიკეტს, რომლის კანონებითაც კაცს თუ არ თავის თავი, სხვა ადამიანად არ მიაჩნია (ილია).

ეთიკეტ-ი 2 (ეთიკეტისა) [ფრან. *étiquette*] 1. რაიმე საქონელზე, პროდუქციაზე დაკრული საფაბრიკო ან სავაჭრო ნიშანი (სახელწოდების, ქარხნის, ფასისა და სხვათა ჩვენებით), – იარლიყი, ლიმონათის ეთიკეტი. 2. სამეცნიერო-საკოლექციო (ბოტანიკურ, ბიოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და სხვ.) ექსპონატებზე გაკეთებული წარწერა

⁸ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=13547> (მომიებულია: 18 ოქტომბერს, 2015).

სახელწოდების, სადაურობისა და სხვა ცნობების აღნიშვნით (კეთდება გარკვეული ზომის ქაღალდზე, ფიცარზე ან თუნუქზე)...

ეთიკეტი პირველი მნიშვნელობით უკავშირდება სიტყვას **ეთიკა**: **ეთიკა** (ეთიკისა) [ლათ. ethica, ბერძ. ethos-იდან ჩვეულება] (ფილოსოფიური მოძღვრება ზნეობის, მორალის, აგრეთვე ადამიანის ყოფაქცევის წესთა შესახებ).

ეთიკურ-ი (ეთიკურისა) ეთიკასთან დაკავშირებული, ეთიკის შესახები; ეთიკის თვალსაზრისით მისაღები, მოსაწონი. ეთიკური საქციელი. – ეთიკური თეორიები. – მოთხრობის მოქმედ პირებს ალაპარაკებს დოგმატიკურ ან ეთიკურ საკითხებს (გ. ქიქ.) (ena.ge).

სამეცნიერო ლიტერატურაში უმეტესად გამოიყენება ტერმინი **ეთიკეტი** (ი.ჯავახიშვილი, რ. ზეჟალაშვილი, მ. ტაბიძე, გ. კვარაცხელია, ზ. კიკვიძე...).

ა. შანიძე იყენებს **ეთიკეტს**. მეცნიერი წერს: ძველად, ფეოდალური წყობილების დროს, შემუშავებული იყო გარკვეული „ზნეობანი“ ანუ საყოფაქცეო წესები, **ეთიკეტი**, რომლის სისწორით დაცვაც სავალდებულო იყო (შანიძე 1973: 513).

ეთიკის სფეროს განეკუთვნება, აგრეთვე, როგორც **ბ. ჯორბენაძე** მიუთითებს, ენობრივი **ეთიკეტი**, რომელიც ევფემისტურ გამოთქმებს უახლოვდება თავისი არსით (ჯორბენაძე 1997: 76). მეცნიერის აზრით, „სოციალური დიალექტი (resp. პროფესიული და სხვა დიალექტები, ოღონდ არა ტერიტორიული) ენობრივი ეგიდის ქვეშ აერთიანებს ერთიანი ინტერესების მქონე ადამიანებს. მეტყველების სპეციფიკა ერთგვარი ენობრივი იარლიყი (ეთიკეტი) ხდება მათთვის“ (ჯორბენაძე 1997: 155-156).

ბ. ჯორბენაძე ტერმინ **ეთიკეტთან** ერთად ზოგჯერ იყენებს **ეთიკეტს**: „ეს ნორმა განსაზღვრავდა სამეტყველო **ეთიკეტსაც**“ (ჯორბენაძე 1997: 186); ყველა ცივილიზებულ საზოგადოებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენობრივ **ეთიკეტს** (იქვე, გვ. 158).

რ. საღინაძის სტატიებში გამოყენებულია ტერმინი **ეთიკეტი**. მისი აზრით, ამ არჩევანს სალიტერატურო ენის ნორმირების პრინციპთაგან ამართლებს სემანტიკური დიფერენციაციის პრინციპი – ენის მისწრაფება ერთ ფორმას შეესაბამებოდეს ერთი მნიშვნელობა (საღინაძე 2010; 2013).

რადგან ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც არ გამორიცხავს ტერმინ **ეთიკეტს**, სწორედ ნორმირების სემანტიკური დიფერენციაციის პრინციპის საფუძველზე ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნით ტერმინ **ეთიკეტის** გამოყენება ეთიკასთან, ზრდილობა-თავაზიანობასთან დაკავშირებით, **ეთიკეტისა** კი – იარლიყის მნიშვნელობით.

აღნიშნულ სიტყვაში **თ** ბგერას შეძენილი აქვს სემანტიკური დიფერენციაციის ფუნქცია. რადგან **ეთიკეტი** უკავშირდება ეთიკას, ის უნდა გამოვიყენოთ პირველი მნიშვნელობით: საზოგადოებაში მოქცევის **ეთიკეტი**, ენობრივი **ეთიკეტი**... **ეთიკეტი** კი – იარლიყის მნიშვნელობით. ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონში მოცემულია პარონიმთა წყვილი **ეთიკეტისანი და ეტიკეტური**. პირველი განმარტება ასე: „რასაც ეტიკეტი (საფაბრიკო ან სავაჭრო ნიშანი: სახელწოდების, ქარხნის, ფასის...) აქვს დაკრული (**ეთიკეტისანი** ქილა/ბოთლი...); **ეთიკეტური**: ეტიკეტის (თავაზიანი მოპყრობის წესების) შესაფერისი (აფრიდონიძე... 2011: 94). სემანტიკური დიფერენციაციის პრინციპის გათვალისწინება ამ ორი ფორმის აღრევასაც შეუშლის ხელს.

ეთიკეტი ფართო ცნებაა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებაში ქცევის წესებს, მოიცავს ენობრივ ეთიკეტს, ენობრივი ეთიკეტი კი გამოიხატება ევფემიზმით, რომელიც სხვაობს მისი გამომწვევი მოტივების მიხედვით (ტაბუ, იერარქია, თავაზიანობა...); სხვაგვარად, **ეთიკეტი** ყოფაქცევის ნორმების ერთიანობაა, **ენობრივი ეთიკეტი** იმ ენობრივი ერთეულების ჯამია, რომელთაც ადამიანები იყენებენ ყოფაქცევის ნორმების დაცვისათვის. მისი ნაწილია ევფემიზმი. ეს შეიძლება სქემის სახით ასე გამოიხატოს:

სქემა 1.



ამგვარად, ენობრივი ეთიკეტი მოიცავს ევფემიზმს ფართო გაგებით. ევფემიზმი არის ენობრივი ერთეული, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა (იერარქიული, თავაზიანობის, რწმენის, დარწმუნების...) პრინციპის გათვალისწინებით „სახის“ შესანარჩუნებლად. ესაა იგივე კეთილმეტყველება, რომელსაც აქვს დადებითი კონოტაციის მქონე ფუნქცია, თავაზიანობის გამომხატველი გრამატიკული ინვენტარით გაფორმებული ან ლექსიკური ერთეულებით დაარწმუნოს/მოხიბლოს მსმენელი, შეინარჩუნოს „სახე“ და განახორციელოს წარმატებული საკომუნიკაციო აქტი. მას აქვს გარკვეული სტილისტიკური დატვირთვა და დისტრიბუციის/გავრცელების არეალი სხვადასხვა ჟანრის ტექსტების მიხედვით.

ევფემიაში იგულისხმება ევფემიზმის გამოყენება მეტყველებაში, არაპირდაპირი ნომინაციის არჩევა გამონათქვამის მიზნის უფრო ეფექტურად მისაღწევად; **ევფემიზაცია** – ესაა პროცესი ევფემიზმების გავრცელებისა მეტყველებაში, უფრო ზუსტად – დისკურსში, როდესაც მთქმელის მიერ ევფემიზმების გამოყენების სტრატეგიის შედეგად უკანასკნელი იძენს ნიშნის მნიშვნელობას და უნარი აქვს გავლენა მოახდინოს გამონათქვამის აზრზე. იმისათვის, რომ დავიცვათ ენობრივი ეთიკეტი, შევინარჩუნოთ კეთილგანწყობა, ნდობა და დადებითი დამოკიდებულება, განვახორციელოთ წარმატებული კომუნიკაციური აქტი, ვიყენებთ ევფემიზმს. ევფემიზმი გრამატიკულ-

სემანტიკური ერთეულია, რომელსაც ზმნაში აქვს მარკერი (-თ) თქვენ ნაცვალსახელთან ერთად და ასევე გამოიხატება ფუძემონაცვლე ევფემისტური ზმნებითა და ლექსიკური თუ სინტაქსური შენაცვლებებით.

1.2. ევფემიზმთა კლასიფიკაციის პრობლემა

კლასიფიკაციის საკითხი მნიშვნელოვანია მეცნიერებაში, რადგან იგი იძლევა შესაძლებლობას, სისტემაში დავინახოთ ესა თუ ის მოვლენა. ხშირად ხდება, როდესაც ძნელია ერთი საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით ობიექტთა დაჯგუფება, და ასეთ შემთხვევაში, როდესაც აღებულია რამდენიმე საკლასიფიკაციო ნიშანი ერთად, კლასიფიკაცია ვერ ჩაითვლება სრულყოფილად. არაერთგვაროვანია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ ევფემიზმთა საკლასიფიკაციოდ აღებული ნიშნები. რაც უფრო მომრავლდა ევფემიზმთა შესახებ შექმნილი ნაშრომები, მით უფრო მეტად გამოიკვეთა კლასიფიკაციები სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. ჩვენ შევეცდებით, ქართველ და უცხოელ ავტორთა მოსაზრებების საფუძველზე ჩამოვყალიბოთ ევფემიზმთა კლასიფიკაცია ენობრივი ნიშნის მიხედვით.

1.2.1. ევფემიზმთა კლასიფიკაცია წარმომქმნელი მოტივების მიხედვით

„ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ შესავალში ალ. ნეიმანი საინტერესოდ და ვრცლად საუბრობს ევფემიზმების შესახებ და ენაში მათი არსებობის საფუძველზე გამოყოფს „სტილისტიკურად განმასხვავებელი იერის მქონე რელატიურ სინონიმებს“. ავტორი ევფემიზმის გაჩენას რელიგიას უკავშირებს და ასახელებს სხვა ისეთ მოტივებს, როგორცაა:

- ა) „ეზოპეს ენა“ (იგავური მეტყველება);
- ბ) ზრდილობა-თავაზიანობით გამოწვეული „მობრძანდა“, „დაბრძანდა“...
- გ) უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით შერბილებული ფორმები (მთვრალი – ნასვამი);
- დ) დანაშაულისა და ბრალის შემარბილებელი ფორმები (შემომეხარჯა, შემომაკვდა...);
- ე) სამხედრო ან დიპლომატიური საიდუმლოების დაცვის მიზნით შექმნილი;
- ვ) ირონიით წარმოქმნილი;
- ზ) ადამიანის სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული;
- თ) ანტითეზისი;
- ი) ირონია;
- კ) ნამდვილი სახელების ისეთი ფრაზებით შენაცვლება, რომლებშიც ჩანს აბუჩად აგდება ან სიძულვილი;
- ლ) სააუგო სიტყვის გამოთიშვა;
- მ) უცხო სიტყვით ჩანაცვლება;
- ნ) სოციალური დიალექტები (ნეიმანი 1951: 46-48).

ბ. ჯორბენაძე წიგნში „ენა და კულტურა“ მიჯნავს ტაბუსა და ევფემიზმს: „ტაბუ რწმენას უკავშირდება, ევფემიზმი – ეთიკას“ და გამოყოფს სხვადასხვა სახის ევფემიზმებს:

- ა) უსიამოვნებისა და შიშის გრძნობით წარმოქმნილი ევფემიზმები (გარდაიცვალა, მიიძინა... უქეიფოდაა, კარგად ვერ არის... სიმართლეს არ ამბობს...);
- ბ) თავაზიანობის საფუძველზე წარმოქმნილი ევფემიზმები (დაბრძანდით, როგორ ბრძანდებით, როგორ გიკითხოთ...);
- გ) დიპლომატიური (პოლიტიკური მოტივებით წარმოქმნილი) ევფემიზმები (დაპყრობა – საზღვრების გონივრული შეცვლა, მილიტარიზაცია – გერმანიის სასიცოცხლო ინტერესები...) (ჯორბენაძე 1997: 75).

ევფემიზმები არ გამორიცხავენ სტილურ ვარიანტულობას. ევფემიზმის საპირისპირო მოვლენაა დისფემიზმი, რომელიც ნეიტრალური გამოთქმის უხეშით შენაცვლებას გულისხმობს. ბ. ჯორბენაძის აზრით, როგორც ევფემიზმი, ასევე დისფემიზმი საზოგადოების ამა თუ იმ ფენის კულტურული დონის უშუალო გამომხატველია, თუმცა საზოგადოების ფენები მხოლოდ ამ ნიშნით არ არის დიფერენცირებული. არსებითი მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ სიტუაციასაც: ფამილარულ წრეში დისფემიზმი არ აღიქმება ეთიკური ნორმის დარღვევად... (იქვე).

როგორც ქართული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვიდან ჩანს, ქართველი მეცნიერები სხვადასხვაგვარი საზომით ახდენენ ევფემიზმთა კლასიფიკაციას. ანალოგიური ვითარებაა უცხოენოვანი ლიტერატურის მიხედვითაც. მაგალითად, ვ. პ. მოსკვინი ფუნქციის მიხედვით გამოყოფს ევფემიზმის ექვს ჯგუფს:

1. საშიში ობიექტების სახელის შეცვლა;
2. უსიამოვნო, ზიზღის გამომწვევი ობიექტების განსაზღვრა;
3. მიუღებელი საყოფაცხოვრებო ტერმინების ჩანაცვლება;
4. ირგვლივ მყოფთა (მსმენელთა) ეპატირების (გაოცების) შიშით სახელის შეცვლა (ეტიკეტური ევფემიზმები);
5. აღსანიშნის ნამდვილი არსის შენიღბვა;
6. არაპოპულარული ორგანიზაციებისა და პროფესიების აღნიშვნა (მოსკვინი, 2007);

გ. ა. ზავარზინა გამოყენების სფეროების მიხედვით გამოყოფს პოლიტიკურ ევფემიზმებს:

1. ხელისუფლების ორგანოები და მათი საქმიანობა;
2. სამხედრო მოქმედებანი და მათი მონაწილენი (ტერიტორიის გასუფთავება-დახოცვა);
3. ეკონომიკური ზომები (ფასების ლიბერალიზაცია);
4. სხვადასხვა ეროვნული და სოციალური ჯგუფები და მათ შორის დამოკიდებულება (გასტროლიორები კავკასიის რეგიონიდან – დამნაშავეთა ჯგუფი);

5. შიდაპოლიტიკური ხასიათის მოვლენები (ერთპოლუსიანი მსოფლიო – აშშ-ს დიქტატურა) (II, 54-44);

ა. ს. კურკიევი წარმოშობის მოტივების მიხედვით გამოყოფს ევფემიზმების ხუთ ჯგუფს, რომლებიც წარმოქმნილია:

1. ცრურწმენის საფუძველზე (ავად გახდომის დროს ამბობენ: არაჯანმრთელადაა, სუსტადაა);

2. შიშის საფუძველზე;

3. თანაგრძნობისა და სიბრალულის საფუძველზე;

4. სირცხვილის გრძნობით (მაგალითად, „უკანონოდ დაბადებული“);

5. თავაზიანობით („მოხუცია“, ნაცვლად გამოთქმისა „ასაკშია“) (კურკიევი, 1977);

ბ. ა. ლარინის აზრით, კლასიფიკაციის საფუძველი უნდა იყოს ევფემიზმების სოციალური ბუნება. იგი გამოყოფს სამ ტიპს:

1. ნაციონალური, სალიტერატურო ენაში საყოველთაოდ გამოყენებული ევფემიზმები;


2. კლასობრივი და პროფესიული ევფემიზმები;

3. საოჯახო, საყოფაცხოვრებო ევფემიზმები (ლარინი: 1962);

ი. რ. გალფერინი „სტილისტიკაში“ განმარტავს ევფემიზმს და გამოყენების სფეროების მიხედვით მას ყოფს სხვადასხვა სფეროებთან დაკავშირებულ ჯგუფებად: 1. რელიგია; 2. მორალი; 3. სამედიცინო; 4. საპარლამენტო (გალფერინი 1981: 295).

3. როუსონი გვამღევს ევფემიზმთა ტიპების სხვაგვარ კლასიფიკაციას: პოზიტიური და ნეგატიური, რომლებიც გამოირჩევიან შეფასების ასპექტით. პოზიტიური ევფემიზმები შეიძლება ასევე იწოდოს სტილისტიკურ ევფემიზმებად ან გამაზვიადებელ ევფემიზმებად. მეცნიერი იძლევა ევფემიზმთა კლასიფიკაციის ასეთ სქემას:

სქემა 2.



როგორც ჩანს, კლასიფიკაცია ითვალისწინებს მოსაუბრის დამოკიდებულებას, მისეულ შეფასებას საგნისა თუ მოვლენისა (როუსონი 1998: 492).

ლ. კრისინი წარმოგვიდგენს ევფემიზმის სხვაგვარ კლასიფიკაციას. მისი აზრით, არსებობს ევფემიზაციის ორი სფერო: პირადი ცხოვრება და სოციალური ცხოვრება. შესაბამისად, გამოიყოფა ევფემიზმთა სხვადასხვა ჯგუფი:

1) დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ევფემიზმები: ა) რასიზმი, კულტურული დისკრიმინაცია, რელიგიური დისკრიმინაცია; ბ) გენდერული დისკრიმინაცია; გ) სექსუალურ უმცირესობათა დისკრიმინაცია; დ) სხვა...

2) საშიში და უსიამოვნო აღმნიშვნელთა ევფემიზმები: ა) სიკვდილი; ბ) ავადმყოფობა; გ) ბუნებრივი საჭიროებანი; დ) ფიზიკური ნაკლი; ე) მენტალური და ფსიქოლოგიური აშლილობანი;

3) ევფემიზმები, რომლებიც უკავშირდება მთავრობის გავლენას ადამიანის ცხოვრებაზე: ა) ომები; ბ) სოციალური გადახრები (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, პროსტიტუცია, დანაშაული, ტყუილი...); გ) სიღარიბე; დ) არაპრესტიჟული პროფესიები; ე) ოჯახი; ვ) ეროვნული ზედამხედველობის ორგანოები; ზ) სამსახურიდან გათავისუფლება; თ) ნაკლები პროგრესი;

4) ადამიანის გარეგნობასა და ასაკთან დაკავშირებული ევფემიზმები: ა) წონა; ბ) ასაკი; გ) გარეგნობა; დ) სიმაღლე;

5) ევფემიზმები, რომლებიც გამოხატავს ადამიანის ზემოქმედებას ბუნებაზე;


6) იუმორისტული ევფემიზმები;

7) საერთაშორისო მოვლენების გამომხატველი ევფემიზმები;

8) ევფემიზმები რეკლამაში (კრისინი 1994: 278).

ლ. კრისინის კლასიფიკაცია შეიძლება სქემატურად ასე გამოისახოს:

სქემა 3.



სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული სხვადასხვა კლასიფიკაცია ცდაა იმისა, რომ სრულყოფილად იქნეს წარმოდგენილი ევფემიზმის ჯგუფები, მაგრამ ეს საკმაოდ რთული საკითხია, რადგან მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ენის ფუნქციონირების ყველა სფერო. უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში არის კლასიფიკაციები, რომლებიც შექმნილია ცალკეული მწერლის ლექსიკის შესწავლის გათვალისწინებით. მაგალითად, ერთ-ერთ კლასიფიკაციას აქვს ასეთი სახე:

1. ევფემიზმები, რომლებიც აღნიშნავენ ზოგიერთ ფიზიოლოგიურ პროცესსა და მდგომარეობას;
2. ევფემიზმები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებულ პროდუქტებსა და პროცესებს;
3. ავადმყოფობისა და გარდაცვალების სახელდებასთან დაკავშირებული ევფემიზმები;

4. ადამიანის დეფექტისა და ნაკლის სახელდება... (ბ. აკუნინის მოთხრობების მიხედვით შექმნილი ლექსიკო-სემანტიკური კლასიფიკაცია) (ფისენკო 2015⁹).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ლექსიკურ-სემანტიკური კლასიფიკაციების სხვადასხვაობას განაპირობებს თვით ევფემიზმის გამოხატვის მრავალფეროვნება ამა თუ იმ ენაში. სწორედ ამიტომ არის ძნელი ისეთი უნივერსალური კლასიფიკაციის შექმნა, რომელიც მოიცავს ყველა ტიპის ევფემიზმს, თუმცა ენობრივი ნიშნის მიხედვით კლასიფიკაციები (იხ. მომდევნო პარაგრაფში) ამ პრობლემის მოგვარების ერთგვარი ცდაა.

1.2.2. ევფემიზმთა კლასიფიკაცია ენობრივი ნიშნის მიხედვით

იქიდან გამომდინარე, რომ ევფემიზმი ენობრივი მოვლენაა, უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი კლასიფიკაცია მოხდეს ამ ნიშნის მიხედვით; რაც შეეხება მოტივებს, ენობრივი კლასიფიკაციის შიგნით შესაძლებელია მათი გამოყოფაც.

ქართულში ევფემიზმის მონოგრაფიულად შესწავლის ერთ-ერთი პირველი ცდაა კ. ჯორჯანელის ნაშრომი „ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ“. მასში განხილულია როგორც ქართული, ასევე ევროპული ენების მონაცემები და ევფემიზმები დაჯგუფებულია, ერთი მხრივ, გამოხატვის ენობრივი საშუალებების მიხედვით და, მეორე მხრივ, წარმომქმნელი მოტივების მიხედვით. კ. ჯორჯანელის აზრით, ევფემიზმის გამოხატვის ენობრივი საშუალებებია:

ა) სიტყვის გამოტოვება; ბ) საჩოთირო სიტყვის ბგერითი შედგენილობის ნაწილობრივი შეცვლა; გ) ფონეტიკური მსგავსება; დ) ნაცვალსახელი; ე) ევფემიზმები, რომლებშიც რიცხვითი სახელი გვევლინება სუბსტიტუტად; ვ) ევფემიზმები,

⁹<https://nsportal.ru/blog/uvlecheniya/all/2015/01/19/stilisticheskaya-funktsiya-evfemizmov-na-materiale-proizvedeniy> (მომიებულია: 10 ნოემბერს, 2014).

რომლებშიაც სუბსტიტუტი ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა ან გამოთქმაა; ზ) მეტაფორა; თ) ლიტოტესი; ი) ანტიფრაზა; კ) უცხო სიტყვები; ლ) კალკები; მ) პასიური კონსტრუქცია; ნ) აზრის ნაკლებად კატეგორიულობით გამოთქმა; ო) ევფემიზმები, რომლებიც წინ უძღვიან საჩოთირო სიტყვას (ჯორჯანელი, 1977).

რ. ზექალაშვილი ქართული სამეტყველო ეტიკეტის სიტყვებსა და ფრაზებს ყოფს სამ ენობრივ ჯგუფად: მორფოლოგიური, გრამატიკულ-ლექსიკური და ლექსიკური. მორფოლოგიურ საშუალებებში შედის **თქვენ** ნაცვალსახელი და მრავლობითი რიცხვის გამომხატველი **-თ** ბოლოსართი, გამოყენებული თავაზიანობის ფუნქციით; გრამატიკულ-ლექსიკური მოიცავს ფუძემონაცვლე ზმნებს, ლექსიკური ენობრივი საშუალებები კი – სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფს, როგორცაა: მისალმება, გამომშვიდობება, თხოვნა ან ნებართვის აღება, მადლიერების გამოხატვა, პასუხი მადლობაზე, ბოდიშის მოხდა, შეთავაზება, პასუხი გაცნობისას, მილოცვა, დალოცვა, მოკითხვა, ქათინაური, ფიცილის ფორმულები, მწუხარების გაზიარება, შიშისა და შეშფოთების გამოხატვა, გამხნეება-ნუგეშისცემა, საალერსო ფორმულები... (ზექალაშვილი 2018: 183-186).


რუსი ენათმეცნიერი **ე. სენიჩკინა** ნაშრომში „რუსული ენის ევფემიზმები“ გამოყოფს ევფემიზმთა ჯგუფებს: 1. სემანტიკური რედუქცია – სრულმნიშვნელოვანი სიტყვის ნაცვლად გამოიყენება ნაცვალსახელი; პრონომინალური ხერხი; 2. სიტყვათმნიშვნელობის კორელაცია; იქმნება ენდოცენტრული რიგები; 3. საგნის ნიშან-თვისების შეგნებული შემცირება (ოდნავ მოხრილი, ნახევრადმწოლარე); 4. აბრევიატურა; 5. ნასესხები სიტყვები (სენიჩკინა 2012: 11-15).

ბ. დუდა ნაშრომში „ევფემიზმები და დისფემიზმები – სადემარკაციო ხაზის ძიებაში“ მეტყველების ევფემიზაციის დისკურსულ სტრატეგიებად მიჩნეულია სხვადასხვა საშუალება, კერძოდ:

1. საბოდიშო გამონათქვამები (უკაცრავად, ვშიშობ...);
2. ფსევდოიმპერატიული გამონათქვამები:
 - ა) ე. წ. „კუდიანი შეკითხვები“ (Tag questions – დახურე კარი, დახურავ?);

- ბ) მოდალური ზმნები (პირდაპირი პასუხის ასარიდებლად – May I ask you...);
 - გ) ზმნიზედების დამატება („შესაძლოა“);
 - დ) ფრაზების შერბილება (მსგავსად ზმნიზედებისა) (in a way, to some extent...);
 - ე) პირობითი წინადადებები (მე რომ შენ ვიყო)...
- მოცემული კლასიფიკაცია სქემატურად ასე გამოისახება:

სქემა 4.



ბ. დუდას კლასიფიკაცია აგებულია ინგლისური ენის მაგალითზე (დუდა 2011¹⁰).

¹⁰ <http://revistas.ucm.es/index.php/CLAC/article/view/36675> (მოძიებულია: 15 სექტემბერს, 2015).


ლ. კრისინის ნაშრომში დასახელებულია ევფემიზაციის ენობრივი ხერხები და საშუალებები: ა) სიტყვა-მსაზღვრელები; ბ) სახელდება გადატანითი მნიშვნელობით; გ) უცხო სიტყვები და ტერმინები; დ) აბრევიატურები; ე) ზოგიერთი სიტყვა, რომელიც აღნიშნავს არასრულ მოქმედებას ან თვისების სუსტ ხარისხს; ვ) ზოგიერთი ზმნური ფორმა...¹¹

როგორც ვხედავთ, აღნიშნული კლასიფიკაცია წმინდა ენობრივი არაა, თუმცა მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. ამავე ნაშრომში უფრო მრავალფეროვანია ევფემიზმების კლასიფიკაცია მათი წარმომქმნელი მოტივების მიხედვით (ცრურწმენა, შიში, თანაგრძნობა, ზრდილობა...).

საკითხის ირგვლივ არსებული განსხვავებული მოსაზრებების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ქართული ენის სპეციფიკისა და ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალის საფუძველზე შესაძლებელია ევფემიზმთა ენობრივი კლასიფიკაცია ასე ჩამოყალიბდეს: გამოიყოს **გრამატიკულ-ლექსიკური**, რომელშიც იგულისხმება, ერთი მხრივ, **თქვენ + -თ** ბოლოსართი, მეორე მხრივ, **ფუძემონაცვლე ზმნები, სინტაქსური ევფემიზმები** და საკუთრივ **ლექსიკური შენაცვლებები** სახელური, ზმნური ევფემიზმებითა და სიტყვათა მყარი შეხამებებით (ევფემისტური ფრაზეოლოგიზმებით) (დასახელებულ ქვეჯგუფებში შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფი). ამ კლასიფიკაციის ამსახველი სქემა მიიღებს ასეთ სახეს:

¹¹ <http://www.philology.ru> (მომიებულია: 10 ნოემბერს, 2014).

სქემა 5.



როგორც სქემიდან ჩანს, გრამატიკულ-ლექსიკურში შედის მორფოლოგიური ეფემიზმი (ზმნაში -თ ბოლოსართით გამოხატული თქვენ ნაცვალსახელთან ერთად ან მის გარეშე). გრამატიკულ-ლექსიკურია ფუძემონაცვლე ზმნები და სინტაქსური ეფემისტური შენაცვლებანი. საკუთრივ ლექსიკურში შედის სახელური (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელით გამოხატული) და ზმნური ეფემიზმები, ასევე სიტყვათა მყარი შეხამებანი.

თავი 2. ევფემიზმთა კონტექსტური ანალიზი და სახეები

სიტყვა ატარებს ენობრივი კოლექტივის კულტურას, ისტორიას, ფსიქოლოგიას... მისი მნიშვნელობა უპირველესად კონტექსტში ცხადდება. კონტექსტი აუცილებელი პირობაა იმისა, რომ ლექსიკური ერთეული ადეკვატურად იქნეს გაგებული. ცალკეულ ენობრივ ერთეულს სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მნიშვნელობა. მაგალითად, სიტყვა „მობრძანდი“ სხვადასხვა კონტექსტში გამოხატავს თხოვნას, ბრძანებას, დაცინვას, მუქარას (ენციკლოპ. 2008: 280). აქედან გამომდინარე, სწორედ სიტყვისა და კონტექსტის მიმართებაა ამოსავალი ლექსიკური ევფემიზმის კვალიფიკაციისას; კონტექსტში იტვირთება სიტყვა ევფემისტური ფუნქციითაც. მაგალითად, ცნობილია, რომ **ბინა** აღნიშნავს, ზოგადად, ადამიანის საცხოვრებელ ადგილს. ამ სიტყვას თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ძირითად მნიშვნელობასთან ერთად აქვს სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსი: 1. ცალკე საცხოვრებელი სადგომი შენობაში, 2. დროებითი სამყოფი, 3. მეცხვარეთა საცხოვრებელი სახლი და ა. შ. (ქეგლ¹²), მაგრამ ზემოთქმულში **ბინა** ევფემისტური მნიშვნელობით გამოიყენება: იგი სასაფლაოს/საფლავს აღნიშნავს, მაგალითად, ამ კონტექსტში „ჩემი ქმრის **ბინას** პომიატნიკი გოუკეთე“ (პერევი) (მოწენიძე 1974: 51). მაშასადამე, აქ **ბინის** მნიშვნელობა კონტექსტის მეშვეობით ხდება ნათელი.

აქედან გამომდინარე, კონტექსტის მიხედვით ლექსიკურ ერთეულს შეიძლება მიეცეს დადებითი ან უარყოფითი ინტერპრეტაცია. მაგალითად, **კაცუნა** არის მოსაფერებელი (იტყვიან პატარა ბიჭზე) ან დამაკნინებელი სახელი („ზოგი კაცი კაცი არის, ზოგი კიდევ – კაცუნაო“ (ანდაზა). ირონიულ კონტექსტში დადებითი კონოტაციის მქონე სიტყვის ხმარებას ყოველთვის უარყოფითი შეფასება უკავშირდება, რაც ასევე სტილურად არის განპირობებული (გამყრელიძე... 2003: 382).

როგორც ვხედავთ, კონტექსტში სიტყვა იძენს განსხვავებულ სტილურ და ემოციურ შეფერილობას, ასევე, იღებს ევფემისტურ დატვირთვას. კონტექსტის შესწავლა

¹² ena.ge (მომიებულია: 3 აპრილს, 2015).

აუცილებელია ლექსიკურ ერთეულთა ლინგვისტური ანალიზისათვის. ვფიქრობთ, ენის კომპიუტერული მოდელირებისას, მანქანურ თარგმანზე მუშაობისას ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის ცვლილების ამგვარი შემთხვევებიც არის აუცილებლად გასათვალისწინებელი.

2.1. ევფემიზმის გამოხატვის გრამატიკულ-სემანტიკური საშუალებები

ყოველ ენაში არსებობს აზრის გამოხატვის გარკვეული ფორმები – სტრუქტურები და კონსტრუქციები. ენობრივ ერთეულს აქვს ორი მხარე: შინაარსი (ფუნქცია) და მისი გამომხატველი ფორმა. ცხადია, ენათა კვლევა გულისხმობს ამა თუ იმ ენის როგორც სემანტიკის, ისე სტრუქტურის შესწავლას, მაგრამ სრულიად დაუშვებელია, რომ „სტრუქტურა (სტრუქტურული კატეგორიები) აღიწეროს ფუნქციის (ფუნქციონალურ კატეგორიათა) მიხედვით და პირუკუ“ (ჩიქობავა, 1968: 10).

გრამატიკული ფორმა შინაარსის გამოხატულებაა. ის მოიცავს სიტყვათა ფლექსიურ და დერივაციულ ცვლილებებს, გამოხატულებისა და შინაარსის პლანს. გრამატიკული ფორმა გამოხატულებისა და შინაარსის ერთიანობაა. იგი განისაზღვრება სიტყვაში წარმოდგენილ მეტყველების ნაწილთა კატეგორიების მნიშვნელობებითა და ამ კატეგორიათა ფორმალური რეალიზაციით (ენციკლოპ. 2008: 124).

რაც შეეხება ევფემიზმს, მისი გამოხატვის საშუალება ენათა უმრავლესობაში ძირითადად ხდება ლექსიკური შენაცვლებებით, თუმცა ზოგიერთ ენაში, მათ შორის ქართულში, რუსულში, იაპონურში, ევფემიზმი გრამატიკული მორფემის საშუალებით გამოიხატება. სწორედ ამიტომ ასეთი ფორმები მორფოლოგიურ ევფემიზმებად მოიხსენიება.

2.1.1. მორფოლოგიური ევფემიზმები

მორფოლოგიური ევფემიზმის შესახებ როცა ვსაუბრობთ, ბუნებრივია, მხედველობაში გვაქვს იმ სახის შენაცვლებები, როცა ევფემიზაცია ენის გრამატიკული ინვენტარის (მორფემების) გამოყენებით ხდება. მორფოლოგიური ევფემიზმი უკავშირდება თავაზიანობის კატეგორიას. ქართულ ენაში იგი გადმოიცემა -თ ბოლოსართით, რომლის თავდაპირველი ფუნქცია იყო მრავლობითი რიცხვის გამოხატვა. თავაზიანობა, როგორც გრამატიკული კატეგორია, განიხილა ზ. კიკვიძემ და -თ ბოლოსართით გაფორმებულ ენობრივ ერთეულებს **გრამატიკული ევფემიზმი**, სხვაგვარად - **ევფემა**, უწოდა. ეს ტერმინი გულისხმობს მხოლოდ იმ ფორმებს, რომლებიც -თ ნიშანს დაირთავენ. ამგვარად განასხვავა მან ერთმანეთსაგან **ევფემა** და **ევფემიზმი**. ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ ტერმინ **ევფემიზმს** ორივე ტიპის შენაცვლებისათვის.

ევფემიზმის გრამატიკული გამოხატვის საფუძველია შესაბამისი მრავლობითობის **თქვენ** ნაცვალსახელის გამოყენება. ნაცვალსახელის ძირითადი თვისებაა აბსტრაქციის თავისებური უნარი. აბსტრაქცია, მართალია, მეტ-ნაკლებად ახასიათებს ყველა მეტყველების ნაწილს, მაგრამ ზოგადისა და კერძოს შეთავსება ისე, როგორც ეს ნაცვალსახელშია მოცემული, სხვა მეტყველების ნაწილებისთვის არ არის ნიშანდობლივი (ენციკლოპ. 2008: 343). ჩვენი აზრით, აბსტრაქციის უნართაც უნდა იყოს შეპირობებული ნაცვალსახელის დამატებითი სემანტიკური დატვირთვა. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ნაცვალსახელის მხოლოდობითი რიცხვის იმავე პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვით შეცვლა ევროპაში პირველად რეგისტრირებულია ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნეში რომის სახელმწიფო დოკუმენტებში. ამ სახელმწიფოს ორი ან სამი კაცი ედგა სათავეში. როდესაც ისინი დეკრეტებს გამოსცემდნენ, თავიანთ თავს **ჩვენ** ნაცვალსახელით მოიხსენიებდნენ; მოგვიანებით, როცა ჩამოყალიბდა ერთმმართველობა, მრავლობითის გამოყენება ჩვევად გადაიქცა. აქედან შევიდა ეს ტრადიცია ევროპის სამეფო სასახლეებში, ხოლო ბიზანტიის

გავლით – საქართველოში (კიკვიძე 1999: 38). მრავლობითი რიცხვის ახლებურად გააზრების საფუძველზე მეორე პირის ნაცვალსახელი **თქვენ** და კუთვნილებითი ნაცვალსახელი **თქვენი** ქართულშიც მოგვევლინა თავისებური, მეორეული მნიშვნელობით. მორიდებული, თავაზიანი საუბრისას ადამიანები ერთმანეთს თქვენობით მიმართავენ-ხოლმე. როგორც არ. მარტიროსოვი წერს, „ოფიციალური პირისადმი **შენ**, **შენი** ნაცვალსახელით მიმართვა უპატივცემულობის ნიშანია, ხოლო დაახლოებულთა წრეში თქვენობით საუბარი ზოგჯერ საწყენიც კი შეიძლება იყოს. ასეთ შემთხვევაში **თქვენ**, **თქვენი**, რა თქმა უნდა, ბევრს კი არ გამოხატავს, არამედ აღნიშნავს ერთ პირს“ (მარტიროსოვი 1964: 61).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შენარჩუნებულია თქვენობით მიმართვის საფუძველი – მაღალი თანამდებობის პირებს მიმართავენ „თქვენობით“, ანუ „ოფიციალურ რეგისტრში“, რასაც ადრე იერარქიული პრინციპი, წოდებრივი განსხვავებულობა განაპირობებდა... როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, შეიძლება ასეთ მიმართვას სხვა მიზეზიც ჰქონდეს, კერძოდ, თქვენობით მიმართავენ უცნობ ადამიანს, უმცროსი უფროსს მიმართავს თქვენობით... მ. ტაბიძე მიუთითებს, რომ „მეორე პირის ნაცვალსახელის ეტიკეტური ფუნქცია დროითი დინამიკის თვალსაზრისით საგანგებოდ შესწავლილი არ არის“ (ტაბიძე 2013: 241).

როჯერ ბრაუნი და ალბერტ გილმენი თავიანთ ნაშრომში განიხილავენ განსხვავებებს პრონომინალურ მიმართვაში. მეორე პირის „ფამილარული“ და „თავაზიანი“ ნაცვალსახელების აღსანიშნავად მათ შემოაქვეთ სიმბოლოები **T** და **V** (ლათინური **tu** და **vos**). ავტორთა აზრით, ნაცვალსახელთა ამგვარი გამოყენება რომის იმპერიიდან მომდინარეობს. შუა საუკუნეებში **T/V**-ს გამოყენება იმართებოდა „ძალაუფლების სემანტიკით“. სტატუსით უფროსები იღებდნენ **V**-ს, უმცროსები კი – **T**-ს. აქედან გამომდინარე, ხშირი იყო არათანაზიარობა და ასიმეტრია. პრონომინალური მიმართვა ამგვარად ასახავდა სოციალურ სტრუქტურასა და ძალაუფლების სემანტიკას XIX საუკუნეში. მოგვიანებით, **T**-ს და **V**-ს შერჩევა, ძალაუფლების გარდა, განისაზღვრებოდა სხვა ფაქტორებით, მაგალითად, იმით, ჰქონდათ თუ არა

კომუნიკაციის მონაწილეებს **T** ნაცვალსახელსა და **V** ნაცვალსახელს რაიმე საერთო. სოციალური მახასიათებლების ამგვარ გადაფასებას „სოლიდარობის სემანტიკა“ ეწოდა. ამ ყველაფერმა მიგვიყვანა ახლობელთა შორის საერთო **T** და შორეულ ურთიერთობებში **V**-თი მიმართვის თანაზიარობამდე, რამაც გააფართოვა **T**-ს გამოყენების არეალი (ბრაუნი... 1988: 15).

თუ თანამედროვე ქართულში ევფემისტური დატვირთვა მეორე პირის მრავლობითობის აღმნიშვნელმა **თქვენ** ნაცვალსახელმა და ზმნაში გაჩენილმა **-თ** ბოლოსართმა შეიძინა, ძველად ამ ფუნქციით გამოიყენებოდა ფუძემონაცვლე ზმნები, რომლებიც ისტორიულად, დროთა განმავლობაში, დაიტვირთა ევფემისტური გაგებით.

საინტერესოა, რომ ბიბლიურ წიგნთა თარგმანებში არ გვხვდება ეთიკური **თქვენ**, გარდა ორი რედაქციისა, რომლებშიც არის ნაცვალსახელური ევფემიზმი, თუმცა იმავე კონტექსტშივე დასტურდება **შენ** ფორმაც:

„აწ გაუწყებთ **თქვენ**, მეფესა: უკეთუ ქალაქი ესე აღეშენოს და ზღუდენი აღემართნენ, არა იყოს **შენდა** მშჯდობა“ (S, J, I ეზრა, 4, 16, მცხეთ., 361);

როგორც მაგალითიდან ჩანს, წინადადების მეორე ნაწილში ისევ არაევფემისტური **შენ** ფორმა იჩენს თავს. ბაქარის ბიბლიაში მთარგმნელი იმავე აზრს მიმლეობით გადმოსცემს და არც **თქვენ** ნაცვალსახელი გვხვდება (B: უწყებულ უკუეგექმენით, მეფეო, უკეთუ ქალაქი იგი აღეშენნეს და ზღუდენი მისნი შესრულდეს, იგი არა იყოს **შენდა** მშჯდობაჲ (I ეზრა, 4, 16) (“Καὶ ἐξ αὐτῶν ἐγένοντο, καὶ αὐταὶ ἐξέμειψαν αὐτοὺς τοὺς φαρτεῖοντας τοὺς ἀμπέλωνας, ἐξ ᾧ ὁ οἶνος γίνετα”¹³).

შენ და **თქვენ** ხშირად ერთ კონტექსტში გვერდიგვერდ გვხვდება აგიოგრაფიულ ტექსტებშიც:

„ხოლო დედისა ძმისა **შენისა** მუჰამიდისი, რომლისა მიერ იქადი, ცუდ არს მისსა მიმართ სიქადული **თქუენნი**, რამეთუ, ვითარცა უწყებულ არს ჩუენდა, მაცდურ და წარწყმედელ იყო ნათესავის **თქუენისა**“ (დავით და კონსტანტინე მიმართავენ მურვან ყრუს) (დავით და კონსტ., 438) (VIII სკ.).

¹³ <https://newchristianbiblestudy.org/bible/lxx-a-accents/1-esdras/4/> (მომიებულია: 10 აპრილს, 2015).

ზოგ შემთხვევაში ერთ რედაქციაში მოცემულია ევფემისტური ნაცვალსახელი, სხვა რედაქციებში კი ნაცვალსახელი საერთოდ არ არის (შეცვლილია კონსტრუქცია):

„გიწამებთ **თქვენ** ცასა და ქუეყანასა და ღმერთსა ჩუენსა, რომელმან შური იძიოს ცოდვათა ჩუენთათჳს და სიცრუვეთაებრ მამათა ჩუენთაჲსა“ (**S, O**, ივდ., 7, 28);

„**მოწმობისა წილ** დღესა მოვიღებთ ცასა და ქუეყანასა და ღმერთსა მამათა ჩუენთასა, რომელი შურსა გუაგებს ჩუენ ცოდვათაებრ ჩუენთა“ (**B**, ივდ., 7, 28 (17)).

ბერძნულ ტექსტშიც იგივე აზრი **თქვენ** ნაცვალსახელით, ევფემისტურადაა გადმოცემული:

“μαρτυροῦμεθα ὑμῖν τὸν οὐρανὸν καὶ τὴν γῆν καὶ τὸν θεὸν ἡμῶν καὶ κύριον τῶν πατέρων ἡμῶν, ὃς ἐκδικεῖ ἡμᾶς κατὰ τὰς ἀμαρτίας ἡμῶν καὶ κατὰ τὰ ἀμαρτήματα τῶν πατέρων ἡμῶν”¹⁴.

ცნობილია, რომ უფალს არ მიმართავენ თქვენობით. შესაბამისად, უფლისადმი თქვენობით მიმართვის შემთხვევა ძალიან იშვიათია ქართულ წერილობით ძეგლებშიც. გვხვდება, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“: „წყალობა **თქვენი** იჩქითად არს ჩვენი გარმომფენელი!“ (ავთანდილი მიმართავს უფალს) (ვეფხისტყ., 227); „აწყა ვცანით, უარესსა პირი **თქვენი** არ გაბრჭობდა“ (ვეფხისტყ., 248).

საინტერესოა, რომ ზოგადად თქვენობით მიმართვა არის ჯერ კიდევ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ (ორიგინალური აგიოგრაფიული თხზულება, თარიღდება VI საუკუნით, ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერი (H 341) ეკუთვნის X საუკუნის გასულს, სხვა ხელნაწერები XVIII საუკუნისაა): „(იგინი) წარდგეს წინაშე ვეჟან ბუზმირ მარზაჰნისა და ჰრქვეს: ...აწ განკითხვაჲ მათი **თქვენ** კელგეწიფების (ძველი ქართული ლიტ. ქრესტ., I, 1946: 47).¹⁵

ასე მიმართავენ მეფეს, კათალიკოსს, წოდებით მალა მდგომ და პატივსაცემ ადამიანს, თუმცა ნაცვალსახელის გამოყენება არაა ხშირი და, როგორც სხვა ცალკეულ შემთხვევაში, ისე ერთი კონტექსტის ფარგლებშიც, იმავე ფუნქციით არის „შენ“

¹⁴ <http://www.myriobiblos.gr/bible/ot/chapter.asp?book=19&page=7> (მოძიებულია: 10 აპრილს, 2015).
¹⁵ არ. მარტიროსოვი ევფემისტური **თქვენ** ნაცვალსახელის აგიოგრაფიულ თხზულებებში გამოყენების ნიმუშად იმოწმებს X საუკუნის ნაწარმოებს „წამებაჲ ბასილი ჰამელისაჲ“, ასევე „ჰაზოს წამებას“ (VIII სკ.) (მარტიროსოვი 1964: 62-63).

ნაცვალსახელიც (სერაპიონ ზარზმ., ხანძთ.). „აბოს წამებაში“ სამოელ კათალიკოსი წერილში იოანე საბანისძეს მიმართავს „შენობით“, იოვანე კი მას – „თქვენობით“ („ადვემართე ღმრთის სათნოდთა წმიდითა ლოცვითა **თქუენითა** და მარადის ძღუნის მიმპყრობელისა ღმრთისა მარჯუენისა **თქუენისა** ჯუარისა წერთა ჩემ უღრსსა ზედა“ (აბო, 44); „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით გრიგოლ ხანძთელს მოწაფეები წერილში მიმართავენ „თქვენობით“; „გიორგი მთაწმინდლის ცხოვრებაში“ სასულიერო პირი, ბერი, მეფეს მიმართავს „შენობით“:

„ხოლო ბერძან ... (გიორგიმ) ჰრქუა მას (მეფე ბაგრატს): „მეფეო, აჰა ესერა, ვხედავ პირსა **შენსა**, ვითარცა პირსა ქრისტესა“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 355).

მთავრისადმი მიმართვისას გამოყენებულია **შენ**:

„ხოლო წმიდასა ევსტათის ჰრქვა: (ვეჟან ბუზმირმა) შენ ვინა ხარ, ანუ რომლითა რჩულითა სცხოვნდები? წმიდამან ევსტათი თქვა: უკეთუ მკითხავ, ისმინე გულსმოდგინედ და გითხრა **შენ** ყოველი“ (ევსტ., 32);

„ხოლო აწ **შენ** მოუწოდე და ჰკითხე, რამეთუ ამას ქალაქსა შინა ხელმწიფე ხარ“ (ციხისთავს მიმართავენ სპარსნი) (ევსტ., 28).

თქვენ გამოყენებულია საერო პოეზიაშიც თამარ მეფისადმი მიმართვისას. აქ ვითარება შედარებით სისტემურ ხასიათს იღებს – მეფისადმი მიმართვისას **თქვენ** ნაცვალსახელია უმეტეს შემთხვევაში:

„მესმა ათენით: **თქვენ** გაათენით“ (საერო პოეზია, ჩახრ., თამარიანი, 464);

„ტურფად შვენება, გამოჩვენება **თქვენი** დააქნობს ყოველთ ყვავილთა“ (თამარს) (საერო პოეზია, შავთ., აბდულმეს., 510);

იშვიათად დასტურდება **შენ** ნაცვალსახელი:

„ნაშობნი **შენნი**, **შენ** მიერ **შენნი**“ (თამარ მეფეს) (საერო პოეზია, შავთელი, აბდულმეს., 486);

„თამარ, **შენ** გიცნობ განცხადებულად“ (საერო პოეზია, ჩახრუხ., თამარიანი, 474).

ეთიკეტური ნაცვალსახელების საკითხს „ვეფხისტყაოსანში“ განიხილავს მ. ტაბიძე. იგი მიუთითებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებრივი ურთიერთობები

მირითადად სამეფო კართანაა დაკავშირებული, სადაც, ცხადია, თავს იჩენს ამ კონკრეტული სოციალური წრის ეტიკეტის თავისებურებები (ტაბიძე 2012: 242). მისი აზრით, განსაკუთრებულად საინტერესოა საკომუნიკაციო ეტიკეტი, რომელიც ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით მრავლად და მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი პოემაში. მეცნიერის აზრით, **შენ/თქვენ** ნაცვალსახელების გამოყენების შემთხვევებია: ა. „შენ“ არის ღმერთისადმი მიმართვაში; ბ. კომუნიკაციის მონაწილეთა სოციალური თანასწორობის ვითარებაში; გ. მეორე პირისადმი მიმართვისას მონოლოგურ მეტყველებაში, მაშინაც კი, როდესაც მიმართვის ობიექტს რეალურ ცხოვრებაში „თქვენ“-ს ეუბნებიან... მ. ტაბიძე აღნიშნავს, რომ „თქვენ“ ნაცვალსახელი ეტიკეტის ნორმით არასოდეს არ ითანხმებს ზმნას რიცხვში“ (იქვე). ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, ასევე, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება გამონაკლისებიც. მაგალითად: „**აღარ დაჰზრუნდით, მოხვედით, შუქნი თქვენ ჩემთვის არენით**“ (ფატმანი მიმართავს ავთანდილს, ვეფხისტყ., 220). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ შესაბამისი ზმნა გაფორმებულია ნიშნით. პოემის პერსონაჟები მეფეს მიმართავენ **თქვენობით**, არის რამდენიმე შემთხვევა **შენ** ნაცვალსახელის გამოყენებისა:

„**შენ** დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები“ (ავთანდილი მიმართავს როსტევანს, ვეფხისტყ., 151);

„შევსთვალე: რამაზ მეფეო, ვცან **შენი** დანაპირები“ (ვეფხისტყ., 85);

„**შენი** ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე“ (ტარიელი მიმართავს ფარსადანს, ვეფხისტყ., 111).

სხვისადმი მიმართვისას მეფე **შენ** ნაცვალსახელს იყენებს, თუმცა არის **თქვენ** ნაცვალსახელის გამოყენების ერთეული შემთხვევაც. მაგალითად, როსტევან მეფე მიმართავს ტარიელს: „**თქვენთა** მტერთა და ორგულთა დაჰზრუნედით, და-ცა-სჭრიდითა“ (ვეფხისტყ., 285).

„ვეფხისტყაოსნის“ ქართულისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა ე.წ. დიდებულების მრავლობითობა, ანუ მხოლოდითი შინაარსის სიტყვების დასმა მრავლობით რიცხვში განსაკუთრებული პატივისცემის გამოსახატავად.¹⁶

პოემაში გვხვდება, აგრეთვე, ე.წ. „ავტორის ჩვენ“. მაგალითად: ტარიელი მიმართავს ავთანდილს: „თქვენ მორჭმულნი სთამაშობდით, ჩვენ მტირალნი ღაწვთა ვბანდით“ (ვეფხისტყ. 58).

რაც შეეხება -თ ბოლოსართს, როგორც ცნობილია, მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა მრავლობითობის გამოხატვა, თუმცა მან ასევე შეითავსა ევფემისტურობის გამოხატვის ფუნქციაც, რითაც ენაში საფუძველი ჩაეყარა ევფემიზმის გრამატიზებას. ქართული წერილობითი ძეგლების მასალაზე დაკვირვებისას ირკვევა, რომ გრამატიკული ევფემიზმის ფორმირებაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე შემთხვევა:

I. თავდაპირველად ევფემისტურობას მხოლოდ ნაცვალსახელი გამოხატავდა, ზმნა კი ნიშნით არ იყო გაფორმებული. წერილობითი ძეგლების მიხედვით, VI საუკუნიდან გვხვდება **თქვენ** ნაცვალსახელთან უნიშნო ზმნური ფორმები. მაგალითად:

„წარდგეს (შემასმენელნი) წინაშე ვეჟან ბუზმირ მარზაპნისა და ჰრქვეს: – კაცნი არიან მცხეთას ჩვენისა რჩულისანი და ...ქრისტეანობენ. აწ განკითხვა მათი **თქვენ ხელგეწიფების**“ (ევსტ., 32);

მეფე ბაგრატ და დედაი მისი მარიამ დედოფალი გიორგის: „აწ არწმუნოს ღმერთმან სიწმიდესა **თქუნსა**, რათა **ჰბრძანო** და მოშურე, და ჩვენ ვიკურთხნეთ **თქუნ** მიერ“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 376);

„მისთვის **მოგბერა** არს **თქვენი** მცველი!“ (საერო პოეზია ჩახრ, თამარ., 471);

„მაშინ გალხინოს, თვით მიგავლინოს, **თქვენ** უოხჭნოთა მათ საშვებელთა (საერო პოეზია, შავთ., აბდულმეს., 507).

„დამემოწმე, თუ მართლა ვჰთქვა, თქვენცა **ბრძანე**, ეგ არია“ (სააკაძე, დიდმ., 370).

16

<https://zerossd.wordpress.com/2012/08/11/%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-2/> (მოძიებულია: 17 მაისს, 2015).

როგორც ჩანს, ნაცვალსახელს ჯერ კიდევ არ მოუპოვებია სინტაქსური ძალა იმისა, რომ რიცხვში შეითანხმოს ზმნური ფორმა. ასეთივე ვითარებაა საერო მწერლობის ძეგლებშიც:

„გებრძანა წინაშე **თქვენსა** მოსლვა“ (სავარსამისძის წიგნი მეფეს) (ამირანდარეჯ., 288);

„ჰკადრა: „ვხედავ პირსა **თქვენსა**, მზისა პირად მემეცნების, რაცა ვიცი, მართლად **გკადრებ**, მრუდი არა არ გემცნების“ (მებაღე მიმართავს ავთანდილს) (ვეფხისტყ., 196);

„მესმა **თქვენი** ნაუბარი, გავიგონე, რაცა **ჰბრძანე!**“ (ავთანდილი თინათინს) (ვეფხისტყ., 135);

„**თქვენ** რა იშოვნე **თქვენის** თქმით, ბევრი ვჰქენ მე საშოვარი“ (არჩილი, გაბაასება, 143);

„შვილმან მოახსენა: დღეისამდინ მე ვერა **შემოგკადრე**, თვარა მისთვის ვქმენი ეს საქმე, სალაროც **თქვენსავ** სიცოცხლეში წინ **წაიმძღვანო** და გლახაკს **უბოძო**, ისი სჯობს“ (სიბრძნე სიცრ., 153-154);

„მე **თქვენა** ქართლსა არ **გთხოვდი**“ (კახთ-ბატონი მეფეს) (დავითიანი, 262);

„**თქვენ** გიჭირს და არას **გშველის**, არის რუსეთს წამავალი, **თქვენცა გმართებს** აწ გარდახდა, თქვენზედ დადვა რაც მან ვალი“ (დავითიანი, 253);

„წარსრულვარ, გამოგსალმივარ, ღმერთმან **თქვენ მოგცეს** ლხინები“ (ბაგრატიონი სააკაძეს (თავადები) (დომიტრი სააკაძე, 224)...

II. ზმნაში მარკირებულია ევფემისტურობა. ნიშნიანი ფორმები გვხვდება IX საუკუნიდან საერო და სასულიერო მწერლობის ენაში, დოკუმენტებში. მაგალითები:

„შენ, წმიდაო მამაო პატიოსანო, და ყოველთა შვილთა შენთა სარწმუნოებით სურვიელებისაებრ თქუენ ყოველთაისა **შეგუნდვეთ** და **შეიწირეთ** წადიერება მოკითხვისა ჩუენისა **თქუენდა** მიმართ!“ (წერილი გრიგოლს) (ხანძთ., 203);

„ვით შეენის სიკეთეს **თქვენსა**, ეგრეთვე **ბრძანებთ**“ (ვეზირს მანუჩარი) (რუსუდ., გვ. 414);

„მაგრამ ის ახლა ჩემის ქართულით აქ არ მოვაო, **თქვენ უბოძეთ კაცი, და იბარეთო**“ (რუსუდ., 405);

„ამირან დარეჯანის ძემან **არქვა**: ძმაო აბრამ, ...მაგა საქმესა რად იურვიო? მან **მოახსენა**: ნუთუ რა ვიცოდე მის გზისა საქმე და ამბავი, რომელსა გზასა აწ **თქვენ მიხვალთ**“ (ამირანდარეჯ., 355);

„**უბრძანა** დაჯდომა და დაჯდა (კაცს ამირანმა). ვითა ვჭამეთ სადილი, **უბრძანა** დარეჯანის ძემან: ვინ ხარ, ძმაო... მან **მოაგსენა**: **პატრონო, თქვენ** სადა **წახვალთ**, მიკვირს **თქვენი** მცირეთა კაცითა ამა ქვეყანასა მოსლვა“ (ამირანდარეჯ., 337);

„თვით რაცა **ჰბრძანოთ**, მართალ **ხართ**: სხვა სხვისა ომსა ბრძენია“ (ასმათი ავთანდილს) (ვეფხისტყ., 160);

„არ **გათნევთ** (ჩვენ), იცის მეფობა, **უთქვენოდ** გვითქვამს კვლა დია“ (ვეფხისტყ., 15);

„ყველაკასა მათრახითა თავი უბრძლოდ **გარდაჰკვეთეთ**“ (ავთანდილი მიმართავს ტარიელს) (ვეფხისტყ., 57);

„აწ ყოველთა გლახაკთა ...ჭირნი მისწავებია და ამისა შემდგომად **ნახეთ თქვენცა**, რა არის სასწავლოდ მისსა?“ (ლეონი მიმართავს მეფეს) (სიბრძნე სიცრ., 35);

„ვინ იცის, ჩვენზედ მოვიდნენ, **თქვენ მოგვეშველნეთ** საფრადა“ (მეფეს) (დავითიანი, 251);

„**არქვით** მათ **თქვენი** ნათქვამი, – ნეტავი მე მასესხიო“ (რუსთაველს) (თეიმ. II, გაბაასება რუსთაველთან, 353)...

ანალოგიური ვითარებაა შუა საუკუნეების დოკუმენტების ენაში:

„აწ **ჩუნენ** (მეფემ) მისადვე შედეგად ესე სიგელი და ნიშანი **თქუნენ** (კათალიკოზ დავითს) **მოგაგსენეთ** ამა პირსა ზედან, რომე მცხეთის სახლსა და მამულსა საბალახე არასა ჟამსა არა ეთხოვბოდეს“ (დოკ. 3, 90, 1457 წ.);

„(მეფეს) **თქვენ** სიყრმითგან ღმრთივ-სწავლულნი **ხართ** და საღმრთონი წერილნი ზეპირით **უწყნით**, რომელთა საქმეთა მოქმედი მეფე იქების, ანუ რომელთაი – იყუედრების!“ (დოკ. 1, 173, 1263 წ.);

„სრულ-ყავთ წმიდაო და ქრისტე-მოსილო მეფეო ბრძანებული ესე, **თქუენი** სიტყუანი საქმით სრულ-ყვენი: **მოაღებინეთ** სიგლები და ნიშნები ყუელაი...“ (1262 წ., დოკ. 1: 171).

ზოგჯერ გვხვდება მხოლოდ -თ ბოლოსართიანი ზმნური ფორმები, **თქვენ** ნაცვალსახელის გარეშე, თუმცა, ბუნებრივია, იგულისხმება:

„არ **დაიშალეთ**, ომისა წილი მეც რამე მხდომია“ (სააკაძე, დიდმ., 349);

„**ცხოვნდით**, ამირთ-ამირო!“ (ამირანდარეჯ., 375)...

III. ნიშნიანი და უნიშნო ფორმები არის ერთსა და იმავე კონტექსტში, მაგალითად:

ა) საერო მწერლობის ენაში:

„ბრძანა: აწ აღარა ეგების და ჩემოდნად ერთსაცა არა **გიმძიმს** მუხთლად ამირ იამანელისა სიკვდილი. **ბრძანეთ** და ნადირობას **წაედით**“ (მეფე) (ამირანდარეჯ., 419);

„დედოფალმან ეგრე **მოაქსენა**: მეფეო, წყრომასა რას **მემართლები** მით, რომელ... **თქვენ** უომრობასა ვერა **დასთმობდით**. აწცა **გკადრებთ**, **დაეკსენ** ომსა“ (ამირანდარეჯ., 451);

„რომელი კარგი მიქმნია, იგი **მოგაქსენო** და, რომელი უბადო, – იგიცა. ოდეს-იგი კარგი ნაქმარი **მოგახსენოთ**, **გაგიკვირდების** და სიქადულად შემინახავ და ტყვილი ამაღ არა, რომელ ყოველსა მართალსა **მოგაქსენებო**“ (დიდებული ამირას) (ამირანდარეჯ., 374);

ბ) დოკუმენტების ენაში:

„ქ. ესე წიგნი **გკადრე** მცხეთას და ქ(ართლის) კათალიკოზს შიოს... **ჩუენ**, დიასამიძემან ვარამ და ჩემთა შვილთა, ავთანდილ და დიასამ... მას ჟამსა, ოდეს **ემშაკითა ცთუნებითა**... ასეთი რამე სარჯულო საქმე წამეკიდა, რომე **თქუენ გამიწყერით**“ (1443 წ., დოკ. 3: 19);

„**თქვენ**, სიონთა მყოფი **მოზმანდი** და დიდათ **გაისარჯეთ** და ჩვენი გული და თქვენს სიონთა და **თქვენ**, ხრისანთეს, **გიბოძეთ**, როგორც ძველსა სიგელში და ამა წიგნში წერია“ (1445-1452 წ., დოკ. 3: 24);

„ესე საბოლოოდ გასათავებელი სიგელი **მოგეც** მე, მიწობლიძემან ფარემუზ, **თქუნ**, მონოზონთა ხერხეულისძის ასულსა ეკატერინეს, მას ჟამსა, ოდეს მტკურისპირს მიწა **მოგყიდეთ** და **ავიღეთ** ფასი რადსაც მთხოვნელნი **ვიყვენი**“ (1249-1260 წ., დოკუმენტზე XV-XVI სს. მინაწერი, დოკ. 1: 133);

ასეთივე ვითარებაა, როდესაც მიმართვის ობიექტია ღვთისმშობელი ან წმინდანები:

„ამისთვის შემოგუიწირავს **თქუნთუის** ქალწულო, წმიდაო სანატრელო მარინა, რაჭას ჩარუხიძე მისითა გლეხებითა“ (1142-1146 წ., დოკ. 3., 17).

„და სხუა რადღა **გკადრო** რკონისა ღ(მრთ)ისმშობელო, უმეცარმან და ენად ჰავმან და ცოდვათაგან შეშინებულმან და დაღონებულმან მეტადრე. ნუ **წამწყმედთ** და **მომეც** ჟამი სინანულისად **თქუნსავე** წინაშე“ (1260 წ., კორპ. 1: 152);

„**თქუნ**, წმიდაო გიორგი მთისა მთავარმოწამეო, რაგუარაც დავით აღმაშენებელისა და მისა მისისა დიმიტრისგან შემოწირული ყოფილიყო... ვიგულისმოდგინეთ და კელვყავით ახლად აღშენებად და შემკობად ტაძრისა **შენისა** (1466-1478 წ., დოკ. 3, 156);

„**თქუნ**, ქალწულო წმიდაო მოწამეო, ნეტარო მარინა, მე ...მეფემან ვახტანგ, **გკადრე** და **შემოგწირე** და **მოგაცხენე** ეგუტერსა სახსენებელსა წმიდისა ხატისა **თქუნისასა** გელათს, რომელი აგებულ არს სადიდებლად სახელისა **თქუნისა** წმიდისასა“ (1444-1446 წ., დოკ. 3: 17).

XVIII საუკუნეშიც ერთსა და იმავე წინადადებაში პარალელურად დასტურდება -თ სუფიქსით გაფორმებული და გაუფორმებელი ზმნური ერთეულები:

„მას ამილბალმა მისწერა: **თქვენ** ჩემგნით ნუ **გეწყინება**, ვინემდის კარზე მივსწერდე, **თქვენ** **ქენით** ეს მოთმინება. რაც მე იქიდამ მომესმის, **თქვენ** ჩემგნით **მოგესმინება**; მე სიხარულით დაგიცდი, თუმცა ხელმწიფემ ინება“ (დავითიანი: 283);

„ნუ მოუწყინებთ, მეფეო, **თქვენს** ჭირნახულსა სრასა და! ლხინი მინახონ, უბრძანეთ, ვინცა ვინ გვერდ გახლავსა და, თუ ავი მასპინძელი ვარ, ნუ ჰკადრებთ **თქვენსა** თავსა-და; აწ **მოგახსენებ** ბოდიშით, – ხელი მიჰყავით სმასა და!“ (სახლი მეფეს) (ქება სრისა, თეიმ. II: 352)...

IV. შენ და თქვენ ნაცვალსახელების მონაცვლეობა ერთი კონტექსტის ფარგლებში:

„ხოლო დედისა ძმისა **შენისა** მუჰამიდისი, რომლისა მიერ იქადი, ცუდ არს მისსა მიმართ სიქადული **თქუენნი**, რამეთუ, ვითარცა უწყემულ არს ჩუენდა, მაცდურ და წარწყმედელ იყო ნათესავის **თქუენისა**“ (დავით და კონსტანტინე მიმართავენ მურვან ყრუს, დავით და კონსტ., 438);

„ესე ხოლო ჰრქუა სერაპიონს: „უკუეთუ ჯერ არს, რათა ჟამითით პირსა **თქუენსა**, მზა ვარ მე აღსრულებად ბრძანებათა **შენთა**“. ხოლო წმიდამან უბრძანა ყოვლადვე ხილვად ურთიერთას“ (სერაპ., 119);

„ვითარცა შეგუევედრა სული ჩუენი სიწმიდით ღირსებასა **შენსა**, აწცა გევედრებით, ქრისტეს სიყუარულისათვის ხსენებულ გუყვენით ღირსთა შინა ლოცვათა და წინაშე წმიდასა მაგას სამწყსოსა **თქუენსა**“ (გრიგოლს წერილი) (ხანძთ., 204);

„წმიდაო მეფეო, **თქუენთანა** მშუდობაი და სიხარული... წმიდაი იგი ბერი, რომელმან გუშინ ოთხ მე ოცი ობოლი **თქუენ** შემოგვედრა, აწ თვით იგი **ხელთა ღმრთისათა შევედრებულ არს**, რამეთუ მიიცივალა, **შენ**, ქუეყანისა მეფემან, ზეცისა მეფისა წარმჰგზავნე, გუშინ...“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 403);

„წმიდაო მეფეო, ეგე ობოლნი, ვითარცა შუენის ღმრთის-მსახურებასა **შენსა**, ეგრეთ შეიწყალენ და დაარჩინენ მლოცველად სულისა **თქუენისა** და შვილთა **თქუენთა** მზეგრძელობის...“ (წერილი, გ. მთაწმ. ცხოვრ., 403);

„და აწ **ჰნებავს** განდგომილებაი **შენნი** და დაპყრობად მეფობაი **შენნი**, და რომელნიცა პოვნის განდრეკილნი მეფობისაგან **თქუენისა**, მოსწრაფებით ჰყუარობს მათ და პატივსა წინა-უყოფს მათ“ (ბალავ., 223);

„**შენსა** საყდარსა! **შენსა** საყდარსა, ვერა ვსჭვრეტ ცხადად და ნახსოვნებად! **თქვენსა** ზენათა, მზეო ზენათა“ (საერო პოეზია, ჩახრ, თამარ., 461);

„ვეფხისტყაოსანში“ ფატმანი ავთანდილს მიმართავს **შენობით** (ზმნური ფორმებიც არ არის -თ ნიშნით გაფორმებული), შემდეგ კი იქვე გადადის **თქვენ** ფორმაზე: „ამად გკადრე, „ნუ მოხვალო“, მოგაგებე მონა წინა; აღარ დაჰბრუნდით, მოხვედით, შუქნი

თქვენ ჩემთვის არენით“ (ვეფხისტყა., 220). ანალოგიური ვითარებაა მომდევნო ხანის დოკუმენტებისა და საერო მწერლობის ძეგლთა ენაში:

„ამა ყოველთა წმიდათა თავსდებობითა და შუამდგომელობითა, ესე წიგნი **დაგიწერე** და **გიბოძეთ** მე, ბატონმან ბარათამან, მეუღლემან **ჩუენმან** თინათინ, შვილთა ჩუენტა დავით და გერმანოზ, **შენ**, ჩუენსა ერდგულსა ყმასა ძუჟღულაშვილსა თევდორეს და ნავროზს, მამავალთა შენთა“ (დოკ. 3: 123). ეს -**თ** შესაძლოა აღნიშნავდეს S₁-ის მრავლობითობას (S₁ გულისხმობს ოთხ პიროვნებას), რადგან ახლოს დგას მასთან.

ნაცვალსახელური ევფემიზმის გამოყენების მხრივ საინტერესოა საქართველოს სოციალური ისტორიის ამსახველი დოკუმენტები. მათი საშუალებით გარკვეული წარმოდგენა გვექმნება სხვადასხვა ეპოქის ქართული საზოგადოების ეთიკურ მხარეზე, „ეს დოკუმენტები არ იყო გამიზნული საყოველთაო განსჯისათვის და ამიტომაც მათში ყოველგვარი შეფარვის გარეშეა გადმოცემული სათქმელი. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს ნათლად წარმოვიდგინოთ იმ პერიოდის საზოგადოებრივი ურთიერთობანი“ (ჯორბენაძე, 1997: 183).

ისტორიული დოკუმენტების ენაში განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი შემთხვევები, როცა თავაზიანი, ევფემისტური ფორმები გამოყენებულია **უსულოსაგნის** მიმართ. ასე მოიხსენიებენ ან მიმართავენ ხატს, სვეტს, საყდარს, ეკლესიას. ქრისტიანული ტრადიციით, ამგვარი რამ უჩვეულო არ არის ქართულში. მაგალითად, ევფემისტურია ხატთან, ჯვართან, წმინდა ნაწილებთან... დაკავშირებული გამოთქმები.

საანალიზო დოკუმენტებში ევფემისტურობა გამოხატულია **თქვენ** ნაცვალსახელით:

„ეჰა საყდარო კათოლიკე ეკლესიაო... მე მინდობილმან და მოქენემან შეწევნათა და ცვა-ფარვათა **თქუენტამან**, **თქუენ** ძლით მპყრობელმან მეფობისამან... ჳელვყავ და გულს-მოდგინედ ვიწყე ძიებად, რათამცა მცირედითა... მემსახურა ...ღ~თივ აღმართებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა სამეუფოსა და მირონისა ღ~თ მყოფელისათუის“ (ყმისა და მამულის შეწირულობის წიგნი, მიცემული კახთა მეფის ალექსანდრე II მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1579 წ., დოკ. 10: 9-10);

„ესე ასრე დაგიმტკიცდეს **თქუნ**, სუეტსა ღ~თივ აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და სამოციქულოსა ეკლესიასა საჭეთმპყრობელი კათალიკოზი იყოს“ (იქვე).

„სიმტკიცისა სიგელი გკადრეთ და მოგახსენეთ **თქუნ**, ცათა მობამავსა საყდარსა და მას შინა სუეტსა ღ[უ]თივ-აღმართებულსა კუართსა ს[ა]უფლოსა და მირონსა ღ[მერ]თ-მყოფელსა და **თქუნსა** საჭეთმპყრობელსა ქართლისა კ[ათალიკო]ზ-პატრიარქსა ნუკუალაოზს“ (ყმების შეწირულობის წიგნი, მიცემული კახთა მეფის ლეონ II-ის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1569 წ., დოკ. 8: 7).

ზოგჯერ ერთსა და იმავე ტექსტში ერთ წინადადებაში არის **თქუნ** ნაცვალსახელთან ერთად **შენ**. მაგალითად:

„ჩუნ, **შენ** მიერ მტერთა ზედა და წინააღმდგომთა ძლიერმან... მეფეთ მეფემან ალექსანდრე... შემოგწირე მცირე ესე შემოსაწირავი სოფელი... შემოგწირეთ **თქუნ** სუეტსა ღ[უ]თივ-აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა...“ (მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1601 წ., დოკ. 13: 12-13).

ასეთი გამოთქმები დასტურდება, აგრეთვე, ალექსანდრე მეფის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი შეწირულობის წიგნი (1601 წ.):

„(გ)კადრეთ და მოგახსენეთ გუჯარი ესე **თქუნ**, სუეტსა ღ~თივ აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთ-მყოფელსა და კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა...“ (მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1601 წ., დოკ. 13: 12-13);

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დოკუმენტებში ზოგჯერ **ტადარი** მოხსენიებულია **შენ** ნაცვალსახელითაც: ავტორი (მეფე) შენობით მიმართავს ეკლესიას, „კათოლიკე სამოციქულო საყდარს“, მაგრამ იყენებს ევფემისტურ ზმნებს (**კადრეთ**, **მოგახსენეთ**). მაგალითად:

„შენ, ხატო ყოვლად ძლიერო სამოციქულო ეკლესიავო, შეიწირე მცირე ესე შესაწირავი და ნაცულად გუაგენ წყალობანი შენნი... გკადრეთ და მოგახსენეთ ცათა მობაძავსა კათოლიკე სამოციქულო საყდარსა შენსა ჯიმითით...“ (მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1601 წ., დოკ. 13: 12-13).

ამდენად, (გ)კადრეთ და მოგახსენეთ ზმნების არსებობითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკლესიისადმი მიმართვისას ევფემისტური ფორმებია გამოყენებული. მოცემულ კონტექსტებში ევფემისტური ფორმების არსებობას განაპირობებს სარწმუნოებრივი ფაქტორი. ეკლესია, სვეტი გასულიერებულია. ადამიანებს მათდამი დიდი მოკრძალება აქვთ, შეიძლება უფრო მეტი, ვიდრე მეფისადმი, ბატონის ან სხვა მაღალი წოდების პირებისადმი/ ან: მოქმედებს ანალოგიის პრინციპი. მაღალი იერარქიის მქონე პირთა მიმართვის ანალოგიით ევფემიზმები აქაც გაჩნდა.

ანალოგიური ევფემისტური ზმნური ფორმებია მოგვიანო ხანის (1654 წ.) კიდევ ერთ დოკუმენტში:

„ესე... სიგელი გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ, ბარათაშვილმა პატრონმა ზაალ, თაყამ... თქუენ, ჩუენსა სასოებასა და სიქადულსა სვეტს ღთივ აღმართებულსა და თქუენტა საჭეთმპყრობელსა ქართლისა კუხს ქრისტეფორეს; – ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ჩუენი მემკუიდრე ყმა თქუენს საყდარს მოვიდა... ავიღეთ თქუენგან ფეშქაში, რითაც ჩუენი გული შეგჯერდებოდა და შამოგწირეთ თქუენ, სვეტს ცხოველს ჩუენი მემკუიდრე ყმა... შეიწირე შენ, სვეტო მღთივ აღმართებულო...“ (ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაალ და სხვა ბარათაშვილების მიერ კუხ ქრისტეფორესადმი, 1654 წ., დოკ. 48: 36).

ამ მაგალითში თქვენ ნაცვალსახელის ევფემისტურობა აშკარაა, თუმცა ბოლოს მას შენ ნაცვალსახელი ენაცვლება. ეს ფორმოზრივი მერყეობა არა მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევებში შეინიშნება, არამედ დოკუმენტთა უმეტესი ნაწილისათვის არის დამახასიათებელი. საუბარია ნაცვალსახელურ ფორმებზე, ზმნური ფორმები ევფემისტურობას უფრო მყარად და კანონზომიერად გამოხატავენ, თუმცა აქაც

დასტურდება რიცხვში შეუთანხმებლობის რამდენიმე შემთხვევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზმნა ფუძემონაცვლე არაა.

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, თავაზიანობის საფუძველზე წარმოქმნილი ევფემიზმის მორფოლოგიურად გაფორმება (გრამატიზება) ხდება საუკუნეების განმავლობაში. თავდაპირველად ევფემისტურობის გამომხატველი იყო მხოლოდ **თქვენ** ნაცვალსახელი, რომელმაც ეს ფუნქცია მოგვიანებით შეითავსა. საერო და სასულიერო მწერლობის ენაში IX საუკუნიდან გვხვდება ნაცვალსახელთან ერთად -**თ** ბოლოსართის გამოყენების შემთხვევები, აგრეთვე, გაფორმებული და გაუფორმებელი ზმნური ერთეულების მონაცვლეობა (ერთი კონტექსტის ფარგლებშიც კი), რაც XVII საუკუნეში წინა საუკუნეებთან შედარებით სუსტდება და გრძელდება XVIII საუკუნემდე. აღნიშნული ვითარება მიუთითებს, რომ ამ პერიოდის ენაში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული ზმნაში ევფემისტურობის ნიშნით გამოხატვის ანუ გრამატიზების პროცესი.

2.1.2. ევფემიზმის გამოხატვა ფუძემონაცვლე ზმნებით

ქართული ენის ზმნა მრავალფეროვანია. მისი აგებულება უნიკალურია, რადგან მას შეუძლია ერთი ფორმით გამოხატოს რამდენიმე კატეგორია. ევფემიზმის გამოხატვის თვალსაზრისითაც ქართული ზმნა საინტერესო შესაძლებლობებს ავლენს, რაც აისახება ზმნურ ევფემიზმთა მრავალფეროვნებაზე. ზმნური ევფემიზმების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მსჯელობენ ა. შანიძე, კ. ჯორჯანელი, არ. მარტიროსოვი, ბ. ჯორბენაძე, ზ. კიკვიძე, რ. ზექალაშვილი...

სტატიაში „**თავაზიანობის გამომხატველი ზოგიერთი ზმნის გამოყენების ისტორიისათვის ქართულში**“ (2013) რ. ზექალაშვილი ფუძემონაცვლე ზმნებით თავაზიანობის გამოხატვას სოციალური დიფერენციაციის ასახვის საჭიროებას უკავშირებს. იგი განიხილავს **ბრძან** ძირისაგან ნაწარმოებ ფორმებს, ასევე **გახლავართ**, **მიბოძეთ**, **ინებეთ** ზმნებს და მიუთითებს, რომ ქართულ ტექსტებში ყველაზე ადრე

დადასტურებულია **ბრძანა** ზმნა თავაზიანი **თქმის** მნიშვნელობით (ზექალაშვილი 2013: 186).

სოციალური ურთიერთობის გამომხატველ ზმნურ ფორმებს (ბრძანა, ჰკადრა, მოახსენა, უთხრა) განიხილავს **ნ. წულეისკირი** ნაშრომში „სამეტყველო ქცევის სოციოლინგვისტური მოდელირება“ (2005) და მიუთითებს ენობრივ ერთეულთა შერჩევისას სოციალური სტატუსისა და როლის მნიშვნელობაზე. ავტორის აზრით, ურთიერთობის სტილისტიკური ასპექტისათვის, სიტუაციის სტრუქტურული ანალიზის გარდა, საჭიროა ადრესანტ-ადრესატის ურთიერთმიმართების დადგენა (წულეისკირი 2005: 9).

ბრძანება: ბრძანება სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „**ბრძანება** – თქმა უაღრესისა მიერი; თქმა – სწორისა მიმართ, მოკსენება – უაღრესისადმი და ბრძანება უმცროსისათვის ითქმის, რამეთუ სამ სახე არიან თქმანი (ორბელიანი 1966: 313). ძველი ქართული ენის შეერთებულ ლექსიკონში¹⁷ მისი მნიშვნელობებია: განწესება, მივლინება, მიწერა, თქმა, დათქმა, შერისხვა, მცნება, სიტყვა, თქმული, საზღვარი, მობრძანება, მოსვლის ნებება, მიცემა (უმაღლესი პირის მიერ უდაბლესისათვის), ჩუქება, ბოძება. როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, „ბრძანება“ შეიძლება გამოხატავდეს: ა) საკუთრივ ბრძანებას და იმავდროულად – ენობრივი ეთიკის დონეზე: ბ) თქმას; გ) ყოფნას; დ) მყოფობას; ე) დაჯდომას; ვ) მოსვლას (ჯორბენაძე 1997: 76-77).

თ. კოჭლამაზაშვილის აზრით, **ბრძანება მობრძანების** მნიშვნელობით, შესაძლოა, ლიტურგიკული წყაროების გავლენით იყოს დამკვიდრებული ქართულში (კოჭლამაზაშვილი 2008¹⁸).

ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში საკუთრივ **თქმის** გამოხატვისას ევფემისტურ **ბრძანას** ენაცვლება: ჰრქუა, ამცნო/ამცნა, მოახსენა; ბრძანების გაცემის

¹⁷ <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=44&t=4789> – ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი (მოძიებულია: 10 აპრილს, 2015).

¹⁸ <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11-11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.22&d=HASH0168a5e59a3e9591fcc02a39.2.5> (მოძიებულია: 12 ივნისს, 2015).

გამოხატვის შემთხვევაში კი – **განუწყესა**. მაგალითად, საკუთრივ ბრძანების გამოხატველია საანალიზო ერთეული მაგალითში:

„ერთგზის წელიწადსა იყოს ესე, ვითარცა **უბრძანა** ღმერთმან მოსეს“ (მცხეთ., 225, ლევიტ., 16, 34);

აღნიშნულ კონტექსტში ევფემისტური ზმნა გვხვდება **A** და **K** ხელნაწერებსა და ბაქარის ბიბლიაშიც (B):

„ერთგზის წელიწადსა იყოს ესე, ვითარცა **უბრძანა** ღმერთმან მოსეს“.

გელათის ბიბლიაში (G) **უბრძანას** ადგილას გვაქვს **განუწყესა**:

„ერთგზის წელიწადისა იქმნებოდის, ვითარცა **განუწყესა** უფალმან მოსეს“. ძვ. ბერძნ.: „ἄπαξ τοῖν ἔνιαυτοῖν ποιηθήσεται, καθάπερ **συνέταξεν** κύριος τῷ Μωσῆϊ“.

ზოგ შემთხვევაში ბიბლიურ წიგნებში **გვბრძანას** ენაცვლება **გუამცნნა**:

„აწ აღვიდეთ ჩუენ, ბრძოლა-ვსცეთ, ვითარცა **გვბრძანა** ჩუენ უფალმან ღმერთმან“ (II სჯული, 1, 41, 354); „აწ აღვიდეთ ჩუენ და ბრძოლა-ვსცეთ ჩუენ, ვითარცა **გვბრძანა** ჩუენ უფალმან ღმერთმან ჩუენმან“ (A, K, B: II სჯული, 1, 41). შდრ.:

„ჩუენ აღსრულნი ვებრძოლნეთ ყოველთაებრ, რაოდენნი **გუამცნნა** უფალმან ღმერთმან ჩუენმან“ (G: II სჯული, 1, 41);

ძვ. ბერძნ.: „ἡμεῖς ἀναβάντες πολεμήσομεν κατὰ πάντα, ὅσα ἐνετείλατο κύριος ὁ θεὸς ἡμῶν ἡμῖν“.

ა) ბრძანება – ბრძანების გაცემა. ჩვენს საანალიზო მასალაში უხვადაა საკუთრივ ბრძანების (ბრძანების გაცემა) შინაარსის მქონე ფორმები. რომლებიც საინტერესოა წოდებრივი საფეხურების ურთიერთობების (რეგისტრის) გამოხატვის მხრივ: მაღალი წოდების მქონე დაბალი წოდებისას უბრძანებს:

„და **უბრძანებდა** დასხმად ადგილსა მას, ვინაიცა-იგი პირველად გამოითრის“ (შუშ. 26-27);

„**უბრძანე** სპათა: „ლხინად ვლი სჯათა“ (საერო პოეზია, ჩახრ., თამარ., 458);

„**უბრძანა** ხისა კეთილ-სახისა დაცვად ნაყოფი, ჭამად არ ოდეს“ (საერო პოეზია, შავთ., აბდულმეს., 506);

„**უბრძანა**: გლოვა გახსენით, ქოს-წინწილასა ჰკარითო“ (ვეფხისტყ., 297)...

ბ) თქმა – ბრძანება. თქმის მნიშვნელობით აგიოგრაფიულ ტექსტებში გვხვდება ფორმები ჰრქუა, უთხრა, მიუგო...

„ხოლო წმიდამან შუმანიკ **მრქვა** მე... მე **ვარქუ** მას“ (შუმ., 15);

„და ჩვენ **მიუგეთ** და **ვარქვით**: წარსწყმიდე თავი შენი და ჩვენცა წარგვწყმიდენ“ (შუმ., 16);

„ხოლო ერისთავნი იგი მოიქცეს და **უთხრეს** მეფესა ყოველი, რააცა ესმა და იხილეს“ (კონსტ., 79);

ჰრქუა მას მარზაპანმან მან: „მე გკითხავ, რადასათჳს მოჰკალ ღმერთი ჩუენი... ხოლო ნეტარმან მან აბიბოს **ჰრქუა**: „უწყებულ იყავნ შენდა...“ (აბიბოს., 228);

„მოუწოდა (ზაგრატ მეფემ) აწინკიანთა მათ და **ჰრქუა**: „ვითარითა სახითა მოსწყდენით მჯეცნი იგი, მაუწყეთ?“ ხოლო მათ ჰრქუეს...“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 363).

თქმის მნიშვნელობით **-ბრძან** ძირის გამოყენება იერარქიულ სხვაობას უკავშირდება. ერთი კონტექსტის ფარგლებშიც კარგად ჩანს, რომ **ბრძანა/თქუა** ფორმების გამოყენების წესი X საუკუნეში უკვე გარკვეულია იერარქიული პრინციპის შესაბამისად და ფორმებიც დიფერენცირებულია:

„და ესევეთარი სიტყუაჲ მრავალი **ბძანა** ნეტარმან გრიგოლ, ხოლო მამამან მაკარი **თქუა**“ (ხანძთ., 216).

„მაშინ ეპისკოპოსთა ჰრქუეს ეფრემს: „**ბრძანე** პასუხი, რაი ჯერ არს!“ ხოლო მან თქუა: „სადა მამად გრიგოლ იყოს, მე მუნ არ **ვიკადრებ** სიტყუად“ (ხანძთ, 183);

„მეფეთ-მეფეო! თუცა გენახა დარეჯანის ძე, ამას **ბრძანებდი**“ (ამირანდარეჯ., 403);

„მაშინ ეგრე ბრძანა სეფედავლე... ამირან დარეჯანის ძემან ეგრე არქვა“ (ამირანდარეჯ., 439);

„**ბრძანა**: „ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შვება“ (ვეფხისტყ., 26);

„ჩემად ნაცვლად დაგაგდებო“, – ესე სიტყვა ვით **მიბრძანე**“ (ვეფხისტყ., 36).

„**უბრძანა** მეფემან (ლეონს): რა გინდ ბევრი იუბნა, ღმერთს თავი შენი ჩემთვის მოუცია“ (სიბრძნე სიცრ., 27);

„მეფე **ბრძანებს**: მე ესე მზე ღმერთმან ჩემმან დამიბადა“ (თეიმ., მაჯამა, 90);

„კარგად **ბრძანე** ყველაკაი, მაგრა თავი რით იმართლე“ (არჩილი, გაბაასება, 246);

„**მიბრძანის**: ნუ შეგწყინდებათ...“ (სააკაძე, დიდმ., 381);

„**ბრძანა**: კარგად განუსაზღვრავს, თუკი აღარ გადაბიჯა“ (დავითიანი, 258);

„თუ ჩუენი არ იყო მამული, რასათუის არ **გუიბრძანა** ამილახორმან, თუ: თქუენი არ არის მამული, რასათუის მოჰკუდებო?“ (დოკ., 3, 1478 წ., 232).

როგორც წესი, უფალი **ბრძანებს**:

„გულის-ხმა ყავთ ... ვითარცა ლევიტელთათვის **უფალი ბრძანებს**: „ნაწილი მათი მე ვარო“ (ხანძთ., 167);

„პირი იგი უტყუ[ვ]არი (უფალი) ამას **ბრძანებს**: რაი სარგებელ არს, უკუეთუ ყოველი სოფელი შეიძინოს კაცმან“ (ბალავ., 278);

„ვითარცა თვით **ბრძანა** ქრისტემან: ას წილად აქა პატივი და მერმე საუკუნესა მკვიდრ ყოფაი სასუფეველსა“ (სასულ. პოეზია, იოანე მინჩხი, 465);

„თვით ქრისტე **ბრძანებს**: „ძნელია ორთა უფალთა მონება“ (დავითიანი, 292).

როცა ერთ კონტექსტში მოხსენიებულია უფალი და მოციქულები, უფალი **ბრძანებს**, მოციქული კი **იტყვის**:

„**პავლე იტყვის**, ვითარმედ: „ქრისტეს მიერ სახარებისაგან მე გშვენ თქუენ“, და უფალი **ბრძანებს**: „უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ და არა მიიღოს წმიდაი საიდუმლოი, ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათასა“ (ხანძთ., 135).

ანალოგიური ვითარებაა, როცა საქმე მონარქსა და მასზე წოდებით დაბლა მდგომ პირს ეხება, მაგალითად:

„ხელმწიფემ **უბრძანა**: მე რა მგონია, შენ თქვიო. მან (მეცხვარემ) **უთხრა...**“ (რუსულდ., 434).

როგორც აგიოგრაფიული ტექსტებიდან ჩანს, სასულიერო პირი იერარქიულად მონარქსაც კი უტოლდება, რაც ზმნურ ფორმებზეც აისახება:

„არა მოსრულ არიან აქა ეგევითარნი მონაზონნი, რომელთასაცა **ბრძანებს** სიწმიდე შენი“ (მეფე მიმართავს გრიგოლს) (ხანძთ., 156).

ზემოთ აღნიშნული წესი შესაძლოა დაირღვეს სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, თავმდაბლობის გამო. ვფიქრობთ, სწორედ თავმდაბლობაა ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იმისა, რომ გრიგოლ ხანძთელის მიმართვა მოწაფეთა მიმართ ევფემისტურია, რადგან მას, როგორც სულიერებით გამორჩეულ მოღვაწეს, საკუთარი თავი დიდების ღირსად არ წარმოუდგენია:

„ხოლო მან (გრიგოლმა) ჰრქუა: „მმანო, ჭეშმარიტად ძირ-მტკიცე არს ჩუენ შორის სიყუარული, და შიში არა არს მას შინა. **ბრძანეთ, რაიცა გნებავს**“ ხოლო მათ **ჰრქუეს...**“ (ხანძთ., 161).

გ) ამ ძირის მქონე ფორმები დატვირთულია სხვადასხვა ევფემისტური მნიშვნელობით, მაგალითად, სასულიერო მწერლობის ძეგლებში **ბრძანება** გამოხატავს **მიცემის, ზოძების** შინაარსს, როცა საუბარია იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე მყოფი პირების შესახებ:

„მაშინ **უბრძანა** [კურაპალატმა გრიგოლს] ადგილნი მარჯუენი აგარაკად შატბერდსა“ (ხანძთ., 164).

დ) ბრძან ძირის ზმნას მოსვლის სემანტიკა აქვს (დაერთვის სხვადასხვა ზმნისწინი):

„უწყი-მეა, დედაო, რადსათვს მოვედ აწ?“ ხოლო მან ჰრქუა: „უფალმან იცის, რადსათვს **ჰბრძანე** აქა“ (ხანძთ., 196);

„და მსწრაფლ ხოლო დაწერა წიგნი ვედრებისაჲ და წარავლინნა კაცნი კეთილნი, რაითა კუალადცა **ბრძანოს** სახლსა მისსა (გაბრიელ მთავარმა გრიგოლის მიმართ)“ (ხანძთ., 144).

„ხოლო იყო ჟამი, რომელსა ერთგან იყვნეს მმანი იგი დიდებულნი, და ნეტარმან მან (გრიგოლმა) გულსმოდგინედ მოახსენა, რაითამცა **ბრძანეს** და იხილნეს მისნი იგი შენებულნი მონასტერნი...“ (ხანძთ., 165).

„თურე ბედნიერი ხარ, დღეს ყადიც აქ **მობრძანდებო**“ (სიბრძნე სიცრ., 48);

„მერმე ბოლოს **ჩაბძანდა** და იქიდან ღვინო ყველას ჩამოურიგა“ (საბა, ევროპ., 159);

„შოთამ დაგასწარ მელექსეთ, თქვენცა **მობძანდით** თუ ნელად“ (არჩილი, გაბაასება, 145);

„ჩემს შვილს ბაქართან მიბძანდით ხელი-ერთპირად კრებითა“ (დავითნი, 287);

„გაშლილა ბაღი, გამობძანდი მოახლებითა!“ (საიათნ., გიხდება ზარი, 362);

„აქ შემობრძანდით ისევე ლხინს ნახავთ, როგორც გინდეთო“ (თეიმ. II, ქება სრისა, 352);

„უწინ კახეთსა მობძანდა, იცით, რომ იქმნა რაები?“ (სააკაძე, დიდმოურ., 345);

არის რამდენიმე შემთხვევა, როცა ფორმით ევფემისტური ზმნები კონტექსტის მიხედვით ირონიის გამომხატველია:

„ვინ ვერ მიჰყვეს რუსთვლის თქმულსა, გარდმობძანდეს ასე აქეთ! მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქეთ“ (არჩილი, გაბაასება, 136);

„თუ ტყუილათ შემეჩემოს, მობრძანდეს და მოინახოს“ (თეიმურაზ მეფე რუსთაველზე) (არჩილი, გაბაასება, 150).

ე) წა(მო)სვლას, წა(მო)ბრძანებას:

„და აწ ამისთვის არს ჩუენი აქა მოსლვად, რადთა ჰბრძანო ხანძთად“ (მოწაფეები მიმართავენ გრიგოლს, ხანძთ., 216);

„დღესა ერთსა ხელმწიფე ნადირობას გაბძანდა და ვიახელით ჩვენცა“ (რუსუდ., 425);

„რად შეჭირვებულა, ანუ სად მიბრძანდება?“ (სიბრძნე სიცრ., 67);

„თუ წაბრძანდებით, წაბრძანდით, ხანსა ნულარას დაზმითა“ (მეფეს) (დავითიანი, 251);

„ისპაანითგან გაბძანდა ხელმწიფე სპითა დიდითა“ (თეიმ. II, თავგადას., 341);

„მეფე ქვათახევს წაბძანდა, ნოსტიდამ ახლო არია“ (სააკაძე, დიდმ., 335)

„აქა ბატონი თეიმურაზ მეორე შააბაზ ყაენთან წაბძანდა ქალაქით“ (არჩილი, გაბაასება, 264).

ვ) ბრძანე ნიშნავს მირთმევას. ეს ზმნა ამ მნიშვნელობით დადასტურდა საერო მწერლობის ძეგლებში:

„ნაომარნი ხართ და დამაშვრალნი, განისვენეთ, პური ბრძანეთო“ (ამირანდარეჯ., 360);

„ეგრე თქვა მან დიაცმან: მაშვრალნი ხართ და პური **ბრძანეთო**“ (ამირანდარეჯ., 428);

„მერმე ესე გვარქვეს: რად არ **ბრძანებთ** პურსაო?“ (ამირანდარეჯ., 428);

„გვენადირა და მოსრულ ვიყვენით. პური **ებრძანა** და ძილად იწვა მზექაბუკი“ (ამირანდარეჯ., 435);

იგივე სემანტიკა (**მირთმევისა**) დიალექტებიდან შენარჩუნებულია „ჩვენებურების“ მეტყველებაში: „**ბძანე**, არ შეგეხათროს, ღმერთმა შაგარგოს!“ (ფუტკარაძე 1993: 406).

ზ) დაჯდომას, დაბრძანებას:

„თქვენ მანდ **დაბრძანდით** და ჩვენზედ ასე აიღეთ ხელია“ (ხალხი ვახტანგს) (დავითიანი, 286);

„**დაბძანდი**, დაგიგო ხორასნის ხალი“ (საიათნოვა, მოდი საყვარელო, 366);

„მამებლად ვინცა ხუმრობ, მო, **დაბძანდი**, ზეით, აქით“ (არჩილი, ზნეობ., 293).

თ) ნება იბოძე, ინებე:

„აწ **ბრძანეთ** და თვით თავითა თქვენითა მოედით, თუ ბედითი საქმე გგონიათ“ (მეფეს) (ამირანდარეჯ., 316);

„აწ ხვალე **ბრძანე** და გაჯედ შენსა ცხენსა“ (ამირანდარეჯ., 324);

„თუ **ბრძანოთ**, უხმენით დიდებულნი და ვაჭარნი“ (ამირანდარეჯ., 446).

ეს ზმნა გამოყენებულია ყოფნის სემანტიკით; ბატონი მოიხსენიებს სხვა პატივსაცემ ადამიანებს:

„დიდად მოწყალე **ბრძანდები**, მაგრამ ვირემ კაცს სისხლს არ დაათხევინებ, არას მისცემო“ (სიბრძნე სიცრ., 117);

„ზოგნი შინა აქ **ბძანდებით**, ზოგნი გარეთ, შემოკრებით“ (დავითიანი, 247);

„რუსთველმან თქვა: „ვით **ბრძანდები**, ღვთის წყალობით შენ მოსრულიო?“ (არჩილი, გაბაასება, 166);

„გარნა საღმრთონი სჯულნი მეფეთაცა ზედა მთავრობად ბრძანებულან...“ (კორპ., 1, 1263 წ., 174);

„ვინცავინ დარბაისელი ამ სამართალში იქ **ბძანდებოდნენ**, იმათის დამოწმებითა ესე სამართალი ვქენით“ (დოკ. 141, 101; სამართალი იოთამ ამილახორისა გივი თუმანიშვილისა და ავთანდილ კაჭკაჭიშვილის საქმეზე, 1697 წ.).

ი) საერო მწერლობის ძეგლებში **უბრძანა** გამოყენებულია **ჰკითხა** ზმნის სემანტიკით:

„**უბრძანა**: ვინ არისო? მან **მოახსენა**: ზღვათა მეფისა ასულისა გამოყვანებად წაედ“ (ამირანდარეჯ., 291);

„ხელმწიფეს თვალი მათზე დარჩა და **უბრძანა** მეცხვარესა: ეს ყმაწვილები შენია თუ სხვისიო?“ (რუსუდ., 415);

„ვარდმან **უბრძანა** ბულბულსა: „შენს ლაყაბს ვინ აუაო?“ (თეიმ., ვარდბულბ., 57);

„მას **უბრძანა**: „ბერო კაცო, ვინ ხარ ანუ სადკენ წახვალ“ (ციციშვ., ბარამგ., 113);

„მოვიდა მონა, **უბრძანა**: „რა ჰქენ, რა გამიკეთეო?“ (არჩილი, გაბაასება, 187);

„ბატონიშვილმან **გიბრძანა**, ვინ არის მუხრანთ თავია?“ (სააკაძე, დიდმ., 343);

„**უბრძანა** ძერას: ...მუდამ რად ყივიო?“ (სიბრძნე სიცრ., 31)...

დოკუმენტებში **თქმას** ენაცვლება **მოგახსენეთ** და **გკადრეთ** ზმნა, რომელიც სვეტის, ეკლესიისადმი მიმართვაში გვხვდება.

საზოგადოების ფენებს შორის დამოკიდებულება ისტორიული დოკუმენტების მიხედვით განსაკუთრებით კარგადაა გადმოცემული ორ მაგალითში, კერძოდ, მეფის მიერ დაწერილ სითარხნის წყალობის წიგნსა და დედოფლის წყალობის წიგნში: „...აწე უზედესთა **მოგახსენებთ** და უქუედესთა **გიბძანებთ**“ (დოკ. 92, 64; სითარხნის წყალობის წიგნი, მიცემული გიორგი მეფის მიერ შემაბერიძეთადმი, 1679 წ.); „აწე უქესთაესთა **მოგახსენებთ**, უქუედ[ა]ესთა **გ[ი]ბ[ძან]ებთ...**“ (დოკ. 112, 79; ყმების წყალობის წიგნი მიცემული ჯაჰანბანუ დედოფლის მიერ ფალავან ხოსროსადმი, 1688 წ.).

როგორც ჩანს, ერთი და იგივე შინაარსი დოკუმენტებში გამოიხატება იმის შესაბამისად, თუ ვის მიმართავენ ან ვის შესახებ არის საუბარი. მაღალი წოდების მქონე ადამიანი მასზე მაღლა მდგომს ანუ „უზედესს“ **მოახსენებს**, დაბლა მდგომს, „უქუედესს“ კი **უბრძანებს**. მაგალითები:

ბრძანებს ზმნა დოკუმენტებში ევფემისტური ფუნქციით გამოიყენება სხვადასხვა შემთხვევაში, კერძოდ:

1. მეფე **ბრძანებს** ზმნას პირველი პირის ფორმით იყენებს საკუთარი თავის მიმართ; ამასთან, ზმნა მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი:

„არცა ვინ **გუიბძანებია** მშლელ და მქცევარი ბრძანებულისა ამის ჩუენისა“ (დოკ. 2, 2; სითარხნის წყალობის წიგნი, მიცემული გიორგი VIII-ის მიერ ფილიპე ერემადისადმი, 1454 წ.).

2. მეფე ან დედოფალი მიმართავს თავის ხელქვეითებს:

„აწე **გიბ[ძანე]ბთ** დიღმის ტარუღნო, მელიქნო და სხვანო...“ (დოკ. 12, 11; სითარხნის წიგნი, მიცემული სვიმონ I-ის მიერ ნათანელ ირემას-ძისადმი, 1582 წ.).

„ქ. მეფე ბაგრატ **გიბძანებთ** იმედო, ქალაქის მელიქო და მამასახლისო!“ (დოკ. 19, 17; ოქმი ბაგრატ მეფისა ქალაქის მელიქისადმი, 1616-1619 წ.).

„ქ. მეფე თეიმურაზ **გ[ი]ბ[ძანე]ბთ** ერთობილნო მანგლისის მღუთისმშობლის ყმანო და სამწყსონო!“ (დოკ. 26, 21; ოქმი თეიმურაზ I-ისა მანგლისის ეკლესიის ყმათადმი, 1630 წ.).

„აწე **გიბ[ძანე]ბთ** კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო...“ (დოკ. 30, 24; მამულის თარხნობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ მერაბ ყორღანაშვილისადმი, 1634 წ.).

3. თანამდებობის პირი (მდივანბეგი) **უბრძანებს** (ბრძანების გაცემის მნიშვნელობით) ბატონს, კათალიკოსს, ბატონი კი – ყმას:

„მდივანბეგმა **მიბძანა** ან საზღაური მიეციო და ან ბიჭისაგან ხელი აიღე“ (დოკ. 98, 70; საზღაურში ბიჭის მიცემულობის წიგნი, დათუნა და სეხნია დავრეშაშვილების მიერ ოთარ ყორღანაშვილისადმი, 1681-1700 წ.).

„იესე ჭარმეული და კანდელაკი მიუგზავნე და ასე **მიბძანა** კათალიკოზმა... ვინც დაგიხსნაო, მასვე ეყმევო“ (დოკ. 28, 22; ბატონყმობის წიგნი, მიცემული გიორგი და ხუცია ალაიანელების მიერ შერმაზ და სხვა სუმბულიძეთადმი, 1630 წ.).

4. მეფე ევფემისტურად **ბრძან** ძირის მქონე ზმნით მოიხსენიებს უფლისა და დავით მეფის ნათქვამს:

ბ) კადრება დასტურდება სხვადასხვა მნიშვნელობით: თქმა, მოხსენება, გაბედევა, მიცემა...

თქმა, მოხსენება:

„ჩვენ ვერას ვკადრებდით, წავედით და ზედა დავადეგით“ (ამირანდარეჯ., 412);

„იტყოდა: „**ვჰკადრე**, მე შევქმენ ადრე მათი ქვეყანა მოოჯრებულად“ (საერო პოეზია, ჩახრ, თამარიანი, 458);

„**მოლარე ჰკადრებს**: „მოვიდა აწელა ფერ-ნამკრთალიო“ (ვეფხისტყ., 27);

„მან მოახსენა: „**ვიკადრებ**, რასცა ოდენ ვარ მცნებელი“ (ვეფხისტყ., 233);

„ვერცარა ვინ **ჰკადრა** სიტყვა ერთი დასაშლელი“ (რუსუდ., 469);

„მრავალი სხვა ასეთი ტყუილი ითქვა, ვერც დავისწავლე და არც მეფეთ წინაშე **იკადრება**“ (სიბრძნე სიცრ., 106);

„**ჰკადრე**: „თქვენს ხმალსა მოვედეგ, ყმობა ვერა ვჰქმენ სხვისანი“ (სააკაძე, დიდმ., 381);

„რაცა **ჰკადრეს**, ხელმწიფესა მოეწონა მათგან თქმულნი“ (ციციშვილ., ბარამგ., 123);

„**ჰკადრა**: „ეჰა ხელმწიფეო, მე ვარ მანი, სრული ზნითა, შენ **გეახელ** ჩინეთითგან, მოვალ დიდის იმედითა“ (ციციშვილ., ბარამგ., 113);

„ესე რა **ჰკადრეს** მას მზესა, ველარ დაატყვეს ნდობანი“ (თეიმ., ქეთევ., 20);

„ხაბაზის შვილმან **შეჰკადრა**: „თორნეში გამოაცხეო“ (არჩილი, გაბაასება, 188).

ერთი კონტექსტის ფარგლებშიც ცხადი ხდება იერარქიული დიფერენციაცია:

„**უბრძანეს**: „**გვითხართ**, ვაჭარნო, ამბავი ინდოეთისა“. მათ **ჰკადრეს**: „ზეცით მოსრულა ინდოეთს რისხვა ზეცისა“ (ვეფხისტყ., 288);

„**უბრძანა**: „რა გჭირს, რა იცი, რად მოხვე შეჭირვებული?“ მან **ჰკადრა**: არა ვიციო, მართ ვარ თავისა ვებული“ (ვეფხისტყ., 143)

„მეფე **ჰკითხავს**, იგი **ჰკადრებს**, რაცა ჭირი დაეთმინა“ (ვეფხისტყ., 132);

როსტომ თქვა: „იცი, აჭარს კარგა მამული მიძეო; მე ვჰკადრე: „იმერეთს ჩავალ, გიორგი მეფეს ვნახაო“ (სააკაძე, დიდმ, 355).

გაბედვა, შეკადრება:

„ხოლო კაცმან მან ვერ იკადრასიტყვად მისა...“ (შუმ., 14);

„საქმე ესე ფრიად შეუძნდა იოვანეს, გარნა ვერ მკადრე იქმნა წინაგანწყობად ორთავე მათ ბრძანებასა“ (სერაპ., 119);

„წმიდათა ამათ ადგილთა მარადის ჳსენებასა შენსა ვიკადრებთ ლოცვათა შინა ჩუენთა“ (ხანძთ., 204);

„მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?!“ (ვეფხისტყ., 15);

„მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შე, რისა“ (ვეფხისტყ., 9);

„მან ბრძანა: ვითარ ვიკადრო მეფემან საქმე ქურდული“ (დავითიანი, 251);

„შეჰკადრეს: რასთვის შექმნილხარ ველად ვით მრბოლი ხელია“ (დავითიანი, 286).

ერთ მაგალითში ეს ზმნა მიცემას ნიშნავს:

„ანდერძი ჰკადრა, ატირდა, სიცოცხლე უჩნდა ზიანად“ (შერმადინმა როსტევეანს) (ვეფხისტყ., 156).

ისტორიული დოკუმენტების ენაში განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა თავაზიანი, ევფემისტური გამოთქმები გამოყენებულია უსულო საგნის მიმართ. მაგალითად, ასე მოიხსენიებენ ან მიმართავენ ხატს, სვეტს, საყდარს, ეკლესიას. ქრისტიანული ტრადიციით ამგვარი რამ უჩვეულო არ არის ქართულში. მაგალითად, ევფემისტურია ხატთან, ჯვართან, წმინდა ნაწილებთან დაკავშირებული გამოთქმები (იხ. ქვემოთ, გვ. 68-69).

გ) მოახსენა ფართოდ გამოიყენება წერილობით ძეგლებში, რაც იერარქიული პრინციპითაა განპირობებული. თ. კოჭლამაზაშვილი მიუთითებს, რომ მოჰსენება ზმნით ლიტურგიკულ და სხვა სახის ტექსტებში გამოხატულია თხოვნა, ვედრება, მიცემა,

მირთმევა, დარწმუნება, თავმდების წარდგინება... (კოჭლამაზაშვილი 2008¹⁹). ჩვენს საანალიზო ტექსტებში იგი **უთხრა, უპასუხა** ზმნათა მნიშვნელობითაცაა გამოყენებული:

„უბრძანა ბადრი იამანის ძემან: მაშ, ვინ იცის იგი გზაო? მან **მოაჯსენა**: ცოტასა ხანსა მე ვიცო“ (ამირანდარეჯ., 291);

„და უბრძანა აბუტარს: (ამბრი არაბმა) ჳამს, რომელ ახალმოსულთა ზედა კარგი ნაქმნარიო? **მოაჯსენა** აბუტარ: დია ღმერთო!“ (ამირანდარეჯ., 317);

„მე მიბძანა: ახლო დაჯეო! მე **მოვახსენე**: ველარ გენდობი-მეთქი. მიბძანა: რისთვიო? **მოვახსენე**: უცხოს კაცის გასტუმრება ავად გცოდნია-მეთქი“ (რუსუდ., 416);

„უბრძანა: (მეფემ) ვით არ არის შეუჭრვებელი კაციო? მან **მოახსენა**: არა, მეფობანმან შენმანო“ (სიბრძნე სიცრ., 39).

ჩვენს საანალიზო ტექსტებში მოხსენება გვხვდება ეთიკეტური ფუნქციით: იერარქიის დაბალ საფეხურზე მდგომი მაღალ საფეხურზე მდგომს მოახსენებს:

„**მოაჯსენეს** ხელმწიფეთა მათ“ (ხანძთ., 167);

„დაიფარე ყოველი, რადცა გითხრა და **მოგაჯსენო**“ (ბალავ., 236);

„მიჩუნე მე ბერი და **მოაჯსენე** ჭირი ესე ჩემი“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 382);

„**მოაჯსენა**: ცხოვნი ამირთა ამირო! ჩემი ამბავი ყველა სრულობით **მოგაჯსენო**“ (ამირანდარეჯ., 374);

„მან **მოახსენა**: „დაღრეჯით ზის, სჭირსო ფერ-შეცვლილობა“ (ვეფხისტყ., 27);

„**მოახსენა**: ხელმწიფეო, ვიკადრებ და ნუ გასწყრები“ (ვეფხისტყ., 300);

„...**მოახსენოს**: „ხელმწიფეო, შენთვის დღენი გავიწამე, რაც მიბძანო სამსახური, წავაკვდე და წავე წამე!“ (სააკაძე, დიდმოურ., 378);

„**მოახსენეს** ათაბაგსა: „რად არ ბრძანებ უმჯობესსა?“ (არჩილი, გაბაასება, 221);

„ვეზირთა **მოახსენეს**: ნუ, ხელმწიფეო!“ (რუსუდ., 426);

„**უბრძანა** მეფემან: არა ნდომითა ჩემითა არის. **მოახსენა** ლეონ: ხელითწერილი მომეც ფიცისა“ (სიბრძნე სიცრ., 28)...

¹⁹ <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11-11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.22&d=HASH0168a5e59a3e9591fcc02a39.2.5> (მოძიებულია: 9 ივლისს, 2015).

იგავ-არაკების კრებულში „სიბრძნე სიცრუისა“ ძირითადად გვხვდება **თქვა**: „თქვა სედრაქ არაკი“, **მოახსენა** იშვიათია: „**მოახსენა** არაკი“.²⁰

V-XVII საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტებში ევგემისტურობა გამოხატულია ზმნური ფორმებით **გკადრეთ** და **მოგახსენეთ**. **მოხსენება** ამ კონტექსტებში დატვირთულია **მორთმევის**, **ბოძების** სემანტიკით:

„**(გ)კადრეთ** და **მოგახსენეთ** თქუენ, ცათა-მოზამავსა საყდარსა სუეტსა-ცხოველსა, კუართსა საუფლოსა, მირონსა ღ[მერ]თ-მყოფელსა... აზნაურიშვილნი და გლეხნი თქუენტუის სამსახუროდ **მოგუიხსენებია**... ვითაც თქუენტუის ბეთალმნად დადებული იყო და სხუას ერისკაცს არას ეხელყოდა, ისრევ თქუენ **[გ]კადრეთ** და **მოგახსენეთ** მოუშლელად“ (აწყურიდან ლოდეთს ჩამოსული ყმების შეწირულობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1654 წ., დოკ. 38: 29-30);

„კითხვითა და თანადგომითა და ნებადართვითა ქართლისა კ^წ პატრიარქისა ნიკოლოზისითა **მოგახსენეთ** და **შემოგწირეთ** ზემოაღწეით თექუსმეტი კუამლი კაცი“ (ყმების შეწირულობის წიგნი, მიცემული კახთა მეფის ლეონ II-ის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1569 წ., დოკ. 8, გვ. 7);

„ესე წიგნი და სიგელი **გკადრეთ** და **მოგახსენეთ** თქუენ, სვეტსა ღ[უ]თივ აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღ[მერ]თმყოფელსა და ბატონისშვილსა კ^წსა პატრონს დომენტის ჩვენ, ციცის-შვილმან ბატონმან ციციმ, ძმამან ჩვენმან ქაიხოსრო, ედიშერ...“ (საკანონოს გადახდის წიგნი, მიცემული ციცი და სხვა ციციშვილების მიერ დომენტი კ^წისადმი, 1664 წ., დოკ. 56, გვ. 41);

„**(გ)კადრეთ** და **მოგახსენეთ** გუჯარი ესე თქუენ, სუეტსა ღ^წთივ აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთ-მყოფელსა და კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა...“ (მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1601 წ., დოკ. 13, გვ. 12-13);

²⁰ https://wikisource.org/wiki/წიგნი_სიბრძნე_სიცრუისა (მოძიებულია: 16 აგვისტოს, 2015).

„აწ მე მომიგსენებია ორი ათასი ცხუარი... ასი ფური მომიგსენებია, რომელ თრიალეთს... დგეს“ (კორპ. 1, დოკ. 9-13, 56);

„მოგუიგსენებია სოფელი ხოვლე ზურითა, ხოდაბუნითა, ტყითა...“ (კორპ. 1, 1260 წ., 148)...

ეს ზმნა გამოყენებულია თქმის სემანტიკითაც:

„ეს ჩუენი გულითადი მღრდელ-მონაზონი ნიკიფორე გიუახლებია და ჩუენი საქმე და გულის პასუხი ამისის პირით მოგუიხსენებია“ (1626 წ.);²¹

„მოვიდა ჩუენ წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონი ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი... და მოგუაგსენა, რადთამცა შევიწყალნეთ“ (კორპ. 1, 1195-96, 100);

„აწ მოვიდა ჩუენს წინაშე სულა ქართლის ერისთავი... გუეჰაჯა და მოგუაგსენა, რადთამცა შევიწყალეთ“ (დოკ. 1., 1207-1222, 107-108)...

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დოკუმენტებში ზოგჯერ ტადარი მოხსენიებულია **შენ** ნაცვალსახელითაც: ავტორი (მეფე) შენობით მიმართავს ეკლესიას, „კათოლიკე სამოციქულო საყდარს“, მაგრამ იყენებს ევფემისტურ ზმნებს (**კადრეთ**, **მოგახსენეთ**):

„შენ მიერ მტერთა ზედა და წინააღმდგომთა ძლიერმან...“

„შენ, ხატო ყოვლად ძლიერო სამოციქულო ეკლესიავო, შეიწირე მცირე ესე შესაწირავი და ნაცულად გუაგენ წყალობანი შენნი... ვკადრეთ და მოგახსენეთ ცათა მობაძავსა კათოლიკე სამოციქულო საყდარსა შენსა ჯიმიით...“ (მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1601 წ., დოკ. 13: 12-13).

²¹ <http://laprensaiberic.com> (მოძიებულია: 16 აგვისტოს, 2015).

დოკუმენტების მონაცემთა მიხედვით, კარგად ჩანს მაშინდელი საზოგადოების იერარქიული მიმართების სურათი, რომელიც სქემატურად შეიძლება გამოისახოს ასე:

სქემა 7.



იერარქიის პრინციპის გათვალისწინებით განვიხილავთ თქმასთან დაკავშირებულ ზმნურ ფორმებს: ბრძანება, მოხსენება, კადრება. სქემა მიიღებს ასეთ სახეს:

სქემა 8.

ადრესატი/ადრესანტი	საყდარს	მეფეს	ბატონს	ყმას
უფალი	–	–	უბრძანებს	უბრძანებს
მეფე	კადრებს, მოახსენებს	–	უბრძანებს	უბრძანებს
ბატონი	კადრებს, მოახსენებს	მოახსენებს	–	უბრძანებს
ყმა	–	მოახსენებს	მოახსენებს	ეტყვის

ამდენად, **(გ)კადრეთ და მოგახსენეთ** ზმნების გამოყენების თავისებურებათა გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკლესიისადმი მიმართვისას მოცემულ კონტექსტებში გამოყენებულია ევფემისტური ფორმები, რომელთა არსებობას განაპირობებს სარწმუნოებრივი ფაქტორი. ეკლესია, სვეტი გასულიერებულია. ადამიანებს მათდამი დიდი მოკრძალება აქვთ, შეიძლება უფრო მეტი, ვიდრე მეფისადმი, ბატონის ან სხვა მაღალი წოდების პირებისადმი.

დ) მიცემა/ბოძება სხვადასხვა ფორმით საერო მწერლობის ძეგლებში გვხვდება. ამ ზმნის გამოყენებაც იერარქიული პრინციპით არის ნაკარნახები და განპირობებულია ადრესანტის სტატუსით: მაღალი სტატუსის მქონე (უფალი, მეფე, ბატონი...) დაბალი სტატუსისას უბოძებს, ის კი მიართმევს. ამ სოციალურ დიფერენციაციას კარგად გამოხატავს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი მაგალითი: ვაჭრები დედოფლის შესახებ ამბობენ:

„ჩვენ მივართვით, მათ **გვიბოძეს**, ავავსენით, ავივსენით“.²²

ასევე, მრავლადაა მაგალითები სხვა საერო სტილის ტექსტებში:

„მისგან (თამარ მეფისგან) **ბოძება** – ართუ მოძება მრავლად ვიხილეთ ტკბილის გულეებით“ (საერო პოეზია, შავთ., აბდულმეს., 500);

„**უბოძა** დიადი მათცა და გაგზავნა მომადლებულნი“ (ამირანდარეჯ., 347);

„იგი ძმანი სამნივე თან ახლდენ და მათ **უბოძა**“ (რუსულ., 480);

„ერთი სამეფო საკარგემო, **უბოძა** ამირბარობა“ (ვეფხისტყ., 62);

„მისთვის იყო შესაწირვად რა **მიბოძა** და მიზადა“ (თეიმ., მაჯამა, 90);

„ვინ რა სთხოვა, **მიუბოძა** აღუსრულა მათი ნდობა“ (ციციშვი., ბარამგ., 108);

„თუ რამ ბატონმა **გიბოძოს**, ორის ხელით ჩამოართვი“ (არჩილი, ზნეობ., 293);

„სხვაც **გვიბოძა** მამულები, სარჩო კარგი სანჯახები“ (სააკაძე, დიდმ., 383);

„ას სამოცი იქაური სკუთი **ებოძა**, სამასი მარჩილია, გზის ხარჯად“ (საბა, მოგზ. ევროპ., 159);

„დეკემბერს ღმერთმან კაი ქარი **გვიბოძა**“ (მოგზ. ევროპ., საბა, 170);

„მრავალი **უბოძა** და გაისტუმრა“ (სიბრძნე სიცრ., 113);

²² <http://www.nplg.gov.ge/sakolo/index.php?a=term&d=18&t=21059> (მოძიებულია: 19 სექტემბერს, 2015).

„ზოგს უბოძოს, შინ გაგზავნონ, სხვა რა იყოს მისი სწორა?“ (ვახტანგ VI, სალბუნად გულისა, 191);

„წამოველ, გზაზედ უფალმა მიბოძა საზდომდღევარი“ (დავითიანი, 274);

მაგალითში „უბოძა წიგნი მეფემან“ (ამირანდარ., 289) ზმნა გამოყენებულია არა ჩუქების, არამედ მიცემის/გადაცემის მნიშვნელობით (გადასცა წერილი). ზოგჯერ ბოძება ნიშნავს გაგზავნას:

„რა დილა გათენდა, კაცი ებოძა“ (რუსუდ., 479);

„ჩემთვის ერთი დიდებული კაცი, ებოძა“ (რუსუდ., 475);

„ხელმწიფესა ეცნა ჩემი მისვლა და კაცი ებოძა“ (რუსუდ., 470).

დოკუმენტების ენაშიც მიცემის შინაარსის გამომხატველია ევფემისტური ბოძება. ვფიქრობთ, დოკუმენტებში გიბოძეთ ზმნის ევფემისტურობა გამოწვეულია არა ადრესატის ფაქტორით, არამედ იმით, თუ ვინ მიმართავს მას. ამ ზმნას იყენებენ მეფე, დედოფალი, კათალიკოსი, ბატონი. ისინი ამით ხაზს უსვამენ თავიანთ წოდებრივ უპირატესობას (ამას ადასტურებს ნაცვალსახელურ ევფემიზმთა პოვნიერება, რაზეც აქ დაწვრილებით არ შევჩერდებით). მაგალითად:

„ჩუენ, მეფემან პატრონმან როსტომ... ესე... წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ... ყმათა ყორღანაშვილთა“ (დოკ. 30, 23; მამულის თარხნობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ მერაბ ყორღანაშვილისადმი, 1634 წ.).

„ჩვენ, დედოფალმან პატრონმან მარიამ ესე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ...“ (დოკ. 33, 26; წყალობის წიგნი, მიცემული მარიამ დედოფლის მიერ ზენზად ლარამის ცოლის მარიხისადმი, 1640 წ.).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გიბოძეთ ზმნა გვხვდება -თ ბოლოსართის გარეშეც, როცა მას ნაცვალსახელით გამოხატული ირიბი ობიექტი მხოლოდით რიცხვში შეეწყობა: „ესე წყალობისა და სითარხნის წიგნი გიბოძე ჩვენ... ბატონმან თარხანმან ბეჟან და ჩემმა ძმამ დემეტრემ შენ“ (დოკ. 150, 108; სითარხნის წიგნი... 1700 წ.); სხვა შემთხვევაში, როცა ირიბი ობიექტი მხოლოდით რიცხვშია, გიბოძეთ ფორმის -თ სუბიექტს გამოხატავს და ევფემისტურ ფუნქციას იძენს. მაგალითად: „...დედოფალთა დედოფალმან თამარ ესე

წყალობისა... სიგელი გიბოძეთ შენ, ერემაძეს ფილიპე მღრდელსა“ (დოკ. 2, 2; სითარხნის წყალობის წიგნი... 1453 წ.);

„რად არავინ გამოაჩინა, რომე საყდართა სოფელი ვის ზედა გაცემულ-იყოს და ეწეროს, თუნიერ ამისსა, რომე თქუენ გაგიცემიან და გაგიბოძებიათ სიგლითა“ (დოკ. 1, 172, 1263 წ.)...

ტროპარებში დასტურდება ზმნური ევფემიზმი მიუბოძა: „ხოლო მან ძითურთ თვისით მიუბოძა ზღუასა ხატი იგი.“²³

ზმნათა აღნიშნული თავისებურებანი გვიჩვენებს, რომ თავაზიანობის, როგორც კატეგორიის, გამოხატვა დოკუმენტების ენაში არასტაბილურია: ერთის მხრივ, მისი ნიშანი (-თ ბოლოსართი) იკარგება, მეორე მხრივ კი, ნაცვალსახელი შეეწყობა არა ევფემისტური მრავლობითის, არამედ მხოლობითი რიცხვის ფორმით.

ე) მოტანა/მორთმევა. მორთმევა პირველი პირის ფორმით გვხვდება ბიბლიურ ტექსტებსა და აგიოგრაფიაში, გამოიყენება როგორც სულიერ, ასევე უსულო საგნების მიმართ, მაგალითად:

„მომართუთ საწყაული წყლისა და დაასხით საკურთხეველსა მას ზედა“;²⁴

„მითვე ცხედრითურთ მომართუთ მე იგი აქა, რათა მოვკლა იგი!“²⁵

„მივედ და მომართუ იგი ყოველივე, რადცა რად არს“ (შუმ., 19);

„შვილო, გაბრიელ, საოსტიგნით ცხელი საჭმელი კორკოტისა და მომართუ“ (ხანძთ., 225).

როგორც ჩანს, ამ პერიოდში მორთმევა ზმნის ეთიკეტური ფუნქცია მკვეთრად გამიჯნული არაა ნეიტრალური მოტანა ზმნის სემანტიკისაგან, ამიტომაც გვხვდება იგი პირველი პირის ფორმით²⁶ და იყენებენ როგორც მაღალი, ასევე დაბალი იერარქიის

²³ <http://www.orthodoxy.ge/lotsvani> (მომიებულია: 20 სექტემბერს, 2015).

²⁴ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=38405&LXWORD=D710D010D510D010D310DB10D010DC10&LCPL=0&TCPL=0&C=H&PF=760> (მომიებულია: 30 სექტემბერს, 2015).

²⁵ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/ntkplmt/ntkpl.htm?ntkpl471.htm> (მომიებულია: 3 მაისს, 2018)

²⁶ ტაოურსა და იმერხეულში შემონახულია ფრაზეოლოგიზმი „შენი თვალები მომართვი“, რაც ნიშნავს „შენს თვალებს ვენაცვალე“ (მიქაუტაძე 2013:217).

წარმომადგენლები. შემდგომ პერიოდში ეთიკეტური ფუნქცია უფრო იკვეთება: **მოტანა/მორთმევა** ზმნები მონაცვლეობენ იერარქიული პრინციპით: დაბალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი მაღალ საფეხურზე მდგომს **მიართმევს** – ძღვნად მიუტანს (აჩუქებს) ან უბრალოდ მისცემს.

ჩუქების გამომხატველი:

„რამეთუ ტალანტი იგი... განამრავლე და **მიართუ** ღმრთისა ეკლესიასა ბევრწილად“ (ჰიმნოგრ., ბასილი, გალობანი... 505);

„ადიდებდეს ღმერთსა და **მოართუმიდეს** საკმარსა მრავალსა მონასტრისათჳს“ (ილარ., 283);

„დია კაი ბატკანია, **მივართვამ**, წყალობას მიზამსო“ (რუსუდ., 484);

„**მოგართვი** თევზი, ბადესა სავსე მაქვს ვის ბაყაყითა“ (არჩილი, კაცისა და სოფლ., 284);

„ყოველმან კაცმან ძღვენი **მოართვეს** მეფეს და დედოფალს“ (ამირანდარეჯ., 301);

იგი ცხენი მეფესვე **მიართვა** და მეფემან სხვა ურიცხვი საქონელი უბოძა“ (სიბრძნე სიცრ., 63);

„ვინც ჩამოაგდებს ოქროს ვაშლს, **მიართმევს**, მეფეს წინადა“ (თეიმ., სარკე თქმულთა, 328);

„ქალს გაატანა ზითევად: „**მოგართმევ**, იყოს მო შენდა“ (არჩილი, გაბაასება, 173)...

მოტანის გამომხატველი:

„მაშინ იერუსალჴმით მოიწია კაცი, რომელმან **მოართუა** საბაწმიდისა განგებად და წერილი“ (ხანძთ., 153);

„მან მოკუეთა თავი მისი მახვლითა, და შეართუა მეფესა თჳსსა“ (კონსტ., 79);

„მაშინ იწყო ტირილად... და მოართუა ყოველი მონაგები თჳსი“ (ილარ., 283);

„**მოართვეს** წიგნი სავარსამისძის ძესა“ (ამირანდარეჯ., 288);

„ასმათის წიგნი **მომართვა** მე, მეტად შეჭირვებულსა“ (ვეფხისტყ., 81);

„ამ სნეულს ეს საქმელი **მიართვით**, ამას ესო და იმ საქმელს **მიართმიდენ**“ (საბა, მოგზ. ევროპ, 164).

მორთმევა ძირითადად კონკრეტულ საგანზე ითქმის, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც, მაგალითად:

„ავთანდილს უსამ **მოართვა** ვაჭართა შემოთვლილობა: „შენგან ვართ მიმაგრებულნი...“ (ვეფხისტყ., 194). როგორც კონტექსტიდან ჩანს, აქ აზრის მოახსენებაზეა საუბარი.

V-XVIII საუკუნეთა ისტორიული დოკუმენტების მიხედვით ევფემისტურობას გამოხატავს ზმნური ფორმა **მივართვით**. ეს ზმნა ეკლესიისადმი მიმართვაში არის გამოყენებული:

„...ჩვენ დაუდევით სვეტს ცხოველსა და **მივართვით** ჩვენის აზნაურშვილის მკუიდრი ყმა ორი კომლი კაცი“ (საკანონოს გადახდის წიგნი, მიცემული ციცი და სხვა ციციშვილების მიერ დომენტი კ~ზისადმი, 1664 წ., დოკ. 56: 41).

ასევე:

„რაც თევზი იშოებოდეს ამის ღირებულის ფასით, იმას მოიღებდეთ, ...დეკანოზს **მიართმევდე** საწირავად შაურსა ორსა“ (დოკ. 138, 99);

„ესე ფიცი, პირი და ნასყიდობის წიგნი **მოგართვით** ჩვენ...“ (დოკ. 53, 39);

„და ენკენიასა და წელიწდის თავსა მემღუიმესა ძღუენსა **მოართუმიდეს**“ (კორპ. 1, 131)...

ვ) **მოძღუანება** (ძღვნად მორთმევა) – **უძღვანა, მიუძღვანა** გვხვდება **მოტანა/მორთმევა** ზმნის სინონიმად:

„ხუცეს, **მიუძღვანო** სამკაული ესე მისი?“ (შუმ., 19);

„აღწერე მარტვილობად წმიდისა მოწამისა ჰაბოდის და აღწერილი ჩვენ **მოგკძღუანე**“ (აბო, 44);

„ამის კაცისა პატიჟი მე არარად ჯელ-მეწიფეების... არამედ **წარუძღუანო** ეგე ტფილის ქალაქსა არვანდ გუშნა[ს]ჰს, ქართლისა მარზაპანსა“ (ევსტ. 29);

„ხოლო ჩვენ რად შესხმად **მოგიძღუანოთ**, რამეთუ უზეშთაეს კაცთა ბუნებისა არს ბრწყინვალეებით წარმატებად ცხორებისა შენისად“ (სერაპ., 129);

„დიადი შესაწირავი მიუძღუნა და შესწირა წინაშე მთავარმოწამისა გიორგისსა“ (ხანძთ., 224);

„ვითარცა შევიდა წინაშე მეფისა... კურთხევად შვილითურთ მიუძღუნა“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 390).

„უძღვანა კვლაცა ამირან დარეჯანის ძემან ძღვენი“ (ამირანდარეჯ., 336);

„დღე მოვიდა ნავროზობა, დედოფალსა ძღვენი ვსძღვენით“ (ვეფხისტყ., 208);

„მან უძღვანა ძენი ტურფანი ალექსანდრე და ლევანი“ (თეიმ., ქეთევ., 12);

„დღესა ერთსა ერთმან ქოსამან ყვავილი მოუძღვანა“ (სიბრძნე სიცრ., 147).

ზ) ეთიკეტური ფუნქციითაა დატვირთული ასევე მიჰგვარა ზმნა:

„მიჰგუარა წმიდასა ნინოს და ევედრებოდა განკურნებად“;²⁷

„მიუგვრიაო მეფისა, ზღვას იქით წამავლისადა“ (ვეფხისტყ., 226);

„მიდით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მჯდომარე“ (ვეფხისტყ., 25)

„პირველ მიველ, ძმა მივართვი და მერმე დაც იქ ჩავგვარე“ (არჩილი, გაბაასება, 191);

„ძე მისი ეფთჳმე სხუათა თანა უფლისწულთა მძევლად მიჰგუარეს მეფესა“ (იოანე და ექვთ., 296);

„გაეხარნეს და მიბრძანა: მომგვარე იგი კაციო“ (ამირანდარეჯ., 291);

„ამით მორჩა, და მამა-დედას მთელი მიჰგვარა“ (სიბრძნე სიცრ., 95)...

თ) ხლება ზმნა ნიშნავს ახლოს ყოფნას, მოახლოებას, ენობრივი ეთიკის დონეზე კი – ყოფნას (გახლავარ). ეს ზმნა, ჩვენი საანალიზო ტექსტების მონაცემთა მიხედვით, ახლოს ყოფნის მნიშვნელობით გვხვდება აგიოგრაფიაში, საერო მწერლობაში:

„უკუეთუ ვინმე მოძღუარსა თვისსა არა ეახლოს...“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 382);

„სადამდის ვიცი, გაახლები“ (ამირანდარეჯ., 355);

„თქვა: „თუ მე მასმცა ვეახელ აწ ცხელსა ცრემლსა ვღვრი არა“ (ვეფხისტყ., 40);

„ერთიღა ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის სკამითა“ (ვეფხისტყ., 27);

„თუ გაახლო, ერთხელ ვა და, რა მოგზორდე, ათასჯერ ვა?“ (ვეფხისტყ., 135);

²⁷ <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0antholog--00-1--0-10-0---0---0prompt-10-...-4-----0-11-11-en-50---20-about--00-3-1-00-0-0-11-1-1utfZz-8-00&cl=CL2.24&d=HASH01b05c0b01aaaaaf55039cb5&x=1> (მოძიებულია: 10 ოქტომბერს, 2015)

„თუ თავი შენი შენ **გახლავს**, ღარიბად არ იხსენები“ (ვეფხისტყა.,155);

„დღეყოველ მიბრძანებდა მოსვლასა და, როსცა **ვიახლებოდი**, ახლო დამისვებდა“ (რუსუდ., 414);

როგორც ტექსტებიდან ჩანს, იგი ეთიკეტური ფუნქციით გამოიყენებოდა XII საუკუნიდან. მაგალითად:

„მას უკან თქვენი მხევალი და მოსამსახურე **გახლავარ** და, რომელიც შენი ნება იყოს, იგი ჰქენით“ (თიმსარ.);²⁸

„ბრძანებაა ხელმწიფისა, თვით **ვაახლებთ** ჩვენს ასულთა“ (ბარამგ., 123);

„ხელარგოსანი **გაახელ**, რად არ მოხველ?“ (სიბრძნე სიცრ., 53);

„დავით **გახლავსთ**, ეგ შეგაქცევსთ, მესმის, იცის ჩანგთა მღერა“ (დ. სააკაძე, დიმიტრი სააკაძეს მიერ მოწერილი... 223);

„მინდა **გიახლო**, პატრონო, მეშინის თქვენკენ რებისა“ (დ. სააკაძე, დიმიტრი სააკაძეს მიერ მოწერილი... 223);

„პირველ **გახლავარ** ყირმიზი, მერმე პირგაშავებული“ (თეიმ. II, 343);

„ვინც რომ მოვა, **გიახლება**, ჭკვაზე უფრო ჭკვას დასდებენ“ (საიათნ., 370).


ახლავს ზმნის ისტორია და სემანტიკური ნიუანსები განხილული აქვს რ. ზეკალაშვილს თავის ნაშრომში „**ახლავს** ზმნის გამოყენების ისტორიისა და მართლწერისათვის ქართულში“ (2012).

ი) **უნდა**– **ნება**ვს: **მინდა** მწკრივგამოცვლილი ზმნაა. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ V-X საუკუნეებში **მინდა** უწყვეტლის ფორმა იყო და ნიშნავდა **მსურდა**. აწმყოში მოსალოდნელი იყო **მინა**, **გინა**, **უნა**, მაგრამ მათ ნაცვლად იხმარებოდა **ებ-ავ** და ებიანი ფორმები: **მნება**ვს ან **მინებ**ს (ა. შანიძე, 1980).

ნება-სურვილის სემანტიკის ზმნური ფორმები ბიბლიურ ტექსტებში სქემატურად შეიძლება ასე გამოიხატოს:

²⁸ <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/mgeo/timsar/temutim/temut.htm?temut021.htm> (მოძიებულია: 18 ივნისს, 2018).

სქემა 9.



სქემაზე მოცემული ზმნები ბიბლიურ ტექსტებში ერთმანეთს ენაცვლება, მაგალითად, „მცხეთურ ხელნაწერში“ იშვიათია **გინდესთ**:

„და უკეთუ **გინდესთ**, და ისმინოთ ჩემი, კეთილნი ქვეყანისანი შჰამნეთ“ (O, S, J, ესაია, 1, 19, 70).

A ნუსხასა და „მცხეთურ ხელნაწერში“ (S) გვაქვს ფორმა **გთნავს**:

„და ჰრქუა აბიმელიქ აბრაჰამს: აჰა-ესერა ქუეყანა ესე წინაშე შენსა არს. სადაცა **გთნავს**, დაეშენე“ (დაბ., 20, 15 (31), სხვაგან – **გნებავს**. „თნევა“, „თნება“ ილ. აბულადის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „სათნო ჩენა, საწადელ-ყოფა, დაჯერება, ნებება, გულის-თქუმა, მოწონება“ (აბულადე 1973: 182), საბასთან, როგორც „სათნო ყოფა, მოწონება“ (ორბელიანი 1966: 306).

საანალიზო ზმნას **გნებავს** ენაცვლება C ხელნაწერსა და ბაქარის ბიბლიაში:

„და ჰრქუა აბიმელიქ აბრაამს: აჰა ქუეყანა ჩემი წინაშე შენსა. სადაცა **გნებავს**, დაივანე“. ოშკურში ეს ნაწილი აკლია, პარიზულში კი გვაქვს **გნებავს**:

„და ჰრქუა აბიმელიქ მეფემან აბრაჰამს: აჰა ესერა ქუეყანაჲ ესე წინაშე შენსა არს; სადაცა **გნებავს**, დაეშენე“.

ბერძნულ სეპტანტაში არის **ἀρέσκη**, რაც ქართულად ითარგმნება, როგორც **მოწონება** („καὶ εἶπεν Ἀβιμελεχ τῷ Ἀβρααμ Ἰδοὺς ἡ γῆ μου ἐναντίον σου· οὐκ ἔδω σοι **ἀρέσκη**, κατοίκει“)²⁹. ჩანს, პარიზული და სხვა ხელნაწერები, გარდა A და S-ისა, არ იმეორებენ დედნისეულ ვარიანტს. საინტერესოა, რა ფორმით იყო გადმოცემული იგივე აზრი ომპურ ბიბლიაში, რომელიც „მცხეთური ხელნაწერის“ რედაქტირებისას საბას ხელთ არ ჰქონია. მოსალოდნელია, ომპურში არაევეფემისტური ზმნა ყოფილიყო. შესაძლოა, ს. ს. ორბელიანმა „მცხეთური ბიბლიის“ რედაქტირებისას A ხელნაწერი და ბერძნული დედანი გამოიყენა, რის შედეგადაც უპირატესობა პირდაპირ თარგმანს – **გთნავს** ზმნას მიანიჭა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი კონტექსტი ბიბლიიდან:

„და ჰრქუა იონათან დავითს: და რა **გნებავს**, თქუ, და იგიცა ვყო“ (I მეფეთა, 20, 4, 71):

„და ჰრქუა იონათან დავითს: რად **გნებავს**, თქუ და იგიცავე ვიცოდი“ (O);

„და ჰრქუა კულად იონათან დავითს: რად **სურს** სულსა შენსა და რად გიყო შენ?“ (B);

„და ჰრქუა იონათან: აწ რად **უნებს** სულსა შენსა, რომელ ვყო შენთვის“ (Ja);

„καὶ εἶπεν Ἰσναθαν πρὸς Δαυὶδ Τί **ἐπιθυμῆ** ἡ ψυχὴ σου καὶ τί ποιήσω σοι.“³⁰

ბიბლიაში და სხვა ჩვენს საანალიზო ტექსტებში ეს ზმნა არაა დატვირთული ეთკეტური შინაარსით. ამის დასტურია, მაგალითი აგიოგრაფიული ტექსტიდან, სადაც ამ ფორმას იყენებს მარზაპანი აბიბოს ნეკრესელის მიმართ:

„ჰრქუა მას მარზაპანმან მან: ...შენ **გნებავს**, რადთამცა შენისა ღმრთისა წარგვყვანე?“

ხოლო ნეტარმან მან აბიბოს ჰრქუა: „უწყებულ იყავნ შენდა...“ (აბიბოს., 228);

ასევე, სხვა ტექსტში მთავარი მიმართავს ცხრა ძმა კოლაელთა მშობლებს:

„შვილნი თქუენნი არიან, კელმწიფებად გაქუს, უყავთ რადცა **გნებავს**“ (კოლაელ., 72).

მსგავსი ვითარებაა საერო სტილის ტექსტებშიც:

„ინებე ყოფად ჩემ შორის უბიწო!“ (საერო პოეზია, იოანე შავთ., გალობანი ვარძიისა ღმრთისმშ. 537);

²⁹ <http://patrologia.narod.ru/biblia/lxx/index.htm> (მომიებულია: 10 ნოემბერს, 2015).

³⁰ <http://patrologia.narod.ru/biblia/lxx/index.htm> (მომიებულია: 10 ნოემბერს, 2015).

„აწ თუ **ინებოს** გულმან შენმან, მე გითხრა ყოველი ყოფილი მეფეთა ჩვენთაო“ (რუსუდ., 414);

„რასაც **ინებებ, განებებს**, იტყვი თუ: „მიყო ნებანი“ (სააკაძე, დიდმ., 375);

„**მნებავს** ამ ამბის დატკობა, ყურნი მამიპყრან სმენადა“ (არჩილი, გაბაასება, 133);

„ამათ კაცთა არა **ინებეს**, ეგრე თქვეს: ჩვენდა არა უბრძანებიაო“ (ამირანდარეჯ., 289);

„თუ ძისა შენისა სიცოცხლე **გინებს**, მითხარ, ვისგან გივის?“ (სიბრძნე სიცრ., 95);

„ვეფხმან ეგრე უთხრა: თუ ჩემი ღალატი არ **გნებავსთ** და მართლა მეტყვიით, თოკი მოიღეთ“ (სიბრძნე სიცრ, 67).

გვხვდება ნდომა:

„მეფეთაგან სამს **ინდომებენ** ვაზირნი“ (სიბრძნე სიცრ., 46);

„ოდეს განმჰდიდრდე, არა **გინდეს** მიცემად მოყუსისა“ (ბალავ., 280);

ზოგჯერ **უნდეს** და **გნებავს** ერთადაა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ისინი არ განსხვავდებიან ეთიკეტური ნიუანსით:

„ჰრქუა მას იოდასაფ, ვითარმედ: „ჩემთვს იყო სახე ესე, უფალსა თუ **უნდეს**; ხოლო შენ იტყვ, ბერმან გამოცადაო, და აწ, შენ ვითარ **გნებავს** გამოცდად ჩემი?“ (ბალავ., 248).

„მე არა **ვინებე** მოყვანებად მისი. და თუ შენ ჰყო, კეთილად მპოო, თუ უფალსა **უნდეს**“ (ბალავ., 247).

ამგვარად, ჩვენ მიერ განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იერარქიული და წოდებრივი უთანასწორობა მკვეთრ ასახვას პოეზის საზოგადოების ყველა ფენის მეტყველებაში და წარმოშობს მრავალფეროვან ზმნურ ეთიკეტურ ფორმებს, როგორცაა **ბრძანება, მოხსენება, კადრება, მირთმევა, ბოძება** და ა. შ., რომელთა გამოყენებაც, უმეტეს შემთხვევაში, იერარქიული პრინციპით არის განპირობებული.

2.1.3. სინტაქსური ევფემისტური შენაცვლებანი

სამეცნიერო ლიტერატურაში სინტაქსურ ევფემიზმებად მიჩნეულია შემთხვევები, როცა: ა) ევფემისტურობას გამოხატავს წინადადება; ბ) ევფემისტურობას გამოხატავს შესიტყვება. ამ ასპექტით აღსანიშნავია მიმართვის ფორმები, კავშირებითი კილოს ფუნქცია, ეთიკეტური შორისდებულები, სინტაქსური რედუქცია, ტექსტის ასაგებად გამოყენებული ე. წ. „მაკომპენსირებელი სიტყვები და ფრაზები“...

ა. ბურხარდტის თანახმად, სინტაქსურ ევფემიზმებად განიხილება წინადადებები, რომლებიც შექმნილია სიტყვების ან ფრაზების მეშვეობით და რომელთაც შედარებით მცირე უარყოფითი კონოტაცია აქვს. ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ ევფემიზმის მიღმა იმალება არასასიამოვნო სიმართლე. ამ სახის ევფემიზმების საშუალებით ფარავს ადრესანტი „არასასიამოვნო ინფორმაციას“. სინტაქსური ევფემიზმები დამახასიათებელია პოლიტიკური დისკურსისთვის (ბურხარდტი 2010: 358).

ევფემისტური შინაარსის სინტაქსურად (წინადადების მეშვეობით) გამოხატვა გვხვდება ბიბლიურ ტექსტებში. მაგალითად, მეფეთა II წიგნში იმ ეპიზოდში, რომელშიც მოთხრობილია მეფე აბესალომისთვის შვილის დალუპვის თქმის ამბავი, ევფემისტურია მთელი წინადადება; სხვადასხვა რედაქციებში ევფემისტურობა სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი:

„და ჰრქუა მეფემან ქუშის: ცოცხლებით არს ყრმა იგი ჩემი აბესალომ? და ჰრქუა ქუშიმ მეფესა: შეიქმნედ ყოველნი მტერნი მეფისანი, ვითარცა ყრმა იგი უფლისა ჩემისა მეფისა და რომელნი აღდგომილ იყუნეს შენ ზედა ბოროტებით!“ (S, F: II მეფეთა, 18, 32, 125);

„და ჰრქუა მეფემან ხუსის: მშჯღობაჲ არსა თუ ყრმისა აბესალომისა? და ჰრქუა ხუსი: რაძთა იყავნ, ვითარცა ყრმაჲ, მტერნი უფლისა ჩემისა მეფისა და ყოველი, რაჲოდენი აღდგეს სიბოროტითა შენ ზედა!“ (B: II მეფეთა, 18, 32);

„ჰრქუა მეფემან ქუმის: ცოცხლებით არსა ყრმაჲ იგი აბესალომ? მიუგო ქუმი და ჰრქუა: **შეიქმნედ ყოველნი მტერნი შენნი, ვითარცა ყრმაჲ იგი, და ყოველნი, რომელნი აღდგომილ იყვნეს შენ ზედა ბოროტებით!**“ (O: II მეფეთა, 18, 32);

„და ჰრქუა მეფემან: ცოცხლებით არსა ყრმაჲ იგი ჩემი? მიუგო ქუმი: **ვითარცა ყრმაჲ იგი, იქმნედ ყოველნი, რომელნი აღდგომილ იყვნეს შენ ზედა ბოროტებით!**“ (J: II მეფეთა, 18, 32);

ანალოგიური ვითარებაა ბერძნულ ტექსტშიც:

„καὶ εἶπεν ὁ βασιλεὺς πρὸς τὸν Χουσι Εἰ εἰρήνη τῷ παιδάρῳ τῷ Αβεσσαλαμ; καὶ εἶπεν ὁ Χουσι Γένοιντο ὡς τὸ παιδάριον οἱ ἐχθροὶ τοῦ κυρίου μου τοῦ βασιλέως καὶ πάντες, ὅσοι ἐπαύστησαν ἐπ’ αὐτὸν εἰς κακὰ“³¹.

ადამიანის ამქვეყნიდან იმიერში წასვლას ბიბლიურ ტექსტებში ასევე გამოხატავს **„წასვლა გზათა ყოველთა კაცთასა“**. რადგან ყველა ცოცხალი არსება ადრე თუ გვიან ამ გზას უნდა დაადგეს, ამიტომ ეს გზა ყველასია. ამითაა გამოწვეული აღნიშნული შესიტყვების ფორმულირებაც: „და მოვიდეს დღენი სიკუდილისა დავითისნი, და ამცნო ძესა თჳსსა სოლომონს და ჰრქუა: **„მე მივალ გზასა ყოველთა კაცთასა, ხოლო შენ განძლიერდი და იყავ მამაკაც ძლიერ“** (S, F : III მეფეთა, 2, 1, 2, 142)...

სინტაქსური ევფემიზმით სათქმელის გადმოცემის მსგავსი შემთხვევები გვხვდება საერო მწერლობაშიც. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ ფარსადან მეფის გარდაცვალების შესახებ ნათქვამია:

„მამამან **ტახტი დაცალა, აღარსადა ზის ზედაო**“ (ვეფხისტყ., 296).

სინტაქსური ევფემიზმის ნაწილია **მიმართვა**. იგი სამეტყველო სიტუაციის თემატური ერთეულია, რომელიც დაკავშირებულია სამეტყველო ეთიკეტთან და თავაზიანობის სისტემასთან. მიჩნეულია, რომ რეალური სამეტყველო სიტუაცია, რომელშიც შეიძლება მოხდეს სრულიად განსხვავებული ინტენციების შეჯახება, მარტო სამეტყველო ეთიკეტითა და თავაზიანობის პოსტულატებით არ რეგულირდება (ლევინე 2017: 46). მიმართვა კომუნიკაციის დამყარებისათვის საჭირო კომპონენტია. მიმართვის

³¹ <http://patrologia.narod.ru/biblia/lxx/index.htm> – სეპტანტა (მოძიებულია: 10 ნოემბერს, 2014).

ფორმებში ვლინდება ჩვენი დამოკიდებულება ადრესატის მიმართ. ამის გამოსახატავად ენაში შექმნილია მრავალფეროვანი ლექსიკური და გრამატიკული ინვენტარი. მიმართვა ძირითადად დიალოგური მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი.

ჩვენ მიერ შესწავლილ წერილობით ძეგლებში ხშირ შემთხვევაში მიმართვას ახლავს ხოტბა, რითაც მიღწეულია კეთილმეტყველება:

„**ჰე, ცნობილო!** ამის უფრო უსამართლო რა ეგების, რომელ მიჯნურსა კაცსა მიჯნურობისგან წაეკიდების?“ (ვისრ., 41);

„**ჰე, ხელმწიფეთა უხელმწიფესო!**“ (ვისრ., 20);

„**ჰე, კეკლუცო პატრონო,** ჩემო სულთა მომცემო“ (შაჰი ვისის) (ვისრ., 163);

„**თქვენი მოგვესმა, პატრონო, შექმნილხართ** ფარმანოზია, ქრისტეს უარისმყოფლობა მე თქვენგან არა მგონია“ (დ. სააკაძე, წერილი... 224)...

თავის დამდაბლების გამოხატველია ფრაზა: „**აწ შენად მონად შექმნილი ვარ, მიმონე...**“ (ვისრ., 63).

დოკუმენტების ენაში **ბატონი/პატრონი/ბატონო** გამოყენებულია მსაზღვრელად და მიმართვის ფორმადაც: „როდის იმას სუამდეთ, ფაციას შენდობას უყოფდეთ, **ბატონო**“ (დაწერილი გელოვანებისა სეტის ჯევისადმი, 1605-1639, დოკ. 1986: 167);

ბატონოს მნიშვნელობით გვხვდება **უფალო**:

„და მერმე ვევედრე სამოელს არქედიაკონსა და ვარქვ: **უფალო,** ნუ გეწყინებიან და კეთილად მაცნობე“... (ევსტ., 33).

სინტაქსური ევფემიზმის ნიმუშები გვხვდება როგორც სასულიერო, ასევე საერო მწერლობის ძეგლებში. მაგალითად, „**შუმანიკის წამებაში**“ ვარსქენის რწმენის შეცვლის შემდეგ შექმნილი სიტუაცია არაპირდაპირ გამოხატულია ფრაზით:

„ესევითარი სახლი მშვიდობისაჲ ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა“ (შუმ., 15);

ის, რაც დედოფალს ემუქრება, ავტორის მიერ ასეა გადმოცემული:

„**ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუუკუე მტერმან ვითარცა სრსკლმან სამოვარიპოოს შენ თანა**“ (შუმ., 15);

ვფიქრობთ, ევფემისტური დატვირთვის მქონეა წინადადებები კონტექსტში:

„აჰა ესერა მოიწია კაცი, რომელსა მრავლით ჟამითგან ელმოდა თუალი მარჯუნე, რამეთუ ნათლისაგან სრულიად დაკლებულ იყო“ (სერაპ., 129);

„ხოლო აცთუნა მტერმან კელმწიფლ იგი და მოიყვანა მან დედაკაცი სიძვისაჲ ციხესა მას შინა, რომლისა თანა იმრუშებდა, რამეთუ ეშმაკი ტრფიალებისაჲ ფრიად აზრზენდა, რომელსა პირველ არა აქუნდა ეგვევითარი ჩუეულება...“ (ხანძთ., 194);

„არა ვარ ამიერთგან არსენის ცხოვარი და არცა იგი ჩემი მწყემსი“ (ხანძთ., 182);

„დაჲ იგი მისი ეშმაკისა განმარჯუებითა შეაცთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან და ღამე ყოველ წარვიდის შავშეთს“ (ხანძთ., 150);

„კვადრი: „რომ გიჭვრეტთ, ის გვალხენს, ვართ თქვენი ფეხთა მტვერია“ (სააკაძე, დიდმ., 381).

ევფემისტური მეტყველების (შეიძლება ითქვას, პოლიტიკური ევფემიზმისა, რომელიც დაფუძნებულია ე. წ. „ორმაგ მეტყველებაზე“ და გამოყენებულია განზრახვის შენიღბვის მიზნით)³² მაგალითია რამაზ მეფის მოციქულის სიტყვები ტარიელისადმი:

„ჩვენთა მგელთაცა დასჭამენ ინდონო, თქვენი თხანია“ (ვეფხისტყ., 84).

ამგვარი სტრატეგიით, ტკბილსიტყვაობის გამოყენებით, რომლის მიზანიც ამ შემთხვევაში განსხვავებულია, ხატაელები ცდილობენ მეორე მხარის ნდობის მოპოვებასა და მოდუნებას, რომ შემდგომ ადვილად დაამარცხონ.

ასევე, აღსანიშნავია იმავე ტექსტიდან პოლიტიკური ევფემიზმის ნიმუში, ტარიელის წერილი ხატაელებისადმი („ვეფხისტყაოსნიდან“):

„...მეფე ინდოთა არისმცა ღმრთულებრ ძლიერი!

მათი ერთგული გამღების ყოველი სული მშვიერი,

ვინცა ურჩ ექმნას, იქმნების თავისა არ-მადლიერი“ (ვეფხისტყ., 76).

³² ევფემიზმის სინამდვილის შემნიღბველი ფუნქციის შესწავლა სცდება ლინგვისტიკის სფეროს და გადადის ლინგვოპრაგმატიკის სფეროში. ეს მეტად საინტერესო ფუნქცია შესაძლებელია ცალკე კვლევის საგანი გახდეს (იხ. ჰამადი 2007);

https://www.researchgate.net/publication/29753049_Euphemism_Sweet_Talking_or_Deception (მოძიებულია: 7 ნოემბერს, 2015).

წერილი გრძელდება მიმართვით „ჩვენო ძმანო და პატრონო...“ ცხადია, მოხარვე ქვეყნის წარმომადგენლებისადმი ამგვარი მიმართვა ეთიკეტის ნორმებით არის განპირობებული, მთელი წინადადება კი კეთილმეტყველების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს:

„ჩვენო ძმანო და პატრონო, თქვენგან არ გავიმწარებით;

ესე რა ჰნახოთ ბრძანება, აქამცა მოიარებით“ (იქვე).

მსგავსი მაგალითია ასევე უსენის მიმართვა მეფისადმი:

„დედის მუცლით რა გამომყვა? მზობებია თქვენგან მეო“ (ვეფხისტყა., 215).

მიმართვის ფორმების მხრივ საინტერესოა ქართული ენის დიალექტების მონაცემებიც, მაგალითად, „ჩვენებურების ქართულში“, ასევე ტაოურსა და იმერხეულში ლექსიკურ საშუალებათაგან დასტურდება თავაზიანი მიმართვის ფორმები: ქართული **ბატონო** და თურქული **ეფენდი**.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მაღალი იერარქიის სახელთაგან **ბატონი** (ლათ. **პატრონუს** – მფარველი; მეგრ. **პატონი** > **ბატონი**. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით: **პატონი/ბატონი**) გამოიყენება 1. ღმერთის მნიშვნელობით; 2. უფროსის მნიშვნელობით (**ბატონყმობის** დროს); 3. პატრონის, მფლობელის მნიშვნელობით; 4. როგორც ევფემიზაციის საშუალება: 1) პასუხი: **ბატონო!** 2) მიმართვის ფორმა: **ბატონო! ქალბატონო!** 3) თავაზიანი ფორმა; 4) გამოთქმები: **ბატონი ბრძანდებით; ბატონი ხართ; შენ ხარ ჩემი ბატონი;** 5) ინფექციური ავადმყოფობის სახელი... (სადინაძე 2013: 273-274).

შ. ფუტკარაძის მასალების მიხედვით, ჩვენებურების მეტყველებაში მიმართვის ფორმა **ბატონო** გამოიყენებულია:

ა) უფლისადმი მიმართვისას:

„ნეტაი შენ, რომ გაქ ენა ქართული, სხუაზე რათ გექცევა თუალი და ყური. შეინახე ენა, გულში დარგული, ღმერთო **ბატონო**, შენ შეგვიბრალე“ ... (ფუტკარაძე 1993: 275);

ბ) როდესაც ქალები თავს არიდებენ ქმრის ოჯახის წევრთა სახელებით მოხსენიებას ან მამაკაცები ქალების სახელებით მოხსენიებას; დედამთილს მოიხსენიებენ, როგორც

ბატონს, მულის შესატყვისია **ფაშა-ბატონი**, **ბატონ-ხანუმი**, **გორუმხანუმი**, **ბატონი შვილი**, **მაზლისა** – **აღაბატონი**, **ქმრისა** – **კაცი** (ქმარი და მისი ოჯახის წევრები სახელით არ მოიხსენიება ცოლის მიერ ასევე საქართველოს მთის დიალექტებში):

„მული“ არ ვიცით, **ფაშა-ბატონი**ო, ასე ვიტყვით. ზოგმა „ბატონ-ხანუმი“ გორუმხანუმი იციან. **მაზლსა** **აღაბატონს** ვუძახით. „კაცი“ ვიცით, ენჩული სახელს ვეტყვით, „ქმარი“ არ ვიტყვით...“ (ფუტკარაძე 1993: 114);

„მემლექეთში მულსა ეტყოდენ „ბატონი შვილო“-ს, „ბატონ-ხანუმს“. „სახელ არ დუუძახებდენ. მაზლის ბაღვსაც „ბატონის შვილი“ ერქუა“ (ფუტკარაძე 1993: 107);

„მემლექეთში დედამთილსა „ბატონოს“ ეტყოდნენ. „– ბატონო, მაგას ნუ ალაპარიკეფო, – მახსოვს ანასი სიტყუები“ (იქვე, 99).

ჩვენებურების მეტყველებაში, ასევე ტაოურსა და იმერხეულში, **ბატონოს** პარალელურად ხშირია თურქული სიტყვა **ეფენდი** და **ხანუმ-ეფენდი**.

გ) **ბატონი** გამოიყენება ასევე პატრონის, მფლობელის მნიშვნელობით:

„ვიღან არი აქავრობის **ბატონი**?“ (ფუტკარაძე 1993: 394).

ჩვენებურების მეტყველებაში უფროს-უმცროსობა გამოხატულია ისეთი ლექსიკური ერთეულებით როგორცა **აბე** და **აბლა**:

აბე (თურქ. **ağabey**) ნიშნავს უფროს ძმას; იგი ზრდილობიანი მიმართვის ფორმას საკუთარ სახელთან ერთად ასაკით უფროსი მამაკაცის მიმართ (ფუტკარაძე 1993: 373);

აბლა (თურქ. **abla**) – უფროსი და (მუჰაჯირი ქართველები დედის, მამის ძმის ცოლსაც **აბლას** უწოდებენ). იგი გამოიყენება თავაზიანი მიმართვის ფორმად უმცროსის მიერ უფროსი ქალის მიმართ საკუთარ სახელთან ერთად (ფუტკარაძე 1993: 373).

„დიდ ძმას **აბეს** ვეტყვით. დიდ დას **აბლას** ვეტყვით“ (ფუტკარაძე 1993: 114);

„**მერიემ-აბლა**, თქუენი მუსაფირები ამელამ ჩუენნა გუასტუმრო“ (ფუტკარაძე 1993: 373)...

სინტაქსურ ევფემიზმად მიგვაჩნია, აგრეთვე, საერო მწერლობის ძეგლებში ტექსტის ასაგებად გამოყენებული ე. წ. „მაკომპენსირებელი ფრაზები“, რომლებიც კომუნიკაციის წარმატებულად განხორციელებასა და მოსაუბრის ნდობის მოპოვებას

ემსახურება. ასეთია: „თავმან თქვენმან, ნურას სიქადულად შემირაცხავთ, დიდად კარგად ვიყავ“ (ამირანდარეჯ., 447)³³.

საერო მწერლობაში გვხვდება ჩართული **დია ღმერთო**. ა. შანიძის აზრით, „**დიალ** წარმომდგარი ჩანს „**დია ღმერთო**“-საგან. წინათ იხმარებოდა ზმნიზედად და ნიშნავდა **მეტად**: „**დიალ** დიდი კუნძული იყო“ (ს. ორბ., „მოგზაურობა ევროპაში“, 15); **დიალ** მრავალი ჯარი მოსულიყო (იქვე, 31); „**დიალ** ჩქარა“ (იქვე, 45); „ჩემი პირდაპირ მორევნა **დიალ** ადვილია“ (ჭავ., 394, 5)“ (შანიძე 1953: 631). XVII საუკუნის თხზულებაში **დიალ** გამოყენებულია მნიშვნელობით **ძალიან**: „**დიალ** ეწყინა მეფესა, დიდსა ჩავარდა ჭმუნვასა“ (არჩილი, გაბაას., 157).

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება „**დია, ღმერთო**“: „**დია, ღმერთო**, წინაშე ვარ, ესე ჩემგან დადასტურდა“ (როსტევეანი) (ვეფხისტყ., 278).

„მოვახსენე: „**დია, ღმერთო**, ბრძანება ვქმნა მეცა თქვენი“ (ტარიელი რამაზ მეფეს) (ვეფხისტყ., 85);

„მან უბრძანა, თუ: „**დია, ღმერთო**, სჯობს, თუ ჩემი მეომარი ვინმე გამოჩენილა...“ (ომან. ³⁴);

„ჰრქვა ამბრი არაბმან: **დია, ღმერთო**, უმაღლე მოგკლაო (ამირანდარეჯ. ³⁵);

„რადგან თქვენ მიბრძანებთ, **დია, ღმერთო**, წინაშე ვარო“ (ამირანდარეჯ., 293)...

საერო მწერლობის ძეგლებში არის ამ ფორმის როგორც სრული (**დიდად ღმერთო**), ასევე შეკვეცილი (**დია**) ვარიანტი დადასტურებითი ნაწილაკის მნიშვნელობით:

„ყველამან შეუთვალა: „**დიდად, ღმერთო**, ჯამსო“ (ამირანდარეჯ., 446);

„უბრძანა, **დია**, გავგზავნითო“ (ამირანდარეჯ., 347).

მსგავსი ვითარებაა ტაოურ და იმერხეულ დიალექტებშიც.

დასახელებული ევფემისტური ფორმები ნაკარნახებია იერარქიითა და ადრესატისადმი მოკრძალებული დამოკიდებულებით.³⁶

³³ მსგავსი ფრაზები უხვად გამოიყენება თანამედროვე მეტყველებაშიც: „პირფერობაში ნუ ჩამომართმევ და...“, „სიმართლე გითხრა და“ ...

³⁴ <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/mgeo/omainian/omain.htm?omain030.htm> (მომიებულია: 10 იანვარს, 2016).

³⁵ <http://www.bu.org.ge/x3644?page=3&tab=4> (მომიებულია: 10 იანვარს, 2016).

შეიძლება ითქვას, რომ სინტაქსური ევფემიზმი ხშირი არაა წერილობით ძეგლებში, თუმცა დასტურდება ევფემისტური წინადადებები (მაგალითად, ბიბლიაში გარდაცვალების მნიშვნელობით გვხვდება „მე მივალ გზასა ყოველთა კაცთასა“ (S, F : III მეფეთა, 2, 1, 2, 142); მიმართვის ფორმები (ბატონო, ჰე, ცნობილო!..), მაკომპენსირებელი ფრაზები და ჩართულები (ნურას სიქადულად შემირაცხავთ, დია, ღმერთო)... მოცემული ენობრივი ერთეულები განაპირობებს კეთილმეტყველებას და ქმნის ენობრივ ეთიკეტს.

³⁶ აღსანიშნავია, რომ **დიახ** ფორმას თანამედროვე მეტყველებაში ზმნურ ფორმათა ანალოგიით ზოგჯერ ემატება -თ ბოლოსართი – **დიახთ**, რაც არასწორია.

2.2. ლექსიკურ ევფემიზმთა სახეები

ლექსიკა ენის ყველაზე მრავალფეროვანი და მდიდარი ნაწილია. მასში ასახულია ერის ისტორია, კულტურა, ფსიქოლოგია, ღირებულებანი... ქართულ ენას მდიდარი ლექსიკური მარაგი გააჩნია, რომელიც ფორმირებულია საუკუნეების მანძილზე. იგი სწრაფად ცვალებადი ნაწილია ენისა, – განიცდის უცხოენოვან გავლენებს, იცვლება ასევე ენის შინაგანი სიტყვათწარმოებითი პოტენციალის შესაბამისად... ქართული ენა გამოირჩევა სინონიმების სიუხვით, რაშიც თავისი წვლილი ევფემისტურ ლექსიკურ ერთეულებსაც შეაქვთ. სინონიმების რიგში ევფემიზმთა არსებობა შესაძლებლობას იძლევა გამოვიყენოთ იგი შესაბამის კონტექსტში, რითაც იქმნება მეტყველების სტილური ელფერი. ევფემიზაციის ფაქტორი განსაზღვრავს ასევე ზოგი ლექსიკური ერთეულის სესხებას, ხმარებიდან გასვლას, სემანტიკურ მოდიფიკაციას... სწორედ ეს განაპირობებს სახელური ევფემიზმების არსებობას ენაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ სიტყვის ევფემისტურით ჩანაცვლებისას ეს უკანასკნელიც იტვირთება დროთა განმავლობაში უარყოფითი მნიშვნელობით და საჭირო ხდება მისი შეცვლა.

1.2.1. ევფემისტურობის გამოხატვა სახელური ლექსიკური ერთეულებით

სახელური ევფემიზმები V-XVIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში მრავალფეროვანია. გამოვყოფთ არსებითი სახელით, ზედსართავი სახელითა და ნაცვალსახელით გამოხატულ ევფემიზმებს.

არსებითი სახელით გამოხატული ევფემიზმები. განვიხილავთ ევფემისტური სემანტიკის მქონე როგორც ძირეულ, ისე წარმოქმნილ სახელებს. ისინი შეიძლება დავყოთ სემანტიკურ ჯგუფებად:

ა) უფლის სახელთან დაკავშირებული ევფემიზმები. უფლის მესამე მცნება (რომელიც კაცობრიობას მოსე წინასწარმეტყველის მეშვეობით მიეცა) – „არა მოილო

სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამასა ზედა“ გულისხმობს, რომ უმიზეზოდ არ უნდა ვახსენოთ უფალი, მისი სახელისადმი კრძალვა და რიდი უნდა გვქონდეს. სწორედ ეს მოტივი უდევს საფუძვლად იმას, რომ ქართულში უფალი სხვადასხვა ეპითეტით მოიხსენიება. მათ შორისაა **ადონა/ადონაჲ** (ებრ., ბერძნ.), რომელიც ებრაულში აღნიშნავს ბატონს, უფალს, მეუფეს, მბრძანებელს. ამ სიტყვას, ჩვეულებრივ, ახლავს ებრაული კუთვნილებითი ი („ჩემი“) ნაცვალსახელი. კ. დანელია მიუთითებს, რომ, როცა **ადონა** ღმერთის ეპითეტად გამოიყენება, ის საპატიო მრავლობითობის ფორმას დებულობს და გამოხატავს მორწმუნეთა წარმოდგენას ღმერთის აბსოლუტურ სუვერენობაზე. ეს სიტყვა ხშირად არ გამოიყენება ბერძნულსა და ქართულ თარგმანებში. ქართულში მას ძირითადად თარგმნიან „უფალ“ სიტყვით. ზოგჯერ ერთსა და იმავე ადგილას ერთ რედაქციაში **ადონა** არის, პარალელურში – **უფალი, ღმერთი...**

„სულხან-საბას **ადონაი** საკუთარ სახელებში აქვს შეტანილი და განმარტებული: **ადონაი** – უფალი (საბა, ლექსიკ. IV₂, 600). ეს სიტყვა სალიტერატურო ქართულს არ უსესხებია, თუმცა კანტი-კუნტად მოიხსენიება და ამიტომაც ქეგლ-შიცაა შესული: **ადონაი** (ებრ.) ძვ. უფალი, ღმერთი... (ქეგლ, I, 126)“ (დანელია 1998: 133). კ. ჯორჯანელი უფლის სახელის ნაცვლად „ადონაის“ გამოყენებას ებრაულ ტრადიციას უკავშირებს და აღნიშნავს, რომ მორწმუნე ებრაელი დღესაც არ მოიხსენიებს ღმერთს პირდაპირ სახელით რელიგიური ტექსტების კითხვის დროს (ჯორჯანელი 1977: 52).

დღეს უფლის სახელს ევფემისტურად ნაკლებად მოიხსენიებენ. ხშირია მისი მიმართვის ფორმებში გამოყენება. როგორც რ. ზექალაშვილი მიუთითებს, სიტყვა „ღმერთი“ დამკვიდრებულია სამეტყველო ეთიკეტის ფორმულებში მყარ გამონათქვამად, გამოიყენება მისალმების, გამომშვიდობების, მადლობის, დაფიცების გამოსახატავად (ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთს ვფიცავ, ღმერთმა კარგი ყურით გაიგონოს, ღმერთმა (არ) ქნას...) (ზექალაშვილი 2001: 284).

ბ) ეშმას სახელთან დაკავშირებული ევფემიზმები. ბოროტი სულის სახელის მოხსენიებას ადამიანები ყოველთვის ერიდებიან. ეს ტაბუ გამოწვეულია შიშით მის მიმართ. საინტერესოა ამ მოვლენის ენობრივ-კულტურული გააზრება. მაგალითად,

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „ინგლისურ ენაში ამ სიტყვას უფრო თავისუფლად (ევფემიზაციის გარეშე, ზოგჯერ – იუმორით) გამოიყენებენ: „ქართულად „ემმაკისა“ და „სატანას“ ნაცვლად არცთუ ბევრი სიტყვა იხმარება (მაგალითად, „მაცდური“, „უწმინდური“, „ამ ქვეყნის ღმერთი“), თანაც ქართულად სატანას ისე შინაურულად და იუმორით არ მოვიხსენიებთ, როგორც ინგლისურად. ეს ის შემთხვევაა, როდესაც თავს იჩენს განსხვავება ორ კულტურას, ორი ერის ტრადიციებსა და მსოფლადქმას შორის“ (ებრალიძე³⁷).

ჩვენს საანალიზო ტექსტებში ემმაკის სინონიმებად გვხვდება **დევი, ბელიარი, სული უკეთური, სული ბოროტი**:

„მამამან შენმან წმინდანი შემოიხვნა სახიდ თვისა, ხოლო შენ **დევნი** შემოიხვენ (შუმ., 16);

„და კადნიერ იქმნა მის ზედა **ბელიარ** და სიმაღლისა მისგან გარდამოაგდო იქვე“ (ხანძთ.³⁸);

„ანუ რად სწორებად არს **ბელიარისა** ქრისტეს თანა“ (გობრ., 89);

„და მუნთქუესვე დასცა იგი **სულმან უკეთურმან**“ (ხანძთ., 186);

„ხოლო უკუეთუ **სული უკეთური** მოიწიოს შენ ზედა... შენ არქუ“... (ბალავ., 279);

„აუწყა ყოველი იგი განსაცდელი **სულთა ბოროტთა**“ (ხანძთ.³⁹).

გ) ადამიანის სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული ევფემიზმები. წერილობით ძეგლებში დასტურდება ევფემიზმის უცხო სიტყვით გადმოცემის შემთხვევები. მაგალითად, ბიბლიის „მცხეთურ ხელნაწერში“, კერძოდ, „დაბადებაში“, არის, ერთი შეხედვით, სემანტიკურად ბუნდოვანი ფრაზა: „**რამსა განელო შენთვის ღონე?**“ (დაბ., 38, 29). ოშკურ ხელნაწერში (და სხვა ნუსხეებშიც) არის **ღონე** (ოშკური ბიბლიის გამოცემისას ა. შანიძეს ეს სიტყვა სქოლიოში ჩაუტანია მინაწერით „ასეა“ და უცვლელად დაუტოვებია), ხოლო **C** და **B**-ში წერია **ღობე**. მაგალითები:

³⁷ <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/11/110> (მოძიებულია: 10 იანვარს, 2016).

³⁸ http://www.orthodoxy.ge/tveni/oqtomberi/grigol_khandzteli/5.htm (მოძიებულია: 10 იანვარს, 2016).

³⁹ http://www.orthodoxy.ge/tveni/oqtomberi/grigol_khandzteli/5.htm (მოძიებულია: 10 იანვარს, 2016).

„და ვითარცა შეყო ჯელი მისი, მეყსეულად გამოვიდა ძმა მისი და აღმქუმელმან თქუა: რაღსა განელო შენთჳს ღონე? და უწოდა სახელი მისი ფარეზ“ (დაბ., 38, 29, S, A, K);

„და ვითარ შეყო ჯელი მისი, მეყსეულად გამოვიდა ძმა მისი და ამქუმელმან მან თქუა: რაღსა განელო შენთჳს ღონე? და რომელი-იგი პირველად გამოვიდა, უწოდა სახელი მისი ფარეზ“ (დაბ., 38, 29, O).

„ხოლო ვითარცა შეყო ჯელი, და მეყსეულად გამოვიდა ძმა მისი. ხოლო მან თქუა: რად განიკუეთა შენთჳს ღობე? და უწოდა სახელი მისი ფარეზ“ (დაბ., 38, 29, C, B);

აღსანიშნავია, რომ A და K ნუსხების ძველ ტექსტში ღონე გადაუკეთებიათ ღობედ. როგორც ბ. გიგინეიშვილი და ც. კიკვიძე აღნიშნავენ, თუ ღონე შეცდომაა, მისი საფუძველიც უნდა არსებულებო. მათი მსჯელობის მიხედვით, აქ გრაფიკული აღრევა ან ორთოგრაფიული მომენტი, ისევე როგორც ბერძნული სიტყვის პოლისემიურობის საფუძველზე სხვა სიტყვის გამოყენება, გამოირიცხება. „ღონეს“ ადასტურებს პარიზის ლექციონარიც, ამიტომ იგი მექანიკურ შეცდომად ვერ ჩაითვლება. საკითხის გადასაჭრელად საყურადღებო იკითხვისს გვაწვდის ლატალის ლექციონარი: „რაღსა განელო შენთჳს საშოა“. ჩნდება ვარაუდი: ხომ არ არის ეს სიტყვა ბერძნული $\gamma\omicron\nu\eta$ -ს უთარგმნელად გადმოტანის შედეგი $გ > ღ$ გადასვლით? ბერძნულ $\eta \gamma\omicron\nu\eta$ -ს აქვს შემდეგი მნიშვნელობანი: 1. შობა; 2. თესლი; 3. ნაყოფი; 4. ბავშვი, შთამომავალი; 5. შთამომავლობა, გვარი, ტომი; 6. თაობა; 7. საშო, დედის მუცელი, 8. მოსავალი. ამ მონაკვეთში სიტყვის მე-7 მნიშვნელობა უნდა იყოს დასაშვები... „განელო საშოა“ ტიპის გამოთქმები საკმაოდ გვხვდება შესაქმისა და გამოსლვათა წიგნში (გიგინეიშვილი... 1971: 49). ზემოთქმულის საფუძველზე ჩნდება კითხვა: რამ განაპირობა ქართულ ტექსტში ბერძნული სიტყვის უთარგმნელად გადმოტანის შემთხვევა? ამის მიზეზი უცნობია, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს ავხსნათ ევფემიზაციით. მსგავსი მაგალითები არაევფემისტური სიტყვის ან გამოთქმის უთარგმნელად გადმოტანის ან უცხოურით ჩანაცვლებისა დღესაც ხშირად გვხვდება.

როცა სიტყვის ან გამოთქმის ევფემიზაცია აზრისა და სტილის გაბუნდოვანებას და, ზოგჯერ, კეთილმეტყველების ნაცვლად მკითხველში/მსმენელში ირონიასა და სიცილს

იწვევს, უმჯობესია, დარჩეს ისე, როგორც არის. თუკი შეიძლება ორიგინალში არსებული უხერხული გამონათქვამი თარგმანის ენისათვის ბუნებრივი ლექსიკური ერთეულებით გაეფემისტურდეს ისე, რომ აზრი შევინარჩუნოთ, ვფიქრობთ, ამაში უარყოფითი არაფერია, პირიქით, იკვეთება კიდევ ენისა და ერის კულტურა. სიზუსტის დაცვისათვის შეიძლება მიეთითოს, რომ დედანში არსებული სიტყვა ევფემიზმად არის ქცეული.

V-XVIII საუკუნეთა ტექსტებში ხშირად გვხვდება ადამიანის სხეულის ნაწილების ევფემისტურად გადმოცემის შემთხვევა. მაგალითები:

„დასნეულდა ძე მთავრისაჲ და განუსივნეს **სარცხუნელი** მისნი და მუცელიცა მისი“ (ილარ., 287);

„ოდეს მამაკაცსა **სამამაკაცო** დაეკვეთოს, დიაცის ბუნება მიეცემის“ (სიბრძნე სიცრ., 15);

„განწმენდასა ჩემსა თანა შემიცთა ხელი, საპარსვლითა **ასონი** წარვიკვეთენ“ (სიბრძნე სიცრ., 41);

„რად არ ეცდები **სამამაკაცოთ ასოთა** გამობმასა, ცოლთან და შვილთან სიხარულსა და შვებასა?“ (სიბრძნე სიცრ., 19)...

დ) ყოფაქცევასთან დაკავშირებული ევფემიზმები. უფლის მეშვიდე მცნება „არა იმრუმო“ ადამიანებს მოუწოდებს პატიოსნებისა და ზნეობრივი ცხოვრებისაკენ. ამ თემასთან დაკავშირებული საკითხები საზოგადოებაში უხერხულად ითვლება და ხშირად მოითხოვს ევფემიზაციას. წერილობითი ძეგლებიდან დავასახელებთ რამდენიმე ევფემიზმს:

„ვინც **ავი დედაკაცი** დაორსულდება, შვილს ვერ წაიხდენს“ (ს. ს. ორბელიანი, მოგზ. ევროპაში, 159);

„ქალი დედას მიაბარა, ხმა გავიდა **ავ-სახელი**“ (თეიმურაზი, ლეილმაჯნ., 27)...

საინტერესოა ლექსიკური ერთეული **ფრინველი**, რომელიც ამ მნიშვნელობას უკავშირდება. ფრენა სიმსუბუქესთან ასოცირდება. ეს, ერთი შეხედვით, დადებითი ლექსიკური ერთეული სრულიად საპირისპირო შინაარსის გამომხატველი ხდება, როცა

საქმე ადამიანის თვისებას, მის ყოფაქცევას ეხება. როგორც ჩანს, ეს კავშირი ძველი დროიდან მოდის და ასახულია როგორც სალიტერატურო ქართულში, კერძოდ, ნათარგმნ ძეგლებში, ასევე დიალექტებშიც:

„დაუტეო ზევსს, რომელმან-იგი მოკლა მამაჲ თვისი ღმერთმან შენმან მეძავმან და მფრინველმან და გრძნეულმან“ (ევსტრატიოსის წამება, IX სკ., თარგმ. არაბ., 191);

„და არა ჯერ არს, ვითარმცა ითქვა ღმრთისა ზედა, ვითარმედ შექმნა თავი თვისი მფრინველად და აცთუნა დედაკაცი და იმრუშა მის თანა“ (ევსტრატიოსის წამება, IX სკ. თარგმ. არაბ., 190).

ამავე ფუძის ლექსიკური ერთეული, ზედსართავი სახელი **გამფრინვალე** გვხვდება იმერულ დიალექტში, კერძოდ, ქვემოიმერულსა (საჩინოური) და ზემოიმერულში. ნ. შარაშენიძე მას განმარტავს, როგორც „ჯადოქარს“ (**გამფრინვალე** ტურა – ჯადოქარი, „უბედური გამფრინვალე ტურაა, გო, რაი მოკლავს მაგას, ორასწლიანია) (შარაშენიძე 2008: 335).

ლ. უკლებას იმერულ ლექსიკონში **გამფრინვალე** განმარტებულია, როგორც „ქალი, დაოსტატებული სამიჯნურო საქმეებში. ნუ იტყვიოთ, ერთი გოგო ჰყავთ და ისიც **გამფრინვალეა**“ (უკლება 2010: 37).

ე) **ინტიმურ ურთიერთობასთან დაკავშირებული ევფემიზმები**. ენის ლექსიკური ფონდი იცვლება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. ზოგი სიტყვა იძენს დამატებით მნიშვნელობას, რაც ზოგჯერ მისთვის ევფემისტური დატვირთვის მინიჭებით არის გამოწვეული. მაგალითად, ზოგჯერ სიტყვა **მეგობარი** გამოყენებულია უარყოფითი კონოტაციის მატარებელი სახელის ნაცვლად და აღნიშნავს ადამიანს, რომელიც ვინმესთან ქორწინების გარეშე ურთიერთობაშია:

„უკეთუ **მეგობარ** ჩემდა იყო, მე შენ კეთილ გიყო“ (მიქაელ საბაწმიდელის წამება, 503, თარგმ. არაბ., IX-X სკ.).

ტერმინების **მეგობარი**, **სულიერი ძმა**, **შეყვარებული** სემანტიკურ ცვლილებებზე მსჯელობს ლ. ხაჭაპურიძე და აღნიშნავს, რომ ლექსიკური ერთეულები შეყვარებული

და მეგობარი ყველაზე მეტად განიცდის სემანტიკურ ცვლილებას, თუმცა ეს პროცესი ჯერ კიდევ არაა დასრულებული (ხაჭაპურიძე 2017: 161). მაგალითები:

„დღესა ერთსა ერთი მოლა ნახეს სხვისი დიაცისა **თანამწოლი**“ (სიბრძნე სიცრ., 29);

„არა დაემორჩილა, რამეთუ მამხილებლად აქუნდა თვისი გინებად და ნებად რად **ჯორცთ-მოყუარებისად** განეშორა და აუგი თვისი გულისხმა-ყო“ (ხანძთ., 196);

„(ყადს) მასთან **დაწოლა** ენება“ (სიბრძნე სიცრ., 48);

„თვალაგნა ცოლმან მისმან და ევედრა მასთანა **დაწოლასა**“ (სიბრძნე სიცრ., 26);

„იგი უებრო მიჯნურნი ერთმანერთთანა **არ მწოლნი**“ (არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, 280).

ინტიმური ურთიერთობის ევფემიზაცია ბიბლიიდან მოდის. მაგალითად, ლუკას სახარებაში ვკითხულობთ:

„რქუა მარიამ ანგელოზსა მას: „ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე **მამაკაცი არა ვიცი?**“ (ლუკა 1. 34).⁴⁰ ეს ფრაზა წმინდა მარიამის უბიწოების გამომხატველია.

აგიოგრაფიაშიც ვკითხულობთ:

„რამეთუ იგი ხოლო მარტომ ესვა შვილად და თვინიერ მისისა შობისა **მამაკაცი არღარა იცოდა** (ხანძთ.)⁴¹.

ვ) **ფიზიკურ, გონებრივ ნაკლთან, ავადმყოფობასთან დაკავშირებული ევფემიზმები** გვხვდება როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ძეგლებში. მაგალითად, ასეთებია:

საჭურისი (ძვ. ბერძნ. εὐχισῆχος):⁴² „და იყო **საჭურისი** მეფისა კაცი გულჩქარი და ფიცხელი“ (სიბრძნე სიცრ., 12);

„იყო ვინმე **საჭურისი** და ჯდა იგი ქვაბსა შინა მცირესა“ (შუა საუკუნეთა ნოველები, თარგმ., X სკ., 161);

⁴⁰ <http://www.orthodoxy.ge/tserili/gadastseri/akhali/luka/luka-1.htm> (მოძიებულია: 14 მარტს, 2016).

⁴¹ http://www.orthodoxy.ge/tveni/oqtomberi/grigol_khandzteli/4.htm (მოძიებულია: 14 მარტს, 2016).

⁴² „ესე არს კაცი ყვერული; ხოლო საჭურისად სახელ-იდების სხვაჲ მეფისა შინამოსამსახურე, რომელთა აქვანდეს საჭურისთა თანა ადგილი ყოფისა“, ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=39219> (მოძიებულია: 14 მარტს, 2016). თანამედროვე ქართულში გამოიყენება ასევე ლათინური ტერმინი **კასტრაცია**, რაც ასევე ევფემისტური დატვირთვის მქონეა.

განბორებისა სალმოზაი (კეთრი): „იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი მოგვი, რომელსა განბორებისა სალმოზაი აქვდა“ (შუმ., 22)...

ენა ბრგუნელ (= ენადაბმული, ადამიანი, რომელსაც გამართულად საუბარი არ შეუძლია): „ხოლო უმრწემესი ძე იოვანე დაშთა ყოვლად-უსრულ და **ენა ბრგუნელ**“ (სერაპ., 98)...

საყურადღებოა ერთი ადგილი აგიოგრაფიიდან:

„...ბოროტი **მჯდომი** ქედსა მისსა გამოაჯდა, რომელსა **კახლ** (კურთხეულ) უწოდიან, ხოლო ძუელად ჰრქვან **სატალი**“ (ხანძთ., 202).

მჯდომი სულხან-საბას ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „შიგანში დიდი მუწუკი“. ⁴³ როგორც ჩანს, მას, როგორც, მაგალითად, ინფექციურ სნეულებას („ბატონებს“), ევფემისტურად უწოდებდნენ „კურთხეულს“ („ბატონების“ ხსენებისას დღესაც ამბობენ: „დაილოცა მისი სახელი...“).

საინტერესოა მხედველობის უქონლობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები. ტექსტებში დასტურდება **ბრმა**, რომელიც სულხან-საბასთან განმარტებულია, როგორც ვერა(ს) მხედველი; უსინათლო (ორბელიანი 1966: 113); დაბრმობილი – ბრმა ქმნილი (ორბელიანი 1966: 183): „მას **ბრმას** დასტურ **ბრმა** ეგონა და იმაღვოდა“ (სიბრძნე სიცრ., 65); „თქვა თვალხილულმან: გამოვსცადო **ბრმა** ესე“ (იქვე). ეს სიტყვა უარყოფითი დატვირთვის მქონეა, თუმცა მას ზოგჯერ ენაცვლება ისეთი ევფემისტური ლექსიკური ერთეულები, როგორცაა **მრუმედ-მხედველობაი**, **ვერ მხედველობა**, **უსინათლო... მრუმედ-მხედველობაი** ძველი ქართული ენის ლექსიკონებში განიმარტება, როგორც „მძიმედ-მხედვარება“, სუსტად ხედვა. ⁴⁴ მაგალითად:

„არცა შეემთხვა თუალთა მისთა **მრუმედ-მხედველობაი**“ (ხანძთ., 210)...

ლექსიკური ერთეული **ვერ მხედველობაი** დასტურდება ბიბლიაშიც. მცხეთურ ხელნაწერში იკითხება: „ხოლო კაცთა მყოფთა კარსა ზედა სახლისასა, დასცეს **ვერ მხედველობაი** მცირითგან მათით ვიდრე დიდადმდე“ (დაბად., 19,11). ეს აზრი ომკურსა და ბაქარის ბიბლიაში გადმოცემულია სხვაგვარად:

⁴³ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=31190> (მოძიებულია: 20 აპრილს, 2016).

⁴⁴ <http://www.nplg.gov.ge/sasko lo/index.php?a=term&d=44&t=2407> (მოძიებულია: 20 აპრილს, 2016).

„იგუემნეს იგინი სიბრმითა მცირითგან ვიდრე დიდადმდე“ (O, B);

τοὺς δὲ ἄνδρας τοὺς ὄντας ἐπὶ τῆς θύρας τοῦ οἴκου ἐπάταξαν ἀπορασίῃ ἀπὸ μικροῦ ἕως μεγάλου, καὶ παρελύθησαν ζητοῦντες τὴν θύραν⁴⁵.

აშკარაა, რომ კალკირების გზით მიღებულ კონსტრუქციას ევფემისტური ელფერი ახლავს (შდრ. თანამედროვე გამოთქმები: ვერ ხედავს – ბრმაა, კარგად ვერ არის – ავადაა...).

საყურადღებოა კიდევ ერთი მაგალითი ბიბლიიდან:

„**დაბრმოხილ არიან** რისხვისაგან თუალნი ჩემნი, მოცვულ ვარ მე დიდძალად ყოველთა მიერ (O, S: იოზი, 17, 7); იგივე წინადადება ბაქარის ბიბლიაში გადმოცემულია ასე: **დაბრმა** თუალი ჩემი რისხვისაგან, ბრძოლილ იქმნა დიდათ ყოველთაგან (B: იოზი, 17, 7).

ბერძნულში: "**πεπώρωται** γὰρ ἀπὸ ὀργῆς οἱ ὀφθαλμοί μου, πεπολιόρκημαι μεγάλως ὑπὸ πάντων“.⁴⁶

ბიბლიის თანამედროვე თარგმანში მოცემულია: „**დარდისაგან თვალი დამეცსო და დამიჭლევდა** სხეულის ასოები“ (ბიბლია 1989: 481).

აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ საანალიზო სიტყვა მცხეთურ ხელნაწერში, ოშკისა და ბაქარის ბიბლიაში, ერთნაირადაა გადმოცემული (განსხვავება მხოლოდ რიცხვშია), ბიბლიის თანამედროვე თარგმანში კი გვაქვს **თვალი დამეცსო**, რაც, ვფიქრობთ, უფრო ევფემისტური დატვირთვის მქონეა.

არის შემთხვევები, როდესაც ევფემისტური გამოთქმის გვერდით ტექსტებში, ერთ კონტექსტში, გამოიყენება არაევფემისტურიც:

„აჰა ესერა მოიწია კაცი, რომელსა მრავლით ჟამითგან ელმოდა თუალი მარჯუენე, რამეთუ **ნათლისაგან სრულიად დაკლებულ იყო**, ხოლო ფრიად იგი ტკივილი ცხად ჰყოფდა ერთისა მისცა **დაბრმოხასა**“ (სერაპ., 129);

„გზასა ზედა ერთი **უსინათლო** და უწინამძღვრო გლახაკი შემოეყარა... თქვა თვალხილულმან: გამოვსცადო **ბრმა** ესე“ (სიბრძნე სიცრ., 65).

⁴⁵ <http://www.nplg.gov.ge/sa/skolo/index.php?a=term&d=44&t=2407> (მომიებულია: 22 აპრილს, 2016).

⁴⁶ <http://patrologia.narod.ru/biblia/lxx/index.htm> (მომიებულია: 20 აპრილს, 2016).

ზოგჯერ ტექსტებში უხერხული გამონათქვამი ევფემიზაციის მიზნით უცხო სიტყვით არის ჩანაცვლებული. მაგალითად, „ანტონის ცხოვრებაში“ არის სიტყვა **სატუხე**: „და ვინაჲ **სატუხისა** თანა ესევეთარი და ესეთი გონებაჲ“ (49,21). **B** ხელნაწერში იგივე ადგილი ასეა გადმოცემული:

„და ვინაჲ **სატუხესა** ესევეთარი გონიერებაჲ მოეცა“ (33v). **B**-ში კიდევ ერთხელ არის აღნიშნული სიტყვა გამოყენებული: „ვითარ მოვიდოდეს, დაჰკვრდეს, ესოდენსა ჰხედვიდეს **სატუხისა** მეცნიერებასა“ (29v). ბრიტანულ ხელნაწერში შესაბამის ადგილას გვაქვს: „დაუკვრდა, რამეთუ ესოდენსა ხედვიდეს **სანატრელისა** მის მეცნიერებასა“ (43, 29). ი. იმნაიშვილი მიუთითებს, რომ ბერძნულში **სატუხეს** შეესატყვისება ἰδωτός, რაც ნიშნავს 1. პირადს, განსაკუთრებულს, შინაურს; 2. უმეცარს, უვიცს, უბრალოს. ჩვენს შემთხვევაში ტექსტისათვის მეორე მნიშვნელობა უფრო შესაბამისია. ლათინურ თარგმანშიც **idiotia** არის ნახმარი, რაც აგრეთვე **უმეცარს** ნიშნავს. ამდენად, **სანატრელისა** ერთგვარად გაუმართლებელი თარგმანია (იმნაიშვილი 1975: 445). შესაძლოა ასეთი თარგმანის მიზეზი უარყოფითი სიტყვის თავიდან აცილება იყოს. დისფემიზმის (უმეცარი, უვიცი) ნაცვლად უცხო (ამ შემთხვევაში ბერძნული) სიტყვის გადმოტანას უფრო ევფემისტური დატვირთვა აქვს. აღსანიშნავია, რომ სიტყვა **სატუხელი** აქვს დამოწმებული ილ. აბულაძეს „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“: **სატუხელად** გაიკადა თავი... რომელი... გონჯსა ჰგუანდა“ (მ. ცხ. 384 r). აქ **სატუხელი** განმარტებულია, როგორც „დასერილი, დასახიჩრებული, დაწყლულებული“ (იქვე).

აღნიშნული ჯგუფის სახელები თანამედროვე ქართულშიც ხშირად გადმოიცემა ევფემისტურად.⁴⁷

ზ) გარდაცვალებასთან დაკავშირებული სახელური ევფემიზმები. კონცეპტი „სიკვდილი“ სემანტიკურად ყველაზე უარყოფითი ემოციის მატარებელია. ძნელია, მას მოემკებნოს პოზიტიური მნიშვნელობა. სწორედ ამის გამო უძველესი დროიდან ხდება ამ კონცეპტის ევფემიზაცია.

⁴⁷ მაგალითად, ტერმინების: ინვალიდი – უნარშეზღუდული, შშმ (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე) პირი – შესახებ მსჯელობა მოცემულია ნ. დარასელიას სტატიაში (დარასელია 2018).

ბიბლიურ ტექსტებში გვხვდება სიკვდილის პირდაპირი ან ევფემისტური გადმოცემა. მისი ევფემიზაციისას გამოიყენება როგორც ცალკეული სიტყვები, ასევე – მთელი წინადადებაც.

ზ. კიკნაძე ხუთწიგნეულის ენის შესახებ მსჯელობისას მიუთითებს, რომ მკვდრის უწმინდურების წარმოდგენა არ არის მხოლოდ ძველი აღთქმის ხალხის ყოფისთვის დამახასიათებელი. იგი გავრცელებულია ძველი ხალხების კულტურებში. შორს რომ არ წავიდეთ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოთა ტრადიციულ ყოფაში მიცვალებული, რომელსაც ევფემისტურად „ცივს“ უწოდებდნენ, უწმინდურად ითვლებოდა და განსაკუთრებით ჯვარ-ხატთა მსახურნი (ხევსურები, ხუცესები, დეკანოზები) ერიდებოდნენ. ფშავის ზოგიერთ თემში (უძილაურთაში, უკანაფშავში) მიცვალებულის გასაპატიოსნებლად ადამიანს მეზობელი საყმოდან იწვევდნენ, იმდენად ეკრძალებოდათ მიცვალებულის შეხება (კიკნაძე 2012: 323-324). ტაოურსა და იმერხეულ დიალექტებში, მაგალითად, გარდაცვლილს მოიხსენიებენ, როგორც **მიწამტვერა**: „მიწამტვერას კუდარ ვებნევით, კაცი რო მოვდება, იმა ვებნევით, იგნებ?“ (მიქაუტაძე 2013: 282).

წერილობით ძეგლებში არის, აგრეთვე, ლექსიკური ერთეული **მიცვალებული**:

„და ღირს ყვენ სულნი **მიცვალებულნი** წიაღთა აბრაჰამისათა და განუსუენე!“ (სასულიერო პოეზია, იოანე მინჩხი, დასდებულნი წმიდისა აღდგომისანი, 460);

„და აწ **მიცვალებულ** ხარ და იხარებ“ (ჰიმნოგრ., ბასილი, გალობანი ეფთვში მთაწმიდელისანი, 506);

„დღისით უყონ **მიცვალებულს** პანაშვიდი, წირვაები“ (თეიმურაზ II, სარკე თქმულთა, 339)...

გარდაცვალება მოიხსენიება, როგორც **წოდება**:

„და მოიწია დღეჲ იგი **წოდებისა** მისისაჲ“ (შუმ., 26);

„და მრავალთა წელიწადთა ვითარცა მოწაფენი მორჩილ იყვნეს ჩემდა ვიდრე ჟამადმდე **ღმრთის-წოდებისა**“ (ხანძთ., 171)...

კ. დანელია ბიბლიის ენაში განიხილავს უცხოენოვან ფარდებთან ტიპოლოგიურად მსგავს ქართულ კომპოზიტებს. ამ ტიპის კომპოზიტებში გამოიყოფა სამი ჯგუფი: ა) ბერძნულ-ქართული კომპოზიტები, ბ) სომხურ-ქართული კომპოზიტები; გ) ბერძნულ-სომხურ-ქართული კომპოზიტები. სხვადასხვა ენაში მოქმედი ამგვარი კომპოზიტების მსგავსებისა თუ ერთგვარობის საფუძვლად მიჩნეულია როგორც ცალკეულ კომპონენტთა, ასევე მთლიანი ფორმის შინაარსობრივი თანხვედენილობა... ბერძნულ-ქართულ კომპოზიტებთან ერთად მეცნიერი ასახელებს სიტყვას **მრავალ-საკაცო** (ბერძნ. **πολύδριον**, სასაფლაო, ეზეკ. 39, 11-16) (დანელია 1998: 83). ჩვენი აზრით, ეს კომპოზიტიც ევფემისტური დატვირთვის მქონეა.

მიცვალეულთან დაკავშირებული ლექსიკის ევფემიზაცია ბიბლიური თარგმანებიდან მოდის. ეს მოვლენა დამახასიათებელია როგორც სალიტერატურო ქართულისათვის, ასევე – დიალექტებისთვის. მაგალითად, ზემოიმერულ დიალექტში **ბინა** ჰქვია ზოგადად ადამიანის საცხოვრებელ ადგილს. **ბინა** თანამედროვე ქართულში გამოიყენება ამ ერთი ძირითადი მნიშვნელობით, თუმცა სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსებით (1. ცალკე საცხოვრებელი სადგომი შენობაში, 2. დროებითი სამყოფი, 3. მეცხვარეთა საცხოვრებელი სახლი და ა. შ., ქეგლ⁴⁸), მაგრამ ზემოიმერულში **ბინა** ევფემიზმად ქცეულა: იგი სასაფლაოს/საფლავს ნიშნავს. მაგალითად, „ჩემი ქმრის **ბინას** პომიატნიკი გოუკეთე“ (პერევი) (შდრ. ჭინჭ, უთურ., დიალექტ. ხევს., ყაზბ.) (მოწენიძე 1974: 51). ამ შემთხვევაში ევფემიზაციის მოტივი ნათელია: ჯერ ერთი, ადამიანი უხსოვარი დროიდან გარკვეულწილად ერიდება გარდაცვალებასთან დაკავშირებული სიტყვების პირდაპირ ხსენებას, მეორეც, საფლავი ხომ გარდაცვლილის სამუდამო სამყოფელია ანუ **ბინაა**. იგი უფრო შერბილებული გამოთქმაა, ნაკლები უარყოფითი სემანტიკის მქონე.

აღვნიშნავთ, რომ სხვა დიალექტურ ლექსიკონებში, ზემოიმერულის გარდა, **ბინა** ევფემისტური მნიშვნელობით არ დადასტურდა. ეს სიტყვა არ არის ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში. აქ საცხოვრებელი ადგილის მნიშვნელობითაა **ვანი**,

⁴⁸ ena.ge.

მონასტერი, ტაძარი (იხ. ი. აბულაძე). **სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც არის ვანი, სადგომი, სავანე, ტაძარი, სახლი** (**სახლი** დახასიათებულია ვრცლად), თუმცა **ბინა** აქაც არაა ნახსენები.

დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, **ბინა** სპარსულია. როგორც ჩანს, XVIII-XIX საუკუნეებიდან ქართულში მკვიდრდება უცხოური წარმოშობის სიტყვა **ბინა** მანამდე არსებული საცხოვრებელი ადგილის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების გვერდით და საბოლოოდ დღეს **სახლის** პარალელურად გამოიყენება სხვადასხვა სემანტიკით, მათ შორის ერთ-ერთ ნიუანსად შეიძლება ჩაითვალოს ზემოიმერულში დადასტურებული ევფემისტური მნიშვნელობა.

ევფემისტური სემანტიკის მქონეა, აგრეთვე, **კოლოფი**, რომელიც სალიტერატურო ქართულის მიხედვით, არის პატარა ყუთი სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა დანიშნულებისა.

ზემოიმერულ კილოკავში **კოლოფი** გამოიყენება ორი მნიშვნელობით: 1. კუბო, 2. ხის ნაჭერი, რომლითაც დანდლები (უწყვეტები) არის დამაგრებული ხელნაზე (ზესადგარზე). პირველი მნიშვნელობით **კოლოფი** არის მიცვალებულის მოსათავსებელი ხის ყუთი, მაგალითად, „მე წავალ, ვითომ მოკვდი იქა, მოვივით ამბავი აქა თქვენე. **კოლოფი** გამამიგზავნეთ“ (ბუკვეთი) (ძოწენიძე 1974: 203). ასეთ კონტექსტში **კოლოფი** ევფემიზმია. აქაც გამჭვირვალეა ევფემიზმის მოტივაცია, რომლის საფუძველიც სიტყვის უარყოფითი სემანტიკის შერბილება, „გაკეთილშობილებაა“.

ჩვენი დაკვირვებით, ევფემიზმი **კოლოფი** მხოლოდ ზემოიმერულშია შემონახული, თუმცა სიტყვა **კოლოფი** სხვადასხვა მნიშვნელობითაა გამოყენებული როგორც ძველად, ისე ახლაც.

ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით, **კოლოფი** არის „კარტალი“ (= კოლოფი), „კალათი“ (= მცირე გოდორი) (ი. აბულაძე).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: **კოლოფი** – მომცრო შთასადებელი; ფიცრის კოლოფი, ხის კოლოფი; დიდი, გინა მცირე. **კოლოფის** სინონიმია

„გუადრუცი||გვადრუცი“. **გუადრუცი** კოლოფი მცირე გიდელი ანუ გოდორი მცირე; გვადრუცი კოლოფია, ონიფანტე გვადრუცში ჩადვეს.

რამდენადაც ზემოიმერულში **კოლოფი** კუბოს მნიშვნელობითაც გამოიყენება, ამიტომ საჭიროა ამ სიტყვის ფორმოზრევ-სემანტიკური სტრუქტურის/ვითარების გათვალისწინებაც.

ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში **კუბო** არის ტახტრევანი, საჩრდილობელი, საქორწინო სახლი და მისთანა დადებითი მნიშვნელობის მქონე სიტყვა (ი. აბულაძე), ხოლო საბას განმარტებით, „**კუბო** – ესე არს ქალთა და კაცთა ჩასაჯდომელი, აქლემთა ასაკიდებელი, გინა ჳელით სატარებელი. ხოლო მსოფლიონი კუბოდ უჳმობენ, მკვდართა შთასადებელთა გვადრუცთა“ (ე. ი. კოლოფს – თ. ნ.).⁴⁹

მაშასადამე, ზემოიმერულში გამოვლენილი ევფემიზმის – **კოლოფის** გათვალისწინებით ირკვევა, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდში მეტ-ნაკლებად მომხდარა **კოლოფი/კუბო** – სიტყვების სემანტიკური ევოლუცია, კერძოდ, ძველ ქართულში ორივე მათგანი მხოლოდ დადებითი შინაარსის მქონეა, მაგრამ XVII-XVIII საუკუნეებში (სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით) ისინი დამატებით იძენენ ახალ მნიშვნელობას – „მკვდართა შთასადებელია“, თანამედროვე ქართულში კი **კოლოფის** სემანტიკა კვლავ დავიწროვდა, იგი აღარ არის მიცვალებულის ჩასასვენებელი „ჭურჭლის“, ნივთის სახელი, გამონაკლისია ზემოიმერულის ევფემიზმი. მეორე მხრივ, **კუბო** საბოლოოდ დამკვიდრდა ერთადერთი უარყოფითი მნიშვნელობით, თუმცა დიალექტებში, ზეპირ მეტყველებაში მისი სინონიმური ცალებია: **სასახლე, ჭურჭელი**. „აბო თბილელის წამებაში“ დადასტურებულია **ჭურჭელი**:

„აღიღეს ქვეყანით პატიოსანი იგი გვამი მისი... და იგიცა შთადვეს **ჭურჭელსა** შინა“ (აბო, 63).

ტერმინ **ჭურჭელი**-ს ისტორიულ-სემანტიკური ანალიზი მოცემულია ნ. ფხაკაძის სტატიაში. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა „ევფემიზმის საფუძველზე კუბოს

⁴⁹ http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=8&id_srch=2074853cf99d73de4e8d14af9fea65af&il=en&p=1 (მომიებულია: 20 აპრილს, 2016).

მნიშვნელობითაც გამოიყენება (ქეგლ) (შდრ. არნაკი, რომელსაც ზ. სარჯველაძე (1995) ასე განმარტავს: „ჭურჭელი, სანაწილე, საფლავი“ (ფხაკაძე 2004: 67).

ამ განმარტებების მიხედვით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობის ცვლილებას: რადგან **კოლოფის** სინონიმი სულხან-საბასთან **გვადრუცია** (< გუადრუცი), რაც მიცვალებულის ჩასასვენებელს ნიშნავს, ჩანს, ამ სიტყვას თავიდანვე ჰქონია ევფემისტური მნიშვნელობა, რომელიც მხოლოდ ზემოიმერულმა დიალექტმა შემოინახა (ჩვენ მიერ შესადარებლად აღებულ დიალექტურ ლექსიკონებში ვერ დავადასტურეთ). მართალია, ლექსიკური ერთეული **კუბო** ტახტრევანს ნიშნავდა, მაგრამ „მსოფლიონი“ დღევანდელი მნიშვნელობითაც (გარდაცვლილის ჩასასვენებელი) იყენებდნენ. დროთა განმავლობაში **გვადრუცი** საერთოდ გავიდა ხმარებიდან, **კოლოფმა** შეინარჩუნა თავისი ზოგადი, დადებითი მნიშვნელობა, ევფემისტური მნიშვნელობით კი მხოლოდ ზემოიმერულ დიალექტში შემორჩა. **კუბო** დადებითი მნიშვნელობით (ტახტრევანი) დღეს აღარ გამოიყენება, უარყოფითი მნიშვნელობის შერბილების მიზნით ზემოიმერულში მას ენაცვლება **კოლოფი**, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კი – სასახლე.

იმერხეულში არის **კოლოფაი**||**კოლოფი** – ხის მომცრო ჭურჭელი მაწვნის შესაკვეთავად (საერთოდ, რძის პროდუქტების შესანახავად) განკუთვნილი (ფუტკარაძე 1993: 487). ძველ ქართულში იყო სიტყვა **კოლობი**, რომელსაც სხვა მნიშვნელობა ჰქონდა (მოკლე პერანგი, ერთი კოლობი ემოსა უსაჯელოდ [ნოველები, II, 235, 2]; **კოლობი** აქუნდა მას, ესე იგი არს, სტიქარი, შესამოსელი სპეტაკი [სილიბ. 4r, 17-18] (სარჯველაძე 1997: 100).

თ) **იერარქიასთან დაკავშირებული სახელური ევფემიზმები**. მაღალ იერარქიულ საფეხურზე მდგომ პირთა მიმართ დღეს გამოიყენება სიტყვა **ბატონი** (ლათ. **პატრონუს** – მფარველი; მეგრ. **პატონი** > **ბატონი**. საბას ლექსიკ.:⁵⁰ **პატონი/ბატონი**). იგი გვხვდება 1. ღმერთის მნიშვნელობით; 2. უფროსის მნიშვნელობით (ბატონყმობის დროს); 3. პატრონის, მფლობელის მნიშვნელობით; 4. როგორც ევფემიზაციის საშუალება (იხ.

⁵⁰ ლექსიკონი ქართული, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=8&p=4&w1=პ> (მოძიებულია: 12 ივნისს, 2016).

სინტაქსური ევფემისტური შენაცვლებანი, გვ. 81). **პატრონი** გვხვდება XII საუკუნეში („ვეფხისტყაოსანში“) და მას **მფლობელის** მნიშვნელობა აქვს. როგორც ჩანს, ევფემისტური ფუნქციით ის მოგვიანებით დაიტვირთა. „ეს სიტყვა ვასალიტეტის გამომხატველი ტერმინია, რომელმაც ევფემისტური დატვირთვა მოგვიანებით შეიძინა“ (სალინაძე 2013: 272). მაგალითები:

„**პატრონი** ხარ, რაცა გწადიან, მიყავ“ (ვისრ., 220);

„მე **პატრონისა** ჩემისა ასული შემყვარებია“ (ვეფხისტყ., 57);

„უამამდის ჩემსა ნუ იტყვით არ თქვენსა **პატრონობასა**, „თვით თავადია ჩვენნი“, თქვით, ნუ მიხმობთ ჭაბუკობასა“ (ვეფხისტყ., 195);

„ვის ასმია **პატრონისა** ჭირსა შიგან ყმისა რიდი?!“ (ვეფხისტყ., 147);

„**პატრონი** ჩემი აგრევე იყო წამოხვე შენ ოდეს“ (ვეფხისტყ., 113).

ეთიკეტური ფუნქციით:

„შემდგომად **ბატონს** დავითს, **ბატონის** თეიმურაზის მამას, კუსა და მორიელის არაკამდის ეთარგმნა“ (ვახტანგ VI, 201).

დოკუმენტების ენაში **ბატონი/პატრონი/ბატონო** გამოყენებულია მსაზღვრელად:

„წამოგუიძლუა თუითან **ბატონი** დადიანი და გეგუთს მივედით“ (წიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სასისხლოს გადახდაზე, 1503 წ., დოკ. 1986: 114);

„...მეფეთ-მეფე **ბატონი** გიორგი, მე მისი **ბატონი** ალექსანდრე“ (დაწერილი გელოვანებისა სეტის კევისადმი, 1605-1639 წ., დოკ. 1986: 167);

„ღმერთმან გაუმარჯოს **პატრონს** დადიანსა... ეაჯებინა და ეპატივებინა **ბატონის** დადიანისთუის...“ (წიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სასისხლოს გადახდაზე, 1503 წ., დოკ. 1986: 114);

„დასხდეს თუითან მეფეთ-მეფე **პატრონი** ალექსანდრე და დადიანი **ბატონი** მამია“ (წიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სასისხლოს გადახდაზე, 1503 წ., დოკ. 1986: 114).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მას შემდეგ, რაც ქართულში შემოვიდა და განმტკიცდა თქვენობითი მიმართვა, სიტყვა **ბატონს** დაეკარგა ოდინდელი გამომსახველობითი სიძლიერე (ფეიქრიშვილი 2005: 46).

ი) ტაბუს საფუძველზე წარმოქმნილი სახელური ევფემიზმები:

მეტყველების ევფემიზაციის ერთ-ერთი მოტივი, როგორც სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში, ჩვენებურების მეტყველებაშიც არის ტაბუ. ტექსტებში, კერძოდ, თარგმანებში, გვხვდება ტაბუირებული ცხოველთა სახელები, მაგალითად, გველისა:

„და მრავლით ჟამითგან სავსე იყო **ქუეწარმავალითა**“ (ცხოვრ. ანტონისი, თარგმ., 16).

ცნობილია, რომ დიალექტებში მას ევფემისტურად **უხსენებელს, ბობოლს, ფინოს** ან **ბოტოტს** უწოდებენ. დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს:

უხსენებელი: „დუმმანი გვახსენებს, ისევ **უხსენებელზე** დევწყეთ ლაპარაკი“ (ფუტკარაძე 1993: 582)... ეს ფორმა გამოიყენება სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტებშიც: „ერთ სოფლი თავში... **უხსენებელი** შამოხვევოდა გამხმარ ჩქოლას (ზემოაჭარული); „გააჭყირა თვალი და დეინახა, რომ **უხსენებელი** მისულა კალათასთან“ (ქვემოგურული)...⁵¹

ბობოლი: „მე დემემართა ასე. მიკბინა **ბობოლმა**“ (ფუტკარაძე 1993: 324); „აყრებმა (მორიელმა), კიბორჩხალმა, **ბობოლმა** (გველმა) უკბინა ინსანსა“ (იქვე).

ბობოლი არის კომპოზიციის შემადგენელი კომპონენტიც და გამოხატავს ფერს – **ბობლიზუალი:** „წინდები ჭრელები რა გუარია? ამის გარდა არი კავიჭაი, კატითუალი, იუსუფელი ჭრელი, **ბობლიზუალი**...“ (ფუტკარაძე 1993: 254).

ბობოლს სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, როგორც „დიდრონი ჭია-ჭუა“, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ბობოლის** ევფემისტურ მნიშვნელობაზე არაა მითითებული: **ბობოლ-ი** (ბობოლისა) 1. «დიდრონი ჭიაჭუა» (საბა). 2. კუთხ. (გურ.) აბრეშუმის ჭია; მატლი (გ. შარაშ.). დიალექტურ ლექსიკონებშიც არაა აღნიშნული ამ სიტყვის ევფემისტური მნიშვნელობის შესახებ.

⁵¹ <http://corpora.co/#/> (მომიებულია: 12 ივნისს, 2016).

ფინტი (პინტ – ძუნწი, ხელმოჭერილი) – ცუდი, ავი, ბოროტი, გველი: „**ფინტი** შეხდენია მარწყუეფში“ (ფუტკარაძე 1993: 519). შდრ. საბა (ფინტი – შერყვნილი) (ორბელიანი 1993: 591);

ბოტოტი: შ. ფუტკარაძის მიერ ჩაწერილ ტექსტებში **ბოტოტი** ნიშნავს მახრას, მატლს: „კოს ფოთელი **ბოტოტ** შუუჭამია...“ (ფუტკარაძე 1993: 245). ეს სიტყვა ევფემისტური დატვირთვით შეგვხვდა 2009 წლის იმერხევის ექსპედიციის დროს ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალაში: „იქედამ ჩამოდიან... ასე დათვები, გუზელი **ბოტოტები** არი და“ (იმერხევი, ხევია, 2009). **ბოტოტი** – დიდი წვინტლი – ასე განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი ამ სიტყვას (ორბელიანი 1966: 109). ამ მნიშვნელობითაა იგი ჯავახურშიც.

ზოგჯერ საანალიზო სიტყვა ევფემიზაციის გარეშეც მოიხსენიება: „ეჰა ესერა მიგვე თქუნ კელმწიფება დათრგუნვად **გუელთა** და ღრიაკალთა და ყოველთავე ძალთა მტერისათა“ (ცხოვრ. ანტონისი, თარგმ., 25).

ზოგ შემთხვევაში ევფემიზაციის საშუალება შეიძლება იყოს გარკვეული მორფოლოგიური ინვენტარი. ასეთია, მაგალითად, **არა-/არ-** ნაწილაკი, რომელიც სიტყვამაწარმოებელი ფუნქციით გამოიყენება და შერბილებული სახით გადმოსცემს ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის შინაარსს. უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ ევფემიზმებს მორფოლოგიურ ევფემიზმად მიიჩნევენ, მაგრამ ჩვენ სემანტიკური ასპექტით განვიხილავთ საანალიზო ერთეულს.

ამგვარად ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები გვხვდება თარგმანებში:

„და მიერთგან ცხონდებოდა **არაწმიდად**, ვითარმედ მი-ცა-იწია იგი სიძვად“ (შუა საუკუნეთა ნოველები, X სკ., 169);

„არა ღირს ხარ შესლვად ეკლესიასა, რამეთუ **არაწმიდა** ხარ“ (იქვე, 153);

საერო მწერლობის ძეგლებში დასტურდება **არაწმიდა**, **არამართალი**, **არსვიანობა**:

„რა დიაცი **არა-წმიდა** იყოს, ქმარი მისგან აბეზარ-იქმნების“ (ვისრ., 39);

„ისარი რა **არამართლად** მივიდოდეს, მშვილდისა მოზიდვასა შეეტყვების“ (ვისრ., 25);

„ვისის საქმე მასვე დღესა გამოჩნდა, სიმწარე და **არსვიანობა** ამაღ“ (ვისრ., 25)...

„ვეფხისტყაოსანში“ არ- თავსართით ნაწარმოები ფორმა არმადლიერი ევფემისტური ფრაზის ნაწილიცაა, თუმცა შეიძლება აქ განპირობებული იყოს რითმის გამოც:

„...მეფე ინდოთა არისმცა ღმრთულეზრ ძლიერი!

მათი ერთგული გაძღების ყოველი სული მშიერი,

ვინცა ურჩ ექმნას, იქმნების თავისა არ-მადლიერი“ (ვეფხისტყ., 76).

ტაბუს საფუძველზე წარმოქმნილი ევფემიზმების არსებობა განპირობებულია მოვლენის ერისეული კულტურული ინტერპრეტაციით. ერთი ერისათვის ტაბუირებული მოვლენის სახელი შესაძლოა თავისუფლად მოიხსენიებოდეს სხვაგან და, პირიქით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სახელებით გამოხატული ევფემიზმები წერილობით ძეგლებში მრავალფეროვანია და ქმნის სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფს, ანუ გამოიყოფა ევფემიზმები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ობიექტთან, კერძოდ: ა) უფლის სახელთან; ბ) ეშმას სახელთან; გ) ადამიანის სხეულის ნაწილებთან; დ) ყოფაქცევასთან; ე) ინტიმურ ურთიერთობასთან; ვ) ფიზიკურ, გონებრივ ნაკლთან, ავადმყოფობასთან; ზ) გარდაცვალებასთან; თ) იერარქიასთან; ი) ტაბუსთან.

2.2.2. ევფემისტურობის გამოხატვა ზმნური ლექსიკური ერთეულებით

ლექსიკურ ზმნურ ევფემიზმთა სახეებში განვიხილავთ ისეთ შენაცვლებებს, როდესაც უსიამოვნო დატვირთვის მქონე სიტყვას ენაცვლება სრულიად სხვა მნიშვნელობის მქონე ერთეული ევფემიზაციის მიზნით. წერილობით ძეგლებში ასეთია გარდაცვალებასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები.

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ გვხვდება არაევფემისტური მოკუდა:

„ხოლო რაჟამს მოკუდა ჰერაკლე მეფე, მისსა შემდგომად დადგეს მეფენი და პატრიარქნი“ (დავით და კონსტ., 436);

„ნუღარა იკადრებთ დარღუევად დიდებულსა ხანძთასა, რამეთუ დამარღუეველი მაგისი მოკუდა“ (ხანძთ., 209)...

ხშირად ეს ზმნა გაეფემისტურებულია: მას ენაცვლება **გარდაცვალება/მიცვალება**, რომელიც გვხვდება როგორც შეცვლის („სხვაგან ქენ შენი ბუნაგი, ადგილი **გარდიცვალო**“ (თეიმ., ვარდბულბ., 53), ასევე ევფემისტური სემანტიკით:

„მწყემსად მათდა ჩინებული სარწმუნოდ მღდელი, მამისა გრიგოლის მივლენილი, **გარდაიცვალა**“ (ხანძთ., 177);

„**გარდაიცვალე** მიცვალებითა ამიერ სოფლით ღმრთისა თანა და მოქალაქეობაჲ მოგეცა ცათა შინა“ (სასულიერო პოეზია, იოანე მტბევარი, გალობანი წმიდისა ბასილისნი);

„მივიდა მამულად თვისად კვიპრედ და მუნ **მიიცვალა**“ (დავით და კონსტ., 436);

„**მი-რად-იცვალა** თეოდორა დედოფალი, მეყსეულად მართა, ასული ბაგრატიისი, სამეუფოდ შემოიყვანეს“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 366);

„დედაჲ შვილთა ზედა სიხარულევანი... ნათლად გამომყვანებელი მათი ნათლად და წარუვალად **მიიცვალა**“ (სერაპ., 98);

„ორნი შვილნი სიჩოებასვე შინა **წარსრულ იყვნეს** და შემდგომად მათისა დედაცა, ნათლად გამომყვანებელი მათი, **მიიცვალა**, და სხვისა მეუღლისა შეერთებაჲ არღარაოდეს თავს იდვა“ (სერაპ. 120);

„ესრეთ წმიდაჲ ესე პატრეარქი... შემდგომად მცირედისა უფლისა მიმართ **მიიცვალა**“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 371);

„და ესრეთ სათნოდ ღმრთისა **მიიცვალა** და დაჰმარხეს მის მიერ აღშენებულსა ეკლესიასა სამთავროს“ (ნინო, 434);

„გონებითა **მიიცვალე** შენ უზეშთაესსა ცხოვრებასა წმიდათა შეერთებასა“ (სასულიერო პოეზია, იოანე ქონქოზისძე, გალობანი ქრისტეს ნათლისღებისანი და ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისანი, 488);

„ხოლო გულისწმა-ყო რად ზეგარდმოდა წოდებითა ჟამი **მიცვალებისა** თვისისა **ჯორცთაგან განსლვისა და ღმრთისა მიმართ მისლვისა**, განგებულეზამან საღმრთოჲმან აღძრა სული მისი წარსლვად მთაწმიდად“ (გ. მთაწმ. ცხოვრ. 389).

ზ. სარჯველაძე მიუთითებს, რომ ზოგი სიტყვის გარკვეული მნიშვნელობით გამოყენება ძველ ქართულში შეპირობებულია შესაბამისი ბერძნული სიტყვის სემანტიკით. ასეთებია: **აღესრულა**, **შეეძინა** და სხვ. მაგალითები: **აღესრულა** იოსებ (დაბ. 50, 26); რაჟამს **აღესრულა** ჰეროდე (მ. 2, 19) და სხვ. და **მოკუდა** აბრაჰამ სიბერითა კეთილითა მოხუცებული და სავსე დღითა და **შეეძინა ერსა თვისსა** (დაბ. 25, 8); და დასცხრა იაკობ ბრძანებად ძეთა თვისთა და აღიხუნა ფერწნი თვისნი ცხედრად და მოაკლდა და **შეეძინა მამათა თვისთა** (იქვე 49, 33) და მისთ. (სარჯველაძე 1984: 158).

მსგავსი მასალა დასტურდება ჩვენს საანალიზო ტექსტებში:

„და ჟამთა ბასილი მეფისათა იდესმე **აღესრულა** მთავარეპისკოპოსი, რომელი იყო მუნ“ (იოანე და ექვთ., 314);

„ხოლო **აღესრულა** იგი კეთილითა აღსარებითა თუესა ნოენბერსა ათსა“ (კოსტ. კახი, 79);

„ხოლო **აღესრულა** მამად ჩუენი ილარიონ თუესა ნოენბერსა ათცხრამეტსა“ (ილარ., 287);

„განგებითა საღმრთოდთა, თეოდორა დედოფალი **აღესრულა**“ (გ. მთაწმ. ცხ., 336);

„და ესრეთ **აღესრულა** სათნოდ უფლისა“ (ნინოს ცხ., 415);

„და მასვე ჟამსა **აღესრულა** და მუნვე ჰემსას დაეფლა“ (ხანძთ., 181).

„არამედ შემდგომად არამრავალთა წელთა **აღესრულა** მამადცა ამათ ნეტართად და წინაშე ღმრთისა მიიცვალა სიბერითა კეთილითა განპოხებული“ (სერაპ., 98);

„მან იქალაქა. **აღსრულდა** აქა“ (საერო პოეზია, ჩახრ., თამარიანი, 459)...

ასეთივეა **შეისვენა**:

„ვინადეგან კულა ნეტარმან იოვანე **შეისვენა**... განმრავლდა ჩვენ შორის ყოველი სულმოკლეობად და სიგრილუ“ (იოანე და ექვთ., 295);

„ხოლო რომელი-იგი უარყვეს ქრისტედ, ბახდიად ეშმაკეულ იქმნა და ძნელად მოკვდა, ხოლო უბადრუკმან პანაგუშნასკ გლახაკობითა აგნა დღენი“ (ევსტ., 31);

„და ამას ზედა შეისუენა მასვე ჟამსა“ (ნინო, 426);

„და ამის სიტყვასავე თანა განზრწყინდა პირი ბალაჰვარისი და შეისვენა“ (ბალავ., 114).

დაიძინა:

„კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშვიდობით მას ზედა დავწევ და დავიძინე“ (შუმ., 27);

„კეთილითა აღსასრულითა დაიძინეს და წარვიდეს ცხოვრებად საუკუნოდ“ (იოანე და ექვთ., 332);

„ესე წმიდად მამა ჩუენი ნეტარსა მას დაძინებასა თვისსა არა უმეცარ იყო“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 394);

„და დაიძინა ნეტარმან ბერმან და ტკბილ ეყო მას ჰრული მისი“ (ხანძთ., 143);

„მე ჰემსას მივიწიე და მუნ დამიძინებია მეორედ მოსლვადმდე ქრისტესსა“ (ხანძთ., 181).

გარდაცვლილისადმი მოკრძალებულ დამოკიდებულებას გამოხატავს დაკრძალვა:

„პირველად აღმოიყვანნა ნაწილნი წმიდისა მამისა იოანესნი... და შვილსა თვისსა თანა დაჰკრძალნა“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 360);

„ხოლო მეფემან... განიზრახა, რათა გუამი მისი აღიყვანოს და დაჰკრძალოს მახლობელად სუეტი-ცხოველისა“ (ნინო, 433);

„ხოლო ელიოზ შიშითა შეპყრობილმან დად იგი საყვარელი და წმიდად კვართითურთ დაჰკრძალა მიწასა შინა“ (ნინო, 427).

ტექსტებში გვხვდება ასევე სხვა ზმნური ევფემისტური მონაცვლეობაც:

„ვნახე, მონა ჩემი, მასთან მჯდომი, ემღეროდა“ (სიბრძნე სიცრ., 42);

„ცოლი ყრმასა ზედა დასწოლოდა. სხვა მეზობლები აგარაკთა ადგილთა წარსრულიყვნეს...“ (სიბრძნე სიცრ., 8);

„ვინც ავი დედაკაცი დაორსულდება, შვილს ვერ წაიხდენს“ (ს.ს. ორბელ., მოგზ. ევროპ., 159);

„ღმერთი წიაღთა იტვირთე, სხვა კაცი არსად გეხარა“ (თეიმურ., სოფლის სამდ., 96).

„დიაცი დაორსულდა, ვაჟი ეყოლა“ (სიბრძნე სიცრ.,115)...

ზმნურ ლექსიკურ ერთეულთა სიმრავლე ადასტურებს, თუ რაოდენ დიდია ევფემიზაციისკენ მისწრაფება, როდესაც უსიამოვნო შინაარსით დატვირთული საგნისა თუ მოვლენის შესახებ არის საუბარი.

2.2.3. სიტყვათა მყარი შეხამებანი

ქართულ ენაში ფრაზეოლოგიზმების საკითხს არაერთი მეცნიერი იკვლევს მრავალმხრივი ასპექტით. შექმნილია ბევრი მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაშრომი, საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურა, მაგრამ დღემდე საგანგებოდ არ გამახვილებულა ყურადღება ფრაზეოლოგიზმთა ისეთ ჯგუფზე, რომელსაც ევფემისტური ფუნქცია აქვს. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ნაშრომებსა თუ ლექსიკონებში გამოკვეთილი არაა მოსაზრებები იმ ფრაზეოლოგიური ენობრივი ერთეულების შესახებ, რომლებიც უსიამოვნო ემოციის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება, ანუ ევფემისტურია. ამგვარი ფრაზეოლოგიზმები, როგორც ცალკე ჯგუფი ქართულ ენაში, მეცნიერთა საგანგებო მსჯელობის საგანი დღემდე არ გამხდარა. გამოყოფილი და შესწავლილი არ არის არც სემანტიკური ჯგუფები. გამონაკლისის სახით შეიძლება დავასახელოთ ქ. გოჩიტაშვილის ნაშრომი „ადამიანის ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართულ და ინგლისურ ენებში“. ავტორს განხილული აქვს ამ ორ ენაში არსებულ ფრაზეოლოგიზმთა რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი, მათ შორის გამოყოფილი აქვს ევფემისტური ფუნქციის მქონე ფრაზები. მათი უმეტესობა უკავშირდება ადამიანის გარდაცვალებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, სქესს, რასას, ეთნიკურობას, კულტურათა შორის განსხვავებებს; ევფემისტურ

ფრაზეოლოგიზმებს მიეძღვნა ჩვენი და პროფ. რ. სალინაძის ერთობლივი ნაშრომი „ევფემისტური ფრაზეოლოგიზმები ქართულ ენაში“ (ლიტვა, კაუნასი, 2017).⁵²

ამგვარი ფრაზეოლოგიზმი გულისხმობს სიტყვათა ისეთ მყარ შეხამებას, რომელიც გამოიყენება უხერხული, უსიამოვნო ემოციის გამომწვევი საგნის ან მოვლენის სახელის სუბსტიტუტად მსმენელში უარყოფითი განცდის თავიდან ასარიდებლად. ქართულსა და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინები „ევფემისტური ფრაზეოლოგიზმი“, „ფრაზეოლოგიური ევფემიზმი“ და „ფრაზეოლოგიზმი-ევფემიზმი“. ამათგან ჩვენ ევფემისტური ფუნქციის მქონე ფრაზეოლოგიზმთა აღსანიშნავად ავირჩიეთ ტერმინი „ევფემისტური ფრაზეოლოგიზმები“. ეს ტერმინები ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურასა და ლექსიკონებში ვერ დავადასტურეთ, თუმცა ქართველი მკვლევრები თავიანთ ნაშრომებში ფრაზეოლოგიზმზე მსჯელობისას აღნიშნავენ ზოგიერთი მათგანის ევფემისტურობის (ევფემიზაციის) შესახებ. ამანაც განაპირობა ჩვენი არჩევანი. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ სამივე ტერმინი ერთსა და იმავე აზრს გამოხატავს, ერთი შინაარსის შემცველია – გულისხმობს სიტყვათა მყარი შეხამების ევფემისტურობას, მაგრამ, რამდენადაც ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ ფრაზეოლოგიზმებზე, ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინის „ევფემისტური ფრაზეოლოგიზმი“ გამოყენება (სალინაძე, ნინიძე 2017).

აღსანიშნავია, რომ საკითხის შესწავლის მხრივ სულ სხვა ვითარებაა უცხოენოვან სამეცნიერო სივრცეში. კერძოდ, რუსულ და ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მნიშვნელოვანი ნაშრომები ევფემისტური ფრაზეოლოგიზმების შესახებ. საინტერესო მსჯელობაა მოცემული ლ. ნ. ვავილოვას ნაშრომში “К вопросу об эвфемизации современной русской речи”. მისი აზრით, ევფემიზმთა უმრავლესობა განპირობებულია საზოგადოების ეთიკეტური ნორმებით, თავაზიანობით. მეცნიერი განიხილავს ევფემიზმის კლასიფიკაციის საკითხს სხვადასხვა ავტორის მიხედვით. მის მიერ დასახელებული ევფემიზმების უმრავლესობა ფრაზეოლოგიურია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლ. ნ. ვავილოვა ცალკე არ გამოყოფს

⁵² Rusudan Saginadze, Tamari Ninidze. Euphemistic phraseology in the georgian language; THE PROCEEDING EDITION OF SCIENTIFIC ARTICLES, Published by Vilnius University, Kaunas, 2017.

ჩვენთვის საინტერესო ჯგუფს. შესაბამისად, არ გვხვდება ტერმინები „ევფემისტური ფრაზეოლოგიზმი“, „ფრაზეოლოგიური ევფემიზმი“ ან „ფრაზეოლოგიზმი-ევფემიზმი“.

ამისგან განსხვავებით, ტ. კოვალიოვა თავის სადისერტაციო ნაშრომში „Фразеологические эвфемизмы в современном английском языке“ მსჯელობს თანამედროვე ინგლისური ენის ფრაზეოლოგიურ ევფემიზმებზე, სხვადასხვა ლინგვოკულტურულ ველთან დაკავშირებულ ფრაზეოლოგიურ ევფემიზმთა ჯგუფებზე, განიხილავს მათ სტრუქტურასა და სემანტიკას, ფუნქციონირების თავისებურებებს. ასეთი ევფემიზმების სტრუქტურისა და სემანტიკის შესახებ ავტორი აღნიშნავს, რომ თავისუფალი შესიტყვების საპირისპიროდ, იგი ფიქსირებულია. ფრაზეოლოგიური ევფემიზმები ევფემისტურ ერთეულთა განსაკუთრებული ჯგუფია. მათი საშუალებით, ერთსიტყვიანი ევფემიზმების მსგავსად, სამეტყველო აქტის დროს ხდება ენის უნიკალური გამოვლინება.

სამეტყველო აქტის დროს ხშირად დგას ეთიკის საკითხი, რაც გულისხმობს მსმენელის მაქსიმალურ დაცვას უსიამოვნო ემოციებისაგან. ამის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება არის მეტყველების ევფემიზაცია, რისი მოთხოვნილებაც საზოგადოებაში უძველესი დროიდან გაჩნდა. შესაბამისად, ამა თუ იმ ენაში შემუშავდა ევფემიზმთა გადმოცემის სხვადასხვა ენობრივი საშუალება. ევფემისტური დატვირთვა მიენიჭა მყარ შესიტყვებებს, მათ შორის, ფრაზეოლოგიზმებს, ხატოვან გამოთქმებს.

ფრაზეოლოგიზმებში ასახულია ერის კულტურული თვითმყოფადობა და ცნობიერება, ხასიათი. ამ მხრივ საინტერესოა ქართულ ენაში არსებული ევფემისტური დატვირთვის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც შენახულია ქართველი ერის კულტურული მეხსიერება, ვერბალიზებულია ერის მსოფლმხედველობა, რწმენა-წარმოდგენები, სოციალური ურთიერთობები... ისინი უძველესი დროიდან დღემდე ინახავენ ადამიანთა დამოკიდებულებას სხვადასხვა საგნისა თუ მოვლენის მიმართ, გამოხატავენ ერის ფსიქოლოგიას...

ყველა ენის ფრაზეოლოგია სტრუქტურითა და წარმოქმნის პრინციპებით ძირითადად ერთმანეთს ემსგავსება – არსებობს მათი შექმნის გზები. ასეთად

ჩაითვლება: გარკვეულ ისტორიულ რეალიაზე დაყრდნობა, ბიბლია-მითოლოგიისა და ლიტერატურის მასალის გამოყენება, ენაში არსებული თავისუფალი შესიტყვების მეტაფორული გააზრება, სიტყვის ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობის რეალიზაცია და სხვა (თაყაიშვილი 1961: 123).

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ბიბლიის თარგმნა ქართულ ენაზე ადრეული ხანიდან უნდა დაწყებულიყო. ჩვენამდე მოღწეული ბიბლიური ტექსტები V-VI საუკუნეებით თარიღდება. ქართულ ენაში გვხვდება ბიბლიური სიუჟეტებით ნასაზრდოები გამოთქმები, მათ შორის, ევფემისტურიც. ასეთია, მაგალითად, **ევას ჩამომავლობა**. ეშმაკ, შემაცდენელ, გაუტანელ, ბოროტ ადამიანს (მეტწილად ქალს) ბიბლიური პერსონაჟის – ევას სახელით მოიხსენიებენ (სახოკია, 167); ერთ-ერთი ბიბლიური პერსონაჟის სახელი **აბრაამი** გვხვდება ფრაზეოლოგიზმში **წავიდა წიაღსა შინა აბრაამისასა**, რომელიც დაკავშირებულია წმინდანთა ნეტარების ადგილთან და ნიშნავს გარდაცვალებას (ქართ.-რუს., 528)...

გამოვყოფთ ქართულ ენაში არსებულ ევფემისტურ ფრაზეოლოგიზმთა რამდენიმე სემანტიკურ ჯგუფს. ესენია სიტყვათა მყარი შეხამებანი, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა სიტუაციაში კომუნიკაციისთვის, კერძოდ: მოსაუბრისადმი პატივისცემის აღსანიშნავად, უარყოფითი, ცუდი ამბის თქმის დროს, უხერხული ფიზიკური მდგომარეობის გამოხატვისას, შეურაცხმყოფელი სიტყვებისგან თავის არიდების მიზნით, სიკვდილის ფაქტის, ადამიანის სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გადმოსაცემად. წარმოვადგენთ თითოეული სიტუაციის ამსახველ შემთხვევას.

V-XVIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლების ჩვენს საანალიზო მასალაში სალანძღავი სიტყვების გამეორებისაგან თავის არიდების მიზნით დადასტურდა ფრაზა **უკადრისის კადრება**:

„ვინცა მკადრა უკადრისი, დავივიწყო ანდა ვით მე?“ (არჩილი, გაბაასება., 162).

გვხვდება ღმერთის რწმენასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმი: **„ნუ ყოს ღმერთმანო**, შენ მაგისთანა გული ჩაგედვასო“ (რუსუდ., 455). შდრ. სალიტერატურო

ქართულში გავრცელებული **ღმერთმა ბრძანოს /ინებოს** – ნეტავი კარგად დასრულდეს, რაც გვინდა! (სახოკია, 707); **ღმერთმა კეთილი ყურით გაიგონოს!** – ღმერთი იყოს მფარველი და შემბრალელებელი ჩემი (ან მისი); **ღმერთმა დაგიფაროს/თ** (შენ/თქვენ)! **ღმერთმა დაიფაროს** (ის/ისინი)! **ღმერთმა დაგვიფაროს!** **ღმერთმა ნუ ქნას!** – მაშინ ამბობენ, როცა ძალიან ცუდადაა საქმე, საფრთხეა მოსალოდნელი (სახოკია, 707-708)...

ქართულში გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ბევრ ფრაზეოლოგიზმს რელიგიური საფუძველი აქვს. ქრისტიანული სარწმუნოების თანახმად, ადამიანს აცოცხლებს სული. **სული** არის სინონიმი ადამიანის არსებობისა, უსხეულო, უმატერიო საწყისი სიცოცხლისა (სახოკია, 597). ადამიანთა წარმოდგენაში გარდაცვალება დაკავშირებულია სულისა და ხორცის გაყრასთან. ეს უდევს საფუძვლად ამ ფაქტის აღმნიშვნელ უამრავ ფრაზეოლოგიზმს, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტია **სული: სული ხორცს გაეყრება** (სახოკია, 596; ქართ.-რუს., 408); **სულს ებრძვის** –სულთმობრძავია, სიკვდილს ებრძვის (ონიანი, 144); **სულს დაღევს, სული გასძვრება, სული ამოუვა** (ონიანი, 142, 143); **სული ძირს არ დაჰყვება** – მოკვდება უცბად (სახოკია, 601)...

ადამიანი გარდაცვალებას უფალს, ღმერთს უკავშირებს, ანუ ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ სულს აბარებს უფალს, ღმერთს, რომელმაც უნდა მიუჩინოს სამუდამო საცხოვრებელი ადგილი საიქიოში (სახოკია, 389). სიტყვები **უფალი, ღმერთი, მეუფე, პატრონი** სინონიმებია ფრაზეოლოგიზმებში: **მიაბარა სული უფალს / ღმერთს / მეუფეს** (ონიანი, 114; სახოკია, 710). უზენაესის გაგებაა ჩადებული ფრაზაში **ჩაბარდა პატრონს** (ქართ.-რუს., 348). დღეს ამ გამოთქმას უფრო ირონიული ელფერი დაჰკრავს, გვხვდება როგორც დადებითი, ისე ოდნავ უარყოფითი კონოტაციით. ჩვენი აზრით, სიტყვა **პატრონი** თანამედროვე ქართულში აღარ აღიქმება **ღმერთის** სინონიმურ ცალად. ამან ერთგვარად შეასუსტა ფრაზეოლოგიზმის ევფემისტურობა და დღეს ამ ფრაზას სრულიად სხვა სემანტიკა აქვს: **ჩაბარდა პატრონს**, ასე იტყვიან ქალზე, რომელიც არ გამოირჩევა ჭკუითა და წესიერებით, და გათხოვდება, იშოვის „პატრონს“.

როცა კაცი კვდება, ჩვენი ხალხის რწმენით, სული სხეულს შორდება და მიდის ზეცაში, სადაც არსებობს საუკუნო საცხოვრებელი, სამოთხე, საიქიო. ასე გაჩნდა ფრაზეოლოგიზმი: **სულის გაგზავნა ცაში** (სახოკია, 597).

საანალიზო ტექსტებში მრავლადაა გარდაცვალებასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები, განვიხილავთ რამდენიმე მათგანს:

სულის აღმო/განუტევა:

„და მიიდრიკა თავი და აღმოუტევა სული“ (ევსტ., 38);

„ხმა ყო ცრემლითა და აღმოუტევა სული“ (ნინო, 427);

„და განუტევა სული მართალი“ (რუსუდ., 498);

„და ვითარცა ამას იტყოდა, იხილნა ანგელოზნი ნათლითა შემოსილნი, და დაიწერა ჯუარი და განუტევა სული“ (ბალავ., 276).

შეჰვედრა სული (უფალს):

„და შეჰვედრა სული თვისი უფალსა ყოველთა შემწყნარებელსა“ (შუმ., 27);

„წარჰკვეთეს თავი მისი და შეჰვედრნა სულნი თვისნი ქრისტესა მეუფესა“ (ევსტ., 42);

„და მეცხრესა ჟამსა შეჰვედრა სული თვისი ხელთა ღმრთისათა, რომლისაჲ სურვიელ იყო მარადის“ (სერაპ., 124);

„ხოლო წმიდაჲ იგი მარტული დუმილით მკნედ მიითუალვიდა მახვლსა, ვიდრემდის შეჰვედრა სული თვისი უფალსა“ (აბო, 62);

ასევე:

„მაშინ, დავით, მათ, მაშინ დავით მათ მრჩობლად სხეულთა სული განიყვეს“ (საერო პოეზია, შავთელი, აბდულმეს., 492);

„დედოფალსა აცნობა თავისი საქმე უკლებლად და მასვე წამსვე მისცა სული თვისი ანგელოზასა“ ... (რუსუდ., 428);

„მასუკან დავრჩი ცოცხალი, გლახ, იგი გამისუდარდა“ (თეიმ., ლეილმაჯნ., 42);

„თქვა: სიზმრად ვნახენ მაჯნუნი, იგ სულთ ამოსვლად მდებარე“ (თეიმ., ლეილმაჯნ., 37);

„სულთა და ხორცთა გაყრაში, რაღა ვთქვა მის დაცემისა?“ (თეიმ., ქეთევ., 23);

განსვლა (ხორცთაგან, სოფლით...); ამიერ განსლვად... ღმრთისა/უფლისა მისლვად:

„წმიდად რად მამად ჩვენი დიდი ეფთვიმე სოფლით განვიდა“... (გ. მთაწმ. ცხოვრ., 345);

„უბრძანა ყოველი სიზმრად ნახული და თვისისა თავისა სოფლით გასვლა“ (რუსუდ., 428).

„ვითარ შეატყუა ჯოჯიკ, ვითარმედ მას დღესა განვალს წმიდად იგი კორცთა ამათგან, ჰრქუა“... (შუმ., 25)

„ხოლო შემდგომად სოფლით ჯმნისა უმეტეს ცნობათა ჩვენთა აღიდა ცათა შინა ანგელოზთა თანა“ (ხანძთ.⁵³);

„აწ ვიღვაწოთ განსლვად სოფლისაგან ნეფსით, რამეთუ უნებლივ განსლვად ვართ“ (ბალავ., 76);

„შვილო საყვარელო და სასურველო, მე, ესერა, განსლვად ვარ ამიერ სოფლით და ფრიად მეღმის და მწუხარე ვარ“ (ბალავ., 275);

„ესრეთ, გალობისა ამის მიერ განაცხადა ამიერ განსლვად თვისი“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 395);

„ხოლო აწ ესრეთ იყო სრულიადი განსლვად მისი კორცთაგან“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 397);

„ხოლო ნეტარსა მამასა ჩუენსა გრიგოლს გულმან უთქუა განსლვად კორცთაგან და ღმრთისა მისლვად“ (ხანძთ., 218);

„უკუეთუ უწინარეს მამისა ჩემისა განვიდე კორცთაგან... და უკუეთუ მამად ჩემი წარვიდეს პირველ ჩემსა, არავე წარვიდეს შეწუხებული წინააღდგომისათვის მისისა“ (ბალავ., 263);

„რაჟამს გეუწყა... განსლვად საკრველთა მათგან კორცთაჲსა და მისლვად უფლისა, მაშინ უფროჲს განძლიერდი...“ (სასულიერო პოეზია, დღესასწაულობად ნათლისღებისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტ., 476);

⁵³ <http://titus.fkldg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/gh/gh1/gh1.htm?gh1137.htm> (მოძიებულია: 10 აგვისტოს, 2016).

„ხოლო გულისკმა-ვყავ ესეცა, რამეთუ განმიყვანებს (ღმერთი) ამის ცხორებისაგან თჳნიერ კითხვისა ჩემისა“ (ბალავ., 253);

„ჟამსა მას სოფლით განსლვისა და ღმრთისა თანა მისლვისა მისისა...“ (გიორგი მთაწმ. ცხოვრ., 338);

„...ყოველი სახე აღსრულებისა და სოფლით განსლვისა წმიდისა ამის მამისა ჩუენისაჲ უნაკლულოდ მიუთხრათ“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 339);

„წმიდაჲ რაჲ მამაჲ ჩვენი დიდი ეფთვიმე სოფლით განვიდა...“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 343).

უფალთან წასვლა:

„გუაკურთხენ, წმიდაო მამაო, რამეთუ აწ მიხუალ უფლისა“ (ხუედიოსს) (ხანძთ., 143);

„და დაუტევა ცხორებაჲ ესე და წარვიდა უფლისა“ (სერაპ., 127);

„ხოლო ვითარცა განვიდა ჳორცთაგან წმიდაჲ მამაჲ ჩუენი და წარვიდა წინაჲ ღმრთისა, მეყსეულად ვაცნობეთ წმიდასა მამასა პეტრეს“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 403)...

გარდაცვალებასთან დაკავშირებული სხვადასხვა შესიტყვებანი:

„კეთილ ვარ, ვითარ ღმერთსა უნებს, არამედ ყოველთა წარსავალსა მას გზასა მეცა წარვალ“ (შუმ., 25);

„და მანცა (რევმა) ყოვლითა მოშიშებითა აღასრულა მეფობაჲ მისი და იგიცა წარვიდა კუალსა მამათა მისთასა“ (ნინო, 434);

„ნუ მაბრალობ, შვილო, შეწუხებასა, რამეთუ ბუნებით თანა აც ყოველსა სულსა მწუხარებაჲ განშორებისათვის ხორცთაჲსა და დატევებისათვის ჳაერისა და ნათლისა და წარსლვისათვის უცხოებად“ (ბალავ., 109);

„რა გათავდა მისი დღენი, კვალად დასნეულდა რუსუდან“ (რუსუდ., 497);

სოფელთან/წუთისოფელთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები:

„მერმე მან ეს სოფელი დააგდო და მეცა საწყალი, სოფლისა მგმობარი, და თვით მოუვალსა გზასა წავიდა და შენ ეს ყოველი დაგიგდო“ (რუსუდ., 483);

„ორმოცი დღე მაცადე, შეშა და ნივთები მოვამზადო, ფასი ჩემი მივსცე და სიხარულით დიდს მეფესთან წავიდე!“ (სიბრძნე სიცრ., 23);

„მეფის დედა ამ სოფლით გარდაიცვალა და იგი ავკიდეთ“ (სიბრძნე სიცრ., 37);

„ვახტანგ მეფის ამიერ სოფლით მიცვლა და ქართველთ თავადთა და აზნაურთ რუსთ ხელმწიფის სამსახურში განწესება“ (დავითიანი, 291);

„ერთს – დიდს პეტრეს – და ორს სხვასა მოშლოდათ წუთი-სოფელი, წართმოდათ მოკლედ სამყოფი, ეშოვნათ გრძლად სამყოფელი“ (დავითიანი, 278).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ევგემიზაციას პირდაპირი კავშირი აქვს უძველეს ენობრივ ტაბუსთან, რომელიც კრძალავდა საშიში მოვლენების პირდაპირ დასახელებას. ორივე ეს ენობრივი მოვლენა მიმართულია იქითკენ, რომ დაფაროს საშიში, ჭეშმარიტი არსი მოვლენისა ნეიტრალური ან დადებითი კონოტაციით და მოახდინოს ერთგვარი ფსიქოლოგიური დაცვა გარემო მოვლენებისაგან (გოჩიტაშვილი⁵⁴).

ძველად საქართველოში მარილი (აგრეთვე შაბი), ჩვეულებრივ, შორიდან მოჰქონდათ. მგზავრობის დროს, როგორც ჩანს, უბედური შემთხვევებიც ხშირად ხდებოდა. მკვლევართა ვარაუდით, ეს უნდა იყოს საფუძველი ისეთი ფრაზებისა, როგორიცაა: **მარილზე წავიდა** (თ. სახოკია, 373; ონიანი, 110; ქართ.-რუს., 302); **მარილზე გაგზავნა ალზევანს** (თ. სახოკია, 373). თ. სახოკია მიუთითებს, რომ დღეს აღარ გვხვდება იმავე მნიშვნელობის **შაბზე წავიდა** (სახოკია, 734), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიალექტურ მეტყველებაში, კერძოდ, მესხურში, შემორჩენილია ეს ფრაზა ფონეტიკური ცვლილებით – შაფში წავიდა, ნიშნავს „უგზო-უკვლოდ დაიკარგა, წარსულს ჩაბარდა. იტყვიან, როცა გაუგებარია ვინმეს ან რაიმეს ადგილსამყოფელი. „რაცხა ბრინჯულა ქათამი არ მოჩანს, შაფში ხუ არ წავიდა ნეტად“ (ფეიქრიშვილი 1992: 82).

საქართველოში გარდაცვლილის დაკრძალვის ტრადიცია უკავშირდება **მიწას, სამარეს**. სიკვდილს გამოხატავს ფრაზეოლოგიზმები: **შავმა მიწამ წაიღო** (ონიანი, 167); **მიწას მიაბარა** – მიცვალებულის დასაფლავება (სახოკია, 406); **სამი ადლი მიწა და ოთხი**

⁵⁴ <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/6/54> (მოძიებულია: 18 სექტემბერს, 2017).

ფიცარი – სამარე (ქართ.-რუს., 377); იმერხეულსა და ტაოურ დიალექტში, მაგალითად, გვხვდება ფრაზეოლოგიზმი „წეიხურა მიწის საბანი“: „ნენემ ზოვლი დაბერდა, ფენა ავათ გახთა და წეიხურა-ქი მიწის საბანი...“ (მიქაუტაძე 2013: 282).

სიკვდილის სახეს მეტაფორულად გამოხატავს „ცელიანი კაცი“, რაც იმავდროულად ევფემისტური შინაარსის შემცველია:

„ის მჭლე კაცი ცელს რას აქმევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?“ (დავითიანი, 290).

მოსაუბრისადმი მოკრძალებული დამოკიდებულების გამოსახატავად ქართულ ენაში არსებობს თვითდამცრობის გამომხატველი ჩართულები, რაც ემსახურება საკუთარი პიროვნების დამცრობას და ამით თანამოსაუბრის უპირატესობის ჩვენებას: **ფეხის/ფეხთამტვერი (ვისიმე); ფეხისნატერფალი (ვისიმე)** – (ვისიმე) მონა-მორჩილი; უღირსი (ვინმესთან შედარებით) (ონიანი, 154); **შენი ხმალი და ჩემი კისერი!** – რაც გსურდეს, ის მიყავი, ყველაფრის უფლებას გაძლევ. მზად ვარ გემსახურო (ონიანი, 186); **რა ბრძანებაა! / რა სათქმელია!** – უაზრობაა, ზედმეტია (სახოკია, 510); **უკაცრავად გახლავართ** – შემინდეთ, მაპატიეთ, დანაშაული ჩამიდენია, ბოდიში მომიხდია (სახოკია, 626); **თავს არ შეგაწყენთ** – ცუდს არაფერს გიზამთ, უხამსად არ მოვიქცევი (სახოკია, 243)...

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული ევფემისტური ფრაზეოლოგიზმების სიმდიდრე ქართველი ხალხის უძველესი წარმოდგენების, მაღალი კულტურის მაჩვენებელია. ენისა და კულტურის ანალიზი ფრაზეოლოგიურ მონაცემთა გარეშე ვერ იქნება სრულყოფილი, რადგან მათში არეკლილია როგორც ენობრივი, ისე ამ ენის მატარებელთა კულტურული თავისებურებანი. ჩვენ მიერ განხილული ევფემისტური ფრაზეოლოგიზმების სიმდიდრე ქართველი ხალხის უძველესი წარმოდგენების, კულტურის მაჩვენებელია. აქედან გამომდინარე, ქართული ენის ევფემისტური ფრაზეოლოგიზმების შესწავლას ლინგვოკულტუროლოგიის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს.

თავი 3. ევფემიზმის სტილური ფუნქციები

მეტყველების სტილი გულისხმობს ლექსიკური ერთეულების შერჩევასა და გამოყენებას, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ ვითარებას. სტილის მაწარმოებელ ფაქტორად მიიჩნევა მეტყველების მიმართების შედეგი კომუნიკაციის ისეთ ელემენტებთან, როგორცაა: მსმენელი, მეტყველების საგანი და ენობრივი ინვენტარი (გარდინერი 1951: 55). ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს შორის მკვლევართა ერთი ნაწილი ასახელებს: სამეტყველო ურთიერთობის სიტუაციას, ფორმას, შინაარსს, კომუნიკაციის მიზანსა და იმ სოციალურ გარემოს, სადაც კომუნიკაცია ხორციელდება (კვარაცხელია 1990: 11).

„სიტყვათა არჩევა და ერთმანეთთან დაკავშირება განპირობებულია არა მარტო ინფორმაციის გადაცემის ამოცანით, არამედ იმ სიტუაციითაც, რომელშიც კომუნიკაცია ხორციელდება. ენაში მოცემულია ერთი და იმავე აზრის გადმოცემის სხვადასხვა საშუალებები, რომელთაგან მოლაპარაკე ერთ-ერთს ირჩევს სამეტყველო აქტის გამიზნულობის შესაბამისად“ (გამყრელიძე... 2003: 379).

ევფემიზმიც სწორედ სამეტყველო სტილის შექმნას ემსახურება, რაც მის ერთ-ერთ მთავარ და მნიშვნელოვან მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს. ევფემისტურობის ხარისხის ცვალებადობა მეტყველებას ახასიათებს სხვადასხვა ნიშნის (სოციალური, ლოკალური, ასაკობრივი...) მიხედვით, ანუ გასათვალისწინებელია, თუ ვინ არიან კომუნიკაციის მონაწილენი (თანასწორნი არიან თუ არა სოციალურად, ასაკით...), სად (შინ, დაწესებულებაში, ტაძარში, ქუჩაში...), რის/ვის შესახებ და რატომ (საკუთარი თავის წარმოჩენის მიზნით, უფროს ადამიანთა პატივისცემის გამო...) საუბრობენ ისინი. ამის მიხედვით ენაში გამოიყენება განსხვავებული ლექსიკური ერთეულები. მაშასადამე, სტილური სხვაობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ნიშანია ევფემიზმი. სტილური ნიუანსით განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგალითად, **ნეიტრალური** – მოკვდა, **მოკრძალებული/ევფემისტური** – გარდაიცვალა, **მაღალფარდოვანი** – სიცოცხლეს გამოესალმა, **სინანულის გამომხატველი** – მზე დაუბნელდა, **გულგრილი** – თქვენი ჭირი

წაიღო (ჯორბენაძე 1997: 75), **დისფემისტური** – ჩაძაღდა, **ირონიული** – გავიდა გაღმა მარილზე, **ჟარგონული** – გასაღდა... გამოთქმები. ისინი მიუთითებენ არა მარტო მეტყველების საგანზე, არამედ ინდივიდის სუბიექტურ მიმართებაზე ამ საგნისადმი. თითოეულ მათგანს აქვს ემოციურ-ექსპრესიული და შემფასებლური ელფერი, რაც მათი განსხვავებული გამოყენების საშუალებას იძლევა.

ალ. ნეიმანის აზრით, სტილური ვარიანტულობა ენაში სინონიმის განმაპირობებელია, მისი ერთ-ერთი პროდუქტული წყარო კი ევფემიზმთა სიმრავლეა. სწორედ ამიტომ გამოყოფს იგი „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ ევფემიზმთა არსებობის საფუძველზე გაჩენილ „სტილისტიკურად განმასხვავებელი იერის მქონე რელატიურ სინონიმებს“ (ნეიმანი 1951: 46-48).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მწერლის ენისა და სტილის საკითხებს მიეძღვნა მრავალი ნაშრომი (შ. ძიძიგური, ზ. ჭუმბურიძე, გრ. კვიციანი, გ. შალამბერიძე, გ. კვარაცხელია, შ. აფრიდონიძე, ალ. გვენცაძე, ი. გიგინეიშვილი, ე. კოშორიძე, ს. ომიანიძე, ნ. ლემონჯავა...), მაგრამ შედარებით ნაკლებად არის დამუშავებული ევფემიზმის, როგორც სტილიზაციის, საშუალების საკითხი... მკვლევრები ტექსტების ანალიზისას სტილის საკითხს ეხებიან სხვადასხვა ასპექტით, თუმცა მათ ნაშრომებში სრულყოფილად არ არის შესწავლილი ევფემიზმი, როგორც სტილიზაციის ერთ-ერთი საშუალება, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ეტაპების მონაცემთა გათვალისწინებით, მაშინ როცა ევფემიზმი უპირველესად სტილის შექმნას ემსახურება მხატვრულ, საკანცელარიო და სხვა სახის ტექსტებში. სასულიერო და საერო სტილის ტექსტებისა თუ დოკუმენტებისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ევფემიზმის გამომხატველი ენობრივი რესურსი, რაც საერთოა ყველა მათგანისათვის, მეორე მხრივ, მხოლოდ მათთვის ნიშანდობლივი თავისებურებანი, რითაც თითოეული სტილი გამოირჩევა სხვა სტილებისაგან.

ევფემიზმისა და სტილის საკითხზე ამახვილებს ყურადღებას კ. ჯორჯანელი ნაშრომში „ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ“. მას მიაჩნია, რომ „ევფემიზმისა და სტილის

ურთიერთობა, ევფემიზმის სტილისტიკური ფუნქციები, საინტერესო, მაგრამ რთული საკითხია და მონოგრაფიულად შესწავლას მოითხოვს“ (ჯორჯანელი 1977: 73).

სტილის ლინგვისტიკური არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი განკუთვნილია მეტყველების აღმქმელისათვის, ე. ი. მიმართულია პრაგმატულად და იმის გათვალისწინებით, რომ გამომსახველ საშუალებათა მეშვეობით მიღწეულ იქნეს მოსაუბრეთა შორის ურთიერთობის ეფექტურობა, რაც შეიძლება უკეთ განხორციელდეს კომუნიკაცია (ენციკლოპ. 2008: 443).

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ამ საკითხის დამუშავება და სათანადო დასკვნების გამოტანაა.

ქართული სამეცნიერო ლიტერატურისაგან განსხვავებით, უცხოენოვანი სამეცნიერო სივრცე უფრო მდიდარია ევფემიზმისა და სტილის მიმართების შესახებ არსებული კვლევებით. უცხოური ენების სტილისტიკის შესახებ წერს ბევრი მეცნიერი. მათ შორის: პ. ა. ბუდაგოვი, ა. ნ. ვასილევა, ვ. ვ. ვინოგრადოვი, ა. ი. ეფიმოვი, ე. ა. ლაზარევა, ბ. ა. ლარინი, ვ. პ. მოსკვინი, ა. ვ. ფიოდოვი (რუსულენოვანი)... პ. სიმპსონი, ლ. ჯეფრიესი, რ. კარტერი, ჯ. ტალბოტი, კ. ვალესი, ნ. კოუპლენდი, რ. ბრედფორდი, დ. კრისტალი (ინგლისურენოვანი)...

უცხოელი მეცნიერები მიუთითებენ, რომ ევფემისტური ცვლილების ყველაზე გავრცელებული ხერხია მისი გამოხატვა მეტონიმით, მეტაფორით, პერიფრაზითა და სხვა სტილისტიკური საშუალებებით. ევფემიზმი არა მხოლოდ ტროპია, არამედ ის ენის სტრუქტურის ელემენტია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის ფორმირებაში. მიჩნეულია, რომ მეტყველების ევფემიზაცია ემსახურება სხვადასხვა მიზანს. ესენია:

1. კონფლიქტური სიტუაციის თავიდან არიდება;
2. უხერხული მომენტების არიდება კომფორტული კომუნიკაციის შესაქმნელად;
3. ვუალირება (შეფარვა);
4. კამუფლაჟი (შენიღბვა) შერბილების მიზნით;

5. ინფორმაციის დაშიფვრისადმი მისწრაფება, რომ იგი გასაგები იყოს ადამიანთა მხოლოდ განსაზღვრული წრისათვის.

უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია მსჯელობა ევფემიზმის სხვადასხვა ფუნქციის შესახებაც. მიჩნეულია, რომ ევფემიზმის პირველადი ფუნქცია – **საკუთრივ ევფემისტური** (რომლის რიგშიც გვევლინება ტაბუ) – იმაში გამოიხატება, რომ მოსაუბრე არ იყენებს აკრძალულ სიტყვას, ანაცვლებს მას...

კონტაქტის დამამყარებელი ფუნქცია ჩნდება მაშინ, როცა ევფემიზმები ეხმარება მოსაუბრეთა შორის კონტაქტის დამყარებას, გაურბის პირდაპირ კონოტაციებს, რომლებმაც შეიძლება განაწყენება გამოიწვიოს.

მეცნიერთა უმრავლესობა გამოყოფს ევფემიზმის კიდევ ერთ ფუნქციას, რომელიც გულისხმობს **სინამდვილის ნეგატიური ზემოქმედების შენიღბვას**, არასასურველი ინფორმაციის დაფარვის მიზნით რეალობის შეცვლას. ეს ფუნქცია ვლინდება ტექსტებში, რომლებიც უკავშირდება ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებას, პოლიტიკას, ეკონომიკას, სამხედრო სფეროს...

ექსპრესიულ-ემოციური ფუნქცია გულისხმობს ემოციურ მდგომარეობას, რომ ეფექტურად მოახდინოს ზემოქმედება მსმენელზე. ეს ფუნქცია, ჩვეულებრივ, ვლინდება მხატვრულ ტექსტებში.

ეთიკეტური ფუნქცია (შერბილება, გაკეთილშობილება) რეალიზებულია ტექსტებში, რომლებიც ეხება ადამიანის ცხოვრების განუყოფელ სფეროებსა და ნაწილებს: ჯანმრთელობა, გარეგნობა, გონებრივი შესაძლებლობები, ფიზიკური მდგომარეობა... და გულისხმობს სიტყვის შეცვლას უფრო სასიამოვნო, ლამაზად ჟღერადი და ადრესატისათვის შესაფერი სიტყვით⁵⁵.

უცხოელი მკვლევრები ევფემიზმის წარმოქმნის მიზეზებად ასახელებენ სხვა ფაქტორებსაც. ესენია: საზოგადოებრივი რწმენები და ცრურწმენები, საექიმო ეთიკა, სამხედრო საიდუმლოება და კონსპირაცია. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ადამიანი უხსოვარი დროიდან ცდილობს, რაც შეიძლება ცხადად და ნათლად

⁵⁵ <https://studfiles.net/preview/5582251/page:15/> (მოძიებულია: 27 ოქტომბერს, 2017).

გამოხატოს ემოცია. ამისათვის გამოიყენება სიტყვა მომხიბლავი ლექსიკური შეფერილობით. ასეთ სიტყვებს შორის განსაკუთრებულ ადგილს იჭერს არანორმატიული (უცენზურო) ლექსიკა. ამგვარი ლექსიკის ამოღებით ენაში გაჩნდება სიცარიელე ან ენობრივი ლაკუნა. წარმოქმნილი ენობრივი სიცარიელის ერთ-ერთი შემავსებელია ევფემიზმი. უცხოელ მკვლევართა ნაშრომებში დასახელებულია ევფემიზმების გამოყენების სამი შემთხვევა: პირველი გულისხმობს ჩანაცვლებას შერბილების მიზნით – ცვლილება მიიღწევა საყოველთაოდ ხმარებული სიტყვის გამოყენებით უჩვეულო კონტექსტში; მეორე შემთხვევაში მეტი წილი გამონათქვამებისა იქმნება პარტიული ლოზუნგებისა და პოლიტიკური ლიდერების გამონათქვამების საფუძველზე; მესამე შემთხვევაა, როცა ლექსიკური კონსტრუქციების ჩანაცვლება ედება საფუძვლად ავტორის ინდივიდუალურ სიტყვათქმნადობას.

ს. ტეტიუხინის სტატიაში მასალის ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ ევფემიზმის როლი შეიძლება შეითავსოს ნებისმიერმა სიტყვამ. ჩამნაცვლებლების შერჩევა დამოკიდებულია ავტორზე, იმაზე, თუ რა მომენტზე სურს მას მკითხველის ყურადღების გამახვილება. ჩამნაცვლებელთა შესაქმნელად აუცილებელია, რომ ჩვეულებრივი სიტყვა მოექცეს უჩვეულო კონტექსტსა და სამეტყველო სიტუაციაში. ეს აძლევს სტილისტიკურად ნეიტრალურ სიტყვას ემოციურ გამომსახველობას. ავტორის აზრით, ევფემიზმი უზრუნველყოფს გამომსახველობისა და ექსპრესიის, აგრეთვე, არანორმატიული ლექსიკის გამოყენების გარეშე ხალხური კოლორიტის შექმნას. ევფემიზმები ავსებენ ენობრივ სიცარიელეს (ტეტიუხინი: 2014).

ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორაა გამოვლენილი ევფემიზმის სტილური ფუნქციები V-XVIII საუკუნეთა ქართულ სასულიერო და საერო სტილის ნაწარმოებებსა და დოკუმენტებში.

3.1. ევგემიზმის სტილური ფუნქციები სასულიერო მწერლობის ენაში

სასულიერო მწერლობის ორი ჟანრი – ჰაგიოგრაფია (სასულიერო პროზა) და ჰიმნოგრაფია (სასულიერო პოეზია) საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა განსაზღვრული ნორმების მიხედვით. როგორც კ. კეკელიძე მიუთითებს, ჩვენში არსებობდა ყველა ის პირობა, რომელმაც ხელი შეუწყო ორიგინალური ჰაგიოგრაფიის აღმოცენებასა და განვითარებას. მეცნიერის აზრით, ეს დარგი თითქმის თანამედროვეა ქართული საეკლესიო მწერლობის დასაწყისისა (კეკელიძე 1980: 507).

ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს ჰქონდა კონკრეტული დანიშნულება – ისინი განკუთვნილი იყო ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს წასაკითხად, შესაბამისად, ამგვარი ხასიათის ტექსტები სხვათაგან გამორჩეულია საკუთარი სტილით (რაც საერთოა არა მხოლოდ ორიგინალური, არამედ ნათარგმნი ძეგლებისათვის).

ჰაგიოგრაფიული მწერლობა მტკიცე შაბლონს იყენებს წმინდანთა ღვაწლის აღწერისას, პერსონაჟთა დახასიათებისას... მისი გმირები ძირითადად იდეალურნი, ყოველმხრივ ამადლებულნი, ადამიანურ სისუსტეებს თითქმის მოკლებულნი არიან.

როგორც კ. დანელია მიუთითებს, V-X საუკუნეთა წერილობითი ძეგლები შესაძლებლობას გვაძლევს, წარმოდგენა გვქონდეს იმდროინდელი სამწიგნობრო ენის ფონემატურ, გრამატიკულ, ლექსიკურ და სტილურ სტრუქტურაზე. ამ პერიოდის სამწერლობო ქართული არსებითად ერთიანია, მონოლითურია. როგორც ცნობილია, წერილობით ძეგლთა უდიდესი ნაწილი ნათარგმნია. კ. დანელიას აზრით, V-X საუკუნეთა წერილობითი ძეგლები ითარგმნებოდა უმეტესწილად ბერძნულიდან. „შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ქართულ ორიგინალურ მწერლობას წინ უსწრებდა თარგმნითი ლიტერატურა, უპირველესად ბიბლიური წიგნებისა. ამიტომ თარგმნით და ორიგინალურ ძეგლთა ენა სტრუქტურულად არსებითად ერთია, მთლიანია. XI საუკუნე ქართული სამწერლობო ენის ისტორიაში ძვრებისა და გარდატეხის ეპოქა – დამუშავდა ბიბლიურ წიგნთა თარგმანები ბერძნულ ტექსტთან დაახლოების მიზნით, რამაც გამოიწვია ულტრაელინოფილური სტილის ჩამოყალიბება

– გამრავლდა ბერძნიზმები, ლექსიკური და გრამატიკული კალკები“ (დანელია 1998: 3-6).

XII საუკუნის სამწერლობო ქართული თვისებრივად არის გარდაქმნილი და საგრძნობლად გაახლებული. ამ ხანის საერო პროზა („ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“) და საერო პოეზია („ვეფხისტყაოსანი“) გვაუწყებს, რომ სამწერლობო ქართული დამდგარია განვითარების ახალ გზაზე, შორდება კლასიკურს და უახლოვდება ცოცხალ მეტყველებას (იქვე).

წინამდებარე პარაგრაფში განვიხილავთ ევფემიზმის სტილურ ფუნქციებს სასულიერო მწერლობის ჟანრების – ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის მიხედვით, შევხებით როგორც ორიგინალურ, ასევე ნათარგმნ ძეგლებს.

ჰიმნოგრაფია (სასულიერო პოეზია) **ლიტურგიკული და სამოძღვრო-მოთხრობითი** ხასიათისაა. ლიტურგიკული შეიცავს საღვთისმსახურებო მიზნებით შექმნილ ნაწარმოებებსა და საეკლესიო ჰიმნოგრაფიას, ხოლო მეორე – ისეთ ნაწარმოებებს, რითაც გამოიხატება სარწმუნოებრივ-ზნეობრივი აზრები, ავტორის გრძნობები და სულიერი განცდები (მურღულია 2007: 25).

სასულიერო მწერლობის ჟანრებს ვეხებით იმდენად, რამდენადაც მათი რაობა და დანიშნულება განაპირობებს იმ ენობრივი საშუალებების გამოყენებას, რითაც მიიღწევა სასურველი შედეგი. ტექსტების ანალიზისას ჩვენთვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სასულიერო მწერლობის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ევფემისტურობის ხასიათითა და მისი გამოხატვის ენობრივი საშუალებებით.

სასულიერო სტილისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ენობრივ საშუალებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პეიორატიული გამოთქმები. აგიოგრაფიის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასულიერო ტექსტებში ევფემიზმის ერთ-ერთ საყურადღებო ფუნქციად გვევლინება **თავის დამდაბლების, საკუთარი წვლილის შემცირების** აღნიშვნა. ამ სემანტიკის გამონათქვამები სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია თვითდამცრობის

გამომხატველ, პეიორატიულ გამოთქმებად. ჩვენ ვიყენებთ უცხოური „პეიორატიულის“ ქართულ შესატყვისს „თვითდამცრობის გამომხატველი გამონათქვამები“.

თვითდამცრობის გამომხატველ სიტყვებსა და გამოთქმებს ეხება მ. ლევიძე თავის ნაშრომში. იგი მიუთითებს, რომ „პეიორატივები (ლათ. pējōrāre[– „გაუარესება“) და დეროგატივები (ინგლ. derogatory term) – სიტყვები ან შესიტყვებები, რომლებიც ვინმეს ან რაიმეს ნეგატიურ შეფასებას, გაკიცხვას, ირონიას ან ზიზღს გამოხატავენ“ (ლევიძე 2017: 46). ავტორის აზრით, პეიორატივები და დეროგატივები სემანტიკით ახლოა ინვექტივებთან (ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ მკვეთრი, შეურაცხმყოფელი გამოსვლა, ლანძღვა). დეროგატივი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა და გამოიხატება სხვადასხვა ენობრივ დონეზე (მორფოლოგიური, ფონეტიკური, ლექსიკური, სტილისტიკური, ფრაზეოლოგიური...) (იქვე: 46-47).

მიჩნეულია, რომ ძველი ქართული წერილობითი ძეგლები (ბიბლია, ჰაგიოგრაფიული თხზულებები...) იქმნებოდა არა უშუალოდ ავტორის მიერ, ავტორის ხელით, არამედ უფლის, წმინდანთა... შთაგონებით. ზოგჯერ ეს გარემოება თვით ტექსტში თუ მინაწერებშიც არის გამოხატული თვითდამცრობის სემანტიკის შემცველი ენობრივი ერთეულების მეშვეობით. როგორც ბიბლიაშია ნათქვამი, „ყოველმან რომელმან აღიმადლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს“ (ლუკა 14, 11) (წმინდა წერილი 2003⁵⁶). ქრისტიანული სარწმუნოება თავმდაბლობისაკენ მოუწოდებს ადამიანს. ეს თავმდაბლობა ზოგჯერ იმდენად არის გაძლიერებული, რომ ზოგჯერ საკუთარი თავის, ღვაწლის დამცრობაშიც/დამცირებაშიც კი გადადის. სწორედ სარწმუნოებრივი ფაქტორითაა განპირობებული ის, რომ ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან შემორჩენილია ტექსტები, რომლებიც უაღრესი თავმდაბლობისა და თვითდამცრობის შემცველია. მაგალითად, ეპიგრაფიკულ ძეგლებში, კერძოდ, ბეთანიის ერთ-ერთ წარწერაში (XII სკ.), ავტორის უაღრესი თავმდაბლობა გამოხატულია გამონათქვამით „ჩემ ჯორ სახეთასა“: „ქ. ღმერთო მაღალო, დიდო, ვით მათი გაზრდილი ეჯიბი წურილაისძე უპატიოსნეს-მყო **ჩემ ჯორ სახეთასა**

⁵⁶http://www.orthodoxy.ge/tsodva_satnoeba/simdable.htm (მომიებულია: 15 ნოემბერს, 2017).

პატრონმან რუსუდან, აგრეთვე უზეშთაეს და უმაღლეს ასუფევეთ წინაშე თქუენსა. ამათ მიერ შეგივრდები, რამეთუ სულითა ფრიად ცოდვილ ვარ“. ეს გამოთქმა („ჩემ ჯორ სახეთასა“) ფარდია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გავრცელებული მსგავსი გამოთქმებისა – „პირუტყუთ სახე“, „თიკანთ მსგავსი ესე გონებად“... (ენციკლოპ. 2008: 81). ამ ტიპის გამოთქმებით, ანუ ცხოველთან (ჯორთან, პირუტყვთან, თიკანთან...) შედარების გზით, გამოხატულია საკუთარი თავის „დაკნინება“, უკეთ რომ ვთქვათ, პიროვნების თავმდაბლობა. მაგალითად, ავტორი საკუთარ გონებას პირუტყვისას ადარებს და ამ გზით დამცრობილად წარმოაჩენს თავის ღვაწლს XI საუკუნის ერთ-ერთ თხზულებაში: „ესე არიან მიზეზნი ჩემისა მეტყუელებისანი, რომელთა მიერ ვიძიულები და, ვითარცა დეხითა, პირუტყუთ-მსგავსი ესე გონებად ჩემი შინაგან იწერტების...“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 340).

ს. ომიადის დაკვირვებით, პეიორატიულ-შემფასებლური დამოკიდებულება ვლინდება, ასევე, X საუკუნეში ბერთის ოთხთავში, რომლის გადაწერის გამოც აღუნიშნავთ: „მე, **გლახაკი** გაბრიელ, და მეუღლე ჩემი ღირს ვიქმენით დაწერად წმიდისა ამის სახარებისა ლავრასა შინა დიდსა ბერთას“ (ენციკლოპ. 2008: 82); „მე მაკარი ლეთელი... **ცოდვილი ფ~დ**“ (სინური მრავალთავი, 864 წ., ანდერძი); „იგივე მადლი, სახიერ, მომეც **უღირსსა** ამას, რათა აღმოვთქუა ქებად შენისა მოწამისა გიორგისი“ (X სკ., იოანე მინჩხი, „გალობანი გიორგისნი“) და სხვ. ეს გამონათქვამები, რომლებიც საკუთარი თავის პეიორატიულ-შემფასებლურია, ს. ომიადის აზრით, თავდაპირველად გამოხატავდნენ თვითდამცრობას უზეშთაესი ღვთის წინაშე (შდრ. ფსალმ. 21, 7 – „ხოლო მე **მატლი** ვარ და არა კაც, საყუედრებელ კაცთა და შეურაცხ ერისა“) (ომიადე 2006: 180). მათ დროთა ვითარებაში დაკარგეს განხორციელების სტერეოტიპული სიტუაციის (მიმართვა ღვთისადმი, ღვთის დასწრებით) სფერო და დღევანდელ სასაუბრო დისკურსში ფუნქციონირებენ მსგავსი დანიშნულებით, მაგრამ ახალი ფორმებით: მე სულელი, მე უჭკუო, ჩემი მოკლე ჭკუით (ტვინით), მე საწყალი, მე გაჭირვებული, მე უბედური... თანამედროვე დისკურსში ამგვარი გამოთქმები შეიძლება შევაფასოთ,

როგორც „თავის მოსაწყობისა“ და კამუფლაჟის ფორმულები. მოვლენა საინტერესო ჩანს ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის თვალსაზრისით (იქვე).

თვითდამცრობის გამომხატველი სიტყვებითა და გამოთქმებით მდიდარია ჰაგიოგრაფიული ძეგლები – როგორც პროზაული, ასევე პოეტური ნაწარმოებები. მაგალითად, ავტორები საკუთარი თავის დამდაბლების გზით გამოხატავენ წუხილს საკუთარი „უძლურების“ გამო, რომ ვერ შეძლეს, შესაფერად აღეწერათ ამა თუ იმ პირის ღვაწლი. გარდა ამისა, სასულიერო ნაწარმოების ავტორი საკუთარ ღვაწლად არ მიიჩნევს თავის საქმეს, არამედ იგი უფლის ნებად მიაჩნია: „ხოლო მე ვიწყე სიტყუად და განმტკიცებად მისა, **რავდენი ღმერთმან მომცა მე სიტყუად**“ (იაკობ ხუცესი) (შუშ., 21)...

ზოგ შემთხვევაში ავტორი სულიწმინდას მიაწერს პერსონაჟის ღვაწლს და ამით ქმნის განსაკუთრებულ სტილს, ახდენს ევფემიზაციას: „რამეთუ აწ არს ხანძთას ჳელითა მისითა **დაწერილი სულისა მიერ წმიდისა** საწელიწდომ იადგარი“ (ხანძთ., 174)...

სასულიერო მწერლობის განვითარების მანძილზე ამგვარი განწყობა ერთგვარ ტრადიციად, შაბლონად იქცა, რაც აისახა კიდევ წერილობით ძეგლებში:

„ხოლო მე ვიწყო სიტყუად **უნდოდას ძალისა ჩემისაებრ და, რაოდენ უძლო, მარტივად და სულ-მცირედ აღვსწერო**“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 340);

„ქრისტეს მოყუარეო, თევდოსი! **ვერ შემძლებელ ვართ** ჩუენ შემსგავსებით ქებასა სათნოვებათა შენთასა, არამედ მადლო შენი შენეწიენ მგალობელთა და ვადიდოთ ჳსენება შენი!“ (სასულიერო პოეზია, იოანე მტბევალი, ჳსენებად ღმრთივ-გვრგვნოსანისა მეფისა თევდოსი მორწმუნისა სასწაულთა მოქმედისა, 462);

ავტორი ისეთი უარყოფითი კონტრაციის სიტყვებით ამკობს საკუთარ თავს, როგორცაა **სულელი, გლახაკი, უსწავლელი, უძლური, უნდო**:

„არამედ აწ მე ვინაფთგან ვერ ძალ მიც მოუკლებელად ლოცვაჲ და **სულელთა ყოველთა უდარჯს ვარ, ნაკლულევაანებაჲ ჩემი არა მიფლობს დუმილად** და ზოგს რაჲმე უმჯობესად შემირაცხიეს, რაჲთა ვიტყოდი ღირსად-ცხორებასა ღმერთ-შემოსილთა კაცთასა“ (ხანძთ., 131);

„არამედ ჩუენ, **გლახაკთა** და **უსწავლელთა**, შენდავე მოვაქციოთ სიტყუად ჩუენი, **ჰ** მამაო მამათაო, დიდო მოლუაწეო ყოველთაო... აწცა ჩუენ **უძლურთა** და **უღირსთა**, შვილად შენდა სახელდებულთა, ნუ ოდეს დამივიწყებ“ (სერაპ., 129);

„რომელმან ესე ჩუენ **უნდოთა** ამათ ამისი აღწერად გვაიძულა“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 325);

„არამედ **უძლურებისამებრ** ჩემისა და გულსმოდგინებისა თქვენისა ვიწყო თხრობად თქვენდა, საყვარელნო“ (აბო, 48)...

ცალკე გამოვყოფთ ლექსიკურ ერთეულს **უღირსი**, რომელიც დასახელებულთაგან შედარებით უფრო ხშირად გვხვდება როგორც ჰაგიოგრაფიულ, ისე ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში:

„გუნდნი იგი ზეცისანი შენ, წმიდასა, განწყობითნი გიგალობენ: მე **უღირსი** შეგივრდები“ (სასულიერო პოეზია, იოანე-ზოსიმე, გუნდნი იგი ზეცისანი, 456);

„წმიდათა ამათ ადგილთა მარადის კსენებასა შენსა ვიკადრებთ ლოცვათა შინა ჩუენთა, რადთა უფალმან ჩუენ, **უღირსნი** ესე, წმიდასა ლოცვასა შენსა ღირს გუყვენეს ყოვლადვე ნაწილეულ“ (ხანძთ., 204);

„და ჩუენ, **უღირსთა ამათ**, დიდად ხოლო განვისუენეთ და განვიხარეთ“ (ხანძთ., 203);⁵⁷

„...სათნო-ყავნ უფალმან გულსა თქუენსა და გულსა ყოვლისა ქრისტჳს მოყუარისა... რომელნი აღმოიკითხვიდენ, რადთა ზიარ ლოცვათა თქუენთა იქმნეს კუალად და მერმეცა **უღირსებად ჩემი**“ (აბო, 45);

„აღვემართე ღმრთის სათნოდთა წმიდითა ლოცვითა თქუენითა და მარადის ძღუნის მიმპყრობელისა ღმრთისა მარჯუენისა თქუენისა ჯუარისა წერითა **ჩემ უღირსსა** ზედა“ (აბო, 44);

„მარადის საწადელი და თავყანის საცემელი ბრძანებად ღმრთივ-ჰატოსნისა მამფლისა და უფლისა ჩემისაჲ მივიღე კელითა სიწმიდის მოყუარისა ხსართან მღდელისაჲთა, რომლისათჳსცა აღპყრობითა კელთა ჩემთაჲთა მაღლი შეწირა

⁵⁷ამგვარად მიმართავენ მოწაფენი გრიგოლ ხანძთელს წერილში, რომელშიც ჭარბობს თვითდამცრობის გამოხატველი ფორმები.

უღირსებამან ჩემმან ყოვლად ძლიერისა და ქველის მოქმედისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა, რომელმან არა დავიწყებულ-ყო სიმდაბლზე ესე ჩემი ღმრთივ შეწყნარებულთა წმიდათა ლოცვათა თქუენტა, რომელთაცა ესე ღირს ვიქმენ მე მიმთხუევად“ (იქვე);

„ესე მოვიდა **ჩემ უღირსისა** თანა და მრქუა ესრეთ“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 382);

„ჲ ყოვლისა სახელისა და საქმისა კეთილისა ღირსო! ... შეიწირენ... **უღირსთაგან** ბაგეთა აღმოთქუმულნი“ (სერაპ., 129);

„ამისთვისცა კელთა ბრძანებისა თქუენისათა **უღირსი** ესე თავი ჩემი მორჩილებად მივეც“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 339);

„ამის პირისათვის იძულებულ იქმნა **უღირსებაჲ ჩვენი**, რათა ყოველი სახე აღსრულებისა და სოფლით განსლვისა წმიდისა ამის მამისა ჩუენისაჲ უნაკლულოდ მიუთხრათ“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 339)...

ლექსიკური ერთეული **უღირსი** ზოგან ჩანაცვლებულია იმავე სემანტიკის ფორმით **არა ღირსი**:

„მე რაჲ ვარ, **არა ღირსი** ესე?.. ხოლო მე რაჲ-მე რაჲ შემძლებელ ვარ, არამედ ყოვლად-სავსემან ქრისტემან აღგავსენინ თქუენ ყოვლითა კეთილითა“ (შუმ., 26)...

„ამისვე მიზეზისათვის, მეცა **არა ღირსმან**, ვინებე მიბაძვებად პირველთა მათ და აღვწერე ცხორებაჲ წმიდისა და ნეტარისა [მოწამისა კოსტანტისი]“ (კონსტ., 74)...

სასულიერო მწერლობის ძეგლებში თვითდამცრობის გამოძხატველი ფორმები გამოიყენება, განურჩევლად იერარქიული საფეხურისა. მას იყენებს მეფე, ეპისკოპოსი, ბერი, ნაწარმოების ავტორი... ამის მაგალითია ფორმები **ცოდვილი/ფრიად ცოდვილი**:

„და ვითარცა მათ ნეტართა დაიძინეს, მაშინდა რეცა განმელჴმა უცებსა ამას **და ფრიად ცოდვილსა** კელ-ყოფად და აღწერად ცხორებაჲ და სასწაულნი ესე, რომელ აწ გესმნენ“ (ხანძთ., 191);

„მრავლით ჟამითგან მინდა ხილვაჲ შენი, შვილო ილარიონ, და ღირს ვიქმენ მე **ცოდვილი** ესე მიღებად [წმიდისა] ლოცვისა შენისა“ (ეპისკოპოსი რუსთველი მიმართავს ილარიონს) (ილარ., 182).

საინტერესოა, ასევე, ფორმები **გლახაკი/ჩემ გლახაკისა**. ასე მოიხსენიებენ საკუთარ თავს წმინდანები არა მხოლოდ იერარქიით მაღალ საფეხურზე მდგომ პირებთან („მსგავსად აბრაჰამისა მეცა, **გლახაკსა**, მწადოდა ხილვად და თაყვანის-ცემად თქუენი (გრიგოლ ხანძთელი მიმართავს მეფეებს ბაგრატს, გუარამს...)“... (ხანძთ., 148), არამედ საზოგადოების სხვა ფენის წარმომადგენლებთან, კერძოდ, გრიგოლ ხანძთელი სიძვის დიაცთან საუბრისას ამბობს: „შვილო, იქმენ სრულიად მორჩილ სიტყუათა **ჩემ გლახაკისათა**“ (ხანძთ., 195); ასევე აღსანიშნავია სხვა შემთხვევებიც: „ესე აწ ვიხილეთ თქუენმიერი სამართალი საშუელი, რომლისათვისცა მე, **გლახაკი გრიგოლ** და დედად ფებრონია, მაღლიერ ვართ თანაშეწევნასა თქუენთა“ (ხანძთ., 200); „რომელთა (მოწაფეთა) მეოხებითა **ჩუენცა გლახაკნი** ესე ღირს გუყვენინ უფალმან მობაძავ ყოფად სათნოებათა მათთა და ნაწილსა მას მარჯუენეთასა მიმთხუევად“ (იოანე და ექვთ., 292)...

ასე მოიხსენიებს საკუთარ თავს დედა ფებრონიაც მამა გრიგოლისადმი მიწერილ წერილში: „[გრიგოლ,] ყოვლადვე მონაწილეო ლოცვასა თანა **ჩემ გლახაკისასა**“ (ხანძთ., 199)...

„გიორგი მთაწმინდლის ცხოვრებაში“ ბერი მიმართავს ავტორს, გიორგი მცირეს: „ხოლო ვინადთგან კუალადცა მეორედ მოიწია წმიდად ეპისტოლე თქუენი **სიგლახაკისა მომართ ჩუენისა...**“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 338);

„ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ ეპისკოპოსი მიმართავს ილარიონს: „და სრულ-ყავ საწადელი ჩემი, რათა მიიღო დღეს მღდელობად ჩემ მიერ **გლახაკისა ამის**“ (ილარ., 282); გიორგი მთაწმინდელი მიმართავს კონსტანტი მონომახს: „გიბრძანებს ჩემ მიერ **გლახაკისა** ყოვლად წმიდად იგი სასოოდ... წმიდად იგი ღმრთისმშობელი“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 361);

თვითდამცრობის იგივე ფორმა გვხვდება სასულიერო პოეზიაშიც:

„რამეთუ ჩემთვის დაჰგლახაკენ მდიდარნი, და **სიგლახაკჳ ჩემი** ადიდე, მწსნელო“ (პოეზია, მიქაელ მოდრეკილი, 474).

თვითდამცრობის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულთა სიმრავლე აძლიერებს და უფრო მეტ ექსპრესიას სძენს სათქმელს: „შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე“ (შუშ., 26);

„...თვთ შენ უმეტეს ჩუენსა მეცნიერ იყავ ჩუენგან, გლახაკთა ამათ და უღირსთა, რომელთა ესე უწყით“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 337);

„შეგვნდვეთ წმიდითა მაგით სიმდაბლითა ჩუენი ესე კადრებული გლახაკთა და უღირსთა მონათაჲ, მოწერილი უცები და უგუნური“ (წერილი გრიგოლს) (ხანძთ., 203);

„წმიდაჲ ლოცვაჲ წმიდისა და პატიოსნისა დიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი უფალმან მოგვბოძენ და ღირს გუყვენინ ჩუენ ცოდვილნი ესე გლახაკნი და უღირსი მონანი შენნი უკმარი არსენი და მაკარი უძლური“ (იქვე)...

ენობრივი ეთიკეტის მხრივ საინტერესო მონაცემებს იძლევა, ასევე, ხელნაწერები. თვითდამცრობის გამოთქმათა მრავალფეროვნებით ჩვენი ყურადღება მიიპყრო სვანეთში დაცულ ხელნაწერთა⁵⁸ ანდერძ-მინაწერებმა. ანდერძ-მინაწერები შესრულებულია ხელნაწერთა გადამწერების მიერ. როგორც ცნობილია, გადაწერა ძირითადად ხდებოდა ეკლესია-მონასტრებში სასულიერო პირების მიერ, შესაბამისად, მინაწერთა სტილიც საეკლესიოა. მათში შინაარსობრივად არის გამოხატული ვედრება უფლისადმი, წმინდანებისადმი, რომ დაიფარონ ხელნაწერის გადამწერი, შემმოსველი თუ მრევლი.

საინტერესოა ენობრივი ეთიკეტური ფორმები, რომელთა მეშვეობითაც გადმოიცემა მოკრძალება და პატივისცემა მისამართი ობიექტისადმი. ანდერძ-მინაწერებში ავტორთა მიერ თავმდაბლობის გამოსახატავად მსაზღვრელად გამოყენებულია სხვადასხვა სიტყვა და შესიტყვება: „გლახაკი“, „მდაბალი“, „ფრიად

⁵⁸ M - 1 – მესტიის ოთხთავი, 1033 წ.

M - 22 – ადიშის ოთხთავი, 897 წ.

A - 26 – ლაზსყალდის ოთხთავი, XII-XIII სს.

M - 27 – იენაშის ოთხთავი, XIII ს-ის 10-იანი წლები

M - 52 – ლაჰილის ოთხთავი, XIV ს.

ლახამულის ოთხთავი, XII ს.

ლახუშტის სახარება-აპრაკოსი, 1322 წ.

ქურაშის ოთხთავი, XII ს.

ტექსტები გამოქვეყნებულია წიგნში „სვანეთის წერილობითი ძეგლები I“, ვ. სილოგავას რედაქც., 1986 წ.

ცოდვილი“, „ცოდვილი“, „მონად შენი“, „მონასა თქვენსა“, „უმეცარი“, „უცბად მჩხრეკალი“, „საწყალობელი“, „ნაკლულევანი“, „უნანელი“, „უკანადასკნელი“... მაგალითები:

გლახაკი: „გლახაკისა გეორგისთ(ვ)ს (!), რ(ომელმ)ან ესე ვთა|რგმე (!), ლ(ო)ცვა ყავთ“ (ლაბსყალდის ოთხთავი, A – 26, XII-XIII სს., ანდერძი გეორგი მთაწმიდლისა, სილოგავა 1986: 50)...

მდაბალი: „ლ(ო)ცვ(ა) ყ(ა)ვ(თ) მდაბალთა მონაზონთა ი(ოვან)ეს | და სვმეოსისთვს (ლაბსყალდის ოთხთავი, A – 26, მინაწერი, XII ს., სილოგავა 1986: 50);

„ფრიად ცოდვილი“, „ცოდვილი“: „ღ(მერთ)ო, გვედრია ს~ვლი (!) ათანასესი, ფ(რია)დ ცოდვილისა“ (ადიშის ოთხთავი, M – 22, მინაწერი, XIV-XV ს., სილოგავა 1986: 48); „უ(ფალო) ღმერთო, შემიწყალე ფრიად ცოდვილი“ (მესტიის ოთხთავი, M -1, 1033 წ., მინაწერი, XVIII ს., გვ. 44); „შეუნდვენ ფრიად ცოდვილსა ამისსა მოქმედსა იონას“ (იენაშის ოთხთავი, M – 27, XIII ს-ის 10-იანი წლები, მინაწერები, სილოგავა 1986: 52)...

„შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლი ჩ(ე)მ ც(ო)დვ(ი)ლისა სტ(ე)ფ(ა)ნესი“ (ლაბსყალდის ოთხთავი, A – 26, მინაწერი, XII ს., სილოგავა 1986: 50);

„შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლითა |ამის წიგნისა მწერალი ც(ო)დვ(ი)ლი გეორგი“ (ქურაშის ოთხთავი, ანდერძი, XII ს., სილოგავა 1986: 58);

„მონად შენი“, „მონასა თქვენსა“: „...შეიწყალე და ადიდე სულიერად მონად შენი“ (მესტიის ოთხთავი, M -1, 1033 წ., სილოგავა 1986: 41)...

„მფარველ ექმენ მონასა თქვენსა და ცოდვილსა გელუანსა შიოშ ბერსა“ (მესტიის ოთხთავი, M -1, 1033 წ., მინაწერი, XVII ს., სილოგავა 1986: 42)...

აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ტექსტების მსგავსად, მინაწერებშიც გვხვდება ერთად გამოყენებული რამდენიმე ლექსიკური ერთეული თვითდამცრობის გაძლიერების ფუნქციით:

„მე, ცოდვ(ი)ლმ(ა)ნ და უმეცარ(ა)მ(ა)ნ და უცბად მჩხრეკ(ა)ლ(ა)მ(ა)ნ ...ვ(ე)ლ-ვყ(ა)ვ აღწერად წ(მიდა)თა ამ(ა)თ ოთ|ხთ(ა)ვთა“ (ლაპილის ოთხთავი, M – 52, ანდერძი გადამწერ-შემწირველის, XIV ს., სილოგავა 1986: 57);

„მე, საწყალ|ობელმ(ა)ნ და ყ(ოვე)ლთა შ(ორი)ს მკ|უიდრთა ს(ო)ფლისათ[ა] ნა|კლულევანმ(ა)ნ და უნა|ნელმ(ა)ნ, გლახაკმ(ა)ნ ილარიონ“... (მესტიის ოთხთავი, M -1, 1033 წ., ანდერძი მომგებლისა, XVIII ს., სილოგავა 1986: 44)...

სასულიერო ნაწარმოებებში (ჰაგიოგრაფიულსა და ჰიმნოგრაფიულში) ადამიანთა ქმედება გადმოცემულია, როგორც უფლის ნება. შესაბამისად, ხშირად ტექსტში ჩართულია თვითდამცრობის გამომხატველი გამონათქვამები:

ნებითა ღმრთისადათა: „რამეთუ ჳმელით არღარა ეგებოდა, და, **ნებითა ღმრთისადათა**, ევხაიტს მოვიწიენით“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 378); „და ესრეთ, **ნებითა ღმრთისადათა**, მშვიდობით მოიწია წმიდასა ამას მთასა“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 355); „და ვითარცა განთენდა, იპოვნეს **ნებითა ღმრთისადათა** თავსა ზედა კლდისასა“ (დავით და კონსტ., 445)...

მეოხებითა შენითა (იგულისხმება ღმერთი, წმინდანები...): „ღირს მყვენ ჩუენ **მეოხებითა შენითა**, ღმერთ-შემოსილო ეფთჳმი სანატრელო“ (ჰიმნოგრ., ბასილი, გალობანი ეფთჳმი მთაწმიდელისანი, 505).

უფლისადმი მიმართვისას ხაზგასმულია ის, რომ უფალი ბატონია, მოკვდავნი კი მისი ნების აღმსრულებლებად, მონებად მოიხსენიებიან. მაგალითები:

„განვამრავლე იგი (ტალანტი), ვითარცა **მონამანსარწმუნომან** შორის მორწმუნეთა შენთა“ (ხანძთ., 241)...

„კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელმან მიკსენ **უღირსი მონააშენი**“ (იოდასაფი) (ბალავ., 278);

„გვიკსენ ოხითა მისითა ჳირთა და განსაცდელთაგან უღირსნი ესე **მონანი შენნი!**“ (იოანე ანჩელი, გალობანი ანჩისხატისანი, პოეზია, 529); „გუაცხოვნენ, მაცხოვარო, **მონანი შენნი!**“ (იოანე ანჩელი, გალობანი ანჩისხატისანი, პოეზია, საუნჯე 1, 529)...

„ნეტარმან ეპისკოპოსმან ზაქარია წინა მიაგება კუერთხი თჳსი მღდელთა ჳელითა, და უფალმან მადლითა **მონისა თჳსისათა** მოსრა სიმრავლჳ იგი მკალთაა“ (ხანძთ., 205)...

აღნიშნული გამოთქმები ბიბლიიდან მომდინარეობს. ბიბლიურ თარგმანებს, სხვა ტექსტებთან ერთად, როგორც ცნობილია, საფუძვლად უდევს ძველი ბერძნული ტექსტი, ძველ ბერძნულში კი სიტყვა **მონა** (παῖς, παιδός) ნიშნავს **შვილს** (ქალს ან ვაჟს) (დვორეცკი

1958: 12019-12020; ვეისმანომი 1899: 922). შესაძლოა, ეს მნიშვნელობაა ნაგულისხმევი მამისადმი მიმართვისას კონტექსტში: „და მიუწერა მამასა თვისსა ესრეთ: „დიდსა და მორწმუნესა მეფესა და კეთილად მოსრულსა მორჩილებად ღმრთისა მე, **მონაჲ** და **გლახაკი** იოდასაჲ, უფლისა მიერ მოგიკითხავ!“ (ზალავ., 274)...

აქვე აღვნიშნავთ, რომ ავტორის მიერ საკუთარი თავის დამდაბლებისა და დამცრობის გამოხატვა იმდენად გამოკვეთილი არ არის საერო მწერლობაში, თუმცა გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, კერძოდ, საერო პოეზიაში ავტორი მიმართავს თამარ მეფეს „ვუწყი, ვერ გიძღვენ **თქვენ საფერობით**“ და საკუთარ თავს უარყოფითი ეპითეტებით მოიხსენიებს: „ველ-ვჰყავ საქმესა, ძნელსა რასმესა, **უგუნურობით**, თვით **სულელობით**, ქებასა გრძელსა, სათქმელად ძნელსა, ვერ ვუძლე, ვიქმენ **ენა-ბრგვნილობით**“ (საერო პოეზია, შავთ., აბდულმ., 511), რომ შესაფერი ქება ვერ მიუძღვნა, რითაც მის წინაშე იჩენს თავმდაბლობას, „ვეფხისტყაოსანში“ კი ავტორი წერს, რომ მის მიერ ნათქვამი ქება არც ისე ცუდია: „ვთქვენი ქებანი ვისნი მე, **არ ავად გამორჩეული** (ვეფხისტყ., 10). ეს შესიტყვებაც ასევე საკუთარი თავის თავშეკავებული შეფასების მიზნით არის გამოყენებული.

როგორც ჩანს, თავის დამდაბლების ერთ-ერთი გავრცელებული გამომხატველი საერო მწერლობის ძეგლებში იყო მიწასთან გათანაბრება. სწორედ ამიტომ ფრაზებში (არა ავტორის ღვაწლის დამამცრობელ, არამედ, ზოგადად, ტექსტში) ხშირად ფიგურირებს **მიწა**:

„**ჩვენ მონანი და მიწანი ვართ**, მბრძანებლობისა თქვენისამომსმენელნი და მიმყოლნი“ (ვისრ., 30);

„შენ მარტოსა მიგონებდე, **მემცა მიწა ვიაკვანე!**“ (შერმადინი ავთანდილს) (ვეფხისტყ., 36);

„**მიწაცა თქვენი ავთანდილ** თქვენს წინა მშვილდოსანია“ (როსტევანს) (ვეფხისტყ., 19);

„მოახსენეს: „**მიწად ვექმნეთ ვინცა მიწად მიგვიყვანნეს**“ (ლაშქარმა და დიდებულებმა ავთანდილს) (ვეფხისტყ., 282).

ასევე:

„ვკადრი: „რომ გიჭვრეტთ, ის გვალხენს, ვართ თქვენი ფეხთა მტვერია“ (სააკაძე, დიდმოურ., 381).

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასულიერო ჟანრის ნაწარმოებებისათვის (როგორც პროზის, ასევე პოეზიისათვის) დამახასიათებელი თვითდამცრობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები განპირობებულია როგორც სარწმუნოებრივი ფაქტორით (მიიჩნევა, რომ ტექსტი იქმნება უფლის, სულიწმინდის... შთაგონებით, ავტორი მათი ნების განმახორციელებელია; სარწმუნოება ადამიანს მოუწოდებს თავმდაბლობისაკენ...), ასევე, ბიბლიური ტექსტების გავლენით, რომელთაც, სხვა წყაროებთან ერთად, საფუძვლად უდევთ ძველი ბერძნული თარგმანიც. ამდაგვარად ვლინდება ავტორის უაღრესი თავმდაბლობა და შემოქმედისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება. ამ საშუალებათა ერთობლიობა საეკლესიო სტილისათვის დამახასიათებელი საინტერესო ნიუანსია.

სტილის მიხედვით ერთმანეთისაგან სხვაობს სასულიერო მწერლობის ჟანრები (აგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია). აგიოგრაფიული ნაწარმოების ტექსტი იძლევა მეტ შესაძლებლობას ევფემისტური ფორმულების გამოყენებისა, ჰიმნოგრაფიული კი, თავისი ფუნქციიდან გამომდინარე, უფრო გამოირჩევა ხოტბის შემცველი შინაარსის ლექსიკური ერთეულებით, რაც განპირობებულია ეთიკეტის ფაქტორით და არის სასულიერო პოეზიის სტილის შემქმნელი ერთ-ერთი საშუალება.

3.2. ევფემიზმის გამოხატვის თავისებურებანი საერო სტილის ნაწარმოებებში

როგორც ცნობილია, V-XI საუკუნეების ქართული მწერლობა ძირითადად სასულიერო-საეკლესიო (საქრისტიანო) ხასიათისა იყო. სასულიერო ლიტერატურის წიაღში ჩაისახა საერო მხატვრული ლიტერატურის მოტივები: საგმირო-სავაჟკაცო საქმის

იდეალიზაცია, ქვეყნისთვის თავგამოდება, დიდაქტიკურ-მორალისტური შეგონებანი და ა. შ. შესაბამისად, ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლებს „შერჩენილი აქვს საგმირო-საფალავნო ეპოსის ნიშნები“.⁵⁹

ძველი ქართული მწერლობის კლასიკურ პერიოდად ითვლება XII საუკუნისა და XIII საუკუნის პირველი მეოთხედის მწერლობა. კლასიკური პერიოდის ქართული მწერლობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა საერო მიმართულების აღმოცენება და მისი სწრაფი აღორძინება. V-XI საუკუნეების სასულიერო მწერლობასთან შედარებით საერო ხასიათის წერილობით ძეგლებში ცვლილებანი უფრო მეტია, რის გამოც ამ პერიოდს ენის დემოკრატიზაციის ხანას უწოდებენ. XII საუკუნიდან მწერლობა ჟანრობრივად და თემატურად უფრო მრავალფეროვანი ხდება. იქმნება საერო მხატვრული ლიტერატურის (პროზაული, პოეტური), ისტორიული, ფილოსოფიური, სამედიცინო და სამართლებრივი თხზულებები, სახელმწიფო დოკუმენტები, ბრძანებები, ოქმები, სიგელ-გუჯრები...

XII საუკუნის შემდეგ სალიტერატურო ენის განვითარება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შეფერხების გამო სხვაგვარად წარიმართა (ქართ. ენის ისტორია 2006: 254).

საერო მწერლობის ძეგლები სასულიერო მწერლობის ძეგლებისაგან განსხვავდება საკუთრივ მათთვის დამახასიათებელი სტილით, რაც ევფემიზმთა გამოყენების თავისებურებებშიც მჟღავნდება. საერო სტილის ტექსტებში, მათი შინაარსიდან გამომდინარე, ხშირია ისეთი ეთიკეტური სიტყვები და ფრაზები, რომლებიც სასულიერო სტილის ტექსტებში ან საერთოდ არ არის, ან ნაკლებად გვხვდება, თუმცა, ამგვარი გავლენისაგან მაინც არაა დაცული. ეს ორი სტილი, ბუნებრივია, ერთმანეთისაგან გამიჯნულია, მაგრამ მათ მაინც აერთიანებს ენა, ანუ იქმნება ენობრივი ერთიანობა ორ სხვადასხვა ჟანრს შორის. ამით უნდა აიხსნას მათი სტილებრივი გადაკვეთა, მსგავსება.

⁵⁹ <https://novatori.files.wordpress.com/2011/02/2.pdf> (მოძიებულია: 9 დეკემბერს, 2017).

3.2.1. ეთიკური ფრაზები და დალოცვის ფორმულები

ჩვენთვის საინტერესოა, როგორ რეალიზდება ევფემიზმის სტილური ფუნქცია საერო მწერლობის ძეგლებში. ცნობილია, რომ ეთიკეტის გამოსახატავად, ზოგადად, საერო სტილის ნაწარმოებებში გამოყენებულია ფატიკური კომუნიკაციის ერთეულები: **მიმართვა, საალერსო სიტყვები, ფიცის ფორმულები, მისალმება, მოკითხვა, მოზოდიშება, მადლობა, მიპატიჟება, დალოცვა, მილოცვა, ქათინაური** და სამეტყველო ეთიკეტის გამომხატველი სხვა ფრაზები. ჩვენი საანალიზო ტექსტებიდან გამოვყოფთ ევფემიზმის რამდენიმე საინტერესო ფუნქციას, რომელიც ქმნის განსაკუთრებულ სტილურ ვარიაციებს.

უფლისადმი, წმინდანებისადმი, მაღალი იერარქიის მქონე ადამიანებისადმი მიმართვისას საერო სტილის ნაწარმოებებში მრავლად გვხვდება ეპითეტები, სახოტბო ფრაზები, რაც ემსახურება ადრესატის (ხელმწიფის, ამირას, ზოგჯერ სხვა პირებისაც) შემკობა-განდიდებას. მსგავსი ტიპის კონსტრუქციები არის სასულიერო პოეზიაშიც, მაგრამ საერო პროზაულ ნაწარმოებებში, მათი ფორმიდან გამომდინარე, ის უფრო მკვეთრად და ვრცლად არის გამოხატული. ამის კარგი ნიმუშია ერთი ეპიზოდი „რუსუდანიანიდან“, რომელშიც უდიდესი ხოტბაა გადმოცემული შვილის (ფრიდონის) მიერ დედისადმი მიწერილ წერილში: „დედაო დედოფალო და ბანოვანთა ყოველთა მიღმა მაშვენებელო და უთავადესო, სხივციმციმკროთობით მზისაცა უბრწყინვალესო, ღმრთის საყვარელო და მცნებათა მისთა და სათნოებათა კეთილად შემწყნარებელო, მისგან ყოველთა კეთილთა უხვებით მომღებელო, ამ სოფელს სულით და ხორციტ გაბრწყინვებულო, ქებისაცა უმეტესო და ჩვენისა ჭირთა განთავისუფლებისათვის ტკბილსა მას მეუფესა წინა შუამდგომელო **თქვენს** წინა ქვედავრდომით **პირმიწაგაერთებასა** და აჩრდილისაცა თქვენისა თვალთშედგომისა შეუძლებლობასა“... (რუსუდ., 474). გარდა ეპითეტებისა, ციტატაში კომპოზიტი **პირმიწაგაერთება** გადმოსცემს უაღრეს თავმდაბლობასა და პატივისცემას მისამართი ობიექტის მიმართ. მისამართი ობიექტი, როგორც აღინიშნა, ამ შემთხვევაში დედაა, რომელსაც შვილი

ევფემისტურად მოიხსენიებს: „ადგა (ფრიდონი) და დედასთან შევიდა, ეგრე მოახსენა: **დედაო პატოსანო და ბანვანთა უთავადესო!**“ (რუსუდ., 406). გამოდის, რომ მოცემულ შემთხვევაში სოციალური სტატუსი (დედოფალი) ნათესაურ კავშირზე (დედა) უპირატესია, რაც ენობრივ რესურსშიც ვლინდება.

აქვე დასტურდება ხელმწიფისადმი მიმართვის ასეთი მაგალითიც: „**დიდება შენს ხელმწიფებასა**, რომელიც შენი ბძანება იქ არის, ის იქნას“ (რუსუდ., 418).

საერო მწერლობის ნაწარმოებებში, როგორც წესი, მაღალი იერარქიული წოდების წარმომადგენელთან (ხელისუფალთან და სხვა პირებთან) დიალოგი იწყება ფრაზებით:

„**მეფეთ-მეფეო!** თუცა გენახა დარეჯანის ძე, ამას ბრძანებდი“ (ამირანდარეჯ., 403);

„მან მოახსენა: **ისმენდი, მეფეთ მეფეო!**“ (ამირანდარეჯ., 379);

„**მეფეთ-მეფეო!** ესე ავი ქმნა სეფედავლე“ (ამირანდარეჯ., 401);

„**ისმენდი, მეფეთ-მეფეო!**“ (ამირანდარეჯ., 354; 336);

„ოდეს გვესმას, **მეფეთ-მეფეო**, ესე ამბავი მის კაცისაგან“ (ამირანდარეჯ., 417);

„**ამირთა-ამირო!** განსვენებისა და სიხარულისა რიცხვი არა იყო“ (ამირანდარეჯ., 396);

„**ამირთა-ამირო!** ოდესმცა გენახა სიფედავლე, ამას იტყოდი, კაცი ამას ველარა სჯობსო“ (ამირანდარეჯ., 394)...

საინტერესოა დალოცვის ფორმულები, რითაც ძირითადად იწყება ან სრულდება ნაწარმოების თავი (კარი). საგმირო ეპოსში ძალიან ხშირია ასეთი ფრაზები:

„უქადეს მათ კაცთა და ეგრე მოახსენეს: **ცხოვნდი, მეფეთ-მეფეო, უკუნისამდე!**“ (ამირანდარეჯ., 434);

„**დაუსრულებელ ყვნას ღმერთმან დიდად და გამარჯვება მეფობისა თქვენისა უკუნითი უკუნისამდე, ამინ**“ (დასასრული თავისა) (ამირანდარეჯ., 372);

„**ისმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხოვნდი უკუნისამდე! ადიდნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენნი და არცხვინნეს ორგულთა თქვენთა!**“ (კარის დასაწყისი) (ამირანდარეჯ., 443);

„**დაუსრულებელ ყვნას ღმერთმან დიდება მეფობისა თქვენისა, ამინ**“ (ამირანდარეჯ., 405).

ასევე:

„**ისმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხოვნი უკუნისამდე!**“ (ამირანდარეჯ., 402);

„**ცხოვნი, მეფეთ-მეფეო, უკუნისამდე!**“ (ამირანდარეჯ., 367);

„**ცხოვნი, ამირთა-ამირო!**“ (ამირანდარეჯ., 374);

„**მოართვეს (ამირანს) ძღვენი დიადი და თქვეს ყოველთა ერთპირად: ცხოვნი უკუნისამდე დღეგრძელობითა, მეფეო!**“ (ამირანდარეჯ., 361);

„**გვიბრძანა (მრ. რ.): აბა, მითხართ, – ლაშქრითა სჯობს წასლვა ანუ ჩვენი თ დენ წავიდეთო? აბან ქამანის ძემან მოახსენა: ცხოვნი უკუნისამდე, ამირან დარეჯანის ძეო! თუცა უკეთესა ვიქმოდეთ, მაშინცა ყველასა ესე სჯობს, რომელ თუცა ყოლე არა წავიდოდით**“ (ამირანდარეჯ., 349);

„**დაუსრულებელმაცა არს დიდება მეფობისა თქვენისა უკუნისამდე, ჟამთა მრავალთა**“ (ამირანდარეჯ., 348);

„**დაუსრულებელ ყოს ღმერთმან მეფობა თქვენი!**“ (ამირანდარეჯ., 452);

„**მაშინ მოახსენა ამირან დარეჯანის ძემან: ცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე!**“ (ამირანდარეჯ., 347);

„**მოახსენა ამირან დარეჯანის ძემან ბაღდადელსა ამირ-მუმლსა: ცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე ვითა მიქადებია ანუ გმსახურო, ანუ მოვიკლა კვლა თავი ჩემი**“ (ამირანდარეჯ., 335);

„**მათ მოახსენეს: ცხოვნი, ამირთ-ამირო... თუ ბრძანოთ, მოვიყვანთ წინაშე თქვენსა და მან მოგახსენოს ყოველივე**“ (იქვე);

„**თაყვანისცა ამირან დარეჯანის ძემან და მოახსენა: ცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე!** აწ ამასა ვიტყვი და მოვახსენებ მეფობასა თქვენსა... **აღგისრულო საწადელი თქვენი და ანუ მოვიკლა თავი, ძღვენისა კვლა მადლი რად გინდა? ყველა თქვენი ნაბოძვარია და თქვენი თაბედითა მოგებული არისო**“ (ამირანდარეჯ., 333);

„**მაშინ მოახსენა აბრამ ვაზირთა უხუცესმან: ცხოვნი, მეფეთ-მეფეო!**“ (ამირანდარეჯ., 331);

„**მოახსენეს ბაღდადელსა ამირ-მუმლსა: ცხოვნი, მეფეთ-მეფეო**“ (იქვე);

„მოახსენა ვითა: ცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე!“ (ამირანდარეჯ., 325);

„ისმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხოვნი უკუნისამდე!“ (ამირანდარეჯ., 308);

„ისმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხოვნი უკუნისამდე! ადიდნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენნი და არცხვინნეს ორგულთა თქვენთა!“ (ამირანდარეჯ., 290);

„ცხოვნი უკუნისამდე, ამირან დარეჯანის ძეო!“ (ამირანდარეჯ., 313)...

საინტერესოა შემთხვევა, როცა დალოცვის ფორმულა მთავრდება სასულიერო ტექსტის დასასრულისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულით „ამინ“ (ბერძ. amēn < ძვ. ებრ. = ჭეშმარიტია, ჭეშმარიტად): „დაუსრულებელ იყვნეს ღმერთმან სუფევა და გამარჯვება მეფობისა თქვენისა უკუნისამდე, ამინ“ (ამირანდარეჯ., 330); „და თქვენმცა ნებასა ზედასუფევთ უკუნისამდე, ამინ“ (ამირანდარეჯ., 310). იგი გამოიყენება დასკვნით სიტყვად საეკლესიო ქადაგებათა და ლოცვების დროს.⁶⁰ საერო სტილის ნაწარმოებში ამ სიტყვის გამოყენება სასულიერო სტილის გავლენით უნდა აიხსნას.

საერო ძეგლებში გვხვდება თანამედროვე ქართულში გავრცელებული გამოთქმების – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მშვიდობიან გზას/დაბრუნებას გისურვებ!.. – ფარდი „კეთილად მოხველ!“ „კეთილად დამხვდი!“ „ღმერთმან კეთილად მოავლინოს!“ დალოცვის ფორმულები:

„(დიაცმა) ეგრე მოახსენა: კეთილად მოხველ, ჭაბუკო, მჯობო ყოველთა ჭაბუკთაო! მერმე სეფედავლე უბრძანა: შენცა კეთილად დამხვდი, დედაო“ (ამირანდარეჯ., 388);

„ეგრე უბრძანა სეფედავლე: ღმერთმან კეთილად მოავლინოს“ (ამირანდარეჯ., 383).

როგორც ჩანს, დალოცვის ფორმულები ძირითადად იერარქიული პრინციპითაა შეპირობებული, ასე მიმართავენ მეფეს, ამირას, რაც სამეფო ეთიკეტის საინტერესო ნაწილია.

⁶⁰ <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია: 9 დეკემბერს, 2017).

3.2.2. ფიცის ფორმულები

საერო მწერლობის ძეგლებში სტილიზაციის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ ეთიკეტური ფიცის ფორმულებიც, რაც განასხვავებს მათ სასულიერო ტექსტებისაგან. ფიცის ფორმულები ეხმარება მოსაუბრეს ნდობის მოპოვებაში. ამავე დროს იგი წარმატებული კომუნიკაციის განმაპირობებელი ერთ-ერთი საშუალებაა.

სასულიერო სტილის ტექსტებს, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ფიცის ფორმულები არ ახასიათებს. მათეს სახარებაში ნათქვამია: „არა ფუცად ყოვლადვე ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისად; ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუარცხლბეკი არს ფერჯთა მისთად; ნუცა იერუსალჴმსა, რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისად. ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ ვერ ძალ-გიც ერთისაცა თმისა განსპეტაკებად გინა დაშავებად. არამედ იყავნ სიტყუად თქუენი ჰჴ ჰე და არად არა. ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს“ (მათე, 5, 34-37). სწორედ აქედან მოდის ის წესი, რომ დაფიცება მიუღებელია. ბუნებრივია, სასულიერო მწერლობაში გათვალისწინებულია ეს ფაქტორი. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ არ გვხვდება ამ ჟანრის ტექსტებში ფიცის გამომხატველი ენობრივი ერთეულები, საერო მწერლობაში კი ხშირია ფორმულები: **თავმან ჩემმან/შენმან... ჩემმა მზემ, ზენაარმან ღმრთისამან...** საგმირო ეპოსის („ამირანდარეჯანიანი“, „რუსუდანიანი“...) ენაში ეს შესიტყვებები იმდენად ინტენსიურ ხასიათს იღებს, რომ შეიძლება ფილერებადაც კი ჩაითვალოს. ფილერები სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც მეტყველებაში პაუზის, სიცარიელის შემავსებელი საშუალებები. ეს შემავსებლები შემთხვევითი ელემენტები კი არ არის, არამედ ისინი გარკვეულ წესებსა და ლოგიკას ექვემდებარებიან (თურქია 2006: 118; დადიანი 2013: 54). გამოყოფილია მათი გაჩენის რამდენიმე ფაქტორი: 1) მოსაუბრე პაუზის შესავსებად წარმოთქვამს ბგერათა ნებისმიერ მიმდევრობას; 2) სიტყვის გასახსენებლად დასაწყის ბგერას ან მარცვალს იმეორებს; 3) წინა სიტყვის ბოლო მარცვლის წაგრძელების ხარჯზე ცდილობს გაიხსენოს მომდევნო სიტყვა; 4) როდესაც მოსაუბრე ცდილობს სემანტიკურად დაუტვირთავი ლექსიკით პაუზის შევსებას

წარმატებული მეტყველების შთაბეჭდილების შექმნას; 5) დიალოგში მოსაუბრე იღებს გადაწყვეტილებას, დაეთანხმოს თუ არა თანამოსაუბრეს; 6) ფილერები იქცევა მოსაუბრის სამეტყველო ჩვევად (თურქია 2006: 118-119).

ჩვენი აზრით, მსგავსი ფრაზები, გამოთქმები თავდაპირველად ეთიკეტური ფუნქციისა იყო, მაგრამ შემდგომში იმდენად გახშირდა მათი გამოყენება, რომ ერთგვარ შაბლონად იქცა და ფილერს დაემსგავსა.

ფიცის ფორმულები გვხვდება უმეტესად ფრაზის დასაწყისში, წარმოთქმულია მოსაუბრის დარწმუნებისა და ნდობის გაძლიერების მიზნით. აღნიშნული შესიტყვებები (თავმან ჩემმან/შენმან...) ხშირად არის პერსუაზიული (პერსუაზია – დარწმუნება, ცვლილების, ტრანსფორმაციის პროცესი მსმენელის დარწმუნების მიზნით) (ფსიქოლ. ლექსიკონი: 1985)⁶¹.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პრობლემასთან დაკავშირებით ორი მაგისტრალური მიმართულებაა – პერსუაზია, როგორც ფსიქოლოგიურად ორიენტირებული კონცეფცია (ს. ჰოვლენდი, ი. ლ. ჯენისი, ჰ. ჰ. კელი, რ. პეტი და სხვ.) და პერსუაზიის ლინგვისტური ორიენტაციის კონცეფცია (მ. ჰოფმანი, პ. კოსტა, მ. მოილანენი, ბ. სენდინგი და სხვ.)⁶². მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ნაშრომში ტერმინ „პერსუაზიული“ ნაცვლად გამოვიყენოთ „დარწმუნებითი“.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, დარწმუნებითი კომუნიკაციის შესწავლას ისტორიული სათავე ანტიკური რიტორიკიდან აქვს. XX საუკუნის 40-50-იანი წლებიდან ეს ფენომენი შეისწავლება სოციალური ფსიქოლოგიის, კოგნიტური ფსიქოლოგიის, მასობრივი კომუნიკაციის თეორიის ჩარჩოებში. ლინგვისტური მეცნიერება მას განიხილავდა როგორც სამეტყველო მაკროაქტს კომერციული რეკლამისა და პოლიტიკური კომუნიკაციის მაგალითზე, ტექსტის კომუნიკაციური სავარაუდო სტრატეგიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. ამგვარ კომუნიკაციურ სიტუაციებში ადრესანტები გამიზნულად გადასცემენ ადრესატებს

⁶¹ https://dic.academic.ru/dic.nsf/enc_psychotherapeutic/451/УБЕЖДЕНИЕ (მოძიებულია: 10 თებერვალს, 2018).

⁶² <http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1681> (მოძიებულია: 10 თებერვალს, 2018).

ინფორმაციას, განსაზღვრულს მათ ქმედებებზე, აზრებზე, მათ განწყობებზე ზეგავლენის მოსახდენად... (ხახუტაიშვილი 2012)⁶³.

რაც შეეხება ფიცის ფორმულებს, ისინი დამახასიათებელია საერო სტილისათვის.

ფიცის ფორმულები არ არის შეპირობებული იერარქიული პრინციპით. მათ იყენებენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები: მეფეები, ქვეშევრდომები და სხვები. მონაცვლეობს ფორმები **თავმან შენმან/თავმან თქვენმან, თავმან მეფობისა შენისამან/თქვენისამან...** ფორმათა მონაცვლეობა განპირობებულია იმით, რომ საერო მწერლობის გარდამავალ ხანაში ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული **თქვენ** თავაზიანი მიმართვისას, პარალელურად გამოიყენება ორივე – **შენ** და **თქვენ** ნაცვალსახელები.

წერილობით ძეგლებში გავრცელებულია სხვადასხვა შედგენილობის ფორმულები: **თავმან ჩემმან/შენმან/თქვენმან/მეფობისა შენისამან:**

ფიცის ფორმულები მეფის მიერ ძირითადად გამოიყენება პირველი პირის ფორმით (იფიცებს საკუთარ თავს), ქვეშევრდომები კი მეფეს იფიცებენ:

„აწ, **თავმან ჩემმან**, მას მოვჰკლავ, ჩემად დად ვინცა მადესა!“ (ვეფხისტყ., 113);

„კვლა **უბრძანა**: „თუმცა მისგან აწ არ იყავ მოგზავნილი, **თავმან ჩემმან**, თავსა მოგვეთ...“ (როსტევანი ვეზირს) (ვეფხისტყ., 143);

„მერმე მეცხვარე მოიყვანეს და მას **უბძანა**: ნუ შეშინდები, მართალი თქვი და, **თავმან ჩემმან**, არს გავნებო“ (მეფე) (რუსუდ., 483);

დედოფლისადმი მიმართვისას მეფე დედოფლის სახელს იფიცებს:

„**თავმან შენმან**, ნუ ეჭობ ჩემის საპატრონოსაგან უკეთესსა სახელმწიფოსა“ (რუსუდ., 457).

თავმან შენმან გამოიყენება ასევე სხვადასხვა პერსონაჟთა მიერ:

„**თავმან შენმან**, ეგეთი ომი და ეგზომ მშვენიერი არა მინახავს რა“ (ამირანდარეჯ., 322);

„**თავმან შენმან**, რისხვა უნდა კადრებისა დაუმალსა“ (თეიმ., მაჯამა, 80);

„**თავმან შენმან**, ამისთანა კაცი შენ წინ არ უნდა მოიყვანო!“ (სიბრძნე სიცრ., 102)...

⁶³ <http://www.education.ge/index.php?do=definition/view&id=1681> (მოძიებულია: 29 მარტს, 2018).

მეფისადმი მიმართვისას ფიცის ფორმულაში გამოყენებულია გამოთქმები: **თავმან შენმან/თავმან მეფობისა შენისამან**, შემდგომ **შენ** ნაცვალსახელს ენაცვლება თქვენობითი ფორმა, ან პირიქით:

„**თავმან შენმან**, დღესამდის რაც მე **შენგან** სამართალი და მოწყალდა მინახავ, არს ხელმწიფისგან ამის უფროსი ანბადაც არ გამიგონია და ეს **თქვენი** დიდებულნი ასრე იტყვიან“ (რუსუდან., 416);

„მოახსენა ვაზირმან: ხედავს მაღალი ტახტი **თქვენი** მდაბალსა და უპოვარსა ამას არაბსა, რა ქმნა?.. **თავმან შენმან** ... ყოველივე დახოცა და შენ გიმზადაო“ (სიბრძნე სიცრ., 38);

„ხელთა მისცა (ეტრატე) და **უთხრა**: მეძებე, **თავმან შენმანო!**“ (ლეონმა) (სიბრძნე სიცრ., 15);

„მოახსენა ამირან დარეჯანის ძემან: ვინაითგან დაგიმდაბლებიათ თავი და მოსრულ ხართ მონისა კარავსა ...**თავმან მეფობისა თქვენისამან**, ერთი ტურფა ესეთი რამ გიძღვნა, რომელ კაცისა თვალისაგან ეგეთი არა ნახულიყოსო“ (ამირანდარეჯ., 332);

„მერმე შეუტევეს ორთავე და, **თავმან მეფობასა თქვენისამან**, ორთავე პატრონ-ყმათა მოკლეს ათას-ათასი კაცი“ (ამირანდარეჯ., 312).

თავმან თქვენმან:

„**თავმან თქვენმან**, ცხენსა უმაღლე იყო იგი ვეშაპი“ (ამირანდარეჯ., 452);

„გაგვიკვირდა, **თავმან თქვენმან**, ომად ფიცხლად კმა იყო“ (ამირანდარეჯ., 345);

„და ვითა იგი ლაშქარნი მოკაზმულნი იყვნეს, რომელ, **თავმან თქვენმან**, უკეთესობა აღარა ეგებოდა“ (ამირანდარეჯ., 339);

თავმან მეფობისა შენისამან:

„**თავმან მეფობისა შენისამან**, არა მინახავს ეგზომი, ფიცხელი ომი“ (ამირანდარეჯ., 445);

„ჰკრა ხრმალი ჩაბალახსა ზედა და, **თავმან მეფობისა შენისამან**, წელთამდის ჩაჰკვეთა“ (ამირანდარეჯ., 405);

„**თავმან მეფობისა შენისამან**, გავაქცივენ და დავხოცენ“ (ამირანდარეჯ., 375);

ჩემსა მზესა:

„ეგრე ბრძანა ამირ-მუმლმან: შე-რასმე-მჭირდების, **ჩემსა მზესა**, ვინცა რა ამბავი იცით, მითხარითო“ (ამირანდარეჯ., 374);

„გამოულო მეფემან, შესვა და ეგრე უბრძანა: დია თურე საჭირო არის! **ჩემსა მზესა**, გულოვნად დაიძინეთო“ (ამირანდარეჯ., 296).

ფიცის ამ ფორმულას იყენებენ სხვა პერსონაჟებიც:

„უსიბი: ეგრე მოახსენა: თუ არას მიბოძებ, არ ვიტყვიო. უბრძანა: **ჩემსა მზესა**, თქვიო, მოახსენა: შენთანა საცოლესა შენსა ცხენი გამოუგზავნია“ (ამირანდარეჯ., 299);

„ინდომან ჭაბუკმან არქვა აბუტარს: შემინდევ, **ჩემსა მზესა**, არა გიცნობდი...“ (ამირანდარეჯ., 323);

ჩვენ მიერ შესწავლილი საერო მწერლობის ძეგლებისათვის დამახასიათებელია „ჩემსა მზესა“. ფიცის სხვა ფორმულების მსგავსად, ესეც გამოიყენება სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე მდგომი პირების მიერ. მაგალითად, ამ შესიტყვებას იყენებს მეფე, ამირა.

„ჩემსა მზესა“ ახლოსაა დღეს გავრცელებულ განსხვავებული ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ გამოთქმასთან „ჩემმა მზემ!“ (შდრ. ირონ. „შენმა მზემ!“) ამ ფორმულის შესახებ საინტერესოდ წერს ბ. ჯორბენაძე: „ქართულ ზეპირმეტყველებაში საკმაოდ გავრცელებული გამოთქმაა **ჩემმა მზემ**. ამჯერად გამოთქმა არაფრით არ იპყრობს ყურადღებას, შესაძლოა, საჩოთიროდაც მიგვაჩნდეს. საქმე ისაა, რომ გამოთქმას გარკვეული სოციალური მახასიათებელი დაუკავშირდა: მას არ იხმარს ვინმე ოფიციალურ საზოგადოებაში, არ არის ეს გამოთქმა დამახასიათებელი, საერთოდ, ინტელიგენტი პიროვნებისათვის. მას უფრო ფამილარულ-გულგარული ან სპეციფიკურ-კუთხური (ქართლური, კახური) იერი დაჰკრავს. მაგრამ ამ გამოთქმას დიდი და საინტერესო ისტორია აქვს, დაკავშირებულია ქართველების უძველეს რწმენასთან“ (ჯორბენაძე 1997: 62-63).

ც. ბარბაქაძე მიუთითებს, რომ მზე – უნივერსალური კონცეპტი და სახე-სიმბოლოა, რომელიც უამრავ კონოტაციურ მნიშვნელობას აჩენს. მათ შორის არის:

ბიბლიური, არქექტიპული, მითოსური, ასტრონომიული, ასოციაციური, პოეტური და სხვა მნიშვნელობები. მაინც რას აღნიშნავს მზე? ასტრონომიულად: მზე ირმის ნახტომის გალაქტიკაში, მზის სისტემის ცენტრში ყვითელი ვარსკვლავია, რომლის გარშემო, ორბიტაზე, მოძრაობენ სხვა ციური სხეულები და, მათ შორის, დედამიწაც. ის არის სინათლისა და სითბოს წყარო...

მზე უმაღლესი კოსმიური ძალის სიმბოლოა, ყველგან მჭვრეტი ღვთაებაა, მიუხედავად იმისა, რომ სამყაროს უძველესი სურათები გეოცენტრულია, მზე არის სიმბოლური ცენტრი, კოსმოსის გული, ყოფიერების ცენტრი; ის არის აგრეთვე სიმბოლო ინტუიციური ცოდნისა, გონისა, გასხივოსნებისა, დიდებისა და დიდებულების, მეუფების... მზესამყაროს „თვალა“, ღვთაებრივის ხილული ხატი, სინათლის ტრანსცენდენტული არქექტიპი; მზე „სამყაროს კარია“ – ცოდნასა და უკვდავებაში შესასვლელი (ბარბაქაძე 2014⁶⁴).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „მზეზე დაფიცება დამახასიათებელია დიალექტებისთვისაც. მაგალითად, „იმერხელ დიალექტში დაფიცებისას ხშირად ახსენებენ მზეს (ზითუალს): „ზითუალი მადმა! ასე თქუა“ (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 459)... ძველ ქართულში „მზის-თუალი“ იხმარებოდა „მზის“ აღსანიშნავად (ილ. აბულაძე, 1973). **მზე** ფიცის ფორმულებში, ჩვეულებრივ, გამოიყენება ქართულში: მზის მადლმა, შენ მზეს ვფიცავ, მამიშენის მზეს, მაგის თავის მზემ, ჩემმა მზემ“ (დადიანი... 2009: 322). მეგრულში დასტურდება ფორმულა **დაუღლეელი მზის მადლმა**.⁶⁵

ფორმულა „ჩემსა მზესა“ მიემართება მეორე პირსაც – „თქვენმან მზემან“:

„ქაოზ ქოსის ძემან ეგრე თქვა, ვითა **თქვენმან მზემან**, თუ ცად არა აგვიყვანებენ, ქვეყანასა ზედა ამის უკეთესი სახლი აღარა დგასო“ (ამირანდარეჯ., 364);

„**თქვენმან მზემან**, კაცად კმა იყო“ (ამირანდარეჯ., 345);

⁶⁴ <http://mastsavlebeli.ge/?p=3943> (მომიებულია: 29 მარტს, 2018).

⁶⁵ <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/megr/kajaia/kajai.htm?kaja1812.htm> (მომიებულია: 29 მარტს, 2018).

„მათი სამოთხისებრი შეკაზმული დარბაზი მე, **თქვენმან მზემან და კეთილმან**,
ბნელად საკნად მიმაჩნდა...“ (ვისრ., 30).

იგივე შინაარსი სხვაგვარადაა ფორმულირებული წინადადებებში:

„ჩამოხდებით, დავჰკლავ, **თავსა ვფიცავ შენის მზისას**“ (არჩილი, გაბაასება, 163);

„კარგი ყმა და კარგი ჭაბუკი ხარ, **ამირ-მუმლისა მზემან!**“ (ამირანდარეჯ., 378);

„**თავმან მეფისამან**, დიდად ბედუკეთური თურე ხარ!“ (სიბრძნე სიცრ., 21);

„მე შენ დღეის წალმა აღარას გეუბნები, **თავმან მეფისამან!**“ (სიბრძნე სიცრ., 128);

„**თავმან მეფისამან შენისამან**, მას კაცსავით შენ მამაშენს დაგვალოცვინებ და კიდევცა
სჯობიხარ სიავითა“ (რუქა ლეონს)(სიბრძნე სიცრ., 51).

საინტერესოა უფლის სახელის დაფიცების შემთხვევები:

„**თავმან თქვენმან და ზენაარმან ღმრთისამან**, ეგზომ ხელოვნად ეცადნეს...“
(ამირანდარეჯ., 324);

„მოახსენა დიდო მან: აწ სადა წახვალ? სარგებელი შემიძლია... აღმითქვი, რომელ
მამული ჩემი მომცე. **უბრძანა ამირან: ზენაარმან ღმრთისამან**, მოგცეო“ (ამირანდარეჯ.,
307);

„**ზენაარმან ღმრთისამან და თავმან თქვენმან**, ხუთასი ლომი და ვეფხვი მოვკალით“
(მთხრობელი მეფეს) (ამირანდარეჯ., 306).

ნათქვამის ჭეშმარიტების დასადასტურებლად უფლის სახელია გამოყენებული
ფრაზაში „ღმერთმან იცის“, რაც, როგორც ცნობილია, შემდგომში შეკვეცილი ფორმით
(ღმერთმანი) არის გავრცელებული: „გასცა პასუხი ამირან, ვითა: **ღმერთმან იცის**, განა
ძოლანცა ვთქვი: არა მწადიან ხელმწიფეთა ომი და, რადგან **თქვენ გიბრძანებიათ**, მის
მეტე ჩემგან რა ღონეაო?“ (ამირანდარეჯ., 345).

ასევე დასტურდება გამოთქმა „**თქვენმან კეთილმან:**“

„ვერ გათნევ, **თქვენმან კეთილმან**, აწ ეგე არ-მართალია“ (ტარიელი ფარსადანს)
(ვეფხისტყ., 110).

საანალიზო მასალის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ საერო ძეგლებში ეთიკური
ფრაზები და დალოცვის ფორმულები სტილის შემქმნელი საშუალებებია, რაც

ძირითადად იერარქიული პრინციპითაა შეპირობებული. იგივე შეიძლება ითქვას ფიცის ფორმულების შესახებ, რომელთაც მოსაუბრე იყენებს თანამოსაუბრის დასარწმუნებლად, რათა უზრუნველყოს წარმატებული კომუნიკაციური აქტი. ფატიკური კომუნიკაციის აღნიშნულ ერთეულთა ნაწილი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაშიც ჰპოვებს გამოძახილს. მაგალითად, დღეს სასაუბრო ენაში გავრცელებულია დალოცვის ფორმულები: დღეგრძელობას გისურვებ! გამარჯვებას გისურვებ!.. აგრეთვე, ფიცის ფორმულები: შენს თავს გეფიცები! ღვთის მადლმა! ღმერთს გეფიცები!.. რაც შეეხება ფორმულას **ჩემსა მზესა**, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ის იშვიათად გამოიყენება, არქაიზმია, უფრო მეტიც, ამ ფრაზის წარმომთქმელი შესაძლოა დაცინვის საგნადაც კი იქცეს... იგივე ფრაზა მეორე პირის ფორმით – შენმა მზემ! – კი უფრო სხვა სემანტიკითაა დატვირთული: გამოხატავს ირონიას ადრესატის მიმართ. აღნიშნულ ერთეულთა სემანტიკური ტრანსფორმაცია ნათლად გვიჩვენებს, რომ ენაში მუდმივი არაფერია, ენა ვითარდება, იცვლება, ცვლილება კი ყველაზე ადვილად სემანტიკის სფეროში ხდება. ამის ნათელ მაგალითსაც საერო სტილის ძეგლთა ეთიკეტური ფორმულების ანალიზი გვაძლევს.

3.3. ევფემიზმები დოკუმენტების ენაში (საკანცელარიო სტილი)

ქართულ საისტორიო და იურიდიულ დოკუმენტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიის კვლევისათვის. რბილ მასალაზე (ეტრატზე...) დაწერილი, ჩვენამდე შემონახული უძველესი ქართული საბუთი განეკუთვნება IX საუკუნეს. უფრო ადრეული რბილ მასალაზე დაწერილი საბუთი მიკვლეული არ არის, მაგრამ, ცხადია, ქართული საბუთების ისტორია IX საუკუნეზე ადრე იწყება. ნ. ბერძენიშვილმა, წყაროთა ჩვენებების საფუძველზე, დამაჯერებლად დაასაბუთა ქართული დოკუმენტების არსებობა VI საუკუნიდან მაინც (კორპ. I 1984: 10). ზ. სარჯველაძის აზრით, ქართული საისტორიო და იურიდიული დოკუმენტები ძირითადად XI საუკუნიდან გვაქვს. მათ

შორის მეცნიერი გამოყოფს ბაგრატ VI-ის ორ სიგელს: ერთი ცნობილია, როგორც „სიგელი მღუიმელთაჲ“, ხოლო მეორე, როგორც „სიგელი ოპიზართა და მიჯნამოროელთაჲ“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, პირველი სიგელი თარიღდება 1058 წლით, მეორე კი – 1060-1065 წლებით (სარჯველაძე 1984: 63).

მრავალფეროვანია სამოქალაქო და სისხლის სამართლის საბუთები: სიგელნი მკვიდრობისანი, შეუვალობის სიგელი, რომელსაც მონღოლთა ბატონობის დროიდან სითარხნის წიგნს, ზოგჯერ აზატობის წიგნსაც უწოდებდნენ. ის იყო გადასახადისაგან ან ყმობისაგან გათავისუფლების საბუთი; გარდაწყვეტილობის წიგნი სასამართლოს განაჩენის შემცველ დოკუმენტს ერქვა, განაჩენი – სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ამათ გარდა, იყო სხვა სახის საბუთებიც: ეკლესია-მონასტრისათვის თავის შეწირვისა – თავშეწირულობის წიგნი, საშუამავლო მოლაპარაკების დროს პირობის დარღვევის ასაცილებლად შუამდგომელის თავდებობისა – სათავდებო წიგნი, ჩამოვარდნილი უთანხმოების დასამშვიდებლად – საშუამავლო წიგნი, ეპისკოპოსისაგან ბრალდებულის ცოდვის შენდობისა და მიტევების აღსანიშნავად – შენდობის წიგნი, დადებული პირობის აღმნუსხველი დოკუმენტი – პირობის წიგნი, ეკლესია-მონასტრებისათვის დაწესებული ალაპის (შესაწირავის) ამსახველი – საალაპო წიგნი, ძმობა-ერთობის შემცველი დოკუმენტი – ძმობის წიგნი, ქალიშვილისათვის მზითვად გატანებული ქონების აღმნუსხველი საბუთი – მზითვის წიგნი, შვილად აყვანის ამსახველი – ნაშვილებობის წიგნი, – ადამიანის გარდაცვალების შემდეგ აღსასრულებელი ნების შემცველი საბუთი – ანდერძი. კერძო ხასიათის საბუთ-წერილებიდან აღსანიშნავია: ვედრების წიგნი, მოკითხვის წიგნი, მიჯნურობის წიგნი, წვეულობის წიგნი, სამძიმრის წიგნი, პირობის წიგნი საფიცრის წიგნი, თავდახსნილობის სიგელი, ნასყიდობის წიგნი, შეწირულობის წიგნი... (ჯავახიშვილი 1996: 419-425).

ისტორიული დოკუმენტების ენა არის მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო ენობრივი თავისებურებების შემცველი. იგი ემყარება ცოცხალ მეტყველებას და ლექსიკური მასალით, ფრაზეოლოგიით, სინტაქსითა თუ ონომასტიკონით მკაფიოდ ახასიათებს ქართული ენის განვითარების ისტორიულ ეტაპს (კორპ. III 2014: 7).

ენობრივი ეთიკეტის მხრივ მნიშვნელოვანია V-XVII საუკუნეთა ისტორიული დოკუმენტების მონაცემთა ანალიზი. როგორც ი. ჯავახიშვილი წერს, ძველ დროში ქართველი კაცის „მოქმედების საზღვრის დამდები“ იყო ოთხი გარემოება:

1. ტრადიცია (საგვარეულო წეს-წყობილება და ზნე-ჩვეულებები);
2. სოციალური მდგომარეობა (წოდებრიობა, პატრონყმობა);
3. რელიგია (სარწმუნოებრივი მცნებანი);
4. სამართლებრივი ნორმები (კანონ-წესები)⁶⁶.

XV-XVII საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტებში ასახულია წოდებრივი, ბატონყმური ურთიერთობები; მათი საშუალებით გარკვეული წარმოდგენა გვექმნება XV-XVII საუკუნეების ქართული საზოგადოების ეთიკურ მხარეზე, რაც მულავენდება ევფემისტურ გამოთქმებში. „ეს დოკუმენტები არ იყო გამიზნული საყოველთაო განსჯისათვის და ამიტომაც მათში ყოველგვარი შეფარვის გარეშეა გადმოცემული სათქმელი. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს ნათლად წარმოვიდგინოთ იმ პერიოდის საზოგადოებრივი ურთიერთობანი“ (ჯორბენაძე, 1997: 183). დოკუმენტთა ავტორები და ადრესატები არიან მეფეები, ბატონები, ყმა-გლეხები... შესაბამისად, განსხვავებულია სათქმელის გამოხატვის ენობრივი საშუალებანი.

საზოგადოების ფენებს შორის დამოკიდებულება ისტორიული დოკუმენტების მიხედვით კარგადაა გამოხატული XIV საუკუნის II ნახევრის დოკუმენტში „დაწერილი ქვეყნის სამაგრობელი სრულიად სვანეთის კვეისა“: მთავარმოწამისა სეტისა თავსდებობითა და შვამდგომლობითა დაწერეთ... ესე... **უზედაესმან და უქვედაესმან** ყოველმან...“ (დოკ. 1986: 107). ერთი და იგივე შინაარსი დოკუმენტებში გამოიხატება იმის შესაბამისად, თუ ვის მიმართავენ ან ვის შესახებ არის საუბარი, შესაბამისად, სათქმელის გამოხატვის ენობრივი საშუალებებიც განსხვავდება იმის მიხედვით, თუ ვის მიემართება ტექსტი: მაღალი წოდების მქონე ადამიანს ანუ „უზედაესს“, თუ წოდებრივი იერარქიის დაბალ საფეხურზე მდგომს ანუ „უქვედაესს“.

⁶⁶ <http://www.nplg.gov.ge> (მოძიებულია: 10 აპრილს, 2018).

საინტერესოა დოკუმენტების ენაში არსებული ეთიკეტური ფორმები, რომლებიც სხვაობს ადრესატის მიხედვით და რომელთა მეშვეობითაც გამოიხატება მოკრძალება და პატივისცემა მისამართი ობიექტისადმი.

დოკუმენტების ავტორი მიმართავს თვითდამცრობის გამომხატველ ენობრივ საშუალებებს, რითაც ადრესატთან მისი მოკრძალებული დამოკიდებულება ვლინდება. ასეთი კონსტრუქციები სასულიერო ტექსტებიდან მოდის. დოკუმენტებში მათი გამოყენება, ვფიქრობთ, განპირობებულია ფსიქოლოგიური ფაქტორით, კერძოდ, გათვალისწინებულია ის ვითარება, რომ დოკუმენტი შეუვალი და მტკიცეა. ამ განწყობას აძლიერებს მის დასაწყისში უფლისა და წმინდანების ხსენება. ძველად დოკუმენტების შემქმნელი მდივან-მწიგნობრები ხშირად სასულიერო პირები იყვნენ (წერა-კითხვაც ძირითადად მათ იცოდნენ), რომლებიც, ბუნებრივია, სასულიერო მწერლობის ტრადიციებზე აღზრდილნი იყვნენ. შესაბამისად, უფლისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება და საკუთარი ღვაწლის „დამცრობა“ საანალიზო დოკუმენტებში ენობრივად არის რეალიზებული.

ტექსტის დასაწყისით, პასიური კონსტრუქციითა და სხვადასხვა შესიტყვებით დამცრობილია ავტორის წვლილი და აღნიშნულია, რომ ტექსტი იწერება უფლისა და წმინდანების სახელით. ბუნებრივია, დოკუმენტების სტილი განსხვავდება სხვა ტიპის წერილობით ძეგლთა სტილისაგან, თუმცა არსებობს საერთოც, კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვითდამცრობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები სასულიერო სტილის ძეგლებისთვის არის დამახასიათებელი. ისინი მსგავსია სემანტიკურად და არა სტრუქტურულად. ეს შეიძლება ითქვას დოკუმენტთა **ტექსტის დასაწყისზე**, სადაც ავტორის მიერ „დამცრობილად“ არის წარმოდგენილი საკუთარი წვლილი და აღნიშნულია, რომ ტექსტი იწერება უფლისა და წმინდანების სახელით. სასულიერო მწერლობის ძეგლებში ამგვარი დამოკიდებულება სხვაგვარადაა რეალიზებული.

საბუთების დასაწყისში აღნიშნულია, რომ იგი იწერება უფლისა თუ წმინდანების მეშვეობით:

„ქ. ღმრთისა და მთავარმოწამისა სეტისა თაუსდებობითა და შუამდგომლობითა...“ (დაწერილი სავიანებისა სეტელებისადმი, XIV სკ.-ის II ნახ. დოკ., 1986: 177);

„ღმრთისა და დედისა მისისა და ყოველთა წმიდათა მისთა თავსმდებობითა და შუამდგომლობითა, დაგიწერე და მოგაკსენე დაწერილი ესე თქუნ, თავად მთავარმოწამესა და ერთობილსა ჳევსა“ (დაწერილი ბენდე ვახთაგიანისა სეტის ჳევისადმი, XIV სკ. შუა, დოკ. 1986: 118).

მსგავსი დასაწყისი დამახასიათებელია თითქმის ყველა დოკუმენტისათვის.

ტექსტებში ხშირია პასიური კონსტრუქციის გამოყენება ეთიკური ფუნქციით. იგი უკანა პლანზე სწევს სუბიექტს და ყურადღებას ობიექტზე ამახვილებს. ასეთი კონსტრუქციები გვხვდება ავტორის ღვაწლის მოკრძალებულად, ევფემისტურად გამოხატვის მიზნით, მაგალითად:

„დაიწერა წიგნი ესე ჳელითა ფრიად ცოდვილისა ფალავანდიშვილის ფალავანდისითა“ (წიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჳაფარიძეთა სასისხლოს გადახდაზე, დოკ. 1986: 116).

მოცემულ მაგალითში თავმდაბლობის გამოსახატავად გამოყენებულია ზმნური ფორმა **დაიწერა** ის და შესიტყვება **ფრიად ცოდვილი**. სასულიერო მწერლობის ძეგლებისაგან განსხვავებით, დოკუმენტები ამგვარ შესიტყვებათა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა.

გარდა თვითდამცრობის გამომხატველი ენობრივი საშუალებებისა, ენობრივი ეთიკური დოკუმენტებში გამოხატულია ევფემისტური ზმნებით, მიმართვის ფორმით, პოსიბილიტური ვნებითა და ეთიკური ნაცვალსახელებით. მაგალითები:

1. ზმნური ფორმები:

ბრძანებს: ეს ზმნა დოკუმენტებში გამოყენებულია ევფემისტური ფუნქციით სხვადასხვა შემთხვევაში. კერძოდ:

ა) **ბრძანებს** ზმნას დოკუმენტის ავტორი პირველი პირის ფორმით იყენებს საკუთარი თავის მიმართ; ამასთან, ზმნა მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი:

„რადცა გვიბრძანებია ჩუენ, არა გაგიტეხოთ“ (დაწერილი ერთობილი სუანეთის ჳევისა მებეგრეებისადმი, XV ს., დოკ. 1986: 112);

„ამის მოწამედ გუიბრძანებია მაცხოვარი ლაჰილისა; კაცთაგან – ლაჰილისა სოფელი“ (დაწერილი გვარამიანთა უჩვილოდ დარჩენილი ძმის გიორგისადმი, XIII-XIV სს., დოკ. 1986: 141).

ბ) ავტორი მიმართავს ტექსტის წამკითხველს:

„რომელმანცა კაცმან ჩუენტჳს შენდობაჲ **ბძანოთ**, ღმერთმან თქუენცა შეგინდოს; ...ოდეს ამა წიგნსა იკითხვიდეთ, ჩემთჳს შენდობაჲ **ბრძანეთ**“ (დაწერილი ლაზარე შაურეგიანისა ლაჰილის მაცხოვრისადმი, XIV-XV სს., დოკ. 1986: 140).

გ) ევფემისტური **ბრძან** ძირის მქონე ზმნა მიემართება უფალს:

„**ბრძანებს** მაცხოვარი ლაილისა; წმიდანი მთავარანგელოზოერი მოხერისა“ (დაწერილი შიშქოფ ქოცხიანისა მოხერის მთავარანგელოზისადმი, XIII-XIV სს., დოკ. 1986: 107).

თქმას ენაცვლება, ასევე, **მოგახსენეთ** ზმნა:

„**მოგახსენებთ** ბიყას სრულ სეტიელნი, რომე ამა ციხის შესავალი... ყველა შენი არს“ (დაწერილი სეტიელთა ბიყასადმი, XV ს., დოკ. 1986: 165);

„ამის თაუსდებად **მოგვიცხენებია** პირველ ღმერთი...“ (დაწერილი სეტელებისა ლენჯერლებისადმი, XIV სკ. I ნახ., დოკ. 1986: 163).

ჩვენი დაკვირვებით, ზოგ შემთხვევაში **მოგახსენეთ** ზმნა დატვირთულია **მოტანა/მორთმევის** სემანტიკით:

„ესე ნიშანი დაწერილი დაგიწერე და **მოგაცხენე** მე...“ (დაწერილი ივანე და ხუერგო გელუანებისა მოხერის მთავარანგელოზისადმი, XIII-XIV სს., დოკ. 1986: 137);

„ამას გარეთ საალაპოდ **მოგაცხენეთ** სამასი ნებიერი“ (წიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სასისხლოს გადახდაზე, 1503 წ., დოკ. 1986: 116);

„დაგიწერე და **მოგაცხენე** დაწერილი ესე თქუენ, თავად მთავარმოწამესა და ერთობილსა ჳევსა“ (დაწერილი ბენდე ვახთაგიანისა სეტის ჳევისადმი, XIV სკ. შუა, დოკ. 1986: 118).

არის/ბრძანდება:

„ამისნი მოწამენი: **ბრძანებს** წმიდაი კვირიკე კალისა და ბარბარე წმიდაი“ (დაწერილი ბიბილა დევდარიანისა კალის ჯევისადმი, XIV ს., დოკ. 1986: 225).

მიცემა/ბოძება ზმნები პარალელურად, ერთმანეთის გვერდითაც დასტურდება, ცალკე არაევემისტური ზმნის გამოყენება კი იშვიათია:

„დაგიწერეთ და **გიბოძეთ...**“ (დაწერილი სეტის ჯევისა მთავარმოწამის მოფიცართადმი, XIV ს. I ნახ., დოკ. 1986: 156);

„ესე დაწერილი სეტისა ჯეუმან **გიბოძეთ** შენ, ჭედელანსა დოდელსა, მას ჟამსა, ოდეს ჭანდერასა სათიფი **მოგეცით**“ (დაწერილი სეტის ჯევისა დოდელ ჭედელიანისადმი, XIV ს. I ნახ., დოკ. 1986: 165);

„დაუმტკიცეთ და **უბოძეთ** ჩვენ მეფეთ მეფემან ალექსანდრე... ესე სასისხლო სიგელი **მივეცით** და **მიუბოძეთ** გელოანსა აბესალომსა სვანისა ერისთავსა“ (სასისხლო სიგელი ბაგრატ მეფისა აბესალომ გელუანისადმი, 1466-1478, დოკ. 1986: 240).

ამ ფორმებით გამოხატულია არა ადრესატისადმი კრძალვა, არამედ ისინი ავტორის ვინაობითაა განპირობებული (სეტის ხევი, მეფე...).

„ბოძებას“ არაევემისტური **„მიცემა“** ენაცვლება მაგალითებში:

„ამისი გათავების თაუსდებად **მომიცემია** – პირველ ღმერთი და ესე ზემოწერილნი წმიდანნი“ (დაწერილი კილამუშელთა სეტიელებისადმი, XIV ს. I ნახ., დოკ. 1986: 169);

„ამის თაუსდებად **მოგუიცემია** პირველ ღმერთი...“ (დაწერილი სავიანებისა სეტიელებისადმი, XIV ს. II ნახ., დოკ. 1986: 177)...

პოსიბილიტური ვნებითის ფორმა ამცირებს სუბიექტის მონაწილეობას მოქმედებაში და პროცესს ევემისტურად გადმოსცემს. ასეთია, მაგალითად, **შეგაკუდა:**

„მას ჟამსა, ოდეს გერყუნი **შეგაკუდა...**“ (დაწერილი გერყუნის მესისხლეთა ფალიანების გორგოლიანებისადმი, XIV ს. II ნახ., დოკ. 1986: 197);

„დავწერეთ... მას ჟამსა, ოდეს ჭურდიანი **შეგუაკუდა**“ (წიგნი და ნიშანი სეტის ჯევის ერთპირობისა და თანადგომისა, XVII სკ. I მესამედი, დოკ. 1986: 54).

2. ეთიკეტური ნაცვალსახელები:

სამეფო ანუ **განდიდების „ჩვენ“** (pluralis maiestatis) დასტურდება მრავალ ენაში. აქ ხაზი ესმება არა მოკრძალებულობას, მორიდებას, არამედ საკუთარი პერსონის მნიშვნელობის გამორჩევას, გამოყოფას, განდიდებას, სოციალურ-იერარქიულ კიბეზე უპირატესობას (ზექალაშვილი 2012: 107-108). დოკუმენტებში ასეთი ფორმაც დასტურდება:

„დაგიწერეთ და გიბოძეთ **ჩუენ**, მჯაფარიანმან თქუენ, ხერგიანთა“ (დაწერილი მჯაფარიანთა ხერგიანებისა და იოსელიანებისადმი, XV ს., დოკ. 1986: 199);

„დაუმტკიცეთ და უბოძეთ **ჩვენ** მეფეთ მეფემან ალექსანდრე... (სასისხლო სიგელი ბაგრატ მეფისა ახესალომ გელუანისადმი, 1466-1478 წ., დოკ. 1986: 240).

„...ესე წიგნი დაგიწერე და გიბოძეთ მე, ბატონმან ბარათამან, მეუღლემან **ჩუენმან** თინათინ, შვილთა ჩუენტა დავით და გერმანოზ, შენ, ჩუენსა ერდგულსა ყმასა ძუჟღულაშვილსა თევდორეს და ნავროზს...“ (დოკ. 3, 123, 1431 წ.);

„აწ **ჩუენ** (მეფემ) მისადვე შედეგად ესე სიგელი და ნიშანი თქუენ (კათალიკოზ დავითს) მოგაცხენეთ...“ (დოკ. 3, 90, 1457 წ.).

სამეფო **ჩვენ** დასტურდება, ასევე, სხვა სტილის ტექსტებშიც:

„ხოლო რომელი იპოოს ნაკლულევანება მიზეზითა **ჩუენ** მიერ აღწერილობისაითა, განემართოს **თქუენ** მიერ მადლითა სულისა წმიდისაითა“ (გ. მთაწმ. ცხოვრ., 340);

„**ჩვენს** უკეთ ლექსი ვის უთქვამს მიჯნურთ, ან მარგე სულისო“ (რუსთაველი თავის თავზე) (არჩილი, გაბაასება, 155).

ზ. კიკვიძის აზრით, „სამეფო ჩვენ“ სისტემური ხასიათის (დისტრიბუციულად შეუზღუდავი) ენობრივი მოვლენაა (კიკვიძე 1999: 26).

როგორც ცნობილია, **უფალს, ანგელოზებს მიმართავენ შენობით**, თუმცა დოკუმენტებში მოხერის მთავარანგელოზისადმი მიმართვისას გვხვდება **თქვენობითი** ფორმა:

„ესე ნიშანი დაგიწერე და მოგახსენე მე მიქელაისძემან და ჩემთა შვილთა, **თქუნ**, წმიდასა მთავარანგელოზსა მოხერისასა“ (დაწერილი მიქელაის-ძის მოხერის მთავარანგელოზისადმი, XIII-XIV სს., დოკ. 1986: 138);

„დაგიწერე წერილი ესე მე, შოშქოვ ქოცხიანმან **თქუნ**, წმიდასა მთავარანგელოზსა მოხერისასა“ (დაწერილი შოშქოვ ქოცხიანისა მოხერის მთავარანგელოზისადმი, XIII-XIV სს., დოკ. 1986: 139)...

ისტორიული დოკუმენტების ენაში განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა თავაზიანი, ევფემისტური ფორმები გამოყენებულია **უსულოსაგნის** მიმართ. მაგალითად, ასე მოიხსენიებენ ან მიმართავენ ხატს, სვეტს, საყდარს, ეკლესიას. ქრისტიანული ტრადიციით ამგვარი რამ უჩვეულო არ არის ქართულში. მაგალითად, ევფემისტურია ხატთან, ჯვართან, წმინდა ნაწილებთან... დაკავშირებული გამოთქმები. ტროპარებში დასტურდება ზმნური ევფემიზმები: **მიუბოძა**:

„ხოლო მანძითურთ თვსით **მიუბოძა** ზღუა სახატი იგი და ესრეთ ღაღად-ყო: დიდებად შენდა, წმიდაო, ზღუად მღელვარჳ მწე შენდა გექმნეს, დიდებად მსვლელობასა შენსა, უხრწნელო“ (პარაკლისი ათონის ივერიის ღმრთისმშობლის ხატისა, კარიბჭად წოდებულისა, ტროპარი I, ჳმად 1).⁶⁷

მიუბოძე:

„რომელმან მრავალ-პატიოსანი ხატი შენი **მიუბოძე** ივირონსა, ეგრეთვე უნუგეშო არა დაგტევენ მკვდრნი წილხვედრისა შენისანი, ქალწულო, და ვიდრე ჟამადმდე, მის წილ ამბორს-უყოფთ საკვრველთა პირთა მისთა, შენმიერთა მფარველობითა განდიდებულთა“ (გალობა 3, განძლიერდასა).⁶⁸

ხატისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება გამოხატულია თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაშიც. მაგალითად, ზმნური **ბრძან** ძირი გამოყენებულია ხატის, ჯვრის, წმინდა ნაწილების... მოხსენიებისას:

⁶⁷ <http://www.orthodoxy.ge/lotsvani> (მომიებულია: 10 აპრილს, 2018).

⁶⁸ <http://www.orthodoxy.ge> (მომიებულია: 10 აპრილს, 2018).

სამების საკათედრო ტაძარში „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“ **ხატი მიაბრძანეს**⁶⁹; ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი **ხატი** ახლადაგებულ მონასტერში **მიაბრძანეს...**⁷⁰

...დღესასწაულზე... ერთ-ერთი **ჯვარი** ზუგდიდში **ჩააბრძანეს**... შემდეგ კი ანაკლიაში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში **მიაბრძანეს**... წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში **ჯვრის მიაბრძანებასა** აფხაზეთიდან გადმოსული მრევლიც დაესწრო...⁷¹

წმიდანის **ხელის მტევანი** ბოდბეში **მიაბრძანეს**...⁷²

XV-XVIII საუკუნეთა დოკუმენტებში ხშირად სათქმელის ევფემისტურობა მიღწეულია გრამატიკული საშუალებებით, კერძოდ, ნაცვალსახელური „თქვენ“ და ზმნური „გვადრეთ“, „მოგახსენეთ“, „მივართვით“ ევფემიზმებით, ამასთან, როგორც აღინიშნა, ასე მოიხსენიებენ ან მიმართავენ ხატს, სვეტს, საყდარს, ეკლესიას. ამის შესახებ მიუთითებს არ. მარტიროსოვი ნაცვალსახელურ ევფემიზმებზე მსჯელობისას. იგი წერს, რომ ნაცვალსახელის „თქვენობით“ ფორმაში ზოგჯერ იგულისხმება, აგრეთვე, ეკლესია, საყდარი ან ხატი (მარტიროსოვი 1964: 65).

დოკუმენტებში ევფემისტურობა გამოხატულია **თქვენ** ნაცვალსახელით:

„ეჰა საყდარო კათოლიკე ეკლესიაო... მე მინდობილმან და მოქენემან შეწევნათა და ცვა-ფარვათა **თქუნთამან**, **თქუნ** ძლით მპყრობელმან მეფობისამან... ჳელვყავ და გულს-მოდგინედ ვიწყე ძიებად, რათამცა მცირედითა... მემსახურა ...ღ~თივ აღმართებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა სამეუფოსა და მირონისა ღ~თ მყოფელისათუს“ (ყმისა და მამულის შეწირულობის წიგნი, მიცემული კახთა მეფის ალექსანდრე II მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1579 წ., დოკ. 10, 9-10);

„ესე ასრე დაგიმტკიცდეს **თქუნ**, სუეტსა ღ~თივ აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და სამოციქულოსა ეკლესიასა საჭეთმპყრობელი კათალი[კო]ზი იყოს“ (იქვე).

⁶⁹ <http://www.sazogadoeba.ge> (მოძიებულია: 10 აპრილს, 2018).

⁷⁰ <http://1tv.ge> (მოძიებულია: 10 აპრილს, 2018).

⁷¹ <http://geonews.ge> (მოძიებულია: 22 აპრილს, 2018).

⁷² https://www.youtube.com/watch?v=ZeYGYxi_Es4 (მოძიებულია: 22 აპრილს, 2018).

„სიმტკიცისა სიგელი გადრეთ და მოგახსენეთ **თქვენ**, ცათა მოზამძვსა საყდარსა და მას შინა სუეტსა ღ[უ]თივ-აღმართებულსა კუართსა ს[ა]უფლოსა და მირონსა ღ[მერ]თ-მყოფელსა და **თქვენსა** საჭეთმპყრობელსა ქართლისა კ[ათალიკო]ზ-პატრიარქსა ნუკუალოზს“ (ყმების შეწირულობის წიგნი, მიცემული კახთა მეფის ლეონ II-ის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1569 წ., დოკ. 8, 7).

ზოგჯერ ერთსა და იმავე ტექსტში ერთ წინადადებაში **თქვენ** ნაცვალსახელთან ერთად არის **შენ**. მაგალითად:

„ჩუენ, **შენ** მიერ მტერთა ზედა და წინააღმდეგომთა ძლიერმან... მეფეთ მეფემან ალექსანდრე... შემოგწირე მცირე ესე შემოსაწირავი სოფელი... შემოგწირეთ **თქვენ** სუეტსა ღ[უ]თივ-აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა“ (მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1601 წ., დოკ. 13, 12-13).

აღსანიშნავია, რომ ერთი დოკუმენტის (მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1601 წ., დოკ. 13) ფარგლებში **თქვენ** ნაცვალსახელის ევფემისტურობა შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს, რადგან მას მოჰყვება ჩამონათვალი (**თქვენ** სუეტსა ღ[უ]თივ-აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა...). შეიძლება ვიფიქროთ, ზემოთ მოცემულ კონტექსტში **თქვენ** მრავლობითი რიცხვის გამომხატველია, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ დოკუმენტი მიმართავს ერთი ობიექტის – მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი. თუ სიტყვებს – „სუეტი ღ~თივ აღმართებული, კუართი საუფლო, მირონი ღმერთ-მყოფელი და კათოლიკე სამოციქულო ეკლესია“ – მეტაფორად მივიჩნევთ და არა მიმართვის ცალკე ობიექტებად, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს **თქვენ** ნაცვალსახელი ევფემისტურად. ჩვენი მოსაზრებით, ამგვარი დაშვება არ არის საფუძველს მოკლებული, რადგან სვეტიცხოველი სწორედ ასე

მოიხსენიება ლოცვებში: „საყდარო წმიდაო, სვეტო ნათლისაო, კვართო საღრმთოო...“ და ტროპარშიც: „კათოლიკე ეკლესიაჲ, სუეტი წმიდაჲ და კუართი საუფლოჲ...“⁷³

საანალიზო დოკუმენტშიც არსებობს ჩვენი ვარაუდის გამამყარებელი მაგალითი. კერძოდ: **თქვენ** ნაცვალსახელის ევფემისტურად მიჩნევას მხარს უჭერს ტექსტის დასაწყისში ევფემისტური ზმნების – **(გ)კადრეთ** და **მოგახსენეთ** – პოვნირება, რასაც მოჰყვება კიდევ საანალიზო ნაცვალსახელური ფორმა (**თქვენ**). აშკარაა, რომ ამ ფორმებით მეფეს სურს თავისი მოკრძალება გამოხატოს სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი.

XV-XVII საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტებში ევფემისტურობა გამოხატულია ზემოთ აღნიშნული **ზმნური ფორმებითაც**. მაგალითად, **გკადრეთ** და **მოგახსენეთ**:

„**(გ)კადრეთ** და **მოგახსენეთ** თქვენ, ცათა-მოზამავსა საყდარსა სუეტსა-ცხოველსა, კუართსა საუფლოსა, მირონსა ღ[მერ]თ-მყოფელსა... აზნაურიშვილნი და გლეხნი თქვენთუის სამსახუროდ მოგუიხსენებია... ვითაც თქვენთუის ბეითაღმნად დადებული იყო და სხუას ერისკაცს არას ეხელყოდა, ისრევ თქვენ **[გ]კადრეთ** და **მოგახსენეთ** მოუშლელად“ (აწყურიდან ლოღეთს ჩამოსული ყმების შეწირულობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1654 წ., დოკ. 38, 29-30);

„კითხვითა და თანადგომითა და ნებადართვითა ქართლისა კ~ზ პატრიარქისა ნიკოლოზისითა **მოგახსენეთ** და **შემოგწირეთ** ზემოაღნუჯით თექუსმეტი კუამლი კაცი“ (ყმების შეწირულობის წიგნი, მიცემული კახთა მეფის ლეონ II-ის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1569 წ., დოკ. 8, 7);

„ესე წიგნი და სიგელი **გკადრეთ** და **მოგახსენეთ** თქვენ, სვეტსა ღ[უ]თივ აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღ[მერ]თმყოფელსა და ბატონისშვილსა კ~ზსა პატრონს დომენტის ჩვენ, ციცის-შვილმან ბატონმან ციციმ, ძმამან ჩვენმან ქაიხოსრო, ედიშერ“ (საკანონოს გადახდის წიგნი, მიცემული ციცი და სხვა ციციშვილების მიერ დომენტი კ~ზისადმი, 1664 წ., დოკ. 56, 41).

⁷³ <http://www.orthodoxy.ge> (მომიებულია: 22 აპრილს, 2018).

ასეთი გამოთქმები დასტურდება, აგრეთვე ალექსანდრე მეფის შეწირულობის წიგნში სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი (1601 წ.):

„(გ)კადრეთ და მოგახსენეთ გუჯარი ესე თქუნ, სუეტსა ღთივ აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთ-მყოფელსა და კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა“ (მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1601 წ., დოკ. 13, 12-13);

მოცემულ შემთხვევებში (გ)კადრეთ და მოგახსენეთ ზმნათა ევფემისტურობა უდავოა, რასაც ადასტურებს ამ ფორმათა სინონიმურობა. მათი ერთად გამოყენების შემთხვევა უჩვეულო არ არის ქართული წერილობითი ძეგლების ენისთვის, მათ შორის, ჩვენი საანალიზო ტექსტების პერიოდის ენისთვისაც. ამგვარი ფორმები გვხვდება, მაგალითად, ისეთ დოკუმენტში, როგორცაა „თეიმურაზ I-ის წერილი ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სადმი“ (1626 წ.): „ჩუნ ყოველნი ძმანი ვართ და ერთ არს ღმერთი ჩუნის აქმისა ამას ცნობითა და სიტყუისა ამის აღმოკითხვითა ვკადრეთ ძმად წოდებად ამონაგებთა სესხება... ეს ჩუნი გულითადიმ ღრდელ-მონაზონი ნიკიფორე გიუახლებია და ჩუნი საქმე და გულის პასუხია მისის პირით მოგუიხსენებია“.⁷⁴

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დოკუმენტებში ზოგჯერ ტაძარი მოხსენიებულია შენ ნაცვალსახელითაც: ავტორი (მეფე) შენობით მიმართავს ეკლესიას, „კათოლიკე სამოციქულო საყდარს“, მაგრამ იყენებს ევფემისტურ ზმნებს (კადრეთ, მოგახსენეთ). მაგალითად: „შენ მიერ მტერთა ზედა და წინააღმდგომთა ძლიერმან... შენ, ხატო ყოვლად ძლიერო სამოციქულო ეკლესიავო, შეიწირე მცირე ესე შესაწირავი და ნაცულად გუაგენ წყალობანი შენნი... ვკადრეთ და მოგახსენეთ ცათა მობაძვსა კათოლიკე სამოციქულო საყდარსა შენსა ჯიმითით“ (მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1601 წ., დოკ. 13: 12-13).

ამდენად, (გ)კადრეთ და მოგახსენეთ ზმნების არსებობითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკლესიისადმი მიმართვისას ევფემისტური ფორმებია გამოყენებული. მოცემულ

⁷⁴ <http://laprensaiberic.com> (მომიებულია: 22 აპრილს, 2018).

კონტექსტებში ევფემისტური ფორმების არსებობას განაპირობებს სარწმუნოებრივი ფაქტორი. ეკლესია, სვეტი გასულიერებულია. ადამიანებს მათდამი დიდი მოკრძალება აქვთ, შეიძლება უფრო მეტი, ვიდრე მეფისადმი, ბატონის ან სხვა მაღალი წოდების პირებისადმი.

როგორც ჩანს, ტაძარს, ეკლესიას, მიმართავენ **თქვენ/შენ** ნაცვალსახელებით. ეს არ ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებას, რომ **თქვენ** ნაცვალსახელი ევფემისტურია. ეს (**თქვენ/შენ** ნაცვალსახელთა) მონაცვლეობა თუნდაც ერთ კონტექსტში (ამის შესახებ ზემოთაც მივუთითეთ) **უნდა აიხსნას ევფემისტურ ფორმათა დამკვიდრებაში არსებული მერყეობით.**

XV-XVII საუკუნეთა ისტორიული დოკუმენტების მიხედვით ევფემისტურობას გამოხატავს, აგრეთვე, ზმნური ფორმა **მივართვით**. ეს ზმნაც ეკლესიისადმი მიმართვაში არის გამოყენებული:

„...ჩვენ დაუდევით სვეტს ცხოველსა და **მივართვით** ჩვენის აზნაურშვილის მკუიდრი ყმა ორი კომლი კაცი“ (საკანონოს გადახდის წიგნი, მიცემული ციცი და სხვა ციციშვილების მიერ დომენტი კ^წისადმი, 1664 წ., დოკ. 56: 41).

განხილული შემთხვევების საფუძველზე შესაძლოა გაჩნდეს შეკითხვა: ხომ არ არის ფუძემონაცვლე ზმნებით გადმოცემული კონსტრუქციები დოკუმენტების ენისათვის დამახასიათებელი შტამპი – მყარი და უცვლელი ფორმები, რომლებიც ყველა საბუთში გამოიყენება და არა ევფემიზმები? ვფიქრობთ, არა, რადგან ჩვენ მიერ დასახელებული ზმნები მხოლოდ იმ დოკუმენტებში დასტურდება, რომლებშიც ადრესატისადმი მოკრძალებულ დამოკიდებულებაზე სურთ ხაზგასმა. შდრ. არაევფემისტური: „ესე წიგნი **მოგეცით ჩვენ**“ (დოკ. 59: 43); „ესე ნასყიდობის სიგელი **დაგიწერე და მოგეცი მე**“ (დოკ. 63: 45).

XV-XVII საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტებში დაცული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ პერიოდის ქართულ ენაში, გარდა ჩვეულებრივი, დღესაც არსებული ევფემისტური გამოთქმებისა (ვგულისხმობთ ადამიანის მოხსენიებას, მიმართვას), არსებობდა განსხვავებული შემთხვევებიც, კერძოდ, ევფემისტურად

მოიხსენიებდნენ უსულო საგანსაც – ეკლესიას, ხატს, სვეტს, საყდარს, რაც შეპირობებული იყო სარწმუნოებრივი ფაქტორით.

ისტორიული საბუთები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის შესაბამისი ეპოქის საზოგადოების ეთიკურ მხარეზე, რაც მჟღავნდება ევფემისტურ გამოთქმებში, ზმნურ ევფემიზმებში. ასეთია, აგრეთვე, ტექსტის სტანდარტული დასაწყისი, პასიური კონსტრუქცია, განდიდების „ჩვენ“ თუ მიმართვის ფორმები, რომელთაგანაც განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ წოდებრივი ეთიკეტის ანალოგიით თქვენობითი მიმართვა ვრცელდება უფალსა და წმინდანებზეც. საინტერესოა „მოგახსენეთ“ ზმნის სემანტიკური ვარიაციულობის შემთხვევაც.

აღნიშნულ ეთიკეტურ ფორმათა უმეტესობა ნაკარნახევია საკუთარი თავის შეფასების იმპლიციებით, ასევე, ადრესატისადმი მოკრძალებული დამოკიდებულებით, რაც ქმნის შესაბამისი ეპოქის დოკუმენტთა ენობრივ ეთიკეტს, სტილს.

3. 4. ევფემიზმის სტილური ფუნქციები თარგმანების ენაში

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თარგმნისას ყველაზე მეტ სირთულეს ეროვნული კოლორიტის მატარებელი ენობრივი ერთეულები ქმნის. „ის, რაც ენობრივ და კულტურულ სამყაროში გაშინაურებული მთარგმნელისათვის გასაგებია და ემოციის აღმძვრელი, თარგმანში მექანიკურად გადმოტანისას შეიძლება მკითხველისათვის ან გაუგებარი, ან ემოციის თვალსაზრისით უსულო აღმოჩნდეს“ (ფანჯიკიძე, 1988: 14). როდესაც დედნისეული გამოთქმების შესატყვისებს სამიზნე ენაზე არ გააჩნია მსგავსი დატვირთვა, ასეთი გამოთქმები, შესაძლოა, უთარგმნელ ელემენტადაც კი ჩაითვალოს. მაგალითად, ევფემიზმი „ბატონები“, რომელიც

ქართულად წითელას, ჩუტყვავილას, ყივანახველასა და მსგავსი ინფექციური დაავადებების აღსანიშნავად იხმარება (ებრალიძე⁷⁵).

ენობრივი ეთიკეტის გამოვლინების ისეთი შემთხვევები, როცა ავტორი მიმართავს თვითდამცრობის, თავმდაბლობის გამომხატველ ენობრივ საშუალებებს, თავს იჩენს XI-XVIII საუკუნეთა აგიოგრაფიულ და საერო ნაწარმოებთა თარგმანებშიც. საანალიზო მასალაში გამოიყოფა თვითდამცრობის გამომხატველი სხვადასხვა ენობრივი საშუალება, როგორცაა:

1) შესიტყვება:

ჩუენ უდებთათვს: „არა არს მისგან სივლტოლად, რომელ განჰმზადა ჩუენ უდებთათვს“ (მამათა ცხორ., 442);

ლექსიკური ერთეულით **უდები**, რომელიც ძველ ქართულში **ზარმაცს** ნიშნავდა და დღეს უკვე არქაიზმია, გამოხატულია პერსონაჟის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, თავის დამცრობა.

ჩემ გლახაკისაგან: „მოსრულ ხარ და ითხოვ ჩემ გლახაკისაგან“ (მამათა ცხორ., 442) (შდრ. რავდენი რად ღონჭ იჯუმია, ვიდრემდის ჩემიცა, გლახაკისაჲ ამის, უნდა მიზიდვად (მამათა ცხორ., 442);

„...ესე წიგნი სარწმუნოებისაჲ და ვედრებისაჲ მიითუალენ შენმან ღმრთისმოყუარებამან ჩუენ ყოველთაგან გლახაკთა, შენთა მლოცველთა“ (მამათა ცხორ., 442);

ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონის მიხედვით, **გლახაკ-ყოფა** დავრდომილობას, გადატაკებას ნიშნავს.⁷⁶ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში **გლახაკი** განმარტებულია, როგორც „ესე არს მამა-დედით უქონელნი, ხოლო დავრდომილი, რომელი სიმდიდრისაგან დაცემულიყოს“ (ორბელიანი⁷⁷). საკუთარი თავის მიმართ ამ სიტყვის გამოყენება თვითდამცრობის გამოხატულებაა.

⁷⁵ <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/11/110> (მოძიებულია: 10 მარტს, 2018).

⁷⁶ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, თბ., 2008, <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=44&t=4650> (მოძიებულია: 10 მარტს, 2017).

⁷⁷ორბელიანი ს. ს., <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=7538> (მოძიებულია: 15 მარტს, 2017).

ანალოგიური ფუნქციით ტექსტებში გვევლინება შესიტყვება **ჩემ უძღურისა**:

„ყო **ჩემ უძღურისა** ამისთვის საკვრველი“ (მამათა ცხორ., 442) (შდრ. პარალელური ტექსტიდან: „ყო **ჩემ უძღურისა** ამის თანა საკვრველი“ (G 136r) (მამათა ცხორ., 442).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ამგვარ შესიტყვებებში ნაცვალსახელები ყოველთვის ფუძის სახითაა წარმოდგენილი. მე-ს ნაცვლად ნათესაობითის **ჩემ** ფუძეა გამოყენებული, რაც უცხო ენიდან, კერძოდ, ბერძნულიდან, კალკირების შედეგია.

თვითდამცრობის გამომხატველი ენობრივი ფორმულაა, ასევე, **მონა ქრისტესი**, რომელიც ხშირად გვხვდება თარგმანებში. ეს შესიტყვება გამოხატავს უფლისადმი მორჩილებას, მისი ნების გარდაუვალობას. ასე იწოდება მორწმუნე ქრისტიანი, რომელიც უფლის მცნებებით ცხოვრობს. მაგალითები:

„ღმერთო ჩემო, რომელი ჟამსა ამას წინაშე მიდგ უღირსსა ამას **მონასა შენსა**, რადთამცა შენ თვით განმიყვანე ხორცთაგან ჩემთა“ (ქართ. მწერლ. 2, 1987: 162);

„და ვითარცა ვიხილეთ მხნე ესე **მონაჲ ქრისტესი**, ესრეთვე ჩვენცა ვიღწვიდეთ“ (ქართ. მწერლ. 2, 1987: 160);

2) ცალკეული სიტყვა:

საწყალობელი: „რამეთუ მე **საწყალობელსა** სიმრავლითა მოწყალებისა მისისაჲთა ნაწუეთი სიტყუათა მათთაჲ დამწუთა“ (მამათა ცხორ., 56);

არადირსი/უღირსი: „კურთხეულ არს ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელმან... მე ღირს მყო, **არადირსი**, აღწერად ღმრთის მოყუარეთა წმიდათა მათ მამათა წინა-აღსრულებულთა, ევთჳმისთვის და საბადსთვის, ზოგად ყოფისა“ (მამათა ცხორ., 56);

„ღმერთო ჩემო, რომელი ჟამსა ამას წინაშე მიდგ **უღირსსა** ამას მონასა შენსა, რადთამცა შენ თვით განმიყვანე ხორცთაგან ჩემთა“ (ქართ. მწერლ. 2: 162);

მაგალითებში იკითხება ჰაგიოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელი თავისებურება, რომლის მიხედვითაც მწერალი საკუთარ თავს ავტორობის ღირსად არ მიიჩნევს და ეს პატივი უფლის წყალობით აქვს მინიჭებული.

გლახაკი: „მე, ბასილი **გლახაკმან**, აღვწერე სარგებელად მწერალთად“ (ქართ. მწერლ. 1: 477);

თვითდამცრობის გამომხატველად **გლახაკი** ხშირია ორიგინალურ თხზულებებშიც: „ღირს ვიქმნე **გლახაკი** შენი ...აღშენებად ამისა; მე, **გლახაკმან** ზაქარია, ...აღვწერე ცხორებაჲ მისი“ (ძვ. ქართ. სიმფ. I, 2005: 179).

უგუნური: „შემოქმედო ცისა და ქვეყანისაო, არ უწყი **უგუნურმან** ამან, რომელი არს ბრძანება შენი ჩემად სასარგებლო“ (ქართ. მწერლ., 5, 1988: 333).

ჩვენ მიერ განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოების ჟანრი განსაზღვრავს ევფემიზმის სტილურ ფუნქციას. როგორც ჩანს, ნათარგმნ სასულიერო ძეგლებში (ისევე როგორც ორიგინალურში) გამოყენებული თვითდამცრობის ენობრივი საშუალებები მსგავსია, რასაც, ჩვენი აზრით, განაპირობებს ჟანრის თავისებურება – ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების შექმნის ნორმები/შაბლონი ერთნაირია როგორც ქართულ, ასევე უცხოურიდან ნათარგმნ ტექსტებში.

დასკვნითი დებულებანი

1. ევფემიზმის კლასიფიკაციების სიმრავლეს განაპირობებს თვით ევფემიზმის გამოხატვის მრავალფეროვნება ამა თუ იმ ენაში. სწორედ ამიტომ არის ძნელი უნივერსალური კლასიფიკაციის შექმნა, რომელიც მოიცავს ყველა ტიპის ევფემიზმს, თუმცა, ენობრივი ნიშნის მიხედვით კლასიფიკაციები ამ პრობლემის მოგვარების ერთგვარი ცდაა.

2. **გრამატიკულ-ლექსიკური** ევფემიმი მოიცავს მორფოლოგიურ (ზმნაში -თ ბოლოსართით გამოხატული) ევფემიზმს, რომელსაც აჩენს პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელის თავაზიანობის ფუნქციით გამოყენება; გრამატიკულ-ლექსიკურია ფუძემონაცვლე ზმნები და სინტაქსური ევფემისტური შენაცვლებანი. საკუთრივ ლექსიკურში შედის სახელური (არებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელით გამოხატული) და ზმნური ევფემიზმები, ასევე სიტყვათა მყარი შეხამებანი.

3. თავაზიანობის საფუძველზე წარმოქმნილი ევფემიზმის მორფოლოგიურად გამოხატვა ყალიბდება საუკუნეების განმავლობაში. თავდაპირველად ევფემისტურობის გამომხატველი იყო მხოლოდ **თქვენ** ნაცვალსახელი, რომელმაც ეს ფუნქცია თავის ამოსავალ ფუნქციასთან – მრავლობითი რიცხვის გამოხატვასთან ერთად – შეითავსა. საერო მწერლობის ენაში, IX საუკუნიდან, ჩნდება ნაცვალსახელთან ერთად -თ ბოლოსართის გამოყენების შემთხვევები, ამასთანავე, გაფორმებული და გაუფორმებელი ზმნური ერთეულების მონაცვლეობა, ერთი კონტექსტის ფარგლებშიც კი, რაც XVII საუკუნეში წინა საუკუნეებთან შედარებით სუსტდება და გრძელდება XVIII საუკუნემდე. აღნიშნული ვითარება მიუთითებს, რომ ამ პერიოდის ენაში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული ზმნაში ევფემისტურობის გამოხატვის პროცესი.

4. V-XVIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ: 1) თავდაპირველად ევფემისტურობას მხოლოდ ნაცვალსახელი გამოხატავდა, ზმნა კი სათანადო ნიშნით არ იყო გაფორმებული; 2) მარკირებული ფორმები გვხვდება IX საუკუნიდან როგორც საერო და სასულიერო მწერლობის, ასევე,

დოკუმენტების ენაში; 3) მომდევნო საუკუნეებში პარალელური (ნიშნისანი და უნიშნო) ზმნური ფორმები არის შენარჩუნებული ერთსა და იმავე კონტექსტში საერო მწერლობის ენასა და დოკუმენტების ენაში; 4) **შენ** და **თქვენ** ნაცვალსახელების მონაცვლეობა ერთი კონტექსტის ფარგლებში გრძელდება XVII საუკუნემდე.

5. რაც შეეხება **ფუძემონაცვლე ზმნებს**, მათგან:

1) ევფემისტურობის გამოხატვის მხრივ ძალზე ფართოა **ბრძანება** ზმნის სემანტიკური ველი. იგი აღნიშნავს განწესებას, მივლინებას, მიწერას, თქმას, დათქმას, შერისხვას, მცნებას, სიტყვას, თქმულს, საზღვარს, მობრძანებას, ნებებას, მიცემას, ჩუქებას, ბოძებას, ცნობებას, ჭამას (მირთმევას), დაჯდომას;

2) **მოახსენა** ფართოდ გამოიყენება წერილობით ძეგლებში, რაც იერარქიული პრინციპითაა განპირობებული. ამ ზმნით გამოხატულია სხვადასხვა სემანტიკა, კერძოდ: თქმა, პასუხის გაცემა, თხოვნა, ვედრება, მიცემა, მირთმევა, დარწმუნება, თავმდების წარდგინება...

3) **მიცემა/ბოძება** ზმნათა გამოყენება საერო მწერლობის ძეგლებში იერარქიული პრინციპით არის ნაკარნახევი და განპირობებულია ადრესანტის სტატუსით: მაღალი სტატუსის მქონე (უფალი, მეფე, ბატონი...) დაბალი სტატუსისას უბოძებს, ის კი მირთმევს.

4) **მოტანა/მორთმევა**. **მორთმევა** I პირის ფორმით გვხვდება ბიბლიურ ტექსტებსა და აგიოგრაფიაში, გამოიყენება როგორც სულიერი, ასევე უსულო საგნების მიმართ. აქვს **ჩუქების** სემანტიკაც („რამეთუ ტალანტი იგი... განამრავლე და მართუ ღმრთისა ეკლესიასა ბევრწილად“ (ჰიმნოგრ., ბასილი, გალობანი... 505)...

6. სახელებით გამოხატული ევფემიზმები წერილობით ძეგლებში მრავალფეროვანია და ქმნის სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფს, ანუ გამოიყოფა ევფემიზმები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ობიექტთან, კერძოდ: ა) უფლის სახელთან; ბ) ეშმას სახელთან; გ) ადამიანის სხეულის ნაწილებთან; დ) ყოფაქცევასთან; ე) ინტიმურ ურთიერთობასთან; ვ) ფიზიკურ, გონებრივ ნაკლთან, ავადმყოფობასთან; ზ) გარდაცვალებასთან; თ) იერარქიასთან; ი) ტაბუსთან.

7. სტილის მიხედვით ერთმანეთისაგან სხვაობს სასულიერო მწერლობის ჟანრები (აგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია). აგიოგრაფიული ნაწარმოები იძლევა მეტ შესაძლებლობას ევფემისტური ფორმულების გამოყენებისა, ჰიმნოგრაფიული კი, თავისი ფუნქციიდან გამომდინარე, უფრო გამოირჩევა ხოტბის შემცველი შინაარსის ლექსიკური ერთეულებით, რაც განპირობებულია ეთიკეტის ფაქტორით და არის სასულიერო პოეზიის სტილის შემქმნელი ერთ-ერთი საშუალება.

8. XV-XVII საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტებში დაცული მასალის მიხედვით, ამ პერიოდის ქართულ ენაში, გარდა ჩვეულებრივი, დღესაც არსებული ევფემისტური გამოთქმებისა (ვგულისხმობთ ადამიანის მოხსენიებას, მიმართვას), არსებობდა განსხვავებული შემთხვევებიც, კერძოდ, ევფემისტურად მოიხსენიებდნენ უსულო საგანსაც – ეკლესიას, ხატს, სვეტს, საყდარს, რაც შეპირობებული იყო სარწმუნოებრივი ფაქტორით.

9. საერო მწერლობის ძეგლები სასულიერო მწერლობის ძეგლებისაგან განსხვავდება საკუთრივ მათთვის დამახასიათებელი სტილით, რაც ევფემიზმთა გამოყენების თავისებურებებშიც მჟღავნდება. საერო სტილის ტექსტებში, მათი შინაარსიდან გამომდინარე, ხშირია ისეთი ეთიკეტური სიტყვები და ფრაზები, რომლებიც სასულიერო სტილის ტექსტებში ან საერთოდ არ არის, ან ნაკლებად გვხვდება, თუმცა, ამგვარი გავლენისაგან მაინც არაა დაცული. ეს ორი სტილი, ერთმანეთისაგან გამიჯნულია, მაგრამ მათ მაინც აერთიანებს ენა, ანუ იქმნება ენობრივი ერთიანობა ორ სხვადასხვა ჟანრს შორის. ამით უნდა აიხსნას მათი სტილებრივი გადაკვეთა, მსგავსება.

დამოწმებული ლიტერატურა

1. აბულაძე (1973). აბულაძე ი., *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, თბილისი: „მეცნიერება“.
2. აბულაძე (1966). აბულაძე ლ., ვაჟა-ფშაველას მხატვრული პროზის ლექსიკის სტატისტიკური ანალიზი, *თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები*, ტ. I. თბილისი: „მეცნიერება“.
3. ალანი, ბარიჯი (2006). Allan K. and Burridge K., *Forbidden Words*, Cambridge: Cambridge University Press. <http://www.latrobe.edu.au/linguistics/LaTrobePapersinLinguistics/Vol%2001/1AllanandBurridge.pdf>
4. ახვლედიანი (1972). ახვლედიანი გ., *ენათმეცნიერების შესავლის საკითხები*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. აფრიდონიძე (1995). აფრიდონიძე შ., ბრძანებითი, როგორც მიმართვის ზმნური ფორმა: *საენათმეცნიერო ძიებანი* N4. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.
6. აფრიდონიძე (1997). აფრიდონიძე შ., მიმართვების ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები ქართულში, თსუ კრებული „ზ. ჭუმბურიძეს“, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. აფრიდონიძე (2003). აფრიდონიძე შ., *მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში*: სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერი), თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
8. აფრიდონიძე... (2011). აფრიდონიძე შ., ვაშაკიძე თ., მაღრაძე ვ., ტეტელოშვილი თ., ღვინაძე თ., ჯორბენაძე ნ., *ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი*, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი: „დამანი“.
9. ახალი ქართ. ენა (2016). *ახალი ქართული ენა I*, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილისა და ა. არაბულის რედაქციით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი: თსუ გამომცემლობის სტამბა.

10. ანდრონიკაშვილი (1959). ანდრონიკაშვილი მ., ე. წ. პატივისცემის მრავლობითის შესახებ ქართულში, *სტუდენტთა სამეცნიერო შრომების ხელნაწერი კრებული*, თბილისი.
11. ასათიანი (2000). ასათიანი რ., რელიგიური წარმოდგენების ლინგვისტური რეპრეზენტაციები: მარკირების მიმართება და ღმერთის იდეა, *ქუთაისური საუბრები*, VII. ქუთაისი: ს/ს „სტამბა“.
12. აფაქიძე (2003). აფაქიძე ი., მიპატიჟების ფორმები ბრიტანულ და ქართულ ყოფაში „სახის დაკარგვისა“ და „შენარჩუნების“ თვალსაზრისით, *ენათმეცნიერების საკითხები*, N 2. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
13. აფაქიძე (2005). აფაქიძე ი., კულტურული შოკი: მისი წარმოქმნა და აცილების ხერხები. ბრიტანული და ქართული სტუმარმასპინძლობის ეტიკეტის მაგალითზე, *საენათმეცნიერო ძიებანი, XVIII*, ქართული ენა. თბილისი.
14. ბასილაია (1991). ბასილაია ნ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი: განათლება.
15. ბარბაქაძე (2014). ბარბაქაძე ც., მზის მეტაფორები, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“, 2014 წლის 25 მარტი, <http://mastsavlebeli.ge/?p=3943> (მოძიებულია: 15 ოქტომბერს, 2017).
16. ბოლქვაძე (2005). ბოლქვაძე თ., იდეოლოგიზებული ღირებულებანი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
17. ბრაუნი (1960). Brown, R., and A. Gilman. “The Pronouns of Power and Solidarity.” *Style in Language*. Ed. Thomas A. Sebeok. New York/London: Wiley.
18. ბრაუნი და ლევინსონი (1987). Brown, P. and Levinson, S. C. *Universals in language use: politeness phenomena*. In E. N. Goody, (Ed.), *Questions and Politeness: Strategies in Social Interaction*. New York: Cambridge University. Politeness: Some universals in language usage. Cambridge: Cambridge University Press.

19. ბურხარდტი (2010). Burkhardt, Armin, *Euphemism and truth*, in Armin Burkhardt & Brigitte Nerlich (eds), *Tropical Truth(s): The epistemology of metaphor and other tropes*. Berlin: De Gruyter.
20. გამრეკელაშვილი... (1966). გამრეკელაშვილი ნ., მგალობლიშვილი ე., ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.
21. გამსახურდია (1980). გამსახურდია კ., თხზულებათა ანტომეული, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
22. გამყრელიძე (2003). გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ნ., შენგელაია ნ., *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
23. გარდინერი (1951). Gardiner A. *Theory of speech and Language*, Oxford.
24. გიგინეიშვილი... (1971). იგინეიშვილი, ბ. კიკვიძე ც., შესაქმის, გამოსლვათა და ლევიტელთა წიგნების ქართული ვერსიები: [ძველი აღთქმის წიგნთა გამოცემის ისტორიიდან], *მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი N1* / ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი: „მეცნიერება“.
25. გოფმანი, (1955). Goffman, Erving, “On Face-work: An Analysis of Ritual Elements of Social Interaction”, *Psychiatry: Journal for the Study of Interpersonal Processes* 18(3), 213-231. Reprinted in Goffman.
26. გოჩიტაშვილი. გოჩიტაშვილი ქ., ადამიანის ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართულ და ინგლისურ ენებში: <http://www.spekali.tsu.ge> (მოპოვებულია: 01.07.2015).
27. დადიანი... (2009). დადიანი, ეკა, მიქაუტაძე მანია, ფიცილის ფორმულები იმერულ დიალექტში, „დიდაქარობა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ხულო-დიდაქარა (მასალები). თბილისი: შპს „სეზენი“.
28. დადიანი (2013). დადიანი ეკა, დავით კლდიაშვილის „ქამუშადის გაჭირვების“ ენობრივი თავისებურებანი (ე. წ. ფილერების მაგალითზე),

ლიტერატურული დიალოგები VI, დავით კლდიაშვილი 150, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

29. დანელია (1998). დანელია კ., *ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან*, ტ. 1. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

30. დარასელია (2018). დარასელია ნ., შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა აღმნიშვნელი ერთი ტერმინის სემანტიკისა და პრაგმატიკისათვის თანამედროვე ინგლისურსა და ქართულში: *საენათმეცნიერო ძიებანი*, № 15. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.

31. (ებრალიძე). ებრალიძე ლ., ევფემიზმები და მათი თარგმნის სტრატეგიები (ქართული და ინგლისური ენების მასალაზე), *სპეკალი*, XI, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/11/110> (მოპოვებულია: 15 თებერვალი, 2018).

32. ენციკლოპ. (2008). ქართული ენა, ენციკლოპედია, თბილისი: არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

33. დვორეცკი (1958). Дворецкий И. Х., *Древнегреческо-русский словарь*, т.т. I-II, М., 1958 (წიგნი განთავსებულია ინტერნეტშიც) http://kolesnikovx.narod.ru/drevnegrechesko-russkii_slovar_dvoretzkogo/ (მოძიებული 15 ნოემბერს, 2014).

34. ვავილოვა. Вавилова Л. Н., К вопросу об эвфемизации современной русской речи: [ინტერნეტრესურსი] <http://www.ksu.ru/fil/kn7/index.php?sod=11L>

35. ვეისმანომი (1899). Вейсманом Аю Дю, *Греческо-русский словарь*, Издание пятое, С.-Петербург. Издание автора.

36. ზექალაშვილი (2001). ზექალაშვილი რ., სიტყვა „ღმერთი“ მიმართვასა და შესიტყვებებში ქართულ ენაში, *ქართველური მემკვიდრეობა*, V, ქუთაისი: გამომცემლობა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

37. ზექალაშვილი (2005). ზექალაშვილი რ., თავაზიანობის გამოხატვა მეტყველებაში და მისი შესწავლის ასპექტები, *სძ*, XVIII, თბილისი: არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

38. ზექალაშვილი (2005). ზექალაშვილი რ., სამეტყველო ეტიკეტი და „სახის“ ღირებულებათა იერარქია ეროვნულ ცნობიერებაში, *ეს*, I-II, თბილისი: თსუ გამომცემლობა.

39. ზექალაშვილი (2006). ზექალაშვილი რ., ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

40. ზექალაშვილი (2012). ზექალაშვილი რ., ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბილისი: უნივერსალი.

41. ზექალაშვილი (2012). **ახლავს** ზმნის გამოყენების ისტორიისა და მართლწერისათვის ქართულში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარული კვლევები. *წელიწდეული*, III. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

42. ზექალაშვილი (2013). ზექალაშვილი რ., თავაზიანობის გამომხატველი ზოგიერთი ზმნის გამოყენების ისტორიისათვის ქართულში, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, შრომები, ქუთაისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

43. ზექალაშვილი (2018). ზექალაშვილი რ., ქართული ენა. მოკლე პრაქტიკული კურსი. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.

44. თაყაიშვილი (1961). თაყაიშვილი ა., ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

45. თოფურია (1979). თოფურია ვ., *პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში*, თხზ., ტ. III, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
46. თურქია (2006). თურქია თ., *ტექსტობრივი პაუზის შევსების საშუალებები, ქართველური მემკვიდრეობა*, X, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
47. იმნაიშვილი (1996). იმნაიშვილი ი, იმნაიშვილი ვ., *ზმნა ძველ ქართულში*, ნაწილი II, მაინის ფრანკფურტი.
48. კეკელიძე (1980). კეკელიძე კ., *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
49. კვარაცხელია (1967). კვარაცხელია გ., *სტატისტიკური მეთოდებით ლექსიკის სტილისტურ-შედარებითი კვლევა. თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები*, ტ II, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
50. კვარაცხელია (1981). კვარაცხელია გ., *ოფიციალურ-საქმიანი სტილის ზოგადი ნიშნები, „თანამედროვე და ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები“*, VI, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
51. კვარაცხელია (1990). კვარაცხელია გ., *ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
52. კიკვიძე (1993). კიკვიძე ზ., *გრამატიკული ევფემიზმის გამოყოფის საკითხისათვის*, „ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე“, 2.
53. კიკვიძე (1994). კიკვიძე ზ., *„ჩვენ“ ნაცვალსახელის მეორეული მნიშვნელობა*, *მაცნე, ელს, №1-4*, თბილისი: მეცნიერება.
54. კიკვიძე (1995). კიკვიძე ზ., *როლებრივი ურთიერთობანი და სოციოლინგვისტური ცვლადები*, „ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1, ქუთაისი: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
